780/3
2001

სეზონი

3-4

2001

სარკე

2001/3—4

მაისი
აგვისტო

(116)

შინაარსი

პროზა და პოეზია

ბი დე მოპასანი. მის ჰარიეტი. ფრანგულიდან თარგმნა **ნანა ახალაძემ** . . . 3
ფრანგი სიმბოლისტი პოეტები. ფრანგულიდან თარგმნა **ბადრი თევზაძემ** . . . 21
ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანი. ეშმაკის ელექსირი.
გერმანულიდან თარგმნა **ლია თაკვარელიამ** 35

პირველი ნაბიჯები

ალბერ კამიუ. სტუმარი. ფრანგულიდან თარგმნა ილია გასვიანმა 74
ტეფი. მოთხრობები. თარგმნა **ნინო საითიძემ** 86
ჟორჟ ემანუელ კლანსიე. დაბრუნება. ფრანგულიდან თარგმნა **ნათია ამაღლობელმა** . 103
ჰერმან ჰესე. ნოვალისი. გერმანულიდან თარგმნა **ეკა გოგოლაშვილმა** 107
ირვინგ შოუ. გოგოები ზაფხულის კაბებში. ინგლისურიდან თარგმნა
ეკა ჭიაღაშვილმა 112
მარია ფონ ებნერ-ეშენბახი. კრამბამბული. გერმანულიდან თარგმნა
ნონა ფუხაშვილმა 117
გიიომ აპოლინერი. ლექსები. ფრანგულიდან თარგმნა **ილია გასვიანმა** . . . 125

წერილები

ტომას ედუარდ ლოურენსი. ცვლილებანი აღმოსავლეთში.
თარგმნა **ნაოელა გავაშელმა** 132
ნიკოლოზ გერდიანელი. წერილები. თარგმნა და კომენტარები დაურთო **ზაურ კილაძემ** . 145

საქართველოს მწერალთა საერთო ეროვნული
კავშირის ორგანო
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ჟურნალი

2001, № 3—4

მთავარი რედაქტორი
ნანა დარჩია-ბოლქვაძე

სარედაქციო საბჭო:
ელზა ახვლედიანი
ნანა ახობაძე
მანანა ამისულაშვილი
ჯემალ აჯიაშვილი
ნანა ბართაია (პ/მგ მდივანი)
გურამ გოგიაშვილი
ნანა გოგოლაშვილი
თამარ ერისთავი
რუსუდან ქებულაძე
დალი ფანჯიკიძე
გივი შაკნაზარი
გივი ძნელაძე

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026. ლესელიძის ქ. № 4. ტელეფონი: 99-73-41

ვად. წარ. 14. 05. 2001 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 30. 05. 2001 წ., ქაღალდის ზომა 70X108 1/16, სააღრ. თ. 10. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10 ფ. ტირ. 300. შეკვ. 419.

გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა.
თბილისი, მ. კოსტავას 14.

ჟი დე მოპასანი

მის პარიეტი

ფრანგულიდან

თარგმნა ნანა ახალაძემ

ეტლში შვიდნი ვისხედით: ოთხი ქალი და სამი მამაკაცი. ერთი მათგანი მეეტლის გვერდით, კოფოზე იჯდა. ცხენები დაკლაკნილი გზით ზლაზვნით ადიოდნენ ციცაბო გორაკზე.

ჩვენ დილაუთენია დავტოვეთ ეტრეტი და ტანკერვილის ნანგრევების დასათვალიერებლად გავემგზავრეთ. დილის სუსხითა და სიცივით გათოშილთ ძილის ბურანისათვის ვერა და ვერ დაგვეღწია თავი, მეტადრე ჩვენს თანამგზავრ ქალბატონებს, მონადირესავით სისხამ დილას წამოდგომას რომ არ იყვნენ ჩვეულნი, და წამდაუწუმ ამთქნარებდნენ. მერე თავდახრილთ, დამძიმებული ქუთუთოებიც ეხურებოდათ და განთიადის დადგომის ამაღელვებელ სანახაობასაც სრული გულგრილობით ეგებებოდნენ.

შემოდგომა იდგა. გზის ორივე ნაპირას გადაჭიმულ ტრიალ მინდვრებს აქა-იქ შემორჩენილი მომკილი პურისა და შვრიის მოკლე გადანაჭერი ღეროები, მოუპარსავ წვერს რომ მოგაგონებდათ, მოყვითალო შეფერილობას აძლევდა. ნისლში გახვეულ მიწას თითქოს კვამლი ასდიოდა, ცას ეფინებოდა ტოროლების წკრიალი, რომელსაც ბუჩქნარებში შეყუჟული სხვა ფრინველების ჟივჟივიც ერწყმოდა.

ჰორიზონტზე მზე წითლად ამოიწვერა და, რაც უფრო მაღლა და მაღლა იწევდა, რიჟრაჟი თანდათან ტიალდებოდა. ბუნება ღიმილით ელვიძებდა და, როგორც საწოლიდან ახალწამომდგარი ქალწული, ისე იშორებდა მხრებიდან თეთრ მოსასხამს.

— შეხედეთ, ბაჭია! — მოულოდნელად წამოიძახა გრაფმა დეტრეიმ და თითი მარცხნივ, სამყურა ბალახის მინდვრებისაკენ გაიშვირა, სადაც გაქცეული კურდღლის მხოლოდ გრძელი ყურებიღა მოჩანდა. იგი ჯერ დახნული მინდვრებისაკენ გაიქცა, ერთ წამს შეჩერდა, მერე კი მოკურცხლა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შემდეგ მოულოდნელად იცვალა მიმართულება, ისევ შედგა რაღაცით შეშფოთებული, თითქოსდა ზვერავსო იქაურობას, საფრთხე ხომ არ მელისო, ვერ გადაეწყვიტა, რომელ გზას დადგომოდა. შემდეგ ისკუპა და ჭარხლის ნათესებისკენ გაიქცა.

უკვე გამოფხიზლებული მამაკაცები კურდღლის ყოველ მოძრაობამანევრს გაფაციცებული ადევნებდნენ თვალს.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

25344

— ამ დილით ქალბატონებისადმი ყურადღებით ნამდვილად ვერ დავიკვეხნით! — წარმოთქვა რენე ლემანუარმა და თავის გვერდით მჯდომ პატარა ტანის ბარონესა დე სერენს გადახედა, რომელსაც ჯერაც ისევ ძილი ერეოდა.

— ბარონესა! — ხმადაბლა წასჩურჩულა მან ქალს, — თქვენ, ცხადია, მეუღლეზე ფიქრობთ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, შაბათამდე შეაგვიანდება. ასე რომ, თქვენს განკარგულებაში მთელი ოთხი დღე გახლავთ.

— რა სისულელეებს როშავთ, ბატონო ჩემო! — მიუგო მთვლემარე ქალბატონმა და შემდეგ უკვე გამოფხიზლებულმა, დაუმატა: — მისმინეთ! იქნებ რაიმე ისეთი მოგვიყვეთ ამ დილით, მხიარულ გუნებაზე რომ დაგვაყენოთ. აი, ბარონო შენალ, ამბობენ, მშვენიერი სქესის წარმომადგენლებში თქვენ უფრო გწყალობდათ თურმე ბედი, ვიდრე თავად ჰერცოგ რიშელიესო... იქნებ დაგვდოთ პატივი და გაიხსენოთ თქვენი რომელიმე სასიყვარულო თავგადასავალი.

— კეთილი, მაგრამ, ბატონებო, რასაც ახლა გიამბობთ, კარგ გუნებაზე ნამდვილად ვერ დაგაყენებთ... ეს სევდიანი ამბავია. ჩემს ცხოვრებაში განცდილ ყველაზე უფრო შესაბრალის სიყვარულზე მინდა მოგითხროთ... ღმერთმა ყველას აშოროს ასეთი განცდა და გრძნობა...

ლეონ შენალი, უკვე ჭარმაგი მხატვარი, თავის დროზე ძალიან ლამაზი შესახედაობის, წარმოსადეგი და სიცოცხლით სავსე მამაკაცი ყოფილა. ქალების ყურადღებითა და ალერსით განებივრებულს, საკუთარი თავის ფასიც შესანიშნავად სცოდნია. მხატვარმა ჭაღარა წვერზე დინჯად ჩამოისვა ხელი, ჩაიღიმა, წამით ჩაფიქრდა და შემდეგ მშვიდად დაიწყო:

I

— მაშინ ოცდახუთი წლისა გახლდით და ნორმანდიის თვალწარმტაც ფერდობებზე ჩემთვის „ვიჯლაბნებოდი“. იცით, რას ნიშნავს ჩვენს ენაზე „ჯლაბნა“? ეს გახლავთ, ზურგზე ჩანთააკიდებული რომ აქეთიქით დაეხეტები და ბუნების ეტიუდებსა და ჩანახატებს აკეთებ. რა შეედრება ასეთ ცხოვრებას, — ხარ ლაღი და ჩიტივით თავისუფალი, წინ არაფერი გელობება, არც არანაირი საზრუნავ-საფიქრალი არ გაგაჩნია, არც რა გაწუხებს და გაღელვებს, დახეტიალობ ტყე-ტყე, ხევ-ხევ, მინდორ-ველად, მოკლედ, ყველგან, სადაც კი გაგეხარდება და მოგესურვება და მხოლოდ საკუთარი ფანტაზია და შთაგონებაა შენი თანმხლები. მხოლოდ საკუთარი თავი, სხვა მრჩეველი და დამრიგებელი არავინა გყავს, ოღონდაც საკუთარ თავსა და თვალს ასიამოვნო და მორჩა. თუკი რომელიმე ადგილზე შეყოვნდი, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ უცაბედად შემწვარი კარტოფილის ან კატაბარდას სუნი გეცა, ან კიდევ ტრაქტირიდან მოსამსახურე გოგონას გულუბრყვილო, წამიერმა მზერამ დაგაბნია. ნუ, ნუ იუკადრისებთ სოფლურ გააშიკებას. სწორედ რომ სოფლელ გოგონებში შეიძლება შეხვდე მიამიტ სულსა და გულს, მკვრივ ლოყებს და ქორფა ტუჩებს, მათი ამბორი კი, მერწმუნეთ, ველური ხილივით გემრიელი და ტკბილი რამაა. სიყვარული ყოველთვის ძვირფასია, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს იგი, გული, რომელიც თქვენთან შეხვედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისას ძალუმად ფეთქავს, ცრემლი რომლითაც თქვენთან განშორებისას ევსებათ თვალები, — ეს მეტად იშვიათი, ნექტარივით ტკბილი რამაა და არასოდეს არ უნდა ჰკრათ მათ ხელი.

ჩემს მეხსიერებას მყარად შემორჩა სასიყვარულო პაემნები ფურისულათი გადაპეხტილ ძინდვრებზე, ბოსლის უკან თუ სხვენზე აბუებულ თივაზე, მზის მცხუნვარება ჯერაც რომ არ განელებოდა დღესაც ნათლად მიდგას თვალწინ კუნთოვან, მოქნილ სხეულზე გამომწვევად შემოტმასნილი ნაცრისფერი ტილოს კაბა... დროდადრო სევდა და სინანულის გრძნობა მომეძალება ხოლმე, როცა გონებაში მათ უხეშ, მაგრამ ხალას მოალერსებასა და რჩეული საზოგადოების მომხიბვლელი ქალბატონებისაგან მიღებულ ნატიფ სიამოვნებას ერთმანეთს რომ ვადარებ.

მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ყველაზე შეუდარებელი, ყველაზე და ყველაფერზე უფრო ძვირფასი ამ სათავგადასავლო ამბებიდან მაინც თავად ბუხებაა; ტყეები, მზის ამოსვლა, ძიმწუხრის ჟამი, მთვარიანი ღამეები, რაც ფუნჯის ოსტატისათვის იგივეა, დედამიწასთან ერთად საქორწინო მოგზაურობას რომ შეუდგე. ამ ხანგრძლივ და უშფოთველ პაემანზე შენ მარტოდმარტო ხარ მასთან მისული, ხარ ნებივრად, უდარდელად გაშოტილი ყაყაჩოებსა და გვირილებში, ჩამავალი მზის მეწამულ შუქზე და ფართოდ გახელილი თვალებით ხარბად გასცქერი უსასრულო შორეთს, ერთ-ერთი პატარა სოფლის წვეტიან სამრეკლოს, შუადღისას მისი ზარების ხმა რომ ჩაგესმის, ან კიდევ მუხის ძირას მოჩუხჩუხე წყაროსთან წვრილღეროიან, მაღალ და მბზინვარე ბალახებში და სიამოვნებით დაეწაფები მის ცივსა და საოცრად გამჭვირვალე წყალს, რომელიც კოცნასავით გელამუნება ტუჩზე.

ზოგჯერ მდინარეების გაყოლებით ღრმა ღელეებიც შეგვხვდება. შენ მასში დედიშობილა ჩადიხარ და მაშინვე შეიგრძნობ წყლის ყინულივით ცივ, მაგრამ მეტად საამო შეხებას მთელ ტანზე, მის მარდ და ჰაეროვან თრთოლვას... ბორცვზე ასული კარგ გუნებაზე დგები, გუბეების პირას მჯდომს კი მელანქოლია შემოგაწვება უნებურად, აღტაცებასა და აღმაფრენას ველარ ფარავ, როცა სისხლისფერი მზე ღრუბლების ოკეანეში თანდათანობით იძირება და მდინარეებსაც წითლად აელვარებს... საღამოობით, კამკამა, მოწმენდილი ცის სიღრმეში მოცურავე მთვარის შუქზე იმდენი უცნაური რამ გაგივლის გულში, დღის ნათელ შუქზე არასდროს რომ არ მოგივა თავში.

ჰოდა, ასეთი ხეტიალისას იმ მხარეში, სადაც ჩვენ ზაფხულს ვატარებთ, მოსაღამოებისას მივადექი სანაპიროსთან ახლოს კლდეზე შეფენილ ერთ პატარა სოფელს, სახელად ბუნევალს, იპორსა და ეტრეტას შორის მდებარეს. მე მაშინ ფეკანიდან მოვდიოდი და ნაპირ-ნაპირ მივუყვებოდი ვადელოვისის სწორ და მაღალ სანაპიროს, სადაც ცარცის კლდეების შვერილები ზღვაში ვერტიკალურად ეშვებიან. მე დილიდანვე მივაბიჯებდი უფსკრულის პირას ზღვის მარილიან, მლაშე ქარში აბიბინებულ ნაზ და ხალიჩასავით ფაფუკ გაზონზე, თანაც მთელი ხმით სიმღერას ვაგუგუნებდი, მოვდიოდი ფართო ნაბიჯებით და შევყურებდი ლურჯ ცაზე მონავარდე თოლიას უეცარ და იდუმალ გაუჩინარებას,

თავისი ფრთებით თეთრად რომ ავლებდა ნახევარწრეს, ან კიდევ ზღვის სიმწვანეში აღმართულ სათევზაო ნავის მუქი ფერის აფრას...

ასე და ამგვარად მიიწურა ჩემთვის თავისუფლებისა და უდარდელობის კიდევ ერთი ლამაზი დღე.

მე სასტუმროსმაგვარი ერთი პატარა ფერმა მიმასწავლეს, სადაც მოგზაურები ჩერდებოდნენ ღამის გასათევად და რომლის მეპატრონეც ერთი იქაური გლეხის ქალი გახლდათ. სახლი ნორმანდიული ეზოს შუაგულში იდგა და წიფლის ხეები ირგვლივ ორმწკრივად ჰქონდა შემორგული. ციცაბო რიდეებს რომ გავცილდი, მაღალი ხეებით დაბურულ სოფელში შევაღწიე და მადამ ლუკაშორის სასტუმროს მივადექი. ის მკაცრი გამომეტყველების, ნაოჭებით დაღარული, მოხუცებული ქალი აღმოჩნდა, რომელსაც თურმე არცთუ დიდი ხალისით, თქვენ წარმოიდგინეთ, ერთგვარი უნდობლობითაც აჰყავდა მდგმურები.

მაისის თვე იდგა. აყვავილებული ვაშლის ხეები სურნელოვანი ყვავილების სახურავივით გადაფარებოდა მთელ ეზოს, მოფარფატე ვარდისფერი ფურცლები დაუსრულებლად ათოვდა ეზოსა და ადამიანებს.

მე შევეკითხე მას:

— მადამ ლუკაშორ, ერთი თავისუფალი ოთახი ხომ არ გექნებათ ჩემთვის?

— ვნახოთ, რაღაცას გავახერხებ. ისე კი ყველა დაკავებულია. — მიპასუხა მოხუცმა ქალმა ძალზე განცვიფრებულმა იმით, თუ საიდან ვიცოდი მე მისი გვარი.

რამდენიმე წუთში ჩვენ ერთმანეთში მოვრიგდით. მე უმალ ოთახში შევედი, ჩანთა მხრებიდან ჩამოვიხსენი და იქვე დავდე. ეს უბრალო, მდაბიური ოთახი, რომლის მთელ ავლადიდებას საწოლი, ორი სკამი, მაგიდა და დივანი შეადგენდა, ვრცელ და გაკვამლულ სამზარეულოს გადაჰყურებდა, სადაც პანსიონატის მდგმურები, ფერმაში მომუშავეებსა და ქვრივ დიასახლისთან ერთად სადილს მიირთმევდნენ.

ნამგზავრმა ხელები დავიბანე და ისევ გარეთ გამოვედი. მოხუცი ქალი სადილისათვის წიწილას წვავდა მოზრდილ ბუხარში, სადაც კვამლისაგან გაშავებული კაუჭი იყო ჩამოკიდებული.

— თქვენ ამჟამად სხვა მდგმურებიცა გყავთ? — შევეკითხე მე მას.

— დიახ, ერთი ქალბატონი მყავს, ინგლისელია. ასე შუახანს მიღწეული, მეორე ოთახი უჭირავს. — მიპასუხა დიასახლისმა.

მე გარიგებულ თანხას კიდევ ხუთი სუ წავუმატე და ამგვარად უფლება მოვიპოვე კარგ ამინდში მარტოკას მესადილა ეზოში. ჩემი ულუფა პარმალზე მომართვეს და მაშინვე შევუდექი გამხმარი ნორმანდიული ქათმის კიდურების კბილებით დაწიწკნას, თან ზედ გამჭვირვალე სიდრსაც ვაყოლებდი. პური თეთრი იყო, ასე ოთხი დღის წინ გამომცხვარი, მაგრამ მაინც შესანიშნავი.

უეცრად, ხის ჭიშკარი, რომელიც გზას გაჰყურებდა, გაიღო და სახლისაკენ მეტად უცნაური არსება გამოემართა. ეს იყო ძალზე გამხმარი და აწოწილი, შოტლანდიურ წითელუჯრედებიან შალში გახვეული ქალბატონი. ერთი შეხედვით, უმკლავო გეგონებოდათ, თეძოს სიმაღლეზე გაძვალტყავებული ხელის მტევანი რომ არ შეგემჩნიათ,

რომელშიც ტურისტებისათვის ესოდენ დამახასიათებელი და საყვარელი ქოლგა ეჭირა, მისი მუმიისებური სახე, გარშემოვლებული ნაცრისფერი დაკულულებული თმით, ყოველი მოძრაობისას აქეთ-იქეთ ირხეოდა. არ ვიცი, როგორ და რანაირად, მე იგი შებოლილ ქაშაყს შევადარე, რომელზეც პაპილოტები ჰკიდია, მან ჩემს წინ თვალებდახრილმა შურდულივით ჩაიქროლა და მყისვე სახლში მიიმალა.

ამ უცნაური არსების გამოჩენამ, ვაღიარებ, მეტად უჩვეულო გუნებაზე დამაყენა. უეჭველია, ეს უნდა ყოფილიყო ჩემი მეზობელი, ასაკში შესული ქალბატონი, რომელზედაც დიასახლისი უკვე მელაპარაკა.

იმ დღეს მე მისთვის მეტი აღარ მომიკრავს თვალი. მეორე დღეს, როცა დასახატავად მოვემზადე იმ ზღაპრული ხეობის სილრმეში, რომელსაც თქვენ უკვე იცნობთ და რომელიც ეტრეტამდე გრძელდება, უეცრად თავი ავაღირე და ბორცვის თხემზე რაღაც უცნაური საგანი შევნიშნე, რომელიც ჩემს დანახვაზე უმალ გაქრა.

სასტუმროში მხოლოდ შუადღისას დავბრუნდი და ადგილიც საერთო სუფრასთან დავიკავე, ამ შებერებულ და უცნაურ ორიგინალს ახლოს რომ გავცნობოდი, მაგრამ მისდამი გამოჩენილ ზედმეტ თავაზიანობას იგი გულგრილად შეხვდა, შეიძლება ითქვას, არაფრად ჩააგდო ჩემს მიერ პატარა მზრუნველობის გამოხატულება. მე კი მას გულმოდგინედ ვუსხამდი წყალს ჭიქაში, ვაწვდიდი კერძს. ამის საპასუხოდ მან მხოლოდ ოდნავ ინება თავის დაკვრა, ხოლო რაც შეეხება მის მიერ ჩურჩულით წარმოთქმულ ინგლისურ სიტყვას, მე იგი საერთოდ ვერ გავარჩიე. ბოლოსდაბოლოს, მე მას თავი დავანებე, მაგრამ, გამოგიტყდებით, ჩემზე იგი რაღაცნაირად, გამაღიზიანებლად მოქმედებდა.

საღ დღეში ამ ქალბატონზე მეც ზუსტად იმდენი ვიცოდი, რამდენიც თავად მადამ ლუკაშორმა.

მის ჰარიეტად იწოდებოდა იგი. ზაფხულის გასატარებლად მიყრუებული სოფლის ძიებაში თვენახევრის წინ მოსულა ბუნევალში და აქედან წასვლასაც, ცხადია, არ ჩქარობდა.

მის ჰარიეტი მაგიდასთან უხმოდ იჯდა, ლუკმას ჩქარ-ჩქარა ყლაპავდა და თან დიდაქტიკური შინაარსის პროტესტანტულ ბროშურებს კითხულობდა. ასეთ ბროშურებს იგი ყველას ურიგებდა, ვისთანაც ხელი მიუწვდებოდა. თვითონ კიურეს სოფლელმა ბიჭმა წაიღო მის ჰარიეტისაგან ორ სუდ შეძენილი ოთხი ეგზემპლარი. ყოფილა შემთხვევები, ჩვენს დიასახლისს ქალბატონი მოულოდნელად თავს წადგომია და ასეთი განცხადება გაუკეთებია: „მე ღმერთი ყველაზე უფრო უყვარს, მე თაყვანს სცემს მის ბუნებას. მისი ქმნილებებით აღფრთოვანებული, ჩემს გულში ინახავ“. გაოცებისაგან პირდაღებულ დიასახლისს იგი მაშინვე შეაჩეჩებდა ხელში რამდენიმე ბროშურას, რომელსაც, მისი აზრით, სამყაროს რწმენაზე უნდა მოექცია იგი.

სოფელში მას კარგი თვალით ნამდვილად არ უყურებდნენ. მას შემდეგ, რაც მასწავლებელმა თქვა, ეს ქალი ათეისტიაო, მის პიროვნებას ჩრდილი მიადგა. კიურემ, მადამ ლუკაშორის რჩევით, იგი ერეტიკოსად მონათლა, მაგრამ ისიც დაუმატა, ღმერთს არ სურს ცოდვილი გასწიროსო, ზნეობას რაც შეეხება, ამ მხრივ, უმწიკვლოაო.

სიტყვები „ათეისტი“, „ერეტიკოსი“, რომელთა ზუსტი განსაზღვრება არც კი ვიცოდი, ეჭვს თესავდა და აფორიაქებდა ადამიანთა გოხებას, იმასაც ფიქრობდნენ, ინგლისელი ქალბატონი მდიდარი ოჯახიდან უნდა იყოსო, მან თავისი ცხოვრება მოგზაურობაში გაატარა და ახლა აქეთ-იქეთ იმიტომ დაწოწიალობს, რომ სახლიდანაა გამოგდებული. კი მაგრამ, რატომ უნდა გამოეგდოთ იგი სახლიდან? რასაკვირველია, ღვთისადმი ურწმუნოების გამო.

სინამდვილეში კი მის ჰარიეტი — ეს იყო საკუთარი შეხედულებების მქონე ენთუზიასტი, კერპი პურიტანელი, რომელთაც ასე მრავლად წარმოშობს ინგლისი, ერთი იმ უწყინარ, მაგრამ აუტანელ შინაბერათაგანი, რომელნიც ევროპის ყველა სასტუმროს ხშირი სტუმარნი არიან და რყვნიან იტალიას, წამლავენ შვეიცარიას, საცხოვრებლად უვარგისს ხდიან ხმელთაშუა ზღვის თვალწარმტაც ქალაქებს, ყველგან, ყველგან თავიანთი ჩაცმულობისა და ქცევის წესები შეაქვთ. სასწაულ, დაკონსერვებულ ზნე-ჩვეულებათა მიმდევარნი არიან და ამასთანავე იავისებური კაუჩუკის სუნი ასდით, თითქოსდა ღამღამობით მათ კაუჩუკის მოსასხამებში მალავდნენ.

საკმარისი გახლდათ ერთ-ერთი მათგანი მაინც დამელანდა სასტუმროში, რომ აჩქარებული ნაბიჯებით განვრიდებოდი ისე, როგორც ჩიტი — ბოსტანში გამოკიდებულ საფრთხობელას.

თუმცა ეს ქალი მე იმდენად არაორდინალური მეჩვენებოდა, გამოგიტყდებით, რალაცნაირად მაინტერესებდა კიდეც.

მადამ ლუკაშორს ინსტიქტურად ეჯავრებოდა ყოველი და ყველაფერი, რაც მდაბიური არ იყო, მისი ვიწრო, შეზღუდული გონება შინაბერას მოზეიმე იერს ვერანაირად ვერ ეგუებოდა. შესაფერისი სახელიც კი გამოძებნა, — ცხადია, დამცინავი, არ ვიცი, როგორ მოადგა პირზე და გაჩნდა, როგორც ტვინის ბუნდოვანი და იდუმალი ნამოღვაწარი.

— სუფთა დემონიაო, — იტყოდა ხოლმე მასზე მადამ ლუკაშორი და ეს ზედმეტსახელი, ასეთი სენტიმენტალური და ასეთი მკაცრი ზნეობის ქალისადმი მე ძალიან კომიკურად მეჩვენებოდა. არადა, ალბათ მეც სხვას ველარაფერს შევარქმევდი, რადგან ამ სიტყვების ხმამაღლა წარმოთქმა საოცარ სიამოვნებას მანიჭებდა.

— მაშ, კარგი, აბა დღეს რასა იქმს ჩვენი დემონი? — შევეკითხებოდი ხოლმე დედაბერს და ისიც უაღრესად აღშფოთებული მომიყვებოდა და მომიყვებოდა.

— თქვენ არ დაიჯერებთ, ბატონო ჩემო... გომბეშო უნახავს სადღაც... ჰო, გომბეშო, რომლისთვისაც წინა კიდურები გაუჭყლეტია ვიღაცას თუ რალაცას... მის ჰარიეტმა იგი თავის ოთახში აიყვანა. პირსაბანში ჩასვა და როგორც ადამიანს, ისე შეუხვია ჭრილობა. აბა, მითხარით ერთი, განა ეს ცოდვა არაა?

ერთხელ სანაპიროს ციცაბო კლდეებს შორის რომ მიდიოდა, მოზრდილი თევზი იყიდა, რომელიც ეს-ესაა დაეჭირათ, და იცით, მერე რა ქნიმოქმედა? მაშინვე ზღვაში გადაუშვა. მებადურს, მართალია უხვად გადაუხადა, მაგრამ ეს უკანასკნელი მის ასეთ საქციელზე საშინლად აღრიალებულა და ისე საზარლად დაუწყია გინება, თითქოსდა ვი-

ლაცას მისთვის ჯიბიდან ფული ამოეცალოს. ამის შემდეგ მთელმა თვემ განვლო, მაგრამ იგი მაინც არ ცხრებოდა და ისევ ილანძღებოდა.

ჰო, ნამდვილად დემონი იყო ეს ქალბატონი... ლუკაშორმა, მართლაც რომ გენიალურად დაანათლა მას ეს მეტსახელი.

ქალბატონ ჰარიეტზე სულ სხვა აზრისა გახლდათ მეჯინიბე, სახელად საპერი. ამ უკანასკნელს ახალგაზრდობისას აფრიკაში უმსახურია. იგი ეშმაკურად, მრავლისმეტყველად მოჭუტავდა ხოლმე თვალებს და წყნარად, თავისთვის ჩაილაპარაკებდა: სურათი ცხადი და ნათელია: ამ ქალმა თავისი დრო ისე მოჭამა, როგორც თავად უნდოდა და სურდა.

ერთი გაეგონა საცოდავ შინაბერას.

შინამოსამსახურე სელესტა მას უგულოდ და ულაზათოდ ემსახურებოდა. რატომ? ამისი ახსნა მე არ შემიძლია. იქნებ სულაც იმიტომ, უცხოელი რომ გახლდათ, სხვა ჯურის, სხვა ენისა და სხვა რელიგიური რწმენის მატარებელი? ბოლოსდაბოლოს, ალბათ, მაინც მისი დემონისეული, სატანური რწმენის გამოც.

მის ჰარიეტი მთელ დროს სოფლად ხეტიალში ატარებდა. იგი ეძებდა და თაყვანს სცემდა ღმერთს ბუნებაში განსახიერებულს...

ერთ საღამოს მე მას ბუჩქებში ჩამუხლულს შევესწარი... — ხშირ ფოთლებს შორის რაღაც წითელი საგანი დავლანდე. გადავწიე ბუჩქები და შინაბერა არ შემრჩა ხელში? დარცხვენილი იმის გამო, ასეთ მდგომარეობაში რომ ვიხილე, იგი წამოდგა და ისეთი შეშინებული მზერა მომაპყრო, როგორც მჩხავანა კატამ, დანაშაულზე რომ წაასწრეს და დაიჭირეს.

ზოგჯერ ხეობის სიღრმეში, ფრიალო კლდეებზე რომ ვხატავდი, მე მას კლდის თავზე შუქურასავით აღმართულს ვხედავდი. იგი აღტაცებული შესცქეროდა სისხლისფრად აელვარებულ უკიდეგანო ვრცელ ზღვას, არცთუ იშვიათად მე მას ასევე ხეობის სიღრმეშიც ვხედავდი ელასტიკური და მოქნილი, ნამდვილი ინგლისელის ნაბიჯებით სწრაფად მიმავალს და ასეთ დროს მე ყოველთვის მისკენ მივეშურებოდი. ნამდვილად ვერ გეტყვით და ვერ აგიხსნით, რატომ ჩავდიოდი ამას, რა მიმაქანებდა იქითკენ, მაგრამ ის კი ვიცი დანამდვილებით, რომ მე გულით მეწადა მეხილა მისი მშრალი, უტყვი, და შინაგანი ღრმა ნეტარებით გაცისკროვნებული სახე.

მე იგი ასევე ხშირად მინახავს ფერმის ერთ-ერთ კუთხეში, ბალახებში ჩამჯდარი, მინახავს ვაშლის ხის ჩრდილში, მუხლებზე გადაშლილი პატარა ბიბლიით, შორს სივრცისათვის თვალებმიპყრობილი და გარინდებული.

აქედან წასვლას სრულიად არ ვჩქარობდი, რადგანაც ათასი უხილავი ძაფი მაკავშირებდა ამ მხარესთან, მის ვრცელ და საამურ ბუნებასთან. საოცრად თავისუფალი და ლაღი, ამ ულიმღამო, მიყრუებულ, ყველაფრისაგან დაშორებულ ფერმაში, ასე ახლოს დედამიწასთან, ჯანსაღ, მშვენიერ და მწვანედ აბიბინებულ მიწაზე, რომელსაც ერთ მშვენიერ დღეს ჩვენც ჩვენივე სხეულით გავაპოხიერებთ, მე ჩემს ნებაზე ვგრძნობდი თავს.

და იქნებ, არც ღირდეს დამალვა იმისა, რომ მე აქ, დეიდა ლუკაშორთან, ერთობ უაზრო ცნობისმოყვარეობაც მაჩერებდა და არ მასვენებდა სურვილი, როგორმე ახლოს გამეცნო ეს სასწაული მის ჰარიეტი და გამეგო, თუ რა ხდებოდა ამ ხანშიშესული მოხეტიალე ინგლისელი ქალბატონის ეულ სულში.

II

ჩვენი გაცნობა, ცოტა არ იყოს, უცნაურად მოხდა. მე ის-ის იყო დავამთავრე ეტიუდი, რომელიც მივიჩნიე, რომ იყო მეტად გაბედული ნამუშევარი, ასეც გახლდათ სინამდვილეში: თხუთმეტი წლის შემდეგ ის ათი ათას ფრაკად გაიყიდა. ეს სურათი, რომელიც ისეთი მარტივი იყო, როგორც ორი და ორი ოთხია და ამასთან ყოველგვარი აკადემიური წესებისაგან თავისუფალი. ტილოს მარჯვენა კუთხეში ციცაბო კლდე იყო გამოსახული, უზარმაზარი კლდე — მთლიანად დაფარული კორძებითა და ჟანგით, წითელ-ყვითელ მცენარეულობით, რომელთაც ზემოდან მზე აცხუნებდა და თითქოსდა ზეთში ცურავდა. სინათლის წყარო ჩემს ზურგს უკან იმალებოდა და მისი სხივები კლდეს გამდნარ ოქროსავით გადავლებოდა.

ეს მართლაც რომ იშვიათი რამ იყო ასეთი ნათელი, აგიზგიზებული, თვალწარმტაცი წინა ხედი, მარცხნივ ზღვა, არც ცისფერი და არც ტყვიისფერი, არამედ ზღვა — ამღვრეული ნეფრიტის მსგავსი მწვანე ფერისა, პირქუში, ასეთივე პირქუში და ქუფრი ცის ქვეშ.

მე ჩემი ნამუშევრით ისეთი კმაყოფილი გახლდით, რომ აღტაცებული და საოცრად აკუნტრუშებული ვბრუნდებოდი სასტუმროში. მსურდა, მთელ სამყაროს მაშინვე ეხილა იგი. მახსოვს, თუ როგორ ავუფრიალე წინ ძროხას, რომელიც ბილიკის პირას ძოვდა და თან შევძახე:

— შეხედე, აბა შეხედე ამას, გეთაყვა. იცოდე, ამნაირ რამეს იშვიათად ნახავ.

სახლს რომ მივუახლოვდი, დედა ლუკაშორს გავძახე ხმამაღლა:

— ეჰეი, დიასახლისო. გარეთ გამოდი ჩქარა და შეხედე ერთი ამას.

გლეხის ქალმაც უმალ მოირბინა. ჩემი შემოქმედების ნაყოფს თავისი უაზრო თვალებით დააშტერდა და მგონი, ვერც კი გაარჩია, ხარი იყო თუ სახლი სურათზე გამოსახული.

სწორედ ამ დროს მის ჰარიეტიც დაბრუნდა სეირნობიდან და ჩემს უკან გაიარა ზუსტად მაშინ, როდესაც გაწვდილ ხელში ეტიუდი მეჭირა და დიასახლისს ვუჩვენებდი. მის დანახვაზე მე შევეცადე, ისე მომებრუნებინა ტილო, რომ იგი „დემონის“ თვალებისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილიყო. მან დაინახა იგი და ადგილზე გაშეშდა. აღტაცებულმა და სახტად დარჩენილმა. უზომოდ განცვიფრებულმა, საოცრად აღელვებულმა სიტყვის დაძვრაც ვერ მოახერხა. ეს ხომ მისი კლდე იყო, სწორედ ის, სადაც იგი ადიოდა ხოლმე, რათა თავის ნებაზე, განმარტოებით ეოცნება.

— იფ! — აღმოხდა მას აღტაცებისა და მოწონების შეძახილი, ისეთი სასიამოვნო, გამოკვეთილი ბრიტანული აქცენტით წარმოთქმული, რომ გაღიმებული მისკენ მოვბრუნდი.

— ეს ჩემი ბოლო ეტიუდია, მადმუაზელ! — განვუმარტე მე.

— ო, ბატონო! თქვეს ბუხება ესძის, თქვენი სურათი გულში წვდება, — ჩაიბუტბუტა სასაცილოდ გულაჩუყებულმა და აღფრთოვანებულმა. ვაღიარებ, სიწითლემ გადამკრა სახეზე, ამაზე უფრო, ალბათ, თვით დედოფლის ბაგეთაგან წარმოთქმული ქათინაურიც კი ვერ იმოქმედებდა. ერთიანად მონუსხული, დატყვევებული და დამორჩილებული გახლდით. პატიოსნებას გეფიცებით, მზად ვიყავი, შინაბერას გადავხვეოდი.

როგორც ყოველთვის, მაშინაც ჰარიეტის გვერდით დავიკავე ადგილი სუფრასთან. პირველმა მან ამოიღო ხმა და ასე განაგრძობდა ხმამაღლა ლაპარაკს თუ ფიქრს: — ოჰ, მე როგორ უყვარს ბუნება. როგორ...—მე მას ჩვეულებრივი თავაზიანობით ვაწვდიდი პურს, წყალსა და ღვინოს. ამჯერად იგი მუმიის ღიმილით მიხდიდა მადლობას მიწოდებულზე.

მე პეიზაჟზე ჩამოვუგდე საუბარი...

სადილის შემდეგ ჩვენ ერთად წამოვდექით მაგიდიდან და ეზოში გავისეირნეთ. შემდეგ, ეჭვგარეშეა, ზღვაში ჩაცურებული მზის მიერ დანთებულმა ვეებერთელა კოცონმა მიგვიზიდა და მეც ფართოდ გამოვაღე ჭიშკარი, რომელიც ქედს გადაჰყურებდა. ჩვენ ერთად გავემართეთ როგორც ჩვეულებრივი, ორი სრულიად კმაყოფილი და დამშვიდებული ადამიანი, რომელთაც კარგად შეიცნეს ერთმანეთი.

წყნარი, თბილი საღამო გახლდათ, სწორედ ერთი იმ სასიამოვნო საღამოთაგანი, როდესაც სულსაც უხარია და გულსაც, როდესაც ირგვლივ ყველაფერი საამო, მიმზიდველ ფერებში გეჩვენება, ყვავილებისა და ბალახების, წყალმცენარეების სუნით გაჟღენთილ-გაჟივჟივებული სურნელოვანი ჰაერი დიდ სულიერ ნეტარებას რომ განიჭებს და რაღაცნაირად განებივრებს კიდეც ეს უცხო არომატი და ზღვიდან მონაბერი გრილი სიო, რომელიც გონებას გიწყნარებს თავისი დიდებული სიმშვიდით.

ჩვენ უკვე უფსკრულის პირას მივაბიჯებდით, ვრცელი ზღვის ზემოთ. იგი ჩვენგან რაღაც ასიოდე მეტრში ატყლაშუნებდა თავის ტალღებს, სანახევროდ პირდაღებულნი, მკერდისმიერი ღრმა სუნთქვით ვეგებებოდით ოკეანიდან მონაქროლ, ზღვის მარილიან წყალთან ხანგრძლივი შეხებით გამლაშებულ გრილ სიოს და საკუთარ კანზე ცხადად და ხელშესახებად ვგრძნობდით მის ნაზ, იდუმალ მოალერსებასა და ლაციცს.

თავის უჯრედებიან შალში გახვეული ინგლისელი ქალბატონი გრძნობამორეული გაჰყურებდა მზის დისკოს ზღვაში ჩასვენების სცენას.

შორს, შორს, ჰორიზონტის დასასრულს, ცის მოელვარე ფონზე მკვეთრად გამოხატულიყო სამაფრიანი გემის სილუეტი. მასთან სულ ახლოს სამი აწეული იალქნით მეორე, შედარებით უფრო მომცრო გემი მიცურავდა და მისი ბოლოდან ამომავალი კვამლის სვეტი ღრუბლის უსასრულო ნაკვალევს სტოვებდა და ჰორიზონტს ჰკვეთდა.

ჩამავალი მზე — ეს წითელი გლობუსი, ნელ-ნელა, შეუმჩნევლად ეშვებოდა დაბლა და დაბლა, კიდევ ცოტაც და იგი უკვე წყალს შეეხო

ზუსტად უმოძრაოდ ძდგარი გემის გადალმა, რომელიც ისე მოსჩანდა ჰორიზონტზე, თითქოსდა მბრწყინავი მნათობის შუაში რკინის ჩარჩოში ყოფილიყოს ჩასმული.

მზე თანდათანობით იძირებოდა და ინთქმებოდა ოკეანეში. ჩვენ ნათლად და მკაფიოდ ვხედავდით. თუ როგორ თანდათანობით დაპატარავდა იგი. მერე მთლიანად გაქრა და შეერწყა ჰორიზონტს. მზე ჩავიდა და ამით ყველაფერი დამთავრდა. ახლა მხოლოდღა გემის სილუეტი იდგა ისევ ისე მოხატული შორეული ცის ოქროსფერ ფონზე.

მის ჰარიეტი, ზეაღტაცებული და ერთიანად აღგზნებული შესცქეროდა მზის ჩასვენებას და ცხადია, უსაზღვრო სურვილი ეძალებოდა, რათა მოხვეოდა და გულში ჩაეკრა მთლიანად ცა თუ მთელი თვალსაწიერი.

— აჰ, მე უყვარს, უყვარს ბუნება! — წარმოთქვა ჩურჩულით. მე მის თვალებში ცრემლი დავლანდე.

მცირე პაუზის შემდეგ მან ისევ განაგრძო: — მე უნდა იყო პატარა ჩიტი და ცის კამარაზე გაფრინდე.

იგი კარგახანს დარჩა ასეთ მდგომარეობაში ფეხზე მდგარი, გაშეშებულ-გარინდებული. ისევე როგორც ხშირად მინახავს ციცაბო კლდეზე, თავის მეწამული ფერის შალში გახვეული და მოწოლილი გრძნობებისაგან ერთიანად აწითლებული.

ო, როგორ მსურდა ჩემს ალბომში ჩამეხატა იგი. დარწმუნებული იყავით, ეს იქნებოდა ექსტაზის ნამდვილი პაროდია.

მე მსწრაფლ შევბრუნდი, რათა მოძალებული სიცილისაგან თავი როგორმე შემეკავებინა.

შემდეგ ისევ ფერწერაზე ჩამოვუგდე საუბარი. სწორედ ისე, თითქოს ჩემს კოლეგებთან ვსაუბრობდი. თქვენ წარმოიდგინეთ, არც სპეციალური გამოთქმების ხმარებას მოვრიდებივარ, ხაზს ვუსვამდი ტონების კონტრასტს, კოლორიტს, სინათლეს...

იგი მთელი გულისყურით მისმენდა და სურდა, როგორმე გარკვეულიყო მისთვის უცნობი სიტყვების მნიშვნელობაში, ზოგჯერ თავს ველარ იკავებდა და ხმადაბლა წამოცდებოდა ხოლმე: — მე გაიგე, გაიგე, ეს ძალიან საინტერესოა.

შემდეგ ჩვენს სასტუმროში დავბრუნდით.

დილით, როგორც კი მკიდა თვალი, შინაბერა მაშინვე მომიახლოვდა და ხელი გამომიწოდა.

სულ მალე ჩვენ ნამდვილი მეგობრები გავხდით. მის ჰარიეტი უთუოდ გახლდათ ისეთი ქმნილება, რომლის სულიც ზამბარისმსგავსი მოძრაობით ვარდებოდა ექსტაზში. მას აკლდა სიმშვიდის, წონასწორობის შენარჩუნების უნარი ისევე, როგორც საერთოდ ყველა ქალს, ორმოცდაათ წლამდე ქალწულად რომ დარჩა. ეტყობოდა იგი, რომ იტყვიან, სრულიად დამწნილდა თავისივე უმანკოებაში, მისმა გულმა კი მაინც აქამდე შეინარჩუნა ახალგაზრდული ცეცხლი და სინორჩე.

მას ისეთი ზეაღტაცებული, ნამდვილი, ჭეშმარიტი გრძნობით უყვარდა ბუნება და ცხოველები, როგორითაც, სულ ადვილი შესაძლებელია, ჰყვარებოდა მამაკაცი, უკულმართ ბედს რომ მისთვის გაელიმა და წუთისოფელს არ ემუხთლა.

მე თავად დამინახავს, თუ როგორი უსაზღვრო მღელვარება მოიცავდა მას, როდესაც დაინახავდა ძაღლს, რომელიც თავის ლეკვებს

ძუძუს აწოვებდა, და კიდევ — ველზე მონავარდე ცხენს. თავისი კვიცი რომ დასდევდა, ასევე — ბუმბულშეუმოსავ, დიდთავა ბარტყებს, ნისკარტგაღებულნი ბუდიდან რომ წივწივებდნენ.

ო. საცოდავო მარტოსულო არსებანო! მაწანწალა და საერთო მაგიდის სევდიანო სტუმრებო, სასაცილო, საბრალო ქმნილებანო, მე თქვენ სწორედ მას შემდეგ შემიყვარდით, ეს ქალბატონი რომ გავიცანი.

მალე იმასაც მივხვდი, რომ მის ჰარიეტს ჩემთვის რაღაც ჰქონდა სათქმელი, მაგრამ რატომღაც თქმა ვერ გაებედა. მე კი მისი ასეთი სიმორცხვე ერთგვარად მართობდა და მახალისებდა კიდეც.

დილ-დილაობით, როცა ზურგზე ჩანთააკიდებული მივდიოდი, იგი მე უხმოდ, უსიტყვოდ მიმაცილებდა სოფლის დასალიერამდე. აშკარად აღგზნებული იყო და ხშირად არ იცოდა, თუ რითი დაეწყო სათქმელი. სწორედ მაშინ იყო, როცა მოულოდნელად მიმატოვებდა და სულ კუნტრუშ-კუნტრუშით გამეცლებოდა.

ერთ დღეს მან, როგორც იყო, გაბედულება მოიკრიბა:

— მე უნდოდა ნახოს თქვენ როგორ ხატავს. მე ძალიან ცნობისმოყვარეა. — გამოსცრა მან საცოდავად და ისე ეცვალა ფერი, თითქოსდა ძალიან სარისკო ან აუგი რამ ეთქვას.

მე ქალბატონი პატარა ხეობაში გავიყოლიე, სადაც ახალი ეტიუდი მქონდა დაწყებული. იგი ჩემს ზურგს უკან გაჩერდა და დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ჩემს ყოველ მოძრაობას. შემდეგ კი, უეცრად, თითქოსდა იმის შიშით, ხელი არ შევუშალოო, მადლობა გადამიხადა და სწრაფად გამშორდა.

განვლო ცოტა ხანმა და მის ჰარიეტი კიდევ უფრო გამიშინაურდა. იგი ყოველდღე დიდი ხალისით მაცილებდა სახატავად მიმავალს. ილლიაში საკეცი სკამი ჰქონდა ამოდებული და არანაირად არ მაძლევდა იმის უფლებას, ტარებაში დავხმარებოდი. მერე ჩემს გვერდით ჩამოჯდებოდა და ასე გარინდებული რჩებოდა რამდენიმე საათს. დაძაბული მზერით აყოლებდა თვალს ჩემს მიერ ფუნჯის უმცირეს მოსმასაც კი. მაშინ, როდესაც ნათელი საღებავის გაბედული მოსმით მოულოდნელად შესანიშნავ ეფექტს მივიღებდი, იგი მისდაუნებურად, „აუ-ს“ წამოიძახებდა, და ამ წამოძახილში ერთდროულად შეიგრძნობდით გაოცებასაც, აღტაცებასაც და მოწონებასაც ჩემი ოსტატობის მიმართ... მე ვიტყოდი, მის ჰარიეტს ასეთი მოკრძალებული, გულისამაჩუყებელი და შეიძლება ითქვას, რელიგიური მოწიწების გრძნობა გააჩნდა ადამიანის ხელით შექმნილი ღვთიური ქმნილების ამ მცირე ნაწილისადმი და ჩემი ეტიუდებიც მის თვალში თავისებურ რელიგიურ სამყაროდ წარმოდგა.

იყო შემთხვევები, როდესაც იგი ღმერთზე ჩამომიგდებდა საუბარს, ეს იმიტომ და იმ იმედით, რომ ამით როგორმე ჭეშმარიტების გზაზე დავეყენებინე... ისე, მე თუ მკითხავთ, დიდი უცნაური ვინმე გახლდათ. მისი ღმერთი, ერთი ჩვეულებრივი სოფლელი ფილოსოფოსი, გამორჩეული არც ჭკუა რომ არ გააჩნდა, არც რაიმე განსაკუთრებული ძალა და არც რაიმე საშუალებები, რადგანაც, ქალბატონის მონაყოლს თუ დავუჯერებდით, იგი ყოველთვის უძლური იყო ყველა იმ უსამართლობის წინაშე, რაც მის თვალწინ აშკარად ხდებოდა და ცხადია, აღარც მისი თავიდან აცილება შეეძლო.

სხვათაშორის, ეტყობოდა, მის ჰარიეტს თავის ღმერთთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდა. ის მას თავის გულის ხვაშიადს, ყოველ საიდუმლოს აზიარებდა, ანდობდა თავისი სევდა-წუხილის მიზეზს... „ღმერთს ასე სურს“, ან „ღმერთს არ სურს“ — დასძენდა ხოლმე ქალბატონი ჩვეულებრივ ისე, როგორც, ვთქვათ, სერჟანტი ეუბნება ახალწვეულს: „პოლკოვნიკმა ასე ბრძანაო“. მის ჰარიეტი გულის სიღრმემდე განიცდიდა იმას, რომ მე ასეთი უვიცი და უცოდინარი ვიყავი ზეციური კანონების მიმართ და ყოველნაირად ცდილობდა ჩემთვის ღვთის თვალი როგორმე აეხილა: შარვალში, ცილინდრში, თუ ვინიცობაა სადმე მივაგდებდი, ანდა კიდევ ჩემი საღებავების ყუთში, კარებქვეშ, დილისათვის გაწმენდილ ფეხსაცმელებში და ყველგან რელიგიური ბროშურები მხვდებოდა, რომლებსაც იგი, ეჭვგარეშეა, პირდაპირ სამოთხიდან ღებულობდა.

მე მასთან უბრალო, გულახდილ და მეგობრულ დამოკიდებულებას ვინარჩუნებდი. მალე შევამჩნიე, რომ მისი ქცევის მანერები შეიცვალა. პირველ ხანებში ამაზე არც დავფიქრებულვარ და ამის მიზეზის გაგება არც კი მიცდია. როდესაც ჩემს მიერ ამორჩეულ ხეობაში ანდა კიდევ რომელიღაც მივარდნილ, უკაცრიელ ალაგას ვმუშაობდი, უცაბედად, მოულოდნელად გამომეცხადებოდა ხოლმე.

ქალბატონი რაღაცნაირი ხუნტრუცით, აჩქარებული ნაბიჯებით მოემართებოდა ჩემკენ. მოვიდოდა და დაღლილ-დაქანცული, მოწყვეტით დაეშვებოდა მიწაზე, თანაც ისე ხმიერად ქლოშინებდა, იფიქრებდით, ურბენია, ანდა კიდევ რაღაცას ძალიან აუღელვებიაო. ასეთ დროს სახეზე ისეთი, სწორედ ინგლისელისათვის დამახასიათებელი სიწითლე მოერეოდა, არც ერთ სხვა ერს რომ არ ახასიათებს საერთოდ. ცოტა ხნის შემდეგ უეცრად უსაშველოდ გადაფითრდებოდა და სახეზე პირდაპირ მიწისფერი დაედებოდა. მერე და მერე კი, ნელ-ნელა, ისევ თავისი ჩვეულებრივი ელფერი დაუბრუნდებოდა და ამავდროულად ენასაც ამოიდგამდა. სიტყვას შუაზე გაწყვეტდა და ისე უცაბედად და სწრაფად წამოხტებოდა და გაიქცეოდა, ჩემდაუნებურად გავიფიქრებდი ხოლმე: ნეტავი რა დავუშავე ასეთი, ან რითი ვატკინე გული-მეთქი.

ამაზე რომ ვფიქრობდი, ბოლოსდაბოლოს იმ დასკვნამდე მივდიოდი, ალბათ, საერთოდ ასეთი ჩვევა ახასიათებს, ოღონდ ჩემი გაცნობის პირველ ხანებში, ჩემდამი პატივისცემისა და მოკრძალების ნიშნად, უფრო გაუბედაობას იჩენდა-მეთქი.

ქარიან ამინდში გორაკზე რამდენიმე საათის ხეტიალის შემდეგ სახლში რომ დაბრუნდებოდა, მის ჰარიეტს გრძელი, დაკულულებული თმა ისე დაშლილი და აწეწილ-დაწეწილი ჰქონდა, იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ზამბარა გაწყდომოდეს.

ადრე მის ჰარიეტი აინუნშიაც არ აგდებდა, მისმა დაიკო ქარმა ასე უმოწყალოდ რომ აუწეწა თმები და სადილობისას, ჩვეულებრივად, ასეთ მდგომარეობაში მიუჯდებოდა მაგიდას. ახლა კი, იგი ჯერ თავის ოთახში ადიოდა, რათა „თავისი შტოპორები“ (ასე შევარქვი) წესრიგში მოეყვანა. მე ამის გამო ქათინაურსაც თუ ვეტყოდი: — მის ჰარიეტ, თქვენ ახლა დღესავით მშვენიერი ხართ-მეთქი, მას სახეზე ისეთი ქალწულებრივი სიწითლე გადაჰკრავდა, ჩვეულებრივ გოგონებს რომ ემართებათ ხოლმე თხუთმეტი წლის ასაკში.

ამის შემდეგ შინაბერა ისევ გაუცხოვდებოდა, ისევ ისეთი უკარება ხდებოდა და უკვე სრულებით აღარ დადიოდა იმის საცქერლად, თუ რას ვხატავდი. მის ასეთ საქციელზე პირველად ვფიქრობდი — ეს ჩვეულებრივი კრიზისია და მალე გაუვლის-მეთქი, მაგრამ არა, არ გაუარა...

როცა ველაპარაკებოდი, იგი ხაზგასმული გულგრილობით, თითქოსდა უყურადღებოდ მისმენდა, ანდა კიდევ — რაღაცნაირი გაღიზიანებული გამომეტყველებით.

საერთოდ, ჩვენ ჩვეულებრივად, მხოლოდღა სადილობისას თუ ვხედავდით ერთმანეთს და იქაც უხმაუროდ ვიჯექით.

მისი ასეთი საქციელი ვერაფრით ვერ ამეხსნა და ვცდილობდი დამერწმუნებინა საკუთარი თავი, რომ მე მას რაღაც ვაწყენინე ჩემდაუნებურად.

ერთ საღამოს როგორღაც მოვიკრიბე გაბედულება და ვკითხე:

— მის ჰარიეტ, ჩემს მიმართ ასე რატომ გამოიცვალეთ, ასეთი რა გაწყენინეთ, იცოდეთ, თქვენი ასეთი საქციელით დიდ გულისტკივილს მაყენებთ.

— მე თქვენთან ძველებურად არის. თქვენ მართალი არ არის! — მომიგო პასუხად შინაბერამ, ადგა, თავის ოთახში შევარდა და კარი ჩაკეტა.

ისიც შემიმჩნევია, როგორ უცნაურად მიყურებდა ზოგჯერ. მის ასეთ ცქერაზე არაერთხელ გამიფიქრია — ასე და ამნაირად მხოლოდ სიკვდილმისჯილნი იცქირებიან-მეთქი, რომელთაც უცხადებენ — თქვენი უკანასკნელი დღეც დადგაო.

ქალბატონის ამ უჩვეულო გამოხედვაში იყო რაღაც მძლავრი, მისტიკური, სიგიჟისმაგვარი და კიდევ ციებ-ცხელება — თავშეუკავებელი, მოუთმენელი, შეუძლებელი და განუხორციელებელი მომავლისა. ისიც მეჩვენებოდა, რომ მისი გული ებრძოდა უცნობ ძალას, რომლის დამორჩილებაც სურდა და ვინ იცის, იქნებ სხვა რამესაც. რა ვიცი, აბა, საიდან ვიცი მე?

III

სინამდვილეში ეს იყო უცნაური აღმოჩენა.

რამდენიმე ხანია მე დილაუთენია ვმუშაობდი სურათზე, რომლის სიუჟეტი ასეთია: ღრმა, ჩაკეტილ ხევს ზემოდან ეკლიანი ბუჩქნარებისა და ხეების ფერდობები გადმოჰყურებს, იგი ბამბისმაგვარ, რძისფერ ნისლშია გახვეული, რომელიც დროდადრო ხეობებს ზემოთ დასცურავს და ამ სქელი და გამჭვირვალე ნისლის ქვეშ ვხედავთ, ან უფრო სწორად — ვარჩევთ ადამიანთა წყვილს — გადახვეულ და ერთმანეთზე მიტმასნილ ჭაბუკსა და ქალს. ამ უკანასკნელს თავი მისკენ აუწევია, ვაჟიც მისკენ დახრილა და მათი ტუჩებიც ერთმანეთს შეწებებია. აი, ხის ტოტებს შორის მზის პირველი სხივიც გამოსრიალდა, განთიადის ნისლი გაარღვია და ვარდისფერად გაბრწყინდა შეყვარებულთა ზურგს უკან და მათი ძნელად გასარჩევი აჩრდილებიც ვერცხლისფერ შუქზე გამოატარა.

— ღმერთმანი, კარგად გამომივიდა, კარგად! — წამომცდა ჩემდაუნებურად.

მე ერთ ფერდობზე მოვეწყვე, რომელსაც პატარა ხეობაში შევყავართ. საბედნიეროდ, ამ დილით ძალზე გამიმართლა, რადგან ნისლი დაცურავდა, რომელიც აგრერიგად მჭირდებოდა ნახატისათვის.

უეცრად ჩემს წინაშე რაღაც საგანი აღიმართა, ნამდვილი მოჩვენება. იგი მის ჰარიეტი აღმოჩნდა. ჩემს დანახვაზე გაქცევა მოინდომა, მაგრამ მე დავუძახე:

— მადმუაზელ, მადმუაზელ, მოდით აქ. მე თქვენთვის პატარა სურათი მაქვს.

მის ჰარიეტი ჩემსკენ უხალისოდ წამოვიდა. მე მას ესკიზი გავუწოდე. სიტყვა არ დასცდენია. უძრავად იდგა. დიდხანს უყურებდა დაშტერებით და მერე უცებ ატირდა, თან ისეთმა ნერვიულმა სპაზმებმა მოიცვა, როგორც ყველა, ვინც დიდხანს ებრძოდა ყელზე მობჯენილ ცრემლებს და ახლაც თავის შეკავებას ცდილობს. მე წამოვხტი, თვითონაც აფორიაქებული და შეცბუნებული იმ ტკივილისაგან, რომლისაც ვერაფერი გავიგე. მე მას ხელები დავუჭირე თანაზიარობის სურვილითა და ნამდვილი ფრანგის იმ ფიცხელი მოძრაობით, რომელიც ჯერ მოქმედებს და მერე ფიქრობს. რამდენიმე წამს მას არც უცდია ხელების გამორთმევა და მე ვიგრძენი ჩემს ხელებში მისი ხელების კანკალი, თითქოსდა მისი ყველა ნერვი კრუნჩხვას აეტანოს. მერე უცებ მომაცილა ხელი, უფრო სწორად, გამომგლიჯა. მე კარგად შევიცანი ეს ცახცახი, რომელიც, ვინ უწყის, რამდენჯერ შემიგრძვნია. ამდენად, შეცდომა გამორიცხულია. ოჰ, ეს სიყვარულის ცახცახი ქალისა, თუნდ თხუთმეტი წლისა ყოფილა და თუნდ ორმოცდაათისა, უბრალო ხალხიდან გამოსული თუ მაღალი საზოგადოების წარმომადგენელი, ეს სულერთია, მე მაინც პირდაპირ გულში მხვდება და მისი შეცნობა ჩემთვის ძნელი არაა. მის ჰარიეტის მთელი სხეული ცახცახმა აიტანა და ძალაც გამოელია. მე სახტად დავრჩი, მეგონა, სასწაულის წინაშე ვიდექი. ისეთმა სასოწარკვეთილებამ მომიცვა, თითქოს რაიმე დანაშაული ჩამედინოს.

საუზმეზე აღარ დავბრუნებულვარ. დავეხეტებოდი ზღვის ნაპირზე და არ ვიცოდი, რა მექნა, მეცინა თუ მეტირა რაც ჩემს თავს ხდებოდა, სასაცილოც იყო და სატირალიც. მე მართლა სასაცილოდ ვიგრძენი თავი და თუ მის ჰარიეტზე ვიმსჯელებთ, ცხადია, ძალზე უბედური ქალი იყო.

„როგორ მოვიქცე?“ — ვეკითხებოდი ჩემს თავს და მივედი იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელი იყო ჩემი აქაურობისაგან განრიდება და თანაც, რაც შეიძლება ჩქარა უნდა შემესრულებინა ეს განზრახვა. სადილობამდე უაზროდ ვსეირნობდი და მერე დანაღვლიანებული და ფიქრიანი სასტუმროში დავბრუნდი. ყველანი, ჩვეულებისამებრ მივუსხედით სუფრას. მის ჰარიეტიც აქ იყო, იგი გულდაგულ მიირთმევდა სადილს, საუბარში არავისთან არ ჩაბმულა და თავიც არ აუწევია. სახეზე და მიხვრა-მოხვრაში არაფერი ემჩნეოდა.

მე დაველოდე სადილის დამთავრებას და დიასახლისს განვუცხადე:

— მადამ ლუკაშორ, იცით რა? აი, მოვიდა ჩემი წასვლის დროც, მალე დაგტოვებთ.

— ეგ რა თქვით, ჩემო ბატონო! მიემგზავრებით? მე კი როგორ შე-

გეჩვიეთ — წამოიძახა მონოტონური ხმით მოხუცებულმა ქალმა, ჩემი მოულოდნელი განცხადებით განცვიფრებულმა და შეშფოთებულმა.

მე ალმაცერად გავხედე მის ჰარიეტს. მას სახე სრულიად არ შეტოკებია. მაგრამ მოსამსახურე გოგონა სელესტამ ჩემსკენ მოიხედა, ეს იყო ქორფა, ჩათქვირებული, წითური და ცხენივით ძლიერი თვრამეტი წლის ქალიშვილი, ვიტყოდი, ნამდვილი უმანკოების განსახიერება. მე ის რამდენჯერმე ჩავბღუჯე და დავლოშნე კიდეც, სასტუმროს კუთხე-კუნჭულებში როცა მოვიხელთე, მეტი არაფერი.

სადილსაც მოვრჩით.

მე ვაშლის ხისაკენ გავემართე ჩიბუხის მოსაწევად, თანაც ბოლთას ვცემდი ეზოს ერთი თავიდან მეორემდე. ყველაფერი, რაზეც დღის განმავლობაში ვფიქრობდი — ჩემს ამდილანდელ საოცარ აღმოჩენაზე, ჩემდამი ვნებიან და სასაცილო სიყვარულზე, მოგონებანი ამ აღმოჩენასთან დაკავშირებული და შესაძლოა, თვით მოსამსახურე გოგონას გამოხედვაც, ჩემზე მოპყრობილი, გამგზავრების შესახებ ჩემს განცხადებაზე — ყველაფერი ეს ისე გადაეხლართა ერთმანეთს, რომ მთელ სხეულში ვგრძნობდი ცხოველ სულსწრაფობას, ტუჩებში კოცნის ქავილს, ძარღვებში რაღაცას აუხსნელს, რომელიც სისულელეებისაკენ მიბიძგებდა.

ღამდებოდა. მუქი ჩრდილები ხეების ქვეშ ჩამოწვა და მე დავინახე ნაკვეთის მეორე მხარეს როგორ წავიდა სელესტა საქათმის კარების დასაკეტად. მე მას გამოვედევნე, თან ისე ფრთხილად ვადგამდი ფეხებს, რომ მოსამსახურეს არც გაუგონია ჩემი ნაბიჯების ხმა. როცა გასწორდა და ურდული გაუყარა, მე მის ფართო, მსუქან სახეზე სეტყვასავით დავაყარე კოცნა და ჩემსკენ მოვიზიდე. სელესტა მიჩვეული იყო ჩემგან ასეთ მოქცევას და სიცილით მიძალიანდებოდა.

მაგრამ რატომ გავუშვი ასე სწრაფად ხელი? ასე ფიცხლად რატომ შემოვტრიალდი? როგორ შევიგრძენი ვილაცა ჩემს უკან?

ეს მის ჰარიეტი იყო, რომელიც შინ ბრუნდებოდა. მან ჩვენ დაგვინახა და ისე გაშეშდა ერთ ადგილას, როგორც ნამდვილი მოჩვენება. ერთ წამში იგი სიბნელემ შთანთქა. მე დარცხვენილი და შემცბარი დავბრუნდი შინ. ნამდვილ დანაშაულზე რომ წამსწრებოდნენ, გეფიცებით, ასე თავზარდაცემულად არ ვიგრძნობდი თავს.

იმ ღამეს ცუდად მეძინა. ნერვებდაძაბული ვიყავი და მძიმე ფიქრები არ მასვენებდა. ვილაცის ტირილის ხმა ჩამესმა. ცხადია, ვცდებოდი. რამდენჯერმე ისიც მომეყურა, თითქოს სახლში ვილაცა დადიოდა და გარეთა კარს აღებდა.

დილისთვის დაღლილობა მომეძალა და სულ მალე ჩამეძინა კიდეც.

გვიან გამომელვიძა და საუზმეზე ისევ ისე დარცხვენილი გავედი, არ ვიცოდი როგორ დამეჭირა თავი.

მის ჰარიეტი არავის დაუნახავს. ჩვენ დაველოდეთ. ის არ ჩანდა, დეიდა ლუკაშორი მის ოთახში ავიდა, ინგლისელი ქალბატონი იქ არ აღმოჩნდა. შესაძლოა სასეირნოდ გავიდა, როგორც ყოველთვის, ამომავალი მზისათვის რომ ეცქერა. ეს არავის გაჰკვირვებია და უხმოდ შევუდექით ჭამას.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული

მალე ისე ჩამოცხა, ხის ფოთოლი რაა, ისიც არსად იძროდა, ნამდვილი პაპანაქება იყო. მაგიდა ეზოში გამოიტანეს, ვაშლის ხის ქვეშ, დროდადრო საპერი სარდაფში ჩადიოდა სიდრის ამოსატანად. სელესტას სამზარეულოდან შემოჰქონდა საჭმელები: ცხვრის ყაურმა კარტოფილით, მოთუშული ბაჭია და სალათა. შემდეგ თეფშით ალუბალიც მოგვართვეს, რაც ამ სეზონზე პირველი ხილი იყო. მე მათი გარეცხვა მოვისურვე და მოსამსახურეს ჭიდან ცივი წყლის ამოტანა ვთხოვე. ის ხუთ წუთში დაბრუნდა და თქვა, ჭა ამომშრალიაო. თურმე მას ბოლომდე ჩაუშვია თოკი, ვარცლი შეხებია ფსკერს და ცარიელი ამოსულა.

დედა ლუკაშორი თვითონ დაინტერესდა გაეგო, რა ხდებოდა და ჭის დასათვალიერებლად წავიდა, როცა დაბრუნდა, თქვა, რომ შიგ რაღაც გაურკვეველი საგანი მოსჩანსო, მგონი, მეზობელს ჯიბრზე თივა ჩაუყრიაო.

მეც გადავწყვიტე ჭაში ჩამეხედა, ვიფიქრე, უკეთ გავარკვევ, რა ხდება-მეთქი და ჭის კიდიდან გადავიხედე. იქ თეთრი საგანი გავარჩიე ბუნდოვნად, მაგრამ სახელდობრ რა? მე თავში აზრად მომივიდა ბაწარზე ფარანის გამობმა.

ქვის კედლებზე ყვითელი ალი ცეკვა-ცეკვით, ნელ-ნელა მიიწევდა სილრმისაკენ, ჩვენ ოთხივენი ზევით, ჭის თავზე ვიდექით თავდახრილნი, საპერი და სელესტაც ჩვენთან იყვნენ. ფარანი განურჩეველი და შეუცნობელი მასის ზემოთ გაჩერდა.

უცბად საპერმა დაიყვირა:

— ცხენია ეს, მე ვხედავ, ალბათ ამ ღამით ჩავარდა, მინდვრიდან რომ გამორბოდა. მაგრამ მოულოდნელად შევძრწუნდი, ჯერ ფეხსაცმელი ამოვიცანი, შემდეგ გამოწეული ფეხი, ტანი მთლიანად, მეორე ფეხს წყალი ფარავდა.

— ეს ქალია, ეს მის ჰარიეტია! — წარმოვთქვი აკანკალებულმა ხმადაბლა, როცა ფარანმა ფეხსაცმლის ზემოთ აქეთ-იქეთ იწყო ქანაობა. საპერს წარბიც არ შეუხრია — ასეთები ბევრი უნახავს აფრიკაში.

დედა ლუკაშორმა და სელესტამ გულგანმგმირავი ყვირილი მოიოცეს და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მოკურცხლეს. ახლა გვამის ამოღება იყო საჭირო. მე მეჯინიბეს მაგრად მოვაბი წელზე თოკი და ხელის ჭოჭინაქის მეშვეობით ჭაში ჩავუშვი. მას ერთ ხელში ფარანი ეჭირა, მეორეში — თოკი. მალე ჭის სილრმიდან გაისმა მისი ხმა: „შეჩერდი.“ და მე დავინახე, როგორ იჭერდა წყალში რაღაცას, ეს მეორე ფეხი იყო. მან ორივე ერთად შეკოჭა და კვლავ ამომძახა: „აბა, აქაჩე.“

მე თოკს ზემოთ ვექაჩებოდი, მაგრამ ხელები არ მემორჩილებოდა, კუნთები დამიძაბუნდა და მეშინოდა, თოკი ხელიდან არ დამსხლტომოდა. როცა მისი თავი უკვე ზემოთ გამოჩნდა, „როგორაა საქმე?“ ისე ვკითხე. თითქოს ამბავი უნდა მოეტანა მისგან, ვინც ჭის ფსკერზე იდო.

ჩვენ ჭის ერთ კიდეში ერთმანეთის პირდაპირ თავდახრილებმა, სხეულის ამოთრევას შევუდექით. დედა ლუკაშორი და სელესტა, სახლის კედელს უკან მიმალულნი, შორიდან გვითვალთვალებდნენ. როცა ჭიდან დამხრჩვალის შავი ფეხსაცმელები და თეთრი წინდები გამოჩნდა, მაშინვე გაუჩინარდნენ.

საპერმა კოჭებს სტაცა ხელი და საბრალო უბიწო ქალი უკადრე-

ბელ პოზაში ამოსწია ზემოთ. პირისახე სულ მთლად გაშავებული და დაკაწრული ჰქონდა, მისი ნაცრისფერი თმა ერთიანად დაშლოდა და სველ ჭუჭყიან კულულებად ეკიდა.

— ეშმაკმა წაიღოს, რა გაძვალტყავებული ვინმეა! — წარმოთქვა საპერმა ზიზღით.

ჩვენ ცხედარი თავის ოთახში ავიტანეთ და რადგან ახლოს არც ერთი ქალი არ ჭაჭანებდა, მეჯინიბესთან ერთად დავასუფთავე და გავუწმინდე საცოდავი ნატანჯი სახე. უცბად ჩემს თითებს შორის ერთი თვალი სანახევროდ აეხილა და მიცვალებულის ისეთი ცივი და საშინელი მზერა მომაპყრო, როგორც მხოლოდ იმქვეყნიური სამყაროდან იყურებიან ალბათ.

მე, ჩემი საკმაოდ უნიათო ხელებით, როგორც შევძელი, ისე დავუწყვე აბურძგნული და აწეწილი თმა, მერე კეფაზე ერთად შევუკარი და მეტად უჩვეულო, ახალი ვარცხნილობა გავუკეთე. შემდეგ შევუხსენი მკერდი, მხრები, ხის ტოტებივით დაგრძელებული ხელები... ერთი სიტყვით, სველი ტანსაცმელი მთლიანად გავხადე. ჩემი ასეთი ქმედების გამო, ცხადია, სირცხვილს განვიცდიდი და თავი მოძალადედაც კი წარმომედგინა. მერე ყვავილების მოსაკრეფად გავედი და ყაყაჩოებით, ღიღილოებითა და გვირილებით მოვრთე მისი სასიკვდილო სარეცელი. არც ფორმალური წესების დაცვა დამვიწყებია, რადგან მარტოკა მე ვიყავი მის გვერდით.

წერილში, რომელიც სიკვდილის წინ დაეწერა და მის ჯიბეში ვიპოვე, ითხოვდა, ამ სოფლის მიწისთვის მიებარებინათ მისი ნეშტი, სწორედ აქ, სადაც მან უკანასკნელი დღეები გაატარა. საშინელმა ეჭვებმა გამკენწლა გულში, ჩემს გამო ხომ არ ირჩია ამ ადგილას სამუდამოდ დარჩენა? ვინ იცის...

საღამოსათვის მეზობელი ჭორიკანა ქალებიც გადმოვიდნენ, მიცვალებულთან შესვლა უნდოდათ, მაგრამ არ დავანებე. მინდოდა მარტო დავრჩენილიყავი და მთელი ღამე გავუთიე კიდეც.

მე მას სანთლის შუქზე შევყურებდი. ვინ იცის, ამ შესაბრალის, ყველასათვის უცხო და ასე საცოდავად დაღუპულ ქალს, ჰყავდა სადმე მეგობრები, მშობლები? ნეტავი როგორი ბავშვობა ჰქონდა, როგორი ცხოვრებით იცხოვრა ამ მარტოსულმა, უსახლკარო ძაღლივით გარეთ მოხეტიალე ქალმა... ტანჯვისა და სასოწარკვეთის რა იდუმალებითაა მოსილი მისი ულაზათო სხეული? ამ მანკიერმა სხეულმა მთელი მისი არსებობის მანძილზე გამოატარა იგი და შორს განდევნა მისგან ადამიანური სითბო და სიყვარული.

თურმე როგორები არიან უბედური ადამიანები! მე ვგრძნობდი, რომ ამ ადამიანურ ქმნილებას მრისხანე ბუნების სამუდამო უსამართლობა ერგო. ყველაფერი დამთავრდა მისთვის და ალბათ იმედის ნასახიც არა ჰქონია, სიცოცხლეში ერთხელ მაინც თუ ეყვარებოდა ვინმეს. წინააღმდეგ შემთხვევაში რატომ გაექცეოდა იგი ადამიანებს, რატომ შეიყვარებდა ასეთი მგრძნობიარე სიყვარულით ყველაფერს სამყაროში, რაც კი ცოცხალია, ოღონდ არა ადამიანს?

ჰოდა, ჩემთვის გასაგები გახდა, რატომ იწამა ღმერთი და რატომ მოელოდა იმ ქვეყნიდან ჯილდოს ტანჯვის სანაცვლოდ. ახლა ის გახრ-

წნას დაიწყებს და მცენარედ იქცევა. მზე დააცხუნებს და აყვავდება, ბალახად ამოვა, ძროხები მოძოვენ, მარცვლად იქცევა და ჩიტები წაიღებენ. ცხოველურ სხეულად ქცეული, მერე ისევ აღდგება ადამიანურ სხეულად.

მაგრამ ის, რასაც ჩვენ სულს ვეძახით, შავი ჭის ფსკერზე ჩაქრა. მეტი წამება აღარ მოელის, მან მისი სიცოცხლე ანაცვალა სხვათა სიცოცხლეს, რომლებსაც ის მომავალში წარმოშობს. ასე იწურებოდა ჩვენი საშინელი და უსიტყვო შეხვედრის უკანასკნელი საათები. ფანჯარაში შემოსულმა მკრთალმა შუქმა განთიადის მოსვლა მაუწყა. შემდეგ ხელებსა და საფარს ცეცხლისფერი ზოლი დაედო. ო, როგორ უყვარდა ეს დრო! აი, უკვე ჩიტებმაც გამოიღვიძეს და ხის ტოტებში ჭიკჭიკი დაიწყეს.

მე ფანჯარა ფართოდ გამოვაღე და ფარდა გადავწიე, რომ მთლიანად ცას დავენახეთ ჩვენ ორნი. მერე გაყინულ ცხედართან დავიხარე, მის დამახინჯებულ სახეს ორივე ხელისგული შემოვხვიე და თანდათან უკუვაგდე რა ყოველგვარი ზიზღი და შიში, ხანგრძლივი ამბორით დავეკონე ტუჩებს, რომელთაც მამაკაცთაგანი არც არასოდეს არავინ შეხებია.

ლეონ შენალი მიყუჩდა. ქალები ქვითინებდნენ. ისმოდა კოფოზე მჯდარი გრაფ დეტრეის სლუკუნი. მხოლოდ მეეტლე თვლემდა. ცხენებმაც სვლა შეანელეს, მათრახი რომ ველარ იგრძნეს და ზანტი მოძრაობით ეზიდებოდნენ ეკიპაჟს, რომელიც თითქოსდა დიდი სადარდებლით ყოფილიყოს დამძიმებული, ძლივსძლივობით მიიწევდა წინ.

ფრანგი სიმბოლისტი პოეტები

ფრანგუღიდან

თარგმნა ბადრი თევზაძემ

პოლ ვერლენი (1844—1896)

●

ეს მოხმაურე კაბარეები და ჭუჭყიანი ტროტუარები,
და შავ ჰაერში ბრაზით იგლეჯენ დაუნანებლად ფოთლებს ჭადრები,
და ომნიბუსი, ოთხ ბორბალს შორის ცუდად ჩამჯდარი, აგრძელებს
ხრიგინს,
წაიღო ყური, ასე მგონია, ქარიშხალია მტვრისა და რკინის,
და თავის თვალებს, მწვანეს და წითელს, ის ატრიალებს ბინდბუნდში
ნელა,
აგერ, მუშები მიდიან კლუბში და, რა თქმა უნდა, აბოლებს ყველა,
და მათი ბოლი აღიზიანებს ფლიდი ჯაშუშის ცხვირის ნესტოებს.
ვჭვრეტ სახურავებს ჩამოფხავებულს, სავალს სლიპინას, კედლებს
ნესტიანს,
ასფალტს დახეთქილს და მღვრიე ნაკადს, რომ აუვსია სადინარები.
აი ჩემი გზა, რომლის ბოლოში, ვიცი, სამოთხის მელის კარები.

ჩამავალი მზეები

აისი დნება...
სილრმეში ველთა
დის ნაზი სევდა
ჩამავალ მზეთა.

სიმღერით ტკბილით
ეს სევდა თენთავს
გულს, ხიბლულს ხიბლით
ჩამავალ მზეთა.

უცხო სიზმრებია...
ზმანების სინაზით
მზესავით წვებიან
ნაპირის სილაზე.

ვჭვრეტ ლანდებს ალისფერს,
სულ აღლუმებია...
ბოლოს კი ნაპირზე
მზესავით წვებიან.

„ქარი დაბლობზე ჰკიდებს
სუნთქვას“.
ფავარი

●

ეს მოდუნება ვნებით გრძნებული
და ტკბილი დაღლა შეყვარებულის,
ეს არის თრთოლვა და ღელვა
ტყეთა,

როს ქარებს მოაქვთ ალერსი
ზღვათა,
ეს არის გუნდი უმცირეს ხმათა,
რომ ილტვის შემთვრალ ტოტებში
ხეთა.

ო, ეს მყიფე და გრილი ჩხრიალი.
ო, ეს ჭიკჭიკი და ეს შრიალი.
ამ ხმის სინაზე. მისი ბუნება
ბალახის შრიალს წააგავს თითქმის,
გეგონებოდა, რომ იგრძენ თითქოს
მორევში ქვების გადაბრუნება.

და ჩვენი სული, ასე მკვნესარი,
ძილშიც რომ ჩივის, ნუთუ ეს არის?
ჩვენია, არა? ასეა, მგონი,
და მისგან მოდის საღამოს ბანგით
მოკრძალებული და სათნო ჰანგი,
ჩუმი, ნაზი და ძლივს გასაგონი.

NEVER MORE*

ო, მოგონებავ, შემოდგომა იყო გვიანი,
ჰაერს სერავდა მგალობელი შაშვთა კრებული,
ეფინებოდა მზის სხივები ერთფეროვანი
ტყეს, სადაც ზამთრის ქარი ქროდა აბორგებული.

ვიყავით ორი მეოცნებე, ვვიდოდით ერთად,
თმები და ფიქრი თამაშობდნენ მღელვარე ქარში,
„შენი ყველაზე ლამაზი დღე?“ — მკითხა უეცრად.
ცოცხალი ოქრო აწკრიალდა მის ნარნარ ხმაში.

მისი ნედლი ხმა ანგელოსურს დამსგავსებული...
პასუხი გავეც მას ღიმილით მოკრძალებულით
და მის თეთრ ხელებს ვეამბორე მოწიწებითა.

პირველ ყვავილთა სურნელებას სხვა ჯადო აზის
და რა ძალა აქვს იმ ჩურჩულით, მორცხვით და
ნაზით,
იმ პირველ ნათქვამ „ჰო“-ს საყვარელ ბაგეებიდან.

მოჟანცულოგა

ნაზად, ო, ნაზად, ნუ ხარ ასე ალმოდებული,
დაუკელ ცოტა ვნების ხანძარს, ასე აგზნებულს,
რადგან ხანდახან საჭიროა, რომ შეყვარებულს
შვენოდეს დური სათნოება მიტოვებული.

მინდა ალერსი მიბნედილი, მომგვრელი რულის,
ვით შენი ოხვრა და ეგ მზერა დამარწეველი,
და ერთი კოცნა ხანგრძლივი და მაცდუნებელი
უმჯობესია ვიდრე ხვევნა გადარეული.

მაგრამ შენს გულში, კარგად ვიცი, უარყოფ ნუკი,
ელერს და ხმიანებს ელალი ვნება სპილოს ძვლის
ბუკით,
ანებე თავი, იხმიანოს, როგორც ნებავდეს.

შეეხე შუბლით და მომეცი მგზნებარე ფიცი,
რომელსაც ხვალვე უსათუოდ გატეხავ, ვიცი,
ჩამკიდე ხელი და ვიტიროთ გათენებამდე.

---

* ალარასოდეს (ინგლ.).

•

ხმა საყვირისა ნაღვლიანად ტყეებს ედება,
ტკივილით სავსე, სევდიანი, მგლოვარე მარში
ხმაა ობლისა, ვინც ეშვება ბორცვიდან ქარში,
რომელიც ყეფს და გარეშემო დაეხეტება.

მგლის სული ტირის ამ ხმაში და ედება არეს,
მზეც გადახრილა მომაკვდავი და აგონიით
უფრო ნაზდება და მშვენდება, ასე მგონია,
და ერთდროულად წარმტაცია და თან მწუხარე.

რომ დააცხროს და დააძინოს შეძრული ყოვლით
მწუხარე ველი, ციდან ნელა ეშვება თოვლი
და აღარ მოჩანს მზე, სისხლისგან შეწითლებული.

და ზოგჯერ სუნთქვა შემოდგომის დაუვლის ასე
მრუმე საღამოს, ერთფეროვანს და გაანაზებს
და ირგვლივ არე სათუთდება მოდუნებული.

•

უბედურება მხნე მხედარია და სახე ნიღბით აქვს დაფარული,
და, აჰა, ბებერ გულში მიმიზნა შუბი მძიმე და წვერწამახული.

ჩემი გულიდან იჩქეფა სისხლმა და შადრევანი ეს მშვენიერი
გადაეფრქვია მზის გულზე გაშლილ ყვავილებს, როგორც ახალი ფერი.

ჩრდილმა ჩააქრო ჩემი თვალები, ბოლო ძახილი ამოსცდა ტუჩებს
და მოკვდა ჩემი გული ბებერი, შეფართხალდა და გაჩერდა უცებ.

მომიახლოვდა მაშინ მხედარი, დაუნდობელი და გულუძვრელი,
ჩამოქვეითდა და დამარცხებულს ძლევამოსილი შემახო ხელი.

და თითით, რკინის თათმანიანით, გახსნილ იარის მოსინჯა ფსკერი,
მიმეორებდა თავის მკაცრ კანონს ხმით უგრძნობელით, მკვეთრით და
მჟღერით,

და საოცრებავ, ამ რკინის თითის შეხებით ცივით და დამთრგუნველით
გაცოცხლდა გული, ისევ აივსო სიამაყით და სიწმინდით ძველით.

და ძველებურად ღვთიურ სიწრფელის მარად ერთგული ყმა შემართული
აძგერდა მკერდში იგი ადრინდელ მხურვალე გზნებით ახალგაზრდულით.

მე კი კვლავ ვთრთოდი, ვერ ვიჯერებდი, მთვრალივით ვჭვრეტდი
უცხო ხატებას,
ვითარცა კაცი, როცა ანაზდად ხედავს ღვთაებრივ გამოცხადებას.

მაგრამ უეცრად ცხენს შემოახტა ეს მხნე მხედარი ნიღბიან სახით
და მანამ, ვიდრე გამეცლებოდა, შუბლზე დამაჭდო თავისი დალი.

და შემომძახა (და ახლაც მესმის ხმა მისი მკვეთრად გამოკვეთილი):
ფრთხილად იყავი, რადგან ამ თამაშს მხოლოდ ერთხელ აქვს ბოლო
კეთილი.

ᲔᲚᲕᲘᲛᲔᲨᲘ

აქ, თქვენს მუხლებთან მინდა ახლა მოვიკლა თავი,
რადგან ამ ტანჯვის გასრულებას აღარ მოველი
და თვით ძუ ვეფხვი ჰირკანიის დაუნდობელი
თქვენს გვერდით მოსჩანს ვით უმანკო, უმწეო
კრავი.

ჰოი, კლიმენავ, მე ტკივილი მარგუნეთ მხოლოდ
და ეს მახვილი, გადამტანი უამრავ ომთა,
დამმარცხებელი თვით კიროსთა და სციპიონთა,
დღეს ჩემს სიცოცხლეს და წამებას მოუღებს
ბოლოს.

მე რა მინდოდა, იღბლის ზაკვა თუ იყო სწორედ,
ელისეს მინდვრებს რომ ვეწვიე ასე ბედასლი,
და სიყვარულმა გულში დამჭრა ისრებით ბასრით,
როს თვალმა თქვენმა მომანათა საბედისწეროდ.

●

მართლაც რამდენი განსაცდელით ვიყავ ვნებული,
ვითარცა მგელი დევნილი და შეიწრებული,
ვისაც არ ძალუძს მიატოვოს აწ სამყოფელი
და ვინც გაურბის თიკანივით პყრობილი შიშით
მონადირეებს თავისივე სისხლის და ჯიშის,
მოცულებს ჟინით ველურით და დაუნდობელით.

ბოროტი შური, ანგარება და სიძულვილი,
ძალლები მძაფრი ყნოსვითა და დევნის წყურვილით,
გარს მეხვევიან და მიტევენ მძვინვარე ვნებით.
შფოთვა და ღელვა — აი, ჩემი მწარე სადილი,
ხოლო ვახშამი — ზარდამცემი ავი ქადილი,
და ასე გადის მრავალი დღე, თვეები, წლები.

და ამ საშინელ მუქარაში ტყის მშობლიურის
მოდის სიკვდილი — მეძებარი მარადიული.
ნადირი იგი — უგუნური, ტლუ და უხეში.
მის ავ მზერაში წაშლილია ყოველი აზრი,

მადებს თავის ტორს და მკბენს გულზე კბილებით
ბასრით.
არცა თავდება ეს ტანჯვა და არც ჩანს ნუგეში.

და ვრჩები ასე, დასისხლული ავი ლახვარით,
სისხლიან ბიჯით მივბორძიკობ, სად ნიაღვარი
გადაჰკვეთს ტყეს და ნადირივით ყმუის, წრიალებს.
მოვკვდები მალე, ცოტა კიდევ მაცალეთ, მგლებო,
მაცალეთ კვდომა, გევედრებით, კეთილო ძმებო,
ვიდრე და ჩემი — დედაკაცი გამატიალებს.

სენტიმენტალური საუბარი

ძველისძველ პარკში, გაყინულში ზამთრის
ქადილით,
იმ ეულ პარკში მიდიოდა ორი აჩრდილი.
მათი ტუჩები — უსიცოცხლო, თვალები —
მკვდარი,
იყო მწუხარე სვლა იმათი და საუბარი.

ძველისძველ პარკში, გაყინულში ზამთრის
ქადილით,
გრძნებით შეკრული მიდიოდა ორი აჩრდილი.
— თუ გახსოვს ჩვენი ძველი ვნება, თავდავიწყება?
— ნეტა ვიცოდე, რომ მახსოვდეს, რაში გჭირდება?

— ძგერს შენი გული მხოლოდ ჩემთვის, ძველ
დროის დარად,
და ჩემი სული გევლინება სიზმარში? — არა.
— ვით აღიწეროს იმ ბედნიერ დღეების გრძნება,
ჩვენი ბაგენი რომ ლაღობდნენ? — ო, შეიძლება.

— ცა იყო ლურჯი და იმედი თავაშვებული. —
— იმედი ცისკენ უკუიქცა დამარცხებული. —
მიაბიჯებდნენ ბალახებში დუნედ, უნებოდ,
და მათ საუბარს მხოლოდ ზამთრის ღამე უსმენდა.

სერენადა

სიმღერას დაჰკრავს ღრმად გათხრილი სამარის
ტონი,
თითქოს მღეროდეს მიცვალებული.
ამოდის შენკენ და ისმინე, ოჰ, ქალბატონო,
ხმა უმწეო და გამრუდებული.

სული და სმენა მას მიაპყარ, შენთვის ხმიანებს
ამ მანდოლინის უმწეო ჟღერა.
ასე სასტიკი და თან ასე ალერსიანი
მე შენთვის შევთხზე ესე სიმღერა.

ვუმღერებ თვალებს ფერს ოქროსი ან თუ ონიქსის,
წმინდას, უქონელს ავ ჩრდილებისა,
მერე კი ლეთას შენი მკერდის, მერე კი სტიქსის
სადარ შავ ბზინვას შენი თმებისას.

სიმღერას დაჰკრავს ღრმად გათხრილი სამარის
ტონი,
თითქოს მღეროდეს მიცვალებული,
ამოდის შენკენ და ისმინე, ო, ქალბატონო,
ხმა უმწეო და გამრუდებული.

უნდა შევაქო დიდებული შენი სხეული,
დალოცვილი და მალხინებელი.
მისი სურნელი, საუცხოო და თან გრძნეული,
არის უძილო ღამეების დამბრუნებელი.

ბოლოს მოვითხოვ შენი კოცნის ტკბილ ნეტარებას,
მიწვევს მაგ წითელ ბაგეთა გემო,
გადამიწონის სიტკბოებით ყველა წამებას
„ანგელოზო და მხევალო ჩემო!“

სული და სმენა მას მიაპყარ, შენთვის ხმიანებს
ამ მანდოლინის უმწეო ჟღერა,
ასე სასტიკი და თან ასე ალერსიანი
მე შენთვის შევთხზე ესე სიმღერა.

●

არ ჩანს ველთა კიდე,
სევდამ დაივანა,
თოვა ბუნდოვანი
თითქოს სილას ცრიდეს.
ცაც სპილენძის არის,
ბნელით დაფარული,
უცებ ეჭვობს გული
მიცვალებას მთვარის.
და ღრუბლების დარად
ცურვას ხვალის ტყეთა
თვალი ლანდად ხედავს.
მინას ორთქლი ფარავს,
ცა სპილენძის არის,
ბნელით დაფარული,
უცებ ეჭვობს გული
მიცვალებას მთვარის,
სულს ძლივს ითქვამს ყვავი,
თქვენ რას ელით, მგლებო.
ირგვლივ სუსხი მეფობს
და ქრის ქარი ავი.
არ ჩანს ველთა კიდე,
სევდამ დაივანა,
თოვა ბუნდოვანი
თითქოს სილას ცრიდეს.

გეორგინა

ო, მკვრივი მკერდი კურტიზანისა, თვალები მუქი და შეუღწევი,
მათ ახელ ნელა, ვით ზანტი ხარი, უშფოთველი და ჩუმი ქადილით,
გიბზინავს ტორსი ბარაქიანი, ვით მარმარილო ახალ გათლილი.

ასე მსუყევ და ასე მდიდარო, გელამუნება ნიავი რწევით,
შენს ირგვლივ არ ფრენს არავითარი რამ სურნელება კეთილგრძნეული,
თავის უცოდველ აკორდებს ფანტავს მშვენიერება შენი სხეულის.

თითქოს უგრძნობო, ასე მგონია, საკუთარ სხეულს ვერ გრძნობ
სრულებით,
ვერ შეიგრძნობენ შენს სილამაზეს თივის მოთელვას შეჩვეულები,
და ჯდები ტახტზე კერპი, რომელიც საკმევლის სურნელს არ არს
ჩვეული.

შენა ხარ ისე, ვით გეორგინა, მეფე მოსილი ციალთა ნთებით,
აუწევია უსუნო თავი ვისაც გარეშე ამპარტავნების,
ამაღელვებელ ჟასმინებს შორის მიმზიდველი და გამორჩეული.

●

მორჩა ზამთარი და სხივების ნელთბილი გუნდი
მიწიდან ცამდე ცელქი ცეკვით არის გართული,
გულიც, ყველაზე სევდიანიც, დანებდეს უნდა
ხალისს, რომელიც ჰაერშია მიმოფანტული.

იგივ პარიზი, ისე კუშტი, ისე სნეული,
იცვლება თითქოს ჭაბუკ მზეთა ამ მოზღვავებით
და გულში იკრავს სიყვარულად გადაქცეული
ათასი ხელით ალისფერი სახურავების.

მთელი წელია გაზაფხული სულში ბრიალებს
და დაბრუნება კვირტობისთვემ რაკი ინება,
ისე, ვით ალის სიახლოვით ბრწყინდება ალი,
ისე უმატებს ჩემს იდეალს სრულყოფილებას.

ზეცა მაღალი და ლაჟვარდი — ლურჯი, ხალასი,
სად ბედნიერი ჩემი ტრფობა იცინის ასე,
ხვედრი კეთილი და სეზონი ასე ლამაზი,
მე უამრავი, უსასრულო იმედით მავსებს.

მოვა ზაფხული, შემოდგომა, მოვა ზამთარი,
იქნება სავსე დრო ყოველი ხიბლით გრძნეულით,
იქნება ჩემთან ასე ნაზი, ასე მწყაზარი,
სინამდვილით და წარმოსახვით გაბრწყინებული.

ᲞᲝᲔᲢᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ᲨᲐᲠᲚ ᲛᲝᲠᲘᲡᲡ

ჯერ მუსიკა და მერე ყოველი,
მეფობდეს ჰანგი იგი რჩეული,
ჰაერში ვნებით მიმობნეული,
აურწყავი და დაუწყობელი.

უცილობელი არ არის შენთვის
ძებნა სიტყვათა ცოდვის და ბრალის,
დიდებულია სიმღერა მთვრალი,
სად ბუნდოვანი სიცხადეს ერწყმის.

ეს რიდეს მიღმა ციალი თვალთა,
ეს დღე, მკრთომარე შუადღის
ხვატში,
და შემოდგომის სიგრილე ცაში,
ლურჯი ქაოსი ნათელ ვარსვლავთა.

და ნიუანსიც გვჭირდება მაშინ
და ყველანაირ ფერსა სჯობს ალბათ,
ის მინიშნებით გვაჩვენებს ლანდად
სიზმარს სიზმარში და საკრავს
რქაში.

მაშ უარყავი ისარი მკვლელი,
გონი მკაცრი და ხარხარი მრევლის,
ციურ თვალებს რომ ავსებენ
ცრემლით,
ეს ხომ სამზადის სუნია ძველი.

მჭერმეტყველებას მოგრეხა კისრის
სჭირდება ზოგჯერ, ნუ გეცოდება,
და დაუბრუნე რითმას გონება,
თორემ, ვინ იცის, სადამდე ივლის.

ამ ცოდვილ რითმას თუ ქმნიდა
ალბათ
უნდილი ბავშვი ან შლეგი ზანგი,
გროშისგან ჭედდა სიგიჟის ბანგით
სამკაულს, რომ ელერს ესოდენ
ყალბად.

მარად მუსიკა, ისევ და ისევ
რომ შენი ლექსი ლაჟვარდში
ქროდეს
და გრძნობა ერთი სულიდან
რბოდეს
სხვათა ტრფობისკენ და სხვათა
ცისკენ.

რომ ლექსი იყოს ლტოლვის
გამჩენი,
გაავლე დილის მკრთომარე ქარში,
პიტნის და ქონდრის სურნელებაში,
მწიგნობრობაა სხვა დანარჩენი.

მოდუნება

ჟორჟ კურტელინს

ვარ იმპერია, თვის დაცემის ჟამით გრძნებული,
რომელიც ხედავს ბარბაროსთა თეთრთა
მსვლელობას,
თავად კი ზანტი აკროსტიხის შეთხზვით ერთობა,
ოქროს კალამზე მზის ცეკვაა მოდუნებული.

სული გრძნობს ავ სვეს გულისჯავრით
შემობურვილი,
ამბობენ, სადღაც სისხლიანი ბრძოლები მიდის,
არ არს შეძლება, ზოზინობენ აღთქმები ფლიდი.
და არსებობას არ აცოცხლებს არც რამ სურვილი.

არცა შეძლება, არც სურვილი, ნელინელ კვდომა,
შეწყვიტე, ბატილ, ეს სიცოცხლე ავის მდომელი,
შესმულია და შეჭმულია სარჩო ყოველი.

მხოლოდღა ლექსი, ცეცხლისთვის რომ გასწირავს
ომი...

მხოლოდღა მონა, ზარმაცი და დაუდევარი
და მხოლოდ სევდა, შეუცნობი ყინით მდევარი.

შარლ ბოდლერი (1821—1867)

შემოდგომის სიმღერა

I

ძალიან მალე ცივი ბინდი დათრგუნავს არეს,
მშვიდობით, სხივნო უმოკლესი ზაფხულის ჩვენის,
მე უკვე მესმის ეს ხმაური სამგლოვიარო
ეზოში ხეთა ხმელ ტოტების მტვრევის და ცვენის.

ჩემში ზამთარი დაბრუნდა და შემომეთვისა
ზარით შიშისა, სიძულვილით, თრთოლვით
ძლიერით,
და ისე, ვით მზეს ჯოჯოხეთში პოლარეთისა,
გულს გაყინული წითელ ლოდის დაჰკრავს იერი.

თავად ხმაური მშენებარე ეშაფოტისა
ამ მტვრევის ხმაზე არ იქნება უფრო მზარავი,
და ჩემი გონიც გახდა მსგავსი ძველი კოშკისა,
მძლავრი ბიძგები რომ არყევენ დაუღალავი.

და მეჩვენება ნარწევს რღვევით დაუქანცველით,
ლურსმნავენ კუბოს აჩქარებით, — ერგება ვისა?
გუშინ ზაფხული, შემოდგომა — დღე დღევანდელი.
ხმა იდუმალი, ვით ნიშანი გამგზავრებისა.

II

მიყვარს სინათლე თქვენთა თვალთა მომწვანო
ფერის,
მაგრამ დღეს ჩემთვის ყველაფერი გამხდარა მწარე
და თქვენი ტრფობაც, ბუდუარიც და სითბოც კერის
ვერ შეედრება მზეს, ზღვის წყალზე
სხივმომფინარეს.

გიყვარდეთ მაინც, ნაზო გულო, ბოროტიც,
უნდოც,
იხმიეთ ძალა ტრფობის, დობის და დედობისა,
იყავით სიტკბო და სინაზე, ხანმოკლე თუნდაც,
მსგავსად ამ მზისებრ ჩამავალი შემოდგომისა.

არ გასტანს დიდხანს, ცარიელი სამარე მელის,
მინდა, რომ შუბლი თქვენს მუხლებზე ჩამოვდო
ასე,
რათა მე, ვისაც მენანება ზაფხული ცხელი,
ყვითელი სხივი გარდასულის შეეგრძნო ნაზი.

გამვლელ ქალს

ქუჩა დამაყრუებლად ჩემს გარშემო ბღაოდა,
ტანკენარმა დიაცმა ჩემი მზერა დანისლა.
აწვალებდა მწუხარედ ღილ-კილოებს კაბისა,
ო, ეს ხელი ნატიფი და ელვარე რაოდენ.

დიდებული სიმარდე ნაქანდაკარ წვივების,
მე ვსვამდი და შეშლილად მთვლიდნენ მისი
თვალები,
თვალთა მოლურჯო ზეცა, სად ჩნდება გრიგალები,
სიამე მომკვლელი და სინაზე მომხიბვლელი.

გაელვება... კვლავ ღამე... გაქცეულო სიტურფევ,
ვისმა შემოხედვამაც აღმადგინა მკვდრეთით,
ნუთუ მხოლოდ მარადში შეგვყრის ჟამთა მეუფე.

გვიან, შორს თუ არასდროს არ ინებებს ღმერთი?!
საით წახველ არმცოდნე, თუ მე სად წავიდოდი,
ო, ვინც შეგიყვარე და ო, შენ, ვინც ეს იცოდი.

არტურ რემბო (1854—1891)

მწვანე კაბარეში

უკვე რვა დღეა შემომეხა ჩექმები გზაზე,
გზა იყო ქვებით მოფენილი, ძნელი და შორი,
შარლერუაში მწვანე დუქანს მოვადექ ასე
და მოვითხოვე ტარტინი და ნელთბილი ლორი.

ფეხების გაშლა მაგიდის ქვეშ, ო, ნეტარება,
აჰა, ამბავი მიამიტი, დუქნის სადარი,
და მომსახურე ქალიშვილი ცოცხალთვალება,
თვალს იტაცებდა ძუძუები უზარმაზარი.

ო, მაგას ალბათ, ვერ წალეკავს კოცნის
მდინარეც, —
უმალ მომართვა ტარტინები პირმომცინარემ
და გრილი ლორი, ნიორი რომ ჰქონდა წასმული.

ლორი — მოთეთრო-მოვარდისფრო, გოგონა —
სწრაფი.
უმალ შემივსო დიდი კათხა და ლუდის ქაფი
მოავარაყა მზემ სხივებით ხანგადასულით,

ოცნება ზამთარზე

ზამთარში ვპოვოთ ვარდისფერი მყუდრო ვაგონი
ცისფერბალიშებიანი.
იგი ბუდეა, სად კოცნები მეფობს უგონო
და სიამე ვნებიანი.

თვალებს დახუჭავ, რადგან სარკმელს მოწვდება
ავი
ჩრდილების როკვა შემაღონები.
გაყინულ არეს შესეული საზარი სროვა
შავი მგლებისა და დემონების.

და მერე იგრძნობ, ღაწვზე ამბორს გაკაწვრასავით,
ეს ჩემი კოცნა უეცარი, ობობასავით
თითქოს კისრიდან სხეულს ჩაურბენს.

მეტყვი: „იპოვე!“ — თავდახრილი, მიხდილი
ფერით,
და ჩვენ დავიწყებთ ძებნას ციცქნა, ონავარ მწერის,
რომელიც დიდხანს იმოგზაურებს...

ჩემი გოჯემა

ვვლიდი გაცვეთილ ჯიბეებში ხელჩაწყობილი
და ასეთივე დიდებული პალტო მებადა.
ო, რა ბრწყინვალე ამურები მეზმანებოდა,
როს ვვლიდი, მუზავ, შენი ხიბლით
სულშეპყრობილი.

ერთადერთ შარვალს გასჩენოდა ვეება ხვრელი,
ვოცნებობდი და მივდიოდი რითმების დათვლით,
ბინას მიქადდა საკრებულო მე დიდი დათვის,
ვარსკვლავთა ჩემთა თრთოდა ჰანგი ნაზი და
მწველი.

მე მათ ვუსმენდი მოხიბლული, გზისპირას მჯდარი,
ეფინებოდა ჩემს მხურვალ შუბლს ვარდების ცვარი
და შევიგრძნობდი, როგორც ძალას ძვირფას
სასმელის.

უცხო ჩრდილებში ვპოულობდი რითმებს და
ფრაზებს
და მზად ვიყავი, ვით სიმები ჯადოსნურ ქნარზე,
გაცვეთილ სამლზე მომეჭირა კვლავაც თასმები.

განჯინა

მუხის განჯინა ჩუქურთმებით არის შემკული,
განიერია, მუქია და ძველისძველია.
ადამიანის იერი აქვს მოხუცებულის,
წინათ დაღვრილი ღვინის სუნიც შემორჩენია.

იგი სავსეა, შიგნით ყველგან ჩანს ძველმანები,
ქალის და ბავშვის თეთრეული მიმოფანტული,
გახუნებული ძველი ჩვრები და მაქმანები
და თავსაფრებზე ურჩხულები ამოქარგული.

მედალიონი, პორტრეტებიც არის საკმარი,
თმის კულულები, ყვავილები ძლიერ გამხმარი,
რომელთა სუნსაც შერევია ხილის სურნელი.

განჯინავ, გახსოვს ძველი ყოფა, და ახლაც, როცა
ილება შენი დიდი კარი ნელა, სულ ნელა,
ხმაურობ, რათა გაგვიცოცხლო წარსული დროცა.

რომანი

ვინ არის დინჯი ჩვიდმეტი წლის მშფოთვარ
ასაკში?
საღამოს შვენის ლიმონათი, ლუდის კათხები.
ახმაურებულ კაფეებში ჭაღთა კაშკაში
და სეირნობა წყნარ შრიალში მწვანე ცაცხვების.

ივნისი ფეთქავს, ცაცხვი ათრობს საღამოს ვნებით,
თვალებს გილულავს თბილი სიო, ნაზი, გრძნეული,
და ნიავს მოაქვს სულ ახლოდან ქალაქის ხმები,
ლუდის და ღვინის სურნელებით გაჯერებული.

რტოთა ჩარჩოში ჩარჩენილა ზეცის ნაფლეთი,
დაუკბენია კვიმატ ვარსკვლავს ავი ქადილით.
ციცქნა ვარსკვლავი აკიაფდა ნათებით თეთრით,
რათა ცის თაღზე დაიმკვიდროს თვისი ადგილი.

ჩვიდმეტი წელი... შენ თავს აძლევ დათრობის
ნებას
და თავში აგდის შამპანურის წვეთი ყოველი.
კოცნის წყურვილი, უცაბედად ნაგრძნობი ვნებად,
თრთის შენს ბაგეზე ვით პატარა, მფრთხალი
ცხოველი.

გულში რომანთა ტრფიალება წრეგადასული,
და უცებ, თითქოს რაღაც მოხდა, ხელახლა იშვი.
გამოჩნდა ნაზი ქალიშვილი, კარგად დაცული
სასტიკი მამის მიბნეული საყელოს ჩრდილში.

და თითქოს იგრძნო სუნთქვა შენი მიამიტ
გრძნობის,
ჩაელიმა და ააჩქარა ნაბიჯი განგებ.
მობრუნდა წამით და მან თავის ცელქ მოძრაობით
ბოლო მოუღო შენს ბაგეზე მხიარულ ჰანგებს.

აგვისტოს თვემდე შენი გული სავსეა გზნებით,
უგზავნი ლექსებს, მას აცინებს შენი ვაება,
ბოლოს გტოვებენ მეგობრები მჭმუნვარეს ვნებით
და აი... ერთ დღეს წერილს მოგწერს ტურფა
ღვთაება.

და კვლავ ბრუნდები კაფეების ნათელ კაშკაშში,
ისევ იწყება ლიმონათი, ლუდის კათხები...
ვინ არის დინჯი ჩვიდმეტი წლის მშფოთვარ
ასაკში...
და კვლავ გართობა ნაზ შრიალში მწვანე
ცაცხვების.

სტეფან მალარმე (1842—1898)

ლაჟვარდი

ზანტი ნათება მარადიულ სილაჟვარდისა
ძალ-ღონეს აცლის დამცინავი თვისი ციალით
უმწეო პოეტს, ვინც გენიას წყევლის თავისას
ტკივილების ბერწ უდაბნოში მოხეტიალე.

ლტოლვილი. თვალებდახუჭულიც ვგრძნობ
სიცხოველით
დაძაბულ მზერას, რომ მითელავს მწარედ
მქენჯნავი
ამ სულს ცარიელს, სად გავიქცე, ღამე რომელი
შეძლებს დათრგუნოს ზიზღი ასე გულგამგმირავი.

ჰეი, ნისლებო, ამოდით და თავანი ცისა
აავსეთ თქვენი ფერფლითა და დაფარეთ არე,
დაე, ჩაძიროს ცა ჭაობმა შემოდგომისამ
და თავს დამხურეთ მე ახალი ჭერი მდუმარე.

და შენც დასტოვე გუბეები ლეთასეული
და ლელიანში შეაგროვე სევდა ძვირფასი,
რომ მით ჩაჩურთო, ამოავსო პირდაღებული
ხვრელები, ავი ჩიტები რომ აჩენენ ასე.

დაე ბოლავდნენ ეს ბუხრები მწუხარ იერით,
მოხეტიალე შავმა მჭვარტლმა სიშმაგით ავით
დაე ჩააქროს, დააბნელოს თვალსაწიერზე
მზე მოყვითალო, ავადმყოფი და სულთმობრძავი.

ცა მოკვდა! შენკენ, მატერიავ, ვილტვი და
ვცდილობ
საბედისწერო იდეალით მწარედ ვნებული,
გადავივიწყო ყოველი და გავინაწილო
სადგომი, სადაც პირუტყვია მოსვენებული.

იქ მინდა, რადგან დაცლილია დღეს ჩემი ტვინი,
და ვით მიგდებულ, დაცლილ კოლოფს
ფერუმარილის,
არ შეუძლია პეწი მისცეს აზრს მოქვითინეს
და ელტვის სიკვდილს მოწყენილი და გადაღლილი.

ამაოებავ, ცა იმარჯვებს და მღერის ვნებით,
ზართა გუგუნით, სულო ჩემო, ჰანგით ძლიერით,
რათა უფრორე შეგვაშინოს ამ გამარჯვებით
და ცოცხალ ლითონს გამოსცდება ლოცვა ცისფერი.

ის გრგვინავს ნისლში, ძველთაძველი, და ვით
მახვილი,
ჰკვეთს ამ კაეშანს და არ ვიცი საით შთავვარდე,
საით გავიქცე ამ ამაო ჯანყით დაღლილი,
ჰოი, ლაჟვარდი, ლაჟვარდი და ისევ ლაჟვარდი!

ოხვრა

სული, ო, დაო, მაგ შუბლისკენ მოემართება,
სად ჭორფლიანი შემოდგომა ოცნებით თვრება,
და კიდევ ცისკენ ანგელოზურ შენი თვალების,
ვით სევდის ბაღში, ერთგული და მსგავსი ზმანების,
ლაჟვარდს მწუხარე შადრევანი შეჰკვნესს ეული.
ლაჟვარდი მკრთალი და ოქტომბრის ხიბლით
გრძნეული,
ჭვრეტს აუზებში მოდუნების უძლეველობას
და სტოვებს წყალზე, სად ფოთოლთა მკვდართა
მსვლელობას
წარმართავს ქარი და ყვითელი მზე გრძელი სხივით
მიზოზინობს და ნაკვალევი იჭრება ცივი.

ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანი

ეშმაკის ელექსირი

გერმანულიდან

თარგმნა ნია თაკვარელიამ

მომეჩვენა, რომ საცაა იტყოდა, ჰო, ეს ხომ გრაფი ვიქტორინიაო. საქმე ის იყო, რომ სრულიად გაურკვეველი და აუხსნელი მიზეზის გამო ამ წუთში თავი მართლაც გრაფი ვიქტორინი მეგონა. გული ძალუმად ამიძგერდა, სისხლი ტვინში ამივარდა, ლოყებზე ალმური მომედო. რაინჰოლდის იმედი მქონდა, ამ უბედურებიდან მიხსნის და მამა მედარდუსად გამოშაცხადებს-მეთქი, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი ცდებოდა. მაგრამ ჩემს ტვინში ისე იყო ყველაფერი არეულ-დარეული, რომ არაფერს შეეძლო იქ გამეფებული ქაოსისა და უთავბოლობის დაურვება. ბარონს სურდა ამ წამსვე გამეცნო ჰერმოგენი, მაგრამ იგი ვერსად იპოვნეს. ჩემი თვალით ვნახე მთებში როგორ დაეხეტებოდაო, თქვა მსახურმა. ეს არვის გაკვირვებია, რადგან ბედკრული ჭაბუკი მთელ დღეებს მთებში ატარებდა, იქ ეძიებდა განმარტოებას. ის დღე ბარონისა და რაინჰოლდის გვერდით გავატარე. თანდათან გონზე მოვედი, რათა საღამოთი ძალა და მხნეობა მომეკრიბა და თამამად შევგებებოდი იმ უცნაურ მოვლენებს, რომლებიც უთუოდ მელოდებოდნენ უახლოეს მომავალში. ღამით, მარტო რომ დავრჩი, პორტფელი გავხსენი და სავსებით დავრწმუნდი, რომ უფსკრულში გადაჩეხილი და ნაფლეთებად ქცეული ახალგაზრდა კაცი სწორედ გრაფი ვიქტორინი იყო, მაგრამ მისდამი მიწერილი ბარათები უმნიშვნელოდ მეჩვენა, რადგან იქ ერთი სტრიქონიც კი არაფერს მაუწყებდა მისი ცხოვრების ინტიმურ ურთიერთობებზე. ასე რომ, ამაზე აღარ მიფიქრია, ისე მივენდე განგების ნებას, ვნახოთ, შემთხვევა რა ბედს განმიმზადებს, როცა ბარონესა ჩამოვა და მიხილავს-მეთქი. მეორე დილით სრულიად მოულოდნელად ჩამოვიდა ბარონესა ავრელიასთან ერთად. დავინახე, როგორ გადმოვიდნენ ორივენი ეტლიდან, როგორ მიეგებნენ ბარონი და რაინჰოლდი, როგორ შევიდნენ სასახლის პორტალში. უცნაური წინათგრძნობებით შეძრული და აფორიაქებული ოთახში ბოლთას ვცემდი. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, მალე დამიძახეს. ბარონესა — ეს უჩვეულოდ ლამაზი და დიდებული გარეგნობის, გაფურჩქვნის ასაკში შესული ქალბატონი ფეხზე წამოდგა და რამდენიმე ნაბიჯი ჩემკენ გადმოდგა. როგორც კი შემხედა, შეცბა და თავგზა აებნა, ხმაც აუთრთოლდა ძლივს მოძებნა საჭირო სიტყვები მოსასალმებლად. მისმა დაბნეულობამ მხნეობა შემმატა, უტიფრად მივაჩერდი თვალებში და სამონასტრო ჩვეულების თანახმად ლოცვა-კურთხევა ვუთხარი. რაინჰოლდმა კმაყოფილი და მხიარული

დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 1-2, 2001 წ.

ღიმილით შემხედა. სწორედ ამ დროს კარი გაიღო და ოთახში ბარონი შემოვიდა ავრელიასთან ერთად.

როგორც კი ავრელია დავინახე, სულში თითქო ნათელი ჩამიდგა. იმან ცხოვლად აღანთო და განაბრწყინა იდუმალი შეჟრჟოლება ჩემი ოცნებისა. ეს იყო ჩემი მხურვალე და უგონო ტრფობის ნატვრა და აღტაცება, ყველაფერი, რაც კი ოდესმე ბუნდოვან წინათგრძნობად ანდა რაღაც შორეულ ექოდ გამომკრთალა და ამღერებულა. დიახ, თვითონ ცხოვრება შემოიჭრა ჩემში, ფერადოვანი და ელვარე და გარდავიდა უკუნ წყვდიადში ცივი, ფერგადასული და მიმქრალი ჩემი განვლილი სიცოცხლე. თვითონ იგი გამომეცხადა, საოცარ ზმანებად რომ ვიხილე ერთხელ სააღსარებო სკამზე. ტანმაღალსა და მოხდენილს მუქლურჯი თვალები, ბავშვის ღვთისმოსავი გამოხედვა და ნაზად მონაკვთული ტუჩები ჰქონდა, ნატიფად წინ წახრილი, თითქოსდა ეს-ეს არის ლოცვას იწყებსო, არა ეს ავრელია კი არა, თვითონ წმინდა როზალია ბრძანდებოდა. მუქ მეწამულისფერ კაბაზე ლაჟვარდისფერი მოლი წამოესხა, რომელიც ძალიან ჰგავდა ფანტასტიკურ ნაკეცს სურათზე გამოსახულ წმინდანის შესამოსელისა, აგრეთვე ზმანებაში ხილული უცნობი მანდილოსნის სამოსსაც. სად მოვიდოდა ბარონესას მსუყე, ხორციელი სილამაზე ავრელიას ზეციურ ჯადო-გრძნებასთან, მისი სულის არამქვეყნიურ მშვენებასთან. მხოლოდ მას ვხედავდი. სხვა ყველაფერი გაქრა ჩემს გარშემო. ჩემი შინაგანი ღელვა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ გარშემო მყოფებს.

— რა მოგივიდათ, წმინდა მამაო! — მკითხა ბარონმა — რაღაც უცნაურად აფორიაქდით.

ამ სიტყვებმა გამომაფხიზლეს, რაღაც ზებუნებრივი ძალა და მხნეობა ჩამესახა, რომლის მსგავსი სიცოცხლეში არ მიგრძნია, და ეს ზეგარდმოვლენილი ძალა უსათუოდ მჭირდებოდა იმ ბრძოლისათვის, რომლის გამარჯვების საზღაურიც ის უცნობი მანდილოსანი იქნებოდა.

— გიხაროდეთ, მეუფეო ბარონო! — წარმოვთქვი ვითარცა ზეციური ძალით შთაგონებულმა, — გიხაროდეთ, რომ ჩვენს შორის, მონასტრის ამ კედლებში დადის წმინდანი და მალე გამოჩნდება ღვთითკურთხეულ ზეციურ ნათელში. ეს თავად წმინდა როზალიაა, ვისაც უსპეტაკესი ანგელოზები შემოსევია გარს, ვინც წყალობად გაიღებს ნუგეშსა და ცხონებას დამწუხრებულთა მიმართ, ვინც რწმენასა და ღვთისმოსაობას შეავედრებს უფალს. მე გავიგონე გაცისკრებულ სულთა ჰიმნები, რომლებიც წმინდანს შენატრიან და, მლოცვარეთა გალობაში გაცხადებულნი, ღრუბლებიდან ძირს ეშვებიან. მე ვხედავ მის შუბლს ზეციური ფერისცვალების დიდებაში გაბრწყინებულს. მას ზეცისაკენ აღუპყრია თვალები, რამეთუ ცხადად უხილავს წინდანთა დასი. „Sancta Rosalia, ora pro nobis“.[1]

მუხლებზე დავეცი, ზეცას შევხედე და ხელები სალოცავად აღვაპყარ. ყველა ჩემს კვალს მოჰყვა. უკვე აღარაფერს მეკითხებოდნენ. ჩემი აღტყინება და მოულოდნელი აფეთქება ზეშთაგონებას მიაწერეს, ბარონმა მართლა განიზრახა ქალაქის მთავარ ეკლესიაში წმინდა როზალიას სამსხვერპლოსთან წირვა ჩაეტარებინა. ამ გზით შესანიშნავად დავაღწიე თავი გაჭირვებას. და ამისათვის წამითაც თვალი არ უნდა დამეხამხამებინა, უყოყმანოდ, ყოველგვარი ეჭვისა და ფიქრის გარეშე არაფერს დავრიდებოდი,

---

1. *წმინდა როზალია, შეავედრე ღმერთს ჩვენი თავი! (ლათ.).*

თუნდაც საკუთარი სიცოცხლე გამეწირა, ოღონდ იგი მომეპოვებინა, რადგან ავრელიას გულისათვის ღირდა მსხვერპლის გაღება. ბარონესა რაღაც უცნაურად შეცბუნებული რომ იყო, ეს აშკარად შევამჩნიე. იგი თვალს არ აშორებდა, მაკვირდებოდა, მაგრამ აღუშფოთველად როცა შევხედე, მთლად თავგზა აებნა და აქეთ-იქით მოჰყვა თვალების ცეცებას. ოჯახის წევრები სხვა ოთახში გავიდნენ, მე კი სასწრაფოდ ბალისაკენ გავეშურე და მის გრძელ ხეივნებში ვიწყე ხეტიალი, თავში ათასი ფიქრი და სატკივარი ბიტრიალებდა, გეგმა დავაწყე, როგორ უნდა წარმემართა მომავალში ჩემი ცხოვრება და გარჯა-მოღვაწეობა სასახლის კარზე მყოფს. მოსაღამოებულზე რაინჰოლდი გამოჩნდა. ბარონესა მეტისმეტად ააღელვა თქვენმა ღვთისმოსავმა ზეშთაგონებამ და თავისთან გიხმობთო.

როცა ბარონესას ოთახში შევედი, მან რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა ჩემკენ, თვალებში დაჟინებით ჩამაშტერდა, მერე კი წამოიძახა:

— განა შეიძლება ეს მოხდეს?! ნუთუ შენ მართლა კაპუცინი მღვდელი მედარდუსი ხარ? კი მაგრამ ვისია ეს ხმა, ტანი, თვალები, თმა. მითხარი ჩქარა, თორემ ალბათ შიში და სასოწარკვეთა მომიღებს ბოლოს!

— ვიქტორინის, — ძლივს გასაგონად წავიჩურჩულე. და ეფემია დაუოკებელი ავხორციული გატაცებით მომეხვია. ძარღვებში ცხელი სიმხურვალე შემომენთო, სისხლი ამიდუღდა, გამოუთქმელმა ლტოლვამ და გიჟურმა ვნებამ გონება დამიბნელა. მაგრამ ამ წუთში ჩემი ცოდვილი არსება ავრელიასადმი იყო მიპყრობილი და ვარღვევდი რა უწმინდეს აღთქმას, ერთადერთს მხოლოდ მას ვწირავდი ჩემი სულის განკურნებას. დიახ, ჩემში მხოლოდ ავრელია ცოცხლობდა, ჩემი ფიქრი ავრელიას დასტრიალებდა, მხოლოდ იმითი ვიყავი მოცული. მაგრამ რაღაც შიშიც მიპყრობდა, როცა გამახსენდებოდა, რომ ამაღამ ვახშამზე მას უნდა შევხვედროდი. დარწმუნებული ვიყავი მისი უბიწო მზერა გაამხელდა ჩემს მომაკვდინებელ ცოდვას, რომ ნიღაბი ჩამომეხსნებოდა. აშკარად ვიღუპებოდი, განადგურება მელოდა, სირცხვილი და გათახსირება არ ამცდებოდა. მართალი გითხრათ, არც ბარონესას ნახვა შემეძლო ასე ერთბაშად მას შემდეგ, რაც ჩვენს შორის მოხდა. ამიტომაც, როცა სუფრაზე მიმიწვიეს, უარი ვუთხარი, უნდა ვილოცო-მეთქი მოვიმიზეზე და ჩემთვის განკუთვნილ ოთახში განვმარტოვდი. მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გადავლახე შიში და სიმორცხვე და ბარონესას ვეწვიე. ბარონესა თავად იყო თავაზიანობის განსახიერება. რაც უფრო მჭიდრო იყო ჩვენი კავშირი და უხვად ვეძლეოდით უტიფარ განცხრომას, მით უფრო იზრდებოდა ეფემიას გულისყურიანობა ბარონისადმი. ეფემია გამომიტყდა, რომ იგი ძალზე დააფრთხო ჩემმა ტონზურამ, ბუნებრივად მოშვებულმა წვერმა და ნალდად მღვდლურმა სიარულმა, რომელიც ამჟამად ნაკლებ მკაცრად მქონდა შენარჩუნებული, ვიდრე პირველ ხანებში. მაგრამ მას შემდეგ, რაც ყველასათვის მოულოდნელად აღტყინებით მივმართე წმინდა როზალიას, ბარონესა თითქოს დარწმუნდა, რომ შეცდა. ეგონა, უკულმართი შემთხვევის გამო ჩაიფუშა მისი და ვიქტორინის ეშმაკურად ჩაფიქრებული გეგმა და საკრფოს მაგივრად ის წყეული კაპუცინი მღვდელი მოევლინა. ეფემია გააოცა ჩემმა წინდახედულებამ, როგორ დავიყენე ასე ბუნებრივად ტონზურა, როგორ მოვუშვი წვერი, როგორ შევისწავლე ბერის მანერები და სიარული, რაც ასე ზუსტად შეესატყვისებოდა ჩემს მიერ არჩეულ როლს, რომელსაც იმზომ ბრწყინვალედ ვასრულებდი, რომ თვითონ ბარონესასაც

უჭირდა გაერჩია ვინ ვიყავი, სულ თვალებში მიყურებდა, რათა უნებლიედ გაჩენილი ეჭვი განეფანტა.

ზოგჯერ პარკის განაპირას გლეხის ტანსაცმელში გადაცმული ვიქტორინის ეგერი გამოჩნდებოდა ხოლმე. მე კიდევ არ ვაყოვნებდი და საიდუმლოდ ვეუბნებოდი, ვაფრთხილებდი მზადყოფნაში ყოფილიყო, რათა საჭიროებისამებრ, თუკი რაიმე საფრთხე დაგვემუქრებოდა, სასწრაფოდ გავცლოდით აქაურობას. ბარონი და რაინჰოლდი ჩემით მეტისმეტად კმაყოფილნი იყვნენ, ამასთანავე დაჟინებით მთხოვდნენ, რაც კი შეიძლებოდა ზემოქმედება მომეხდინა ღრმა ფიქრებში წასულ, მწუხარებისაგან გათანგულ ჰერმოგენზე. მაგრამ ჰერმოგენთან მარტო დარჩენა გამიჭირდა. იგი ჩემთან შეხვედრას გაურბოდა, ხოლო თუ შემთხვევით გადავეყრებოდი ბარონისა და რაინჰოლდის თანდასწრებით, ისე უცნაურად შემომაჩერდებოდა, მართალი გითხრათ, დიდის გაჭირვებით ვახერხებდი თავგზა არ ამბნეოდა. თითქოსდა სულის კუნჭულში მწვდებოდა, ჩემი დაფარული აზრების ამოკითხვა შეეძლო. მის ფერმკრთალ სახეზე, თუკი სადმე გადავაწყდებოდი, აღიბეჭდებოდა ღრმა გულისწყრომა, შეკავებული ბოღმა, ძლივს მოთოკილი ბრაზი. ერთხელ პარკში სეირნობისას სრულიად მოულოდნელად შევხვდი ჰერმოგენს. შევეცადე მესარგებლა ხელსაყრელი შემთხვევით და შესაძლებლობისამებრ გამომეკეთებინა ჩვენს შორის ჩამოწოლილი მტრობა, მძიმე, სულისშემხუთველი ურთიერთობა. როგორც კი ჰერმოგენი ჩვეულებისამებრ შეეცადა ჩემგან გაქცევას, სწრაფად ჩავავლე ხელი და გავაჩერე. მერე კი თანდაყოლილი ენამჭევრობის წყალობით შევძელი ტკბილი და გულშიჩამწვდომი ბაასი გამება მასთან. უბედური ყმაწვილი თითქო ერთხანს გულისყურით მისმენდა, თავი ვერ დაიმორჩილა და გულიც აუჩვილდა. ხეივანში ქვის სკამზე ვიჯექით სასახლიდან მოშორებით. რაც უფრო მეტს ვლაპარაკობდი, მით უფრო იზრდებოდა ჩემი აღმაფრენა. მე შევახსენე ჰერმოგენს, რომ ცოდვად ითვლება, როცა ღრმა სულიერი შეჭირვების ჟამს უგულებელჰყოფ საეკლესიო ნუგეშისცემას და შემწეობას, რადგანაც ამით ივიწყებ, რომ სწორედ ეკლესია მიაგებს ხსნასა და შკელას მწუხარებისაგან დატანჯულთ. ცოდვილია აგრეთვე ის ადამიანი, ვინც მტრულად მოჰკიდებია და ეწინააღმდეგება ცხოვრების მიზანს, რომელიც განგებითაა წინასწარ განსაზღვრული. თვით მოურჯულებელ დამნაშავესაც არ უნდა ეპარებოდეს ეჭვი ღვთის მოწყალებასა და ყოვლისმიმტევებელ სიკეთეში, რადგან სწორედ ეს ეჭვი უკარგავს მას ნეტარებას, რომლის მიხედვითაც შეუძლია, თუკი მონანიების მეშვეობით განიწმინდება და ღვთისმოსავ ცხოვრებას მიჰყოფს ხელს. ბოლოს შევეცადე ჩამეგონებინა, ახლავე ეთქვა აღსარება, გული გადაეშალა ჩემთვის, ვითარცა ღვთის წინაშე გააკეთებდა ამას, სამაგიეროდ ცოდვების მიტევება აღვუთქვი წინასწარ. ჰერმოგენი უეცრად წამოვარდა, წარბები შეჰყარა, თვალები ცეცხლივით აუელვარდა, ფერმიმკრთალ სახეზე ალმური მოედო და უცნაურად გამკივანი ხმით იყვირა:

— განა შენ თვითონ წმინდა ხარ და უცოდველი? როგორ ბედავ ღვთის სახელს ამოფარებულმა უტიფრად ჩაიხედო ჩემს სულში?! რა თავმოთნედ აღმითქვამ ცოდვებისაგან განტევებას! სასურველ ნეტარებას ვერასოდეს ეღირსები, იგი შენთვის საუკუნოდაა დაკარგული, საწყალობელო ფარისეველო! შურისგების საათი მალე ჩამოჰკრავს ზარს, იგი ახლოსაა! ამაოდ შეავედრებ უფალს შემწეობას. შხამიანი მატლივით აღიგვები პირისაგან

მიწისა. თავისმომჭრელი სიკვდილი კრუნჩხვებს დაგმართებს, გაუსაძლისი ტკივილები გაგტანჯავს, ვიდრე არ ჩაძაღლდები შეშლილობასა და სასოწარკვეთაში, — ეს თქვა და იქაურობას გაეცალა. მე კი განადგურებული, დათრგუნვილი, სასომიხდილი დამტოვა. კვამლივით გაქრა ჩემი სიმშვიდე, ვაჟკაცობა, თავმოყვარეობა. სწორედ იმ წუთში ეფემია დავინახე, სასახლიდან გამოდიოდა, თავსაბურავი ეხურა და მხრებზე შალი წამოესხა, სასეირნოდ იყო გამოწყობილი. ნუგეშსა და შემწეობას მხოლოდ მისგან მოველოდი. თვალისდახამხამებაში მასთან გავჩნდი. იგი შეაკრთო ჩემმა მწუხარე შესახედაობამ. რა მოგივიდაო, მკითხა. სულმოუთქმელად ვუამბე, როგორ შევხვდი შეშლილ ჰერმოგენს და რა შემაშფოთებელი სიტყვები მითხრა. სხვათა შორის შიში გამოვთქვი, ვინ იცის, შენმა გერმა რალაც აუხსნელი ძალის შემწეობით ჩვენი საიდუმლო ამოიცნოს-მეთქი. ეფემიას თითქოს არც გაკვირვებია, რაც მოხდა. პასუხად ისე უცნაურად გამილიმა, რომ, ცოტა არ იყოს, შიში დამეუფლა და თავი უგუნებოდ ვიგრძენი. ეფემიამ მითხრა:

— გავშორდეთ აქაურობას და პარკის სილრმეში შევიდეთ, თორემ შეგვხედავენ და, ვინ იცის, თვალშიც მოვხვდეთ, ღირსპატივცემული მამა მედარდუსი რომ ასე გზნებით მელაპარაკება.

სასახლიდან კარგა მოშორებულ ჭალაკში შევედით. აქ ეფემია გაშმაგებული ვნებით მომეხვია. მისმა ცეცხლოვანმა კოცნამ ალმური მომიკიდა. ბაგეები დამიწვა.

— დაწყნარდი, ვიქტორინ, — მითხრა ეფემიამ, — ნურაფერი დაგაეჭვებს და შეგაშფოთებს. მართალი გითხრა, კიდეც მიხარია, შენსა და ჰერმოგენს შორის რომ უთანხმოება ჩამოვარდა. ამიტომ მწადის და ვალდებულიცა ვარ ზოგიერთი ისეთი რამ გითხრა, რაზეც დიდი ხანია, რაც არაფერს ვამბობ. შენ, რა თქმა უნდა, დამეთანხმები, რომ მე ყოველთვის შემეძლო იშვიათი სულიერი მეუფებით წარმემართა ყველაფერი, რაც კი ცხოვრებაში გარს მეხვია, თან კიდევ დარწმუნებული ვარ, ასეთი რამ ქალებს უფრო ადვილად გამოსდით, ვიდრე მამაკაცებს. გარდა ამისა ისიც კარგად უნდა მოგვეხსენებოდეს, რომ გარდა იმ გარეგნული სახელდაურქმეველი, ეჭვმიუტანელი ხიბლისა, რაც ბუნებამ ქალთა სქესს მიჰმადლა, ქალის არსებაში სახლობს მაღალი პრინციპიც, რაიც ამ ხიბლს სულიერი ძალმოსილებით ერთ მთლიანობად აქცევს და თავის ქეიფზე წარმართავს. ეს არის უცნაური გამოსვლა საკუთარი თავიდან, რაიც უფლებას გაძლევს სულ სხვა თვალით უჭვრიტო შენს „მე"-ს და შენივე მაღალი ნებით გამოჭედილი ფანდის მეშვეობით ეწიო მიზანს და საწადელს, ჯიუტად მიჰყვე ამქვეყნიურ ყოფაში მძლავრობით შენს მაღალღირსეულ დამკვიდრებას. არსებობს კი ქვეყნად უფრო მაღალი, ვიდრე ცხოვრებაში ცხოვრებას ჰპყრობდე, ყოველი მისი გამონაშუქი, ყოველი უჭირველი განცხრომა შენს ნება-სურვილს დაუმორჩილო, უჩვეულო ჯადო-გრძნებით მოხიბლო ირგვლივ ყველა, რაიც მარტოოდენ რჩეულებს ხელეწიფებათ. შენ, ჩემო ვიქტორინ, იმ ადამიანთა მცირე რიცხვს განეკუთვნები, ვინაც სრულად შეიცნო ჩემი ზრახვები. გარდა ამისა, შენ ძალგიძს დამოუკიდებელი თვალსაზრისი შეგექნეს საკუთარ თავზე, ამიტომაც შეყოვნებისა და ჭოჭმანის გარეშე გამოგაცხადე დედოფლის მეუღლედ და უზენაესი მეუფების ტახტზე აგიყვანე. ამ საიდუმლოებამ აამაღლა მომხიბვლელობა ჩვენი კავშირისა, ხოლო მოჩვენებითმა განშორებამ ასპარეზი მისცა ჩვენს

ახირებულ ფანტაზიას, რომელიც ჩვენდა სანეტაროდ, ჩვენდა განსაცხრომ-ად ნებივრად ეთამაშება უგვანო ყოველდღიური ცხოვრების მდაბალ ურ-თიერთობებს. განა ჩვენი ამჟამინდელი ერთად ყოფნა, თუკი ამას მაღალი გაგებით შეხედავ, თავზეხელაღებული შემართება არ არის, რომელიც აბუ-ჩად იგდებს საყოველთაოდ მიღებულ შეზღუდულ და უძლურ ცნებებს. მე ისიც მგონია, რომ შენს ამჟამინდელ სავსებით განსაკუთრებულ და უჩ-ვეულო მდგომარეობაში, რაც მხოლოდ მღვდლის ანაფორას არ გულის-ხმობს, სულიერი საწყისი ემორჩილება მასზე გაბატონებულ და მით გან-პირობებულ პრინციპს, რის წყალობითაც იგი რაღაც საოცარი ძალით ზე-მოქმედებს გარეგნობაზე, თვითონ სხეულსაც სხვაგვარ ფორმასა და შე-სახედაობას აძლევს, რათა იგი სავსებით შეესატყვისებოდეს წინასწარ გა-ნსაზღვრულს. შენ კარგად იცი, ჩემი შეხედულებები საგნებსა და მოვლე-ნებზე ჩემსავე სულის სიღრმეშია ჩაგმანული, კარგად მოგეხსენება აგრე-თვე ისიც, რომ ჭირის დღესავით მძაგს დადგენილი ჩარჩოები და შემო-ზღუდვები, ხშირად მიხდება და კიდეც მომწონს აკრძალულთან შეთამა-შება. ბარონზე რა ხანია, რაც გული ავიყარე, იგი უკვე ზიზღსა მგვრის, მომბეზრდა მისი ცქერა. თავის დროზე მე იგი გამომადგა, რათა ჩემს მი-ზანს ვწეოდი, ამჯერად კი სრულიად უმაქნის, უსარგებლო ბარგი-ბარ-ხანად მექცა. რაინჰოლდი მეტისმეტად შეზღუდულია საიმისოდ, რომ მისი პატივისცემა შევძლო. ავრელია კი მართლაც ძვირფასი ბავშვია. ერთად-ერთია მხოლოდ ჰერმოგენი, ვინც შეიძლება რამედ ჩათვალო. უნდა გა-მოგიტყდე, რომ მაგ ჰერმოგენმა ჩემზე პირველი ნახვისთანავე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. რატომღაც იგი იმ კაცად ჩავთვალე, ვისაც ძა-ლუძს შეიცნოს სიხარული მაღალი ცხოვრებისა და მინდოდა მისთვის ეს საიდუმლო გამემხილა, მაგრამ სიცოცხლეში პირველად შევცდი. ჰერმო-გენში ჩემდამი მტრულად განწყობილი კაცი ვიხილე. მისი შფოთი და ამ-ბოხი ჩემს მიმართ არ ცხრებოდა, სულ მუდამ კრიჭაში მედგა. სწორედ ის ჯადო განიზიდავდა ჩემგან, რითაც სხვებს უნებლიე ცთუნების ქსელში ვა-ხვევდი. იგი სულ მუდამ ცივი, მჭმუნვარე და უთქმელი რჩებოდა, საოც-რად მეჯიბრებოდა, ტოლს არ მიდებდა. მისი ამგვარი ყალყზე დგომა მა-ღიზიანებდა, ბრძოლად მაქეზებდა, ხოლო ამ ბრძოლაში იგი რომ უსათუ-ოდ დამარცხდებოდა, ეს აშკარად ვიცოდი. ბრძოლის დაწყება საბოლოოდ მაშინ განვიზრახე, როცა ბარონმა მიამბო, როგორ შესთავაზა ჰერმოგენს ჩემი თავი და როგორ მიიღო მისგან უარი. როგორც კი ბარონმა ეს მითხ-რა, მაშინვე თითქოს ღვთაებრივმა ნაპერწკალმა გამინათა გონება და გან-ვიზრახე, ცოლად ბარონს გავყოლოდი და ამით ერთხელ და სამუდამოდ თავიდან მომეშორებინა საყოველთაოდ მიღებული ზრდილობის წესთა ის წვრილმანები და პირობითობები, ხშირად რომ უსიამოდ მაწვა გულზე, საოცრად მზღუდავდა, მავიწროებდა. მაშინ, ვიქტორინ, საკმაოდ ხშირად გელაპარაკებოდი ამ ქორწინებაზე, რაც შენ ძალიან გაეჭვებდა. მაგრამ შე-ნი ეჭვები საქმით გავფანტე. სულ რამდენიმე დღეში შევძელი ბერიკა-ცი ნაზ და სულელ სატრფოდ მექცია. რასაც კი მოვისურვებდი, ყველაფერს საკუთარი გულისთქმის აღსრულებად მიიჩნევდა, რაზეც ადრე ფიქრიც ვერ გაებედა. სულის სიღრმეში მხოლოდ ერთი საწადელი მიტრიალებდა, ამ სურვილით ვიყავ ატანილი, როგორმე შური მეძია ჰერმოგენზე, რასაც შვება და კმაყოფილება უნდა მოეგვარა. მაგრამ ამ ქორწინებით მაშინ ჰერმოგენს ძლიერი და მომაკვდინებელი დარტყმა ვერ მივაყენე, იგი იმ-

ჯერად მიზანს აცდა. კარგად რომ არ გიცნობდე, ვიქტორინ, დარწმუნებული რომ არ ვიყო, რომ შენ ძალგიძს ამოხვიდე ჩემი თვალსაზრისების სიმაღლეზე, იქნებ არც მეთქვა ყველაფერი, რაც ერთხელ ჩემსა და ჰერმოგენს შორის მოხდა, მინდოდა, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, ჰერმოგენის სულს დავუფლებოდი. და ერთხელაც, დედაქალაქში ჩემი ბოლო ჩასვლისას მწუხარება და ჭმუნვა ავიფარე სახეზე. ჰერმოგენი კი ამ დროს პირიქით, ცხოველ გატაცებას იჩენდა სამხედრო სამსახურისადმი და მხიარულ და ლაღ განწყობაზე იყო. ბიძის ავადმყოფობა ნებას არ მაძლევდა მაღალი საზოგადოების საღამოზე წავსულიყავი, ახლო მეზობლებთან სტუმრობასაც თავს ვარიდებდი. ჰერმოგენი მეწვია, მაგრამ, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ზრდილობისთვის გაელო ხარკი და დედინაცვალი მოეკითხა. დამწუხრებული და საოცრად შეცვლილი რომ მნახა, ბუნებრივია, დაჟინებით მკითხა, რა დაგემართაო. მე კი ცრემლთა ფრქვევით ვაუწყე, ბარონის ჯანმრთელობა დღითი დღე უარესდება, მისი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია და რა მეშველება, ის რომ დავკარგო, ამის გაფიქრებაც კი მზარავს-მეთქი. ჰერმოგენი შესძრა ამ ამბავმა. მისმა გაოცებამ კიდევ უფრო იმატა მას შემდეგ, რაც დიდის გრძნობით და გულის კანკალით ვუთხარ, რა ბედნიერი ვიყავ ბარონთან, ვუამბობდი სოფლად ჩვენი ერთად ცხოვრების უმცირეს წვრილმანსაც კი. გატაცებით და შთაგონებით ველაპარაკებოდი ჩემს გერს, რა დიდებული და ამაღლებული სულის კაცი იყო ბარონი, რომ მისი სათნო ხასიათი მთელი თავისი ბრწყინვალებით სრულად გამოჩნდა, რომ მე უმისოდ აღარ გამეძლება, რომ მხოლოდ იმითი ვცოცხლობ და ვსულდგმულობ, რადგან უსაზღვროდ მიყვარს და პატივსა ვცემ. ჩემმა სიტყვებმა ჰერმოგენი განცვიფრებაში მოიყვანა. იგი აშკარად ებრძოდა საკუთარ თავს. ჩემმა ჯადო-გრძნებამ გასჭრა, მისი სული დავიურვე და მოვრთგუნე ის მტრული პრინციპი, რომელიც წინათ სასტიკად მეურჩებოდა. ჩემი ტრიუმფის დასტური იყო მისი კვლავ სტუმრობა მეორე საღამოს.

კვლავ მარტო დავხვდი, კიდევ უფრო დამწუხრებული და მღელვარე, ვიდრე წინადღით. მე ისევ ბარონზე დავიწყე ლაპარაკი, ვუთხარი, მისი კვლავ ხილვის ენით უთქმელი სურვილი მტანჯავს-მეთქი. ჰერმოგენი თანდათან შეიცვალა, ახლა იგი ის აღარ იყო, რაც უწინ, სულ სხვანაირი გახდა. ჩემს თვალებს მიენდო, დაემონა. ამ თვალთაგან მონაშუქი სახიფათო სხივები ავისმომასწავებლად უკიდებდა ცეცხლს და სულს უფორიაქებდა. როცა ჩემი ხელი ხელში ეჭირა, თრთოდა, ცახცახებდა, ითანგებოდა, ხოლო გულიდან ღრმა ოხვრა აღმოხდებოდა ხოლმე. სწორად გავითვალე, როდის მიაღწევდა მისი გაუცნობიერებელი ეგზალტაცია აპოგეას. იმ საღამოს, როცა იგი საბოლოოდ უნდა ძირს დამენარცხებინა, აღარაფერს დაერიდე, ისეთი ქვეშ-ქვეშა ხელმიმყოფლობა გამოვიჩინე, წამდაუწუმ რომ მიმართავენ და არასოდეს კარგავს ზემოქმედების ძალას. შედეგმაც არ დააყოვნა. იგი არნახულად შემაძრწუნებელი იყო. ამას ვერც კი წარმოვიდგენდი. ჩემი გამარჯვება დამაჯერებელი და უტყუარი გამოდგა. ამ გამარჯვებამ შესანიშნავად დაადასტურა ჩემი უსაზღვრო შესაძლებლობები. ძალამ, რითაც ჰერმოგენის ჩემდამი მომართული მტრული პრინციპი დავამარცხე და რაიც საოცარი წინათგრძნობით გაცხადდა მასში, საბოლოოდ გატეხა მისი სული და ჰერმოგენი გაგიჟდა, რაც შენ უკვე იცი, მაგრამ ამ სიგიჟის მიზეზი კი არ იცოდი. შეშლილები ხშირად მეტისმეტად ფხი-

ბელნი და მგრძნობიარენი არიან. იმათ გაუცნობიერებლად აღაგზნებს უცხო სულიერი პრინციპი და ზოგჯერ ჩვენი სულის იდუმალ ხვეულებსაც სწვდებიან და ამას ისე უცნაურად ააშკარავებენ, რომ ჩვენი მეორე „მე"-ს მრისხანე ხმა უნებურად გვაიძულებს შიში დაგვეუფლოს და ავცახცახდეთ და სწორედ იმ განსაკუთრებული მდგომარეობის წყალობით, ჩვენ სამნი — მე, შენ და ჰერმოგენი რომ ვიმყოფებით, იგი იდუმალად შენს სულში იჭ-ვრიტება და ხელებს აფათურებს და ამის გამო უკეთურადაა განწყობილი შენდამი, მაგრამ ამაზე ნუ იჯავრებ, არავითარი საშიშროება ჩვენ არ გვე-მუქრება. კიდეც რომ მტრად მოგეკიდოს და ყველაფერი დაფქვას, რასაც შენზე ფიქრობს, აი ვთქვათ, იყვიროს, ნუ დაუჯერებთ შენიღბულ მღვდე-ლსო, განა მღვდლის სამოსელში გადაცმულს უფრო არ დაუჯერებენ, ვი-დრე ჭკუაზე შეშლილს. ვინ რად ჩააგდებს იმის სიტყვას, თუ არ მარტოოდ-ენ შერყეულის მიერ წარმოსახვით შექმნილ იდეად და ცარიელ ფანტა-ზიად. გარდა ამისა, რაინჰოლდიც ხომ კეთილადაა განწყობილი შენდამი და მამა მედარდუსად შეგიცნო. ოღონდ ერთი რამ კი ცხადია, შენ ვერ შესძლებ ზემოქმედება მოახდინო ჰერმოგენზე, ჩემსავით. შურისგება ხომ ალვასრულე, ამიერიდან ჰერმოგენს აღარ დავეძებ, იგი ხომ ჩემთვის შორს მოსროლილი არაფრისმაქნისი და გამოუსადეგარი სათამაშოა, ხოლო იმ თავისი ლოცვებით კიდევ უფრო მიწვრილებს გულს. ლოცვისას იგი შეშ-ლილი, გაქვავებული და ცოცხალ-მკვდარი თვალებით მიცქერის და ჭკუა-გონებას მიბნევს, ჩემს კვალს გამოდგომია, რათა დევნა გამომიცხადოს. რადაც არ უნდა დამიჯდეს, აქაურობას უნდა მოვაშოროთ და საამისოდ შენი დახმარება მჭირდება. შენ ძალგიძს განუმტკიცო ჰერმოგენს აზრი, რომ მონასტერში წავიდეს, თანაც დაარწმუნო ბარონი და მისი მეგობარი მრჩეველი რაინჰოლდი, ხელს ნუ უშლით მის განზრახვას, მისი სულის ხსნა და გადარჩენა მარტოოდენ ეკლესიას თუ შეუძლია-მეთქი. მართალი გითხრა, ჰერმოგენი ძალიან მძულს, ზოგჯერ მისი შემოხედვა თავგზას მიბნევს და გუნება-განწყობილებას მიფუჭებს, ამიტომაც იგი უნდა წავი-დეს აქედან. ერთადერთი არსება, რომელსაც ჰერმოგენს ვერც შევადარებ, ავრელიაა, ეს ღვთისმიერი, უზაკველი ბავშვი. სწორედ ავრელიას მეშვეო-ბით შეგიძლია ზემოქმედება მოახდინო ჰერმოგენზე. მე დაგაახლოვებ მა-სთან. ის კი არადა, თუ საჭიროდ ჩათვლი, შეგიძლია ბარონსა და რაინ-ჰოლდს გაუმხილო, ვითომ ჰერმოგენმა შენს წინაშე მძიმე შეცოდება მო-ინანია, რის შესახებაც მოვალეობის კარნახით გასაგები მიზეზის გამო, ბუნებრივია, დუმილს ამჯობინებ. მაგრამ ამაზე შემდეგ. შენ უკვე ყვე-ლაფერი იცი, ვიქტორინ. შეგიძლია იმოქმედო კიდეც, ოღონდ ბოლომდე ჩემი კეთილსაიმედო მოკეთე უნდა დარჩე. მოდი, ერთად ვიმეფოთ ტიკი-ნათა უბირ სამყაროზე, ჩვენს გარშემო რომ ტრიალებს. საჭიროა ცხოვ-რებამ თავისი საუცხოო ნაყოფი გვაგემოს და არა ხუნდი დაგვადოს და თავის შეზღუდულ ყოფაში ჩაგვითრიოს.

უცებ შორიდან ბარონი დავინახეთ და მისკენ გავემართეთ, თანაც თავი ისე მოვაჩვენეთ, ვითომც ღვთისმოსავ საუბრებში ვიყავით გარ-თული.

რაწამს ეფემიამ დაუფარავად გამოთქვა თავისი ცხოვრებისეული შე-ხედულებები, უმალ საკუთარ თავში ზებუნებრივი ძალა ვიგრძენი, რამაც შთამაგონა, ფრთები შემასხა და უზენაესი პრინციპის გამოვლენად მექ-ცა. ჩემს არსებაში რაღაც ზეადამიანური საწყისი შემოიჭრა, რისი წყა-

ლობითაც სულ სხვანაირი თვალსაზრისი გამიჩნდა მოვლენებზე, ყველაფერზე სულ სხვა დამოკიდებულება შემექმნა. აშკარად ფერი ვიცვალე. სულის ის სიმტკიცე და ცხოვრებაზე მიმძლავრება, რითაც ეფემიას თავი მოჰქონდა, სასაცილოდაც არ მყოფნიდა, უწყალო გაქირდვის ღირსად მიმაჩნდა. როცა იმ საწყალს ეგონა, თავისი გუდაფშუტა, მოუფიქრებელი თამაშით აღემატებოდა ცხოვრებას და უკიდურესად მზაკვრულ ილეთებს ვიმართავდა, ამ დროს იგი მინდობილი იყო შემთხვევითობას ანდა ავ ბედისწერას, რასაც ჩემი ხელი წარმართავდა. ალბათ ჩემი ძალმოსილების წყალობით იყო, იდუმალებით აღსავსე ძალებით ანთებული, შეცდომით რომ მისი მეგობარი და მეკავშირე ვეგონე. სინამდვილეში კი მისდა ჭირად და სავალალოდ მისი სატრფოს გარეგნული სახე მივიღე, სწორედ მე შევბოჭე იგი უკეთური ძალმოსილებით და იმას უკვე აღარ შეეძლო გამოხსნოდა ამ შებოჭილობას. მართალი გითხრათ, ეფემია თავისი პატივმოყვარული და ამპარტავნული ცთომებით ჩემში უსაზღვრო სიძულვილს იწვევდა. რაც უფრო უხამსი ხდებოდა ჩემი და ეფემიას ურთიერთობა, მით უფრო ცოცხლობდა ჩემს არსებაში ავრელია და ჩემგან ჩადენილ ცოდვებისათვის ბრალი მხოლოდ იმას მოეკითხებოდა, თუკი, რა თქმა უნდა, ცოდვად ჩაითვლებოდა მიწიური ნეტარების მწვერვალზე დგომა და განვიზრახე ჩემში ჩასახლებული იდუმალი ძალმოსილების ჯადოსნური კვერთხით დამელაშქრა ის მაგიური წრეები, რაშიც ჩემს თავშესაქცევად ნაირფერად მოვლენებს უნდა ებოგინათ. ბარონი და რაინჰოლდი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, როგორმე სასიამო გაეხადათ ჩემთვის ციხე-სასახლეში ცხოვრება. იმათ გულშიც არ გაუვლიათ, რა საეჭვო ურთიერთობა მქონდა ეფემიასთან. პირიქით, ბარონი ხშირად მეუბნებოდა უნებლიე გულის გადაშლით, თქვენი წყალობით დამიბრუნდა ეფემიაო. ეს კი ნათლად მიმანიშნებდა სისწორეს რაინჰოლდის ვარაუდისა, თითქოს რაღაც შემთხვევამ ბარონს თვალი აუხილა და აღმოაჩენინა ეფემიას აკრძალული გზებით ნაგემები ცოდვილი განცხრომის ნაკვალევი. ჰერმოგენს იშვიათად ვხედავდი. იგი გამირბოდა, თანაც ჩემდამი აშკარა შიში და შეგუბებული წუხილი დაუფლებოდა. ბარონსა და რაინჰოლდს მიაჩნდათ, რომ ჰერმოგენს თრგუნავდა ჩემი წმინდა ღვთისმოსავი ცხოვრება, მას შიში და კრძალვა ჰქონდა ჩემი სულისმიერი ძალის წინაშე, რომელსაც შეეძლო მისი სნეული დამსხვრეული სულის დანახვა. ავრელიაც თვალს არიდებდა ჩემს შემოხედვას და, რაც შეეძლო გამირბოდა კიდეც. როცა კი დაველაპარაკებოდი, ჰერმოგენის მსგავსად მასაც შიში და წუხილი ეუფლებოდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ შეშლილმა ჰერმოგენმა წინასწარმეტყველურად გაუმხილა თავის დას, რა შიშისმომგვრელი გრძნობები მქონდა ავრელიასადმი, როგორ მიფრიალებდა გულს მისი დანახვა, თუმცა მაინც შესაძლებლად მიმაჩნდა გადამელახა ეს ცუდი განცდა. ბარონი, ეტყობა, ცოლმა შეაგულიანა და მე და ავრელია ერთმანეთს დაგვაახლოვა, რათა მისი შემწეობით ჰერმოგენზე მომეხდინა ზემოქმედება. ბარონმა მთხოვა, ავრელიასათვის რელიგიის მაღალი საიდუმლო გამეცნო. ამით ეფემიამ თვითონვე შემიქმნა საშუალება მშვენიერებას დავწაფებოდი, რაც არა ერთხელ დაუხატავს წინასწარ ჩემი მგზნებარე წარმოსახვის წინაშე ნაირფერად სურათებად. სხვას კიდევ რაღას მოასწავებდა იმდღევანდელი ხილვა ეკლესიაში, თუ არ სანეტარო დანაპირების ხორცშესხმას? სწორედ ეს შთამაგონებდა ძალას, რისი შემწეობითაც იგი ჩემი გახდებოდა. ამის მეტი აღარაფერი მი-

ნდოდა. მისი დაპყრობა, დაუფლება თუ დააცხრობდა ჩემს სულში ატეხილ ქარიშხალს, რომლის ბობოქარი ტალღები ხან ერთ, ხან მეორე ნაპირს მიმანარცხებდა. ავრელიას შემოხედვა, მისი სიახლოვე, მისი კაბის უნებლიე შეხება თითქოს ცეცხლს მიკიდებდა. სისხლი ჩქეფდა ძარღვებში, ცხელ ღვარად მოედინებოდა, ფეთქავდა, ცდილობდა დაუფლებოდა იდუმალი ფიქრების წიალს. ამიტომაც დაჟინებით ველაპარაკებოდი რელიგიის საკვირველ საიდუმლოზე, რომელსაც მწველი ფერებით ვუხატავდი. ამის მიღმა კი იმალებოდა ჩემი მტანჯველი ლტოლვა ხორციელი სიყვარულისაკენ და ამ სიყვარულში გათანგულის ავხორცული ბოდვა. მჯეროდა, ჩემი სიტყვების გზნება ელექტროდენივით დაუვლიდა ტანში და ამაო იქნებოდა მისი მცდელობა, გამკლავებოდა მოზღვავებულ გრძნობას. მის სულში გაუცნობიერებლად უნდა გაედგა ფესვი ჩემს მიერ იდუმალად დახატულ საოცარ სურათებს და ნელ-ნელა გამოკვეთილი სახე მიეღოთ, საოცარი და მნთებარე თავისი ღრმა მნიშვნელობით. ჩემი თავგადაკლული მცდელობა მანამ გასტანდა, ვიდრე მისი გული არ აღივსებოდა აქამდე მისთვის უცნობი ნეტარების საამო წინათგრძნობით, ვიდრე გამოუთქმელი გულისთქმით გატანჯული და ქანცმილეული საკუთარი ნებით არ აღმოჩნდებოდა ჩემს მკლავებში. რუდუნებით ვამზადებდი ავრელიას ეგრეთ წოდებულ საღვთო რჯულში და ვგრძნობდი, რაოდენ დიდ და საოცარ ზემოქმედებას ახდენდა მასზე ჩემი სიტყვები. ეს ღვთისმოსავი ბავშვი კრძალვით მისმენდა, ხელები დაეკრიფა, როგორც ამას ლოცვისას აკეთებენ, თვალები ძირს დაეხარა, მაგრამ ჩემი ეს მცდელობა ფუჭი გამოდგა, არაფერზე არ ეტყობოდა, არც შერხევაზე, არც წყნარ ამოოხვრაზე ჩემი სიტყვებით გამოწვეული ღრმა შთაბეჭდილება. მინდოდა ნაბიჯი გადამედგა, მაგრამ არ შემეძლო, ერთ ადგილს ვიყავი მიჯაჭვული. იმის ნაცვლად, რომ ავრელიას გულში ვნების ცეცხლი დამენთო, რაც იმას აიძულებდა ცთუნების მსხვერპლი გამხდარიყო, თვითონვე ვიწვოდი და ვიდაგვოდი ვნების ალმურში. ტკივილამდე ავხორცული ნდომით ატანილი, გაშმაგებული და თავგზადაკარგული ათასნაირ გეგმებს ვაწყობდი ავრელიას გასახრწნელად. როცა ეფემიას აღტაცებასა და აღფრთოვანებას ვეპირფერებოდი, სულში მისდამი სასტიკი სიძულვილი მიჩნდებოდა, რაც ბარონესასთან ჩემს წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებას ველურ და მძრწოლვარე ხასიათს აძლევდა, ეს კი ბარონესას შიშის ზარს სცემდა. მას ოდნავადაც ეჭვი არ ეპარებოდა, რა საიდუმლოსაც ვინახავდი გულში და მისდა უნებურად ჰმორჩილებდა ჩემს დესპოტურ მბრძანებლობას, რომელიც იმას თანდათან თავის ნებაზე დაატარებდა. ხშირად ვფიქრობდი, რომ ამ მტანჯველი ვნებისაგან ავრელიას ძალით დაპყრობა თუ მიხსნიდა მხოლოდ, მაგრამ როცა ჩემი საშიში აზრები აბობოქრდებოდნენ და ავრელიას შევხედავდი, მეჩვენებოდა, რომ ჩემს წინაშე იდგა მფარველი ანგელოზი, რომელიც თავისი ფრთებით მიფარავდა უკეთური ძალისაგან. ამ დროს მთელს ტანში ჟრუანტელი დამივლიდა, ბოროტი ზრახვა კი უეცრად ჩამიცხრებოდა ხოლმე. ბოლოს როგორღაც აზრად მომივიდა მასთან ერთად მელოცა. გამოცდილებით ვიცოდი, რომ ლოცვა ვნებას აღვიძებს, რადგან ლოცვის ჟამს გზნებით აღმოსკდება ცეცხლი გულისა, რაიც ბობოქარი ტალღებივით ამოხეთქავს და სულს იდუმალად აამოძრავებს, რათა სწვდეს შეუცნობელს, დააცხროს გამოუცნობი სევდა, რამაც ლამის გული გაგიხეთქოს. ამ დროს, შესაძლოა, მიწიური საწყისი ზეციურის ნიღბით მოევლინოს მიამიტი სუ-

ლის არსებას და უზენაესი ნეტარების ამქვეყნიურ საუფლოში მიუწვდომი აღტყინება აღუთქვას. გაუცნობიერებელი ვნება უხრწნელ და უზაკველ არსებას მახეში გააბამს და ზეციური სიწმინდისაკენ სწრაფვა დაინთქმება გამოუთქმელ, ჯერ არგანცდილ მიწიურ ავხორცობაში. თვითონ იმ წუთშიც კი, როცა ავრელიას ხმამაღლა უნდა გაემეორებინა ჩემს მიერ გამოგონილი ლოცვები, აშკარად ხეირი უნდა დამყროდა, რადგან ამ დროს ადვილად შეიძლებოდა ხორცი შესხმოდა ჩემს ბიწიერ სურვილს. გარკვეულწილად მართალიც ვიყავი. აი, ავრელია ჩემს გვერდით მუხლებზე დაჩოქილი დგას, თვალები ზეცისაკენ მიუპყრია და ხმამაღლა იმეორებს ჩემგან წარმოთქმულ ლოცვებს, ყვრიმალებზე სიწითლე გადაჰკრავს, მკერდი მღელვარებისაგან აუტოკდება და მე ვითომც ლოცვებში გართულმა უნებლიედ ხელი დავსტაცე და მკერდში ჩავიკარ, ისე ახლოს ვიყავი გოგონასთან, რომ მისი სხეულის სითბოს ვგრძნობდი, იმისი გაშლილი თმა მხრებზე ჩამომეყარა და გიჟური ვნებით შეპყრობილმა თავგზა დავკარგე და ძხურვალედ მოვეხვიე. ჩემმა კოცნამ ბაგეები და მკერდი დაუწვა. უეცრად საშინელი ყვირილით გამისხლტა ხელიდან და მისი დაჭერა ვერ შევძელ, რადგან ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ციდან მეხი ჩამოვარდა და თავზე დამეცაო. ავრელია გვერდით ოთახში შევარდა. კარი გაიღო და იქიდან ჰერმოგენი გამოვიდა. ზღურბლზე შეჩერდა, გაშმაგებული გიჟივით ამაზრზენად შემხედა. ძალა მოვიკრიბე, უტიფრად მივეჭერ და ბრძანების კილოთი ენერგიულად შევუყვირე:

— შენ აქ რა გინდა? აქედან გაეთრიე, გიჟო!

მარჯვენა ხელი ჩემკენ გამოიშვირა და ყრუ, შემზარავი ხმით მომაყვირა:

— დუელში გამოგიწვევდი, მაგრამ მახვილი თან არა მაქვს. ესეც არ იყოს, შენი თვალებიდან სისხლი მოწვეთავს და ეს სისხლი წვერებზეც გაცხია.

ეს თქვა, კარი მაგრად მიიჯახუნა და გაუჩინარდა, მე კი მარტო დამტოვა. საკუთარ თავზე ბრაზი მომდიოდა, რისხვას ველარ ვიკავებდი. იმის გამო, რომ თავს უფლება მივეცი მოუთოკავი ვნების აფეთქებას ავყოლოდი და იმ დღეში ჩავვარდი, რომ ავრელიას თუნდაც ერთ სიტყვასაც კი შეეძლო დაღუპვის კარამდე მივეყვანე. მაგრამ ჩემს ოთახში არავინ შემოსულა, ამიტომაც საკმარისი დრო მქონდა გონზე მოვსულიყავ, ძალა მომეკრიბა. ჩემში ჩასახლებულმა ბოროტმა სულმა ჩამაგონა, რაღაც მეღონა, რომ გამართლება ჰქონოდა ჩემს უკეთურ საქციელს, როგორმე ცუდი შედეგები არ მოჰყოლოდა.

როგორც კი ეს შესაძლებელი გახდა, დაუყოვნებლივ მივაშურე ეფემიას და უტიფარი ქედმაღლობით ვუამბე ყველაფერი, რაც ავრელიასთან შემემთხვა, ეფემიას ამ ამბისთვის არც ისე მსუბუქად შეუხედავს, როგორც მოველოდი და მოვისურვებდი. ჩემთვის სავსებით გასაგები იყო, რომ ეფემიას თავისი განთქმული სულიერი სიმტკიცის გარდა ჰქონდა უნარი, საგნები და მოვლენები სავსებით განსხვავებული, ახლებური კუთხით დაენახა, გარდა ამისა, წვრილმანი ეჭვიანობის გამოჩენაც ჩვეოდა. ამიტომაც ეეშინოდა, ავრელიას ჩემზე სამდურავი არ დასცდეს-მეთქი. თუკი ეს მოხდებოდა, ის დიდების შარავანდედი, ჩემს წმინდანობას რომ თავს ადგა, ჩაქრებოდა, ხოლო ჩვენი საიდუმლოება გამჟღავნდებოდა. ჩემთვის აუხსნე-

ლი და გაურკვეველი შიშის გამო დავმალე ჰერმოგენის გამოჩენა და ის გულისშემძვრელი სიტყვები, იმან რომ მითხრა.

ეფემია ცოტა ხანს დუმდა. მერე უცნაურად ჩამაშტერდა, ეტყობა ღრმა ფიქრებმა წაიღო. ბოლოს კი მითხრა:

— ნუთუ ვერ ხვდები, ვიქტორინ, რა დიდებულმა, ჩემი ჭკუა-გონების საკადრისმა და შესაგვანმა აზრმა გამიელვა თავში? ვიცი, შენ ამას ვერ მიხვდები, მაგრამ მაინც გააქნიე ფრთები, რათა ჩემს აღმაფრენას გამოჰყვე, რომელიც მზადაა ცაში საფრენად. მართალი გითხრა, ცოტა მიკვირს კიდეც, რომ შენ, ვისაც ჰმართებდა მოეთოკა მაცთუნებელი ვნებები და ყოველდღიური ცხოვრების ყველანაირი გამოვლენა დაგემორჩილებინა, ვერ გაუძელი გვარიანად ლამაზი გოგოს გვერდით დგომას და მუხლებზე დაჩოქილი ცთუნებას აჰყევი და ხვევნა-კოცნა გამართე მასთან. მაგრამ ამისათვის არ გკიცხავ, ოდნავაც არ ვბრაზობ მისადმი აღძრული ხორციელი ნდომის გამო. მე რომ ავრელიას ვიცნობ, იგი უთუოდ დაიმორცხვებს გაამხილოს, რაც თავს გადახდა, ოღონდ ის კი მოხდება, რომ ამიერიდან თავს შეიკავებს დაესწროს შენს ვნებიან საეკლესიო გაკვეთილებს. ამიტომაც სულ არ მეშინია, რომ შენს გიჟობასა და თავშეუკავებლობას უსიამო შედეგები მოჰყვეს. ავრელია არ მძულს, მაგრამ მაცოფებს მისი უპრეტენზიო და წყნარი ღვთისმოსაობა, რომლის მიღმაც აუტანელი სიამაყე იმალება. მაგრამ მე შემწყნარე ვიყავი მისადმი, არც იმას დავრიდებივარ, თავი მომებავშვებინა და მეთამაშა მასთან ერთად, მაგრამ არაფერი გამომივიდა, მისი ნდობა მაინც ვერ დავიმსახურე. იგი უწინდებურად გულჩათხრობილი და უკარება დარჩა, ხოლო ეს არაკეთილგანწყობა და მიუნდობლობა, რაღაცნაირი გოროზი განრიდება ჩემგან საშინლად ცუდ გრ.ძნობებს აღმიძრავს მისადმი. ამიტომაც უცნაური აზრი გამიჩნდა. მინდა ყვავილი, რომელსაც ასე გულზვიადად თავი მოაქვს უბიწოებითა და სინორჩით, ვინმემ უდროოდ მოწყვიტოს და დააჭკნოს. ამ ჩემი შესანიშნავი ჩანაფიქრის ხორცშესხმას კი შენ განდობ. გზაც ადვილად გამოჩნდება და საქმესაც ბრწყინვალედ გავჩარხავთ. საბოლოოდ ყველაფერი ჰერმოგენს დაბრალდება და მერე იმასაც მოვიშორებთ თავიდან.

ეფემია ენას არ აჩერებდა, გატაცებით ლაპარაკობდა თავის ზრახვებზე და თანდათან მისი სიტყვები მძულვარებას აღმიძრავდა, რადგანაც ამ ქალში უხამს და ვერაგ არსებას ვხედავდი. და რაც უფრო ვნებით მწყუროდა ავრელიას დაღუპვა, რომელიც ერთადერთ გზად მიმაჩნდა ჩემი უსაზღვროდ გამტანჯველი და გულის დამღრღნელი გიჟური ტრფობისაგან თავდასახსნელად, მით უფრო სიბილწედ და სიმდაბლედ მეჩვენებოდა ამ საქმეზე ეფემიას თანამონაწილეობა და ეფემიას გასაოცრად უარი ვთქვი მის დახმარებაზე, რადგან უჩუმრად განზრახული მქონდა საკუთარი ძალებით აღმესრულებინა გულისთქმა და საამისოდ არავის შემწეობას არ ვსაჭიროებდი.

როგორც ეფემია ვარაუდობდა, ზუსტად ისე მოხდა. ავრელია თავისი ოთახიდან აღარ გამოსულა, უქეიფობა მოიმიზეზა და რამდენიმე დღით ჩემი გაკვეთილებიდან განთავისუფლება ითხოვა. ჰერმოგენი მისი ჩვეულების საპირისპიროდ, უფრო ხშირად ყოვნდებოდა რაინჰოლდთან და ბარონთან. იგი უკვე ნაკლებ იყო თავის ფიქრებში წასული, ოღონდ უფრო პირქუში და გაავებული ჩანდა. ზოგჯერ ხმამაღლა გამოთქვამდა აზრს და თავის თავს ელაპარაკებოდა. შეხვედრისას ყოველთვის შეკავებული რი-

სხვით მიმზერდა. ბარონისა და რაინჰოლდის ჩემდამი დამოკიდებულებაც შეიცვალა. გარეგნულად ამ ცვლილებას ისინი არ ამჟღავნებდნენ. ყოველთვის პატივისცემითა და გულისყურით მეპყრობოდნენ, ეტყობა, ორივეს რალაც საოცარი წინათგრძნობა აწვალებდა. გაქრა ის გულთბილი კილო, რაც სიცოცხლეს ანიჭებდა ჩვენს საუბრებს და ახლა ურთიერთობები ჩვენს შორის იმზომ დაძაბული და ცივი გახდა, რომ ზოგჯერ დიდი და სერიოზული ძალისხმევა მჭირდებოდა, თავი მომეკატუნებინა, თითქოს ვერაფერს ვამჩნევდი.

ამჯერად ეფემიას შემოხედვაც, რომლის სწორად გამოცნობა ყოველთვის შემეძლო, იმას მაუწყებდა, რომ რალაც მოხდა, რის გამოც იგი განსაკუთრებულად იყო შეძრული, მაგრამ მთელი დღის განმავლობაში შესაძლებლობა არ მოგვეცა სხვებისაგან შეუმჩნევლად გველაპარაკა.

შუალამისას, როცა სასახლე ღრმა ძილმა მოიცვა, გაიღო ჩემი ოთახის საიდუმლო კარი, რომლის არსებობა აქამდე არც კი ვიცოდი და, ოთახში შემოვიდა ეფემია, ასე თავზარდაცემული არასოდეს მენახა.

— ვიქტორინ, საფრთხეში ვართ, უბედურება დაგვატყდა თავს. ჰერმოგენმა, იმ გიჟმა ჰერმოგენმა თავისი უცნაური წინათგრძნობის წყალობით გეში აიღო და ჩვენი საიდუმლო შეიტყო. მან წინასწარმეტყველის დარად საშინელი და შემაძრწუნებელი მინიშნებებით მისნურად ჩააგონა ბარონს ეჭვი ჩემზე, ბარონი კი, თუმცა აშკარად არას მეუბნება, მაგრამ სულს მიხუთავს და მტანჯავს თავისი გულისგამაწვრილებელი თვალთვალით. ეტყობა, ჰერმოგენი ბაიბურში არ არის, რომ შენს წმინდა სამოსელში გრაფი ვიქტორინი იმალება, სამაგიეროდ ჯიუტად ამტკიცებს, რომ შენ ქვეყნის დამაქცევარი, ვერაგი, ცბიერი, წყეული ვინმე ხარ, რომ შენში სატანა ზის, რომ მღვდლის ნიღაბი გაიკეთე და ამ სახლში შემოიპარე, რათა შავი დღე აყარო აქ მყოფებს და ცოდო-ბრალი დაატრიალო ამ ოჯახში, ხიფათს გადაჰყარო ყველა, ვინც კი ამ სახლში ცხოვრობს, ბოროტი ძალისაგან შთაგონებულმა გინდა ხორცი შეასხა შენს გამცემლურ ჩანაფიქრებს. მეტის გაძლება აღარ შემიძლია, დავიღალე ამ გაბავშვებული ბერიკაცის დამამცირებელი ეჭვიანობისაგან, იგი ავადმყოფურად უდარაჯებს ჩემს ყოველ ნაბიჯს. ეს კი ჩემთვის აუტანელია. იცი, ვიქტორინ, მომწყინდა ეს თოჯინა და მისი გადაგდება მინდა. და შენც თუკი ჩემს სურვილს შეასრულებ, ამით ერთხელ და სამუდამოდ თავს დააღწევ დაჭერის საფრთხეს და ჩვენს მიერ გენიალურად გამოგონილ ურთიერთობას აქცევ გაცვეთილ, ყბადაღებულ მასკარადად, უგემოვნო ქორწინების ისტორიად, რომლის მოქმედი გმირები იქნებიან მოხუცი ქმარი, ახალგაზრდა ცოლი და მისი საყვარელი. ეს ბეხრეკი თავიდან უნდა მოვიშორო. ერთად მოვიფიქროთ, როგორ აჯობებს ამის გაკეთება. ჯერ მე მომისმინე. შენ იცი, რომ ყოველ დილით, როცა რაინჰოლდი სამეურნეო საქმეებს აგვარებს, ბარონი მარტო ადის მთებში სასეირნოდ, რათა დატკბეს მშვენიერი სანახების ცქერით. შენ უნდა დაასწრო იქ მისვლა, უფრო ადრე უნდა გახვიდე სახლიდან, რომ პარკის ბოლოში შეხვდე. იქვე ახლო უდაბური შიშისმომგვრელი კლდეთა ქანები მოსჩანს. მთის ამ ქანებზე მოყიალეს ერთ მხარეს ხახადაფჩენილი უძირო შავი უფსკრული შეგხვდება. სწორედ ამ უფსკრულზე ჰკიდია კლდის ერთი ჩამონატეხი, რომელსაც ეშმაკის სკამს ეძახიან. ამბობენ რომ უფსკრულიდან ამოედინებიან შხამიანი ნისლები, კაცს რომ გონებას უბნელებს, როგორც კი შიგ ჩახედავს და იქ დაგმანული საიდუ-

მლოს გამოცნობას მოიწადინებს. ამის გამბედავს, უმალ თავბრუ ეხვევა, უფსკრულში ვარდება და მისი შველა ძე-ხორციელს აღარ შეუძლია. ბარონი სიცილით კვდებოდა, როცა ამ ზღაპრებს ისმენდა. იგი არაერთხელ მდგარა კლდის ჩამონატეხზე, უფსკრულის თავზე, არა ერთხელ ჩაუხედავს მის თვალისმომჭრელ სიღრმეში და გულიანად დამტკბარა იქ გადაშლილი საუცხოო ხედებით. და შენ არ გაგიჭირდება, შეაგულიანებ და თვითონვე მოგიყვება ამაზე უფსკრულის თავზე დაკიდებულ კლდის ჩამონატეხთან. მერე კი საკმარისია ერთი ხელი ჰკრა და სამუდამოდ მოვისვენებ ამ დავრდომილი ყეყეჩისაგან.

— არამც და არამც, ეგ არ მოხდება! — გაშმაგებით ვიყვირე. — ვიცი ის საშინელი უფსკრული, ვიცი ეშმაკის სკამიც, ვერასდიდებით მაგას ვერ ვიზამ! თავიდან მომწყდი მაგ შენი როკაპული უტიფრობით, ცოდვას რომ მადენინებს, დანაშაულისაკენ რომ მიბიძგებს!

ეფემია გველნაკბენივით წამოხტა, თვალები ველური ცეცხლით აუბრიალდა, მძვინვარე გაავებამ სახე დაუმახინჯა.

— საწყალო და უსუსურო! — იყვირა მან — სიმხდალე მოგეძალა, ბატისტვინავ და მიტომ ბედავ წინ აღუდგე ჩემს განზრახვას. სამარცხვინო, ულლის ტარება გირჩევნია ხომ ჩემთან ერთად მეუფებას?! ამაოდ ცდილობ დაუსხლტე ძალას, რომელიც ჩემს ფერხთით მიჯაჭვულს გამყოფებს! სულ ერთია, მაინც ჩემს ხელთაა შენი სული! ხვალ შენი ხელით უნდა მოკვდეს კაცი, რომლის ცქერაც მომბეზრდა!

როცა ეფემია ამას მეუბნებოდა, მისდამი უსაზღვრო მძულვარება ვიგრძენი. მისმა საწყალობელმა ყბედობამ შემძრა და ისე მწარედ, გესლიანად და გაქიაქებით შევხედე და გადავიხარხარე, რომ შიშისა და ძრწოლვისაგან აკანკალდა, სახეზე მკვდრის ფერი დაედო.

— ო, შე დამთხვეულო, — შევყვირე, — რატომ გგონია, რომ ცხოვრების სადავეები ხელში ძალუმად გიპყრია და როგორც გინდა, ისე ატრიალებ ბედის ბორბალს?! წუთისოფლის ყოველგვარ გამოვლინებას ნებიერად ეთამაშები? ფრთხილად იყავი, ეს სათამაშო ორლესულ იარაღად არ გექცეს და შენვე არ მოგიღოს ბოლო! იცოდე, შე საწყალო, რომ ტყუილ ილუზიას შეუპყრიხარ და გგონია ჩემზე მბრძანებლობ, სინამდვილეში კი თვითონ მყავხარ დაუნდობელი ბედისწერის ჯაჭვით დაბმული, ხოლო შენი ცოდვილიანი ხრიკები კრუნჩხვისებრი კლაკვნაა მხოლოდ, გალიაში გამომწყვდეულ მტაცებელ მხეცს რომ შეიპყრობს. იცოდე, უბედურო, შენი საყვარელი სწორედ იმ უფსკრულში იქცა ნამსხვრევებად, შენი ქმრის გადაჩეხვა რომ გინდა, ხოლო თვითონ შენ, ნაცვლად შენი გულის მურაზისა, შურისგების სულს ეხვევი. წადი და დაინთქე სასოწარკვეთაში!

ეფემია აბარბაცდა, ატორტმანდა. მთელი სხეული კრუნჩხვამ დაუგრიხა, კინალამ იატაკზე არ დაეცა აქვე ჩემს ოთახში. მერე ხელი ვტაცე და საიდუმლო კარით ვიწრო დერეფანში გავათრიე. უცბად გუნებაში გამიელვა ხომ არ მოვკლა-მეთქი, მაგრამ გაუცნობიერებლად ეს არ ვქენი. თუმცა პირველ წუთებში, როცა საიდუმლო კარი მოვხურე, რატომღაც წარმოვიდგინე, რომ ბარონესა მოვკალი. ეს ილუზია გაიფანტა მას შემდეგ, რაც რამდენიმე წუთში საშინელი ყვირილი და კარის მიჯახუნების ხმა გავიგონე.

თვითონვე ჩავიგდე თავი ამ დღეში და ახლა უკვე ჩვეულებრივი ადამიანური ქმედება ჭკუაზე შემშლიდა. დარტყმას სხვა დარტყმაც უნდა მო-

ჰყოლოდა. შურისგების სულმა ძალა მომცა და რაღაც საშინელება უნდა ჩამედინა. ეფემიას დაღუპვა გარდაწყვეტილი იყო. მისდამი მგზნებარე ,,ძიძულვილი ერწყმოდა სიყვარულის უნეტარეს ვნებიან აღტყინებას და იმას ჩემში ჩასახლებული ზებუნებრივი სულის ღირსი ტკბობის ნექტარი უნდა ჩაელვენთა. როგორც კი ეფემია მოკვდებოდა, ავრელიაც ჩემი გახდებოდა. ეს ორი აქტი ერთდროულად უნდა მომეხდინა.

მეორე დღეს განმაცვიფრა ეფემიას შინაგანმა სიმტკიცემ, რომლის წყალობით იგი ლაღი და უჭირველი ჩანდა. ბარონესამ მიამბო, რომ იმ ღამეს სომნამბულიზმში ჩავარდა, რასაც ისტერიული კრუნჩხვები მოჰყვა. ქმარს ისე შეეცოდა, თანაგრძნობითაც განიმსჭვალა მისდამი, ხოლო რაინპოლდი კვლავინდებურად ეჭვითა და უნდობლობით უყურებდა, ავრელია თავისი ოთახიდან აღარ გამოსულა. რაც უფრო ძნელდებოდა მისი ნახვა, მით უფრო მიპყრობდა ვნების გაშმაგება და სიცოფე. ეფემიამ მთხოვა, როცა სასახლეში ყველაფერი მიწყნარდება და ჩამი-ჩუმიც არსად იქნება, ნაცადი გზით ჩემს ოთახში შემოიპარეო. ამ დაპატიჟებამ აღტაცებაში მომიყვანა, რადგან ახლოვდებოდა წამი ამ ბნელი როკაპი დედაკაცის აღსასრულისა. მიხაროდა, რომ ბოროტგანმზრახველს საკადრისს მივაგებდი. ანაფორაში ჩავმალე პაწია წვეტიანი დანა, რომელსაც სიჭაბუკეში მუდამ თან ვატარებდი და რითაც საკმაოდ ხელგაწაფულად ვაკეთებდი ხეზე კვეთილებს. და ამ მჭრელი დანითა და მკვლელობის განზრახვით ვეახლე ეფემიას. როგორც კი ოთახში შევედი მითხრა:

— წუხელ, ეტყობა, ორივემ მძიმე და საშინელი სიზმრები ვნახეთ. ორივეს უძირო პირდაფჩენილი უფსკრულები გველანდებოდა. კიდევ კარგი, რომ ყველაფერი კეთილად დამთავრდა.

მერე ჩვეულებისამებრ ხვევნა-კოცნას მივყევით. იგი ვნებით მიეცა ჩემს ცოდვიან ალერსს. ამ დროს მისი გაბიაბრუების საშიში სატანური ფიქრები დამეუფლა, სიამეს მანიჭებდა მისი ავხორცული მდაბალი ვნებების ბოროტად გამოყენება. როცა იგი ჩემს გვერდით იწვა, მოულოდნელად ანაფორიდან გადმოცურდა დანა, რომლის დანახვაზე ქალი შეკრთა, თითქოს სიკვდილის მაუწყებელმა ელდამ შეიპყროო. დანა ავიღე და გვერდზე მივაჩოჩე. ბუნებრივია, ეფემიას ამ წუთში წესს ვერ ავუგებდი, ამისათვის არ მეცალა, რადგან იმ ხანად განგების ნებით ხელში სხვა სილაღი მეკავა. ეფემიამ ჩაროზი მოატანინა. ლარნაკზე ერთი ბოთლი იტალიური ღვინო და დაშაქრული ხილი იდო. „რა ტლანქი და გაცვეთილია აქ ყველაფერი“ — გავიფიქრე და ბარონესას ჭიქა ჭიქაზე მივუჭახუნე და მარჯვედ შევცვალე სასმისები. მერე თავი ისე მოვაჩვენე, თითქოს შევექცეოდი მისგან შემოთავაზებულ ხილს, რომელიც მალულად ანაფორის სახელოში შევაცურე. ორი-სამი ჭიქა ღვინოც გადავკარი, ოღონდ არა ჩემთვის, არამედ ბარონესასათვის განკუთვნილი სასმისით. ეს კი ეფემიას არ შეუმჩნევია. როგორც კი ღვინო დავლიე, მოულოდნელად ბარონესამ მითხრა, სასახლეში ხმაური ატყდა და აქედან უნდა წახვიდეო. ეტყობა, უნდოდა ჩემს ოთახში მომკვდარიყავი. ფეხის წვერებზე ჩუმად გავიკრიფე გრძელ, ნახევრად ჩაბნელებულ დერეფანში და ავრელიას ოთახის კარს მივადექი. იქიდან ნაბიჯი ველარ გადავდგი, მოჯადოებულივით ვიდექი ერთ ადგილზე მიჯაჭვული. მისი სახე მელანდებოდა. მომეჩვენა, რომ იგი სიყვარულით მიმზერდა, სწორედ იმდაგვარად, ერთხელ რომ ვიხილე, როცა ანაზდად გამომეცხადა. იგი თითქოს ხელს მიქნევდა, თავისთან მიხმო-

ბდა. კარის ღილაკს თითი დავაჭირე და კარიც გაიღო. უკვე ოთახში ვიყავი. მისი საძინებელი ოთახის კარი ღრიჭოდ იყო მოხურული. იქიდან გამომავალი სულის შემხუთველი ჰაერი ცხვირ-პირში მეცა. სიყვარულის ცეცხლი უფრო ძალუმად შემომენთო. თავბრუ დამეხვა. ძლივს ვსუნთქავდი. ოთახიდან შიშნეული კვნესა შემომესმა, გეგონებოდა, რაღაც საშინელი ესიზმრებაო, ღალატი და ყელის გამოღადვრა. ყური მივუგდე და მივხვდი, ძილში ლოცვას ამბობდა. თითქოს უცხო რამ ძალა ჩამძახოდა: „დროზე ეწიე საწადელს! ნუ ყოყმანობ! მარჯვე შემთხვევა ხელიდან წაგივა, რას უყურებ!“ ის იყო ავრელიას საძინებელი ოთახის ზღურბლზე ნაბიჯი გადავდგი, რომ ჩემს ზურგს უკან ხმა გავიგონე: „წყეულიმც იყავ, მკვლელო, ახლა უკვე ველარ წამიხვალ! „და ვიგრძენი, როგორ ჩამავლო უკნიდან ვილაცამ ხელი დევგმირული ძალით. ეს ჰერმოგენი იყო. ძალღონე მოვიკრიბე და ხელიდან გავუსხლტი, და ის იყო აქაურობას უნდა გავცლოდი, მაგრამ იმან კვლავ დამავლო ხელი და ცოფიანივით კბილებით კეფაში ჩამაფრინდა. ტკივილისა და მძვინვარებისაგან გონება დამიბნელდა, ამაოდ ვცდილობდი შევჭიდებოდი, ბოლოს ძლიერი მუჯლუგუნით თავი გავინთავისუფლე. როცა ხელმეორედ მეკვეთა, ანაფორაში შენახული დანა ამოვიღე და ორჯერ დავარტყი. შეშლილი ჰერმოგენი ხროტინით დაეცა იატაკზე. სხეულის იატაკზე დაცემის ხმა გავიგონე დერეფანში, სადაც გამოსვლაც მოვასწარი გააფთრებულ მიწევ-მოწევასა და შეტაკებაჭიდილში.

როცა ჩემი დანით განგმირული ჰერმოგენი ძირს დაეცა, ველური გამძვინვარებით ჩავირბინე კიბე, ხოლო მთელ სასახლეს მოედო ყურთასმენის წამლები ხმები: „კაცი მოკლეს კაცი მოკლეს “ აქა-იქ სანთლების შუქიც კრთებოდა. გრძელ დერეფნებში ისმოდა აჩქარებული ნაბიჯების ხმა. შიშმა ისე დამაფრთხო და დამაბნია, რომ მოშორებით მდგარ გვერდითა კიბეზე აღმოვჩნდი, სასახლეში კი აურზაური და ღრიანცელი არ ცხრებოდა, სულ უფრო ძლიერდებოდა. საზარელი ყვირილი კი თანდათან მთლად ახლოს შემომესმა: „კაცი მოკლეს, კაცი მოკლეს!“ ათას ხმაში, გავარჩიე ბარონისა და რაინჰოლდის სასოწარკვეთილი შეძახილიც, ისინი გაალმასებული ეუბნებოდნენ რაღაცას მსახურებს. საით გავიქცე? სად დავიმალო? ჯერ კიდევ რამდენიმე წუთის წინ, როცა იმავე დანით ეფემიასათვის მინდოდა სიცოცხლის მოსწრაფება და რითაც ჰერმოგენს დავუბნელე მზე, ისეთი გრძნობა მქონდა, ძეხორციელს არ შეეძლო გაებედნა ჩემი შეჩერება, რადგან ამ სისხლიანი საჭურვლით ხელში საკუთარ ძალებს ვიყავ მინდობილი და ხიფათსა და განსაცდელს არად ვაგდებდი. ამჯერად კი მომაკვდინებელმა შიშმა ამიტანა მთავარ კიბეზე მდგარი. ხმაურმა ბარონესას ოთახთან მიმიყვანა. იქ შედარებით სიწყნარე იყო. სამი უშველებელი ნახტომი გავაკეთე და ქვემოთ დავეშვი. მთავარ სადარბაზოს რამდენიმე ნაბიჯი მაშორებდა. უეცრად დერეფნის მიღმა საშინელი ყვირილი გაისმა, წინა ღამით რომ გავიგონე იმის მსგავსი. „იგი მკვდარია, სწორედ იმ შხამმა მოულო ბოლო, მე რომ განმიმზადა!“ — ჩავილაპარაკე მე. ეფემიას ოთახიდან კვლავ ხმაური და შუქი გამოდიოდა. შეშინებული ავრელია შველას ითხოვდა. ისევ გაისმა საზარელი ყვირილი: „კაცი მოკლეს, კაცი მოკლეს“. ჰერმოგენის გვამი მოჰქონდათ. „დაედევნეთ მკვლელს!“ — მომესმა რაინჰოლდის ძახილი. მრისხანედ გადავიხარხარე. ამ ხარხარმა დარბაზი და დერეფანი ააზანზარა: „უგონურებო, რა გინდათ, ვერ გამიგია,

ბედისწერის დაჭერა ხომ არა, უტიფარ ცოდვილებს რომ განიკითხავს?“ ჩემი ხმის გაგონებაზე კიბეზე ამავალნი მოჯადოებულებივით გაქვავდნენ ერთ ადგილზე. გაქცევა აღარ შემეძლო, პირიქით, იმათ შესახვედრად გავემართე, თანაც მქუხარე სიტყვებით ვაუწყებდი, ეს თვით ღმერთმა იძია შური დამნაშავეებზე-მეთქი. სწორედ ამ წუთში რაღაც ისეთი დავინახე, წამიერად თავზარი დამეცა. ჩემს წინ გრაფი ვიქტორინის გასისხლიანებული სხეული იდგა და ამ სიტყვებს მე კი არა, იგი წარმოთქვამდა. თმა ყალყზე დამიდგა. შიშით გულგახეთქილი გავვარდი სასახლიდან, პარკი გადავირბინე და სუფთა ჰაერზე გავედი. ჩემს უკან ცხენის თქარათქური გავიგონე, უკანასკნელი ღონე მოვიკრიბე, რომ გამოდევნებულთ დავმალვოდი, მაგრამ იქვე დაგდებულ ხის ჯირკს ფეხი წამოვკარი და მიწაზე მოვადინე ზღართანი. ამასობაში ცხენიც დამადგა თავზე. ეს ვიქტორინის ეგერი მოსულიყო და გაოცებით მეკითხებოდა: „ღვთის გულისათვის მითხარით, მოწყალეო ბატონო, რა მოხდა სასახლეში? ამბობენ, ვიღაც მოკლესო. მთელ სოფელში ერთი ვაი-უშველებელია ატეხილი. კიდევ კარგი, ღვთის მადლით მოვიფიქრე და ცხენები სასწრაფოდ შევკაზმე, რომ აქედან რაც შეიძლება სწრაფად მოვუსვათ. თქვენი ნივთები, ბატონო ჩემო, ზურგჩანთაში დევს და ზურგჩანთა კი ცხენზეა ჩამოკიდებული. ჯერჯერობით ერთმანეთს უნდა დავშორდეთ. ეტყობა, სახუმარო საქმე არ უნდა იყოს მომხდარი. ხომ მართალია?“

თავს ძალა დავატანე და ცხენზე შევჯექ, ეგერს კი ვუბრძანე, ქალაქში დაბრუნდი და იქ დაელოდე ჩემს განკარგულებას-მეთქი. როგორც კი ეგერი სიბნელეში გაუჩინარდა, ცხენიდან კვლავ ჩამოვხტი და ფეხით გავუყევ ჩემს წინ გადაშლილ ულრან ნაძვების ტყეს.

კარი მესამე

მოგზაურობის ჟამს თავსგადახდენილი ფათერაკები

დილაადრიან, როცა ამომავალი მზის პირველი სხივები დაელვენთა ნაძვების ტევრნარს, მე უკვე მკვირცხლი, გამჭვირვალე ნაკადულის პირას ვიდექი, ტკბილად რომ მოჩუხჩუხებდა კრიალა ქვებზე. ცხენი ულრანში ძლივს მომყავდა, ახლა კი წყნარად იდგა ჩემს გვერდით. უწინარეს უნდა მიმეხედა ზურგჩანთისათვის, რომელიც ცხენს ეკიდა ზურგზე. როგორც კი ზურგჩანთა ჩამოვხსენი და დათვალიერებას შევუდექი, უმალ ხელში მომყვა ოეთრეული, ტანსაცმელი და ოქროს მონეტებით სავსე საფულე. თავდაპირველად ტანისამოსი უნდა გამომეცვალა დაუყოვნებლივ. ჩანთაში მომცრო მაკრატელი და სავარცხელიც ვიპოვე, წვერი გავიკრიჭე და თმა ასე თუ ისე მოვიწესრიგე. მერე ანაფორა გავიხადე, ანაფორაში შენახული მქონდა საბედისწერო პაწია დანა და ვიქტორინის პორტფელი, აგრეთვე მათარა, რომელშიც მორჩენილი ეშმაკის ელექსირი ესხა. და ასე ვიდექი საერო ტანისამოსში გამოწყობილი, თავზე სამგზავრო ქუდი მეხურა და როცა გამჭვირვალე ნაკადულში ჩემი ანარეკლი დავინახე, საკუთარი თავი ველარც ვიცანი. მალე ტყის პირს მივადექი და შორიდან ჩემამდე მოღწეულმა ზარების რეკვამ და ჰაერში ამავალმა კვამლის ბოლქვებმა მაფიქრებინა აქვე ახლომახლო სადმე სოფელი უნდა ყოფილიყო. როგორღაც ბორცვამდე ჩამოვაღწიე, მასზე ავედი და იქიდან საამოდ სანახავი მშვენიერი ტაფობი

დავინახე, სადაც საკმაოდ დიდი სოფელი იყო გაშლილი. მერე ფართო შარაგზას დავადექი, ქვემოთკენ, როგორც კი ფერდობი დამრეცი გახდა, ცხენს მოვახტი, რათა როგორმე თავი გამეწვრთნა ცხენოსნობაში. ანაფორა გამხმარი ხის ფულუროში შევმალე. ამ უდაბურ ტყეში დავტოვე აგრეთვე სევდიანი მოგონებები სასახლეში მომხდარ იმ თავზარდამცემ მოვლენებზე. ახლა უკვე თავს ლაღად და მხნედ ვგრძნობდი. მომეჩვენა, რომ ვიქტორინის ამაზრზენი გასისხლიანებული სხეული ჩემი გადამეტებულად აღგზნებული ფანტაზიის წარმონაქმნი იყო და ბოლო სიტყვები, ჩემს კვალზე გამოდევნებულთ რომ მივაძახე და ზეციური აღტყინების ჟამს გაუცნობიერებლად აღმომხდა გულის სიღრმიდან, ნათლად გამოხატავდა იდუმალ დამოკიდებულებას იმ შემთხვევასთან, რამაც სასახლეში მიმიყვანა და გამოიწვია ყველაფერი, რაც კი ჩემდა ბედად იქ უნდა მომხდარიყო. თიქოს და გარდაუვალი ბედისწერა განაგებდა მთელს ჩემს ქმედებას, რომელსაც მკაცრად უნდა განესაჯა ავკაცური დანაშაულის ჩამდენი, ამავე დროს ნებას რთავდა ცოდვილს მისთვის გამზადებული მიწიური დასამარებით მოენანიებინა თავისი შეცოდებანი. ერთადერთი მხოლოდ ავრელიას მხიბლავი ხატება ცოცხლობდა ჩემში. მე არ შემეძლო მასზე მეფიქრა და გული ძალუმად არ ამჩქროლებოდა, ის კი არადა, შიგნიდან რალაც ფიზიკურად გამტანჯველ ტკივილსაც ვგრძნობდი ცხადად, იმასაც კი ვფიქრობდი, ვინ იცის, იმ შორეულ ქვეყანაში კვლავ ვიხილო-მეთქი მისი სახება. დარწმუნებული ვიყავი, უსათუოდ ჩემი გახდებოდა, რაკი უსაზღვრო გულისწადილით იყო შეპყრობილი და რალაცას განუშორებლად მიეჯაჭვა ჩემთან.

შევამჩნიე, გზაზე შემხვედრნი, რატომღაც ჩერდებოდნენ და გაოცებული მომჩერებოდნენ. სოფლის მეფუნდუკეც, რომლის სასტუმროში დავბინავდი, ჩემმა შესახედაობამ ისე დაარეტიანა, თავდაპირველად ხმაც ვერ ამოიღო. ამან კი საგონებელში ჩამაგდო. ამასობაში საჩქაროდ წავიხემსე და ცხენსაც თივა დავუყარე. სასტუმრო ოთახში რამდენიმე გლეხმა მოიყარა თავი. ისინი შეშინებული მიყურებდნენ, თან ერთმანეთს რალაცას ეჩურჩულებოდნენ. ოთახი თანდათან გაივსო ხალხით. გარს შემომეხვივნენ და ბრიყვული გაოცებით მომშტერებოდნენ. თავდაპირველად შევეცადე წარბიც არ შემეხარა, მშვიდად და უდრტვინველად ვყოფილიყავი. სასტუმროს პატრონს რიხიანად შევუძახე, ცხენი შემიკაზმეთ და უნაგირზე ზურგჩანთა ჩამომიკიდეთ-მეთქი. იგი ორაზროვანი ღიმილით გავიდა ოთახიდან და მალე უკან დაბრუნდა ერთი აწოწილი, პირქუში მამაკაცის თანხლებით, რომელიც სასაცილოდ გაბღენძილი მომიახლოვდა, თანაც დაჟინებით მიყურებდა. მეც, ჩემის მხრივ, თვალი თვალში გავუყარე, მერე ფეხზე წამოვდექ და ჯიქურ დავუდექი წინ, ჩემმა საქციელმა, ეტყობა, გვარიანად შეაცბუნა და ოთახში თავმოყრილ გლეხებს დაფეთებულმა შეხედა.

— ¹რა გნებავთ? მგონი, რალაცის თქმა გინდოდათ, — მივმართე შემოსულს. გაბღენძილმა კაცმა ჯერ ჩაახველა, უნდოდა თავისი ნათქვამისათვის რალაც წონა მიეცა.

— თქვენ, ბატონო ჩემო, აქედან ვერ წახვალთ, ვიდრე არ გაგვაგებინებთ, ადგილობრივ ხელისუფალთ, ვინა ხართ, საიდან მოსულხართ და სად მიემგზავრებით, უნდა გვითხრათ თქვენი დაბადების ადგილი, წოდება, წარმომავლობა, სახელი, და იმ ქალაქის თუ პროვინციის ზუსტი დასახელე-

ბა, სადაც მიემგზავრებით. გარდა ამისა, სასამართლო მოხელეებს, უნდა წარმოგვიდგინოთ პასპორტი, ხელმოწერილი და ბეჭედდასმული, ისე როგორც ამას წესი და რიგი მოითხოვს.

ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ სახელისა და გვარის გამოგონება დამჭირდებოდა, მით უფრო ვერც იმას ვიფიქრებდი, თუ ჩემი უხეიროდ შეკრეჭილი თმა, აგრეთვე მღვდლისთვის შეუფერებელი ტანისამოსი ასეთ საეკლესიო შთაბეჭდილებას მოახდენდა, რის შედეგადაც საეჭვო პირად შემრაცხავდნენ, სოფლის მოსამართლის შეკითხვა ისე მოულოდნელად დამატყდა თავზე, რომ საკუთარი ვინაობის გამხელა არ ამცდებოდა, ამაო იყო ფიქრი იმაზე, როგორმე ამეშორებინა მოსალოდნელი საფრთხე. თავდაპირველად უტიფრობას მივმართე და მოსამართლეს მტკიცედ, დაჯერებულად ვუთხარი:

— ვინცა ვარ, გარკვეულ მნიშვნელოვან მიზეზთა გამო, ვერ გეტყვით. ამიტომაც ტყუილი იმედი ნუ გექნებათ, რომ ჩემს პასპორტს თვალით ნახავთ. საერთოდ კი გირჩევთ, ფრთხილად იყოთ. თუკი ჩემი წარმომავლობის კაცს თუნდაც ერთი წუთით დააყოვნებთ მაგ თქვენი სულელური ჩამციებლობით, იცოდეთ, ძვირად დაგიჯდებათ.

— ოჰო, — წამოიძახა სოფლის მოსამართლემ. მერე ჯიბიდან სათუთუნე დააძრო და ბურნუთი დაყნოსა, ამასობაში იქვე მდგარმა სხვა მოხელეებმა სათუთუნეში ხუთივე თითი ჩატუცეს, თამბაქო ბლომად ამოიღეს და გემოზე გააბოლეს.

— ეგრე უკმეხად რატომ ლაპარაკობთ, მოწყალეო ბატონო! თქვენმა ბრწყინვალებამ კეთილი უნდა ინებოს და, სასამართლო უწყების წარმომადგენლებს, პასპორტი წარმოგვიდგინოს. გულახდილად მოგახსენებთ, ბატონო ჩემო, ეს რამდენიმე ხანია ჩვენს მთებში მეტისმეტად საეჭვო პირები გამოჩნდნენ. ტყიდან გამოდიან, თავს გვესხმიან, მერე კი ეშმაკეულ მოჩვენებასავით უჩინარდებიან. ეჭვი არ არის, ქურდები და ავაზაკები არიან, მგზავრებს უდარაჯებენ, ძარცვავენ და კლავენ, სახლებს უწვავენ და, ვინ იცის, რა ბოროტებას არ ჩადიან, არანაირ სიბილწეს არ ერიდებიან. თქვენ კი, ბატონო ჩემო, თავს ნებას მივცემ და გეტყვით, რომ ერთობ უცნაურად გამოიყურებით და ძალიან ჰგავხართ იმ ნამუსგარეცხილ სალახანებს, რომელთა გარეგნობის დაწვრილებითი აღწერილობაც წარმოგვიდგინეს ქვეყნის მაღალსაქებარმა ხელისუფლებმა ადგილობრივი სასამართლო უწყებისადმი გამოგზავნილ დოკუმენტებში ამ ყაჩაღებისა და გაიძვერების შესახებ. ამიტომაც გთხოვთ ან პასპორტი გვიბოძოთ ანდა სატუსაღოში წამობრძანდეთ.

რაკი მივხვდი, უტიფრობით ვერას გავხდებოდი, სხვა გზას ვეწიე:

— დიდად პატივცემულო ბატონო მოსამართლევ, — იქნებ მოწყალება მოიღოთ და განმარტოებით მოგელაპარაკოთ. ასეთ შემთხვევაში იოლად შევძლებდი გამეფანტა თქვენი ეჭვები და საიდუმლო გამენდო, მეთქვა, რა არის მიზეზი ჩემი ესოდენ უცნაური ჩაცმულობისა. იმედი მაქვს, ჭკუა-გონება არ გიღალატებთ და ჩემს ახსნა-განმარტებებს გაგებით მოეკიდებით.

— საიდუმლოს გამიმხელთ, არა? კარგად ვიცი, რაც არის ეს საიდუმლო. აბა, ბიჭებო, გადით აქედან, ოღონდ კარებსა და ფანჯრებზე თვალყური გეჭიროთ, ოთახში არც არავინ შემოუშვათ და აქედან გასვლის უფლებაც არავის მისცეთ.

როცა მარტონი დავრჩით, ასე დავიწყე:

— ბატონო მოსამართლევ, თქვენს წინაშე დგას საწყალი ლტოლვილი, ვინაც მეგობრებისა და მახლობლების შემწეობით როგორც იქნა თავი დაღწია სამარცხვინო პატიმრობას და იმის საფრთხეს, რომ მთელი თავისი დღე და მოსწრება მონასტრის სულის შემხუთველ კედლებში გამოკეტილიყო. ნება მიბოძეთ, მისხალ-მისხალ გიამბოთ იმ უცნაური ინტრიგის შესახებ, რომლის ხლართებში ჩამითრია არისტოკრატული ოჯახის ბოროტნეულმა შურისგებამ. ჩემი ესოდენი გაწამების მიზეზი იყო დაბალი წარმომავლობის გოგოსადმი ტრფიალი. ხანგრძლივი პატიმრობის შედეგად წვერი წამომეზარდა. მერე თმაც კინკრიხოზე შემჭრეს და მუდამდღე ბღვდლის ანაფორის ჩაცმა მაიძულეს. ალბათ, შეამჩნევდით კიდეც, რა შეჩვეულიც ვარ ანაფორას. ციხიდან გამოქცევის შემდეგ პირველად აქ ტყეში გამოვიცვალე სამოსი და ჯერ არსად შემისვენებია, რადგან მეშინია, მდევრები არ დამეწიონ. ახლა კი, ეჭვი არ არის, ნათელი უნდა გახდეს თქვენთვის მიზეზი ჩემი უცნაური გარეგნული შესახედაობისა, რაც, ბუნებრივია, სრულიად დაუმსახურებლად იწვევს თქვენს დაეჭვებას. პასპორტს, რა თქმა უნდა, ვერ წარმოგიდგენთ, სამაგიეროდ სრული შესაძლებლობა მაქვს ჩემი ნათქვამის ჭეშმარიტება დაგიდასტურო. სულ სხვა სარწმუნო საბუთი გიბოძოთ, რასაც, იმედი მაქვს, უსათუოდ დაუჯერებთ. ეს ვთქვი თუ არა, ჯიბიდან საფულე ამოვიღე, იქიდან სამი ბრჭყვიალა ოქრო ამოვაძვრინე და მაგიდაზე დავდე, რის შედეგადაც მოსამართლის გაბღენძილობა, დამცინავმა ღიმილმა შეცვალა.

— თქვენი საბუთი, ჩემო ბატონო, — საკმაოდ დამაჯერებელია, ოღონდ, ცუდად არ მიიღოთ და, მთლად ბოლომდე სარწმუნო რომ გახდეს, კიდევ მოგიწევთ დამატება. თუკი გინდათ, რომ კენტი ლუწად ჩავთვალო, აუცილებელია წარმოდგენილი საბუთი ლუწი რიცხვით დაბოლოვდეს. გაიძვერას უმალ მივუხვდი და კიდევ ერთი დუკატი დავამატე.

— ახლა კი აშკარად დავრწმუნდი, რომ თქვენში ეჭვი არამართებულად შევიტანე, — განაცხადა მოსამართლემ, — შეგიძლიათ გზა განაგრძოთ, ოღონდ გირჩევთ, მთავარ გზაზე სიარულს თავი მოარიდოთ, ვიდრე გარეგნულ იერს არ შეიცვლით, — მერე კარი ყურთამდე გააღო და იქვე მოგროვილთ გასძახა:

— ეს ბატონი წარჩინებული გვარის კაცი აღმოჩნდა. ინკოგნიტოდ მოგზაურობს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი პიროვნების შესახებ არავინ არაფერი არ უნდა იცოდეს, და თქვენც ძმებო, ამაზე არაფერი გეკითხებათ. ბედნიერი გზა გქონდეთ, მოწყალეო ბატონო! — მომიბრუნდა, — გლეხებმა კი, ნიშნად მოწიწებისა, უსიტყვოდ მოიშვლიპეს ქუდები. ცხენი ჭიშკრისაკენ მოვაბრუნე და ის იყო სწრაფად უნდა გამეჭენებინა და იქაურობას გავცლოდი, როცა მოულოდნელად იგი ყალყზე შედგა. მე კი, რაკი ცუდი მხედარი ვიყავი, ვერ გამოვიჩინე შესაფერი სიმარჯვე და ცხენი ადგილიდან ვერ დავძარი. იგი ციბრუტივით დატრიალდა, ხოლო გლეხების სიცილ-ხარხარში ჩემკენ საჩქაროდ გამოქცეულ მოსამართლეს და სასტუმროს პატრონს მივეხეთქე.

— რა თარსი ცხენია! — მოსამართლე სიცილს ძლივს იკავებდა.

— მართლაც რომ თარსი ცხენია, — გავიმეორე მე და მტვერი ჩამოვიბერტყე. იმათ მიშველეს და კვლავ შემსვეს ცხენზე, მაგრამ ცხენი კვლავ

ფრუტუნებდა, ისევ ყალყზე დგებოდა, თავისას არ იშლიდა, არ უნდოდა ჭიშკარში გასვლა. უეცრად ერთმა მოხუცმა გლეხმა იყვირა:

— შეხედეთ, ჭიშკართან ჯადოქარი ზის, დედაბერი ლიზა და ვიდრე ბატონი მოწყალებას არ გაიღებს, ცხენს საშველს არ მისცემს.

ახლა კი დავინახე ჩამოძენძილი მათხოვარი დედაბერი, რომელიც ჭიშკართან ჩაყუნცულიყო და გიჟური ღრეჭა-სიცილით მიყურებდა.

— აქედან მოუსვი, შე კუდიანო! — მიაყვირა მოსამართლემ. დედაბერმა კი გამკივარი ხმით იყვირა:

— სისხლისმსმელმა ძმამ გროშიც არ მიწყალობა! ვერა ხედავთ, ჩემს წინ მიცვალებული გდია? სისხლიანი ძმა მიცვალებულს ვერ გადააბიჯებს! მიცვალებული ფეხზე წამოდგება, მაგრამ თუ სისხლისმსმელი ძმა წყალობას მიბოძებს, მიცვალებულს კვლავ მიწაზე დავცემ!

მოსამართლეს დედაბრის გიჟური ყვირილისათვის ყურადღება არც მიუქცევია, ცხენს აღვირი ამოსდო, მისი ჭიშკარში გამოყვანა უნდოდა, მაგრამ ამაოდ, ბებერი ჯადოქარი კიდევ უფრო გააფთრებულად აკივლდა:

— სისხლიანო ძმაო, — მომეცი ფული! მომეცი ფული!

ჯიბეში ხელი ჩავიყავ და კალათაში ფული ჩავუგდე. დედაბერი სიხარულისაგან ჰაერში შეხტა და იყვირა:

— შეხედეთ! რა საუცხოო ფული მომცა სისხლიანმა ძმამ, ნახეთ, რა მშვენიერი ფული მიბოძა!

ამასობაში მოსამართლემ ცხენი ჭიშკრიდან გამოიყვანა. ცხენმა დაიჭიხვინა და დაოთხებით გაჰქუსლა.

— ეს რა დიდებული და ბრწყინვალე მხედარი ყოფილხართ, მოწყალეო ბატონო. წელან კი რა მოგივიდათ. — მომაძახა მოსამართლემ და გლეხებიც ერთბაშად მოაწყდნენ ჭიშკარს. როცა დამინახეს უნაგირზე მოხდენილად მჯდარი, როგორ მივაგელვებდი ცხენს, როგორ ვცმუკავდი ზევით-ქვევით მკვირცხლი რაშის ყოველ შეხტომაზე, თავშეუკავებლად გადაიხარხარეს და აღტაცებით მომაძახეს.

— ამას უყურეთ, მართლა კაპუცინივით არ მიაჭენებს!

სოფელში თავსგადახდენილმა ამბავმა, მეტადრე დედების წინასწარმეტყველურმა სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, ამაფორიაქა. ამჯერად ჩემი უპირველესი საზრუნავი იყო სასწრაფოდ მომეშორებინა თავიდან, რაც კი ჩემს გარეგნულ შესახედაობას თვალში საცემს ხდიდა. გარდა ამისა გვარ-სახელის გამოცვლაც განვიზრახე, მინდოდა ახალი გვარ-სახელით მეცხოვრა ჩვეულებრივ მოკვდავთა შორის. ჩემს წინაშე გადაიშალა ცხოვრება, ვითარცა ბნელი, გაუმჭვირვალე ბედისწერა და სხვა რა დამრჩენოდა, თუ არა ამ ჩემს დევნილ ყოფაში სრულად მივნდობოდი ტალღებს ქარიშხლისა, რომელიც შეუჩერებლად მიმაქანებდა შორეთში. ყოველი ძაფი, რაც კი წინათ ცხოვრებისეულ ურთიერთობებთან მაკავშირებდა, ერთბაშად გაწყდა, ამიტომაც აღარ ვიცოდი, რას მოვჭიდებოდი. შარაგზა თანდათან გამოცოცხლდა. ყველაფერი გარშემო გვაუწყებდა, რომ სადღაც არც თუ შორს უნდა ყოფილიყო დოვლათითა და სიცოცხლით სავსე სავაჭრო ქალაქი. იგი თანდათან გვიახლოვდებოდა. და აი, ცოტა ხნის შემდეგ თვალწინაც გადაგვეშალა. ქალაქის გარეუბანს ისე მოვადექი, რომ არც არავის უკითხავს რაიმე და საერთოდ ზედაც არავის შემოუხედავს. ქალაქში შესულს კი თვალში მეცა დიდი სახლი, რომელსაც სარკესავით კრიალა ნათელი ფა-

ნჯრები ჰქონდა, კარის აბრაზე კი ოქროს ფრთოსანი ლომის გამოსახულება ბრჭყვიალებდა. სახლში განუწყვეტლივ მიდი-მოდიოდა ხალხი, ეტლები დახრიგინებდნენ. სახლის ქვემო ოთახებიდან სიცილ-ხორხოცი და ჭიქების წკარუნი ისმოდა. როგორც კი სასტუმროს კართან შევჩერდი, ჩემთან თვალის დახამხამებაში მოიჭრა მეჯინიბე, ცხენს აღვირში ხელი სტაცა და როგორც კი ცხენიდან ჩამოვხტი, ეზოში შეიყვანა. მალე გამოწკეპილი კელნერი მომიახლოვდა, ხელში გასაღებების ასხმას აჩხრიალებდა, კიბეზე ამიძღვა, მეორე სართულზე ასვლისას, ერთი იჩქითად შემათვალიერა და სართულით მაღლა ამიყვანა. იქ ერთი მომცრო ოთახი გამილო და ზრდილობიანად მკითხა ჯერხანად ხომ არაფერს მიბრძანებთო, მერე კი მაუწყა, ორ საათზე მეორე დარბაზში ისადილებ მეორე სართულზეო და სხვა ამგვარებიც მომახსენა.

— თუ შეიძლება, გეთაყვა, ერთი ბოთლი ღვინო მომიტანეთ. — ვთხოვე კელნერს. ეს იყო ჩემგან წარმოთქმული პირველი წინადადება მისი დაუზარელი მსახურების საპასუხოდ.

ის იყო მარტო დავრჩი, რომ ცოტა ხანში კარზეც მომიკაკუნეს. ოთახში შემოიხედა უცნაური შესახედაობის კაცმა, რომლის პირისახე სასაცილო ნიღაბს მიაგავდა, მსგავსი რამ ჩემს სიცოცხლეში არ მენახა. კაცს წაწვეტებული ცხვირი, პაწია მბზინავი თვალები და გრძელი ნიკაპი ჰქონდა, თავზე უხვად პუდრმოყრილი პარიკი ედო, როგორც ეს მოგვიანებით შევამჩნიე, უკანა მხარეს სრულიად მოულოდნელად მოკლედ შეკრეჭილი რომაული ვარცხნილობა ამშვენებდა. კაცს მოზრდილი ჟაბო ეკეთა, ბრიალა წითელი ჟილეტი ეცვა. ჟილეტზე ჩამოეკონწიალებინა საათის ორი მომსხო ძეწკვი, პანტალონები ეცვა. ფრაკი ტანზე ზოგან მეტისმეტად ეიწროდ შემოტმასნოდა, ზოგან კი მეტისმეტად განიერად. ასეთი იყო კაცი, ვინაც ოთახში შემოიხედა და ჯერაც კარებში ფეხი შემოდგმული არ ჰქონდა, რომ შებოლილი ქაშაყივით მობრეცილმა ღლანკვა-ღრეცა იწყო და მისალმების ნიშნად დამიკრა თავი. ხელში ქუდი, მაკრატელი და სავარცხელი ეჭირა და მითხრა:

— მე, ჩემო ბატონო, აქაური დალაქი გახლავართ და უმორჩილესად გთხოვთ მიმსახუროთ.

ამ ციცქნა სიფრიფანა კაცუნას დანახვაზე, სიცილი ძლივს შევიკავე. სამაგიეროდ მისი სტუმრობა ერთობ მეამა და სულმოუთქმელად ვკითხე, ხომ არ ინებებთ რამეს დაამსგავსოთ ხანგრძლივი მგზავრობის განმავლობაში ჩემი უსაშველოდ წამოზრდილი და უხეიროდ შეკრეჭილი თმა-მეთქი. იმან ხელოვანის მზერით შემათვალიერა, მარჯვენა ხელი გრაციოზულად მოხარა, გაფარჩხული თითები გულზე მიიდო და წარმოთქვა:

— რამეს დაამსგავსო? ო, ღმერთო ჩემო. პიეტრო ბელკამპო, შენ, ვისაც ნამუსგარეცხილი მოშურნეები უბრალოდ პეტერ შოენფელდს გეძახიან ისე, როგორც ლეგიონის ღვთაებრივ მებუკესა და მესაყვირეს — ჯაკომო პუნტოს-იაკობ შტიხი შეარქვეს, ულიარებელი გენიოსი რჩები. მაგრამ თვითონა ხარ დამნაშავე, შენი სულის გამონაშუქ ლამპარს ცხრაკლიტულში კეტავ, იმის მაგივრად, რომ მისი სხივები მთელს ქვეყნიერებას მოჰფინო. განა შენი ძალუმი მკლავები, გენიოსის ანაპერწკლებული თვალები, დილის რიჟრაჟზე უცნაური მეწამულისფრად შეფერადებული ცხვირი და საერთოდ მთელი შენი არსება პირველი დანახვისთანავე არ უდასტურებს ყველა გონიერ კაცს, რომ შენში ცოცხლობს იდეალისაკენ მსრბო-

ლავი სული? რამეს დავამსგავსო, არა? არა, ბატონო ჩემო, ეს მეტისმეტად ცივი და უსულგულოდ ნათქვამი სიტყვაა.

მე ვთხოვე ამ უცნაურ სიფრიფანა კაცს, ეგრერიგად ნუ გაცხარდები, მთლიანად ვენდობი თქვენს გაწაფულობას-მეთქი. გაწაფულობასო? — მთლად გაცოფდა, გადაირია. — რას ნიშნავს გაწაფულობა? ვინ არის გაწაფული? ნება მიბოძე, ჩემო ბატონო, გავარკვიო, რა არის გაწაფულობა და ვის ეძახით გაწაფულს? იმას ხომ არა, თვალებით რომ მოზომავს მანძილს, ჰაერში შეხტება და ოცდაათი არშინი სიმაღლის თხრილს გადაახტება? ან იქნებ ის არის გაწაფული, ვისაც შეუძლია ოსპის მარცვალი ოცნაბიჯზე მოშორებით საკერავი მანქანის ნემსის ყუნწში ჩააგდოს. ან იქნებ იმ ილუზიონისტზე გსმენიათ რაიმე, ვინც ხუთ ფუთ ტვირთს ჩამოჰკიდებს დანის ტარზე, მერე იმ დანას ბასრი პირით ცხვირის წვერზე დაიდებს და ისე ახერხებს წონასწორობის დაცვას ექვსი საათის, ექვსი წუთის, ექვსი წამისა და თვალის ერთი დახამხამების განმავლობაში. და ამის შემდეგ რა არის გაწაფულობა აბა მითხარი ერთი! ყოველ შემთხვევაში იგი სრულიად უცხო ხილია თქვენი მონა-მორჩილი — პიეტრო ბელკამპოსათვის, რომლის სპეტაკ სულს ოდენ ხელოვნების ჭეშმარიტი ძალა წარმართავს და ამოძრავებს. ხელოვნება კი, ბატონო ჩემო, მხოლოდ ხელოვნებაა და სხვა არაფერი. ჩემი ფანტაზია ზეცაში დაჰქრის, დანავარდობს და ხელოვანის უზადო, უნატიფესი ოსტატობით ქმნის დატალღულ ხვეულებად დაწყობილი და დალაგებული კულულების საოცარ ჰარმონიას, რასაც განუწყვეტლივ აგებს და ანადგურებს ზეფირის ქროლვა. ეს უკვე შემოქმედების სფეროა, სადაც იგი იღწვის, ქმნის და მუშაობს. ხელოვნებაში ღვთაებრივი სულია დავანებული. რომ ჭეშმარიტი ხელოვნება, ბატონო ჩემო, მარტო ის ხელოვნება კი არ არის, რაზეც ასე ბევრს ლაპარაკობენ, არამედ იმას წარმოშობს ერთობლიობა ყოველი არსისა, რასაც ნამდვილად ხელოვნება ჰქვია. ამას იმიტომ გეუბნებით, ბატონო ჩემო, რომ თქვენ ძალგიძთ გაიგოთ ეს ყველაფერი, რადგან მოაზროვნე კაცის შთაბეჭდილებას ახდენთ. ეს აზრი კი ჩამაგონა თქვენს ღირსპატივმისაგებელი შუბლის მარჯვენა მხარეს ჩამოშლილმა კულულმა.

ამ ციცქნა კაცის ორიგინალური ბუუტური სადღაც მართობდა კიდეც. ამიტომაც ვუთხარი, თქვენი სავსებით მესმის-მეთქი და რაკი განვიზრახე გამომეყენებინა მისი საოცარი ხელოვნება, მისგან წაროთქმული სიტყვების გზნება და პათოსი ოდნავადაც არ შემიზღუდავს.

— **როგორ გგონიათ, გამოვა რამე ამ ჩემი აბურდულ-დაბურდული** თმისაგან? — ვკითხე უცნაურ დალაქს.

— ყველაფერი გამოვა, რასაც კი ინებებთ, — მიპასუხა პატარა კაცმა, — ოღონდ, თუკი პიეტრო ბელკამპოს რჩევა-დარიგებებს ყურად იღებთ, ნება მიბოძეთ, მთელი სიგრძე-სიგანით დაგათვალიეროთ შორი მანძილიდან, ყურადღებით დავაკვირდე ღირსსაცნობ თავს თქვენსას, მოდი ერთი კარგად დავინახო თქვენი ფიგურა, სიარული, ჟესტები და გამომეტყველება, და აი, მაშინ კი გეტყვით, საითკენ მიიდრიკებით, რა არის თქვენთვის ნიშნეული, რა უფრო გახასიათებთ ნაივური თუ იდილიური, ირონიული თუ ჰუმორისტული. და როცა ამას დავადგენ, მაშინ გამოვიწვევ სხვადასხვა სულებს კარაკალასი თუ ტიტუსისას, კარლოს დიდისას თუ ანრი მეოთხისას, გუსტავ ადოლფისას თუ ვერგილიუსისას, ტასოსი თუ ბოკაჩოსი, და მათგან შთაგონებული ჩემი თითები ათრთოლდებიან,

მაკრატელიც აწკრიალდება და წარმოიშვება ხელოვნების ქმნილება. ეს მე ვარ, ვისაც წილად ერგო დასრულებული სახე მისცეს თქვენს ხასიათს, როგორადაც იგი ამქვეყნიურ ცხოვრებაში უნდა გამოვლინდეს. ახლა კი გთხოვთ, რამდენჯერმე გაიარ-გამოიაროთ ოთახში, რომ კარგად დაგინახოთ, შეგათვალიეროთ, დაგაკვირდეთ.

სხვა რა გზა მქონდა, ამ უცნაური კაცის ნებას უნდა დავყოლოდი, და მისი სურვილის თანახმად ოთახში გავიარ-გამოვიარე, თანაც ყველა ღონე ვიხმარე მღვდლური მიხრამოხრა და თავის დაჭერა როგორმე დამეფარა, რასაც ვერაფრით გადავჩვეოდი და ვერც გადავეჩვეოდი, რაც არ უნდა დიდი ხნით მქონებოდა მონასტერი დატოვებული. ტანდაბალი კაცი გულდასმით მათვალიერებდა, მერე ჩემს გარშემო აცუნცულდა, ხვნეშოდა, ოხრავდა, სიმწრის ოფლმა დაასხა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და სველი შუბლი მოიწმინდა. ბოლოს როგორღაც დაწყნარდა. მე ვკითხე, რა გადაწყვიტეთ, როგორი ვარცხნილობა უნდა გამიკეთოთ-მეთქი. პატარა კაცმა ამოიხვნეშა და მითხრა:

— ო, ბატონო ჩემო, მითხარით, რა გჭირთ? თქვენ არ ინებეთ ნამდვილი სახე გეჩვენებინათ. თქვენს მიხრამოხრაში რაღაც ნაძალადევი გამოსჭვივის, თითქოს ორი საწინააღმდეგო ბუნება ებრძვის ერთმანეთს. ერთი-ორი ნაბიჯი კიდევ გაიარეთ, ბატონო ჩემო!

ამაზე კი ცივი უარი ვუთხარი, თქვენს წინაშე გავლა-გამოვლა აღარ მინდა, ხოლო თუ ვერ აგირჩევიათ ჩემთვის შესაფერისი ვარცხნილობა, იძულებული ვიქნები უარი ვთქვა თქვენს გენიალურ მომსახურეობაზე-მეთქი.

— ო, პიეტრო, ამას სჯობდა, მიწა გამსკდომოდა! — გააფთრებით წამოიძახა მან. — ხომ ხედავ, ვერა გცნობენ ამ ფუჭად წარმავალ წუთისოფელში, სადაც სიწრფელე და პატიოსნება არ არსებობს? მაგრამ ამის მიუხედავად, ჩემო ბატონო, მაინც გაგაცებთ ჩემი შორსმჭვრეტელობით, რასაც ძალუძს ნათელი მოჰფინოს თქვენი ხასიათის მხარესაც, რის დაფარვასაც ასე გულმოდგინედ ცდილობთ! დარწმუნებული ვარ, პატივისცემით მოეკიდებით ჩემს გენიალურ ხელოვნებას. ამაოდ ვეცადე ერთმანეთთან დამეკავშირებინა ის წინააღმდეგობრივი ნიშნები, თქვენს არსებას რომ გამსჭვალავს და თქვენეულ მოძრაობებში რომ იხატება. თქვენი სიარული სადღაც სასულიერო პირის სიარულს მაგონებს. Ex profundis clamavi ad te Domine — Oremus—Et in omnia Saecula Saeculorum Amen.[1]

ეს სიტყვები სიფრიფანა კაცმა ხრინწიან, წრიპინა ხმაზე წამოიმღერა, თანაც შეუდარებელი სიზუსტით გამოაჯავრა მღვდლის მიხრამოხრას. მერე ისე შეტრიალდა, გეგონებოდა, სამსხვერპლოს წინ დგასო, მუხლებზე დაეცა, შემდეგ კვლავ ფეხზე წამოდგა, თავი კი ამ ხნის მანძილზე სულ ამაყად და გამომწვევად ეჭირა, მერე წარბები შეჭმუხნა, თვალები გადმოქაჩა და ჩაილაპარაკა.

— ჩემია ეს სამყარო! აღიარეთ, თქვე თხუნელებო, რომ თქვენზე ჭკვიანი, მდიდარი და გონიერი ვარ! ქედი მოიდრიკეთ ჩემს წინაშე! — ღაღადებდა ციცქნა კაცი. — ასეთია ჩემი თვალით დანახული თქვენი

1 უფსკრულიდან ამოგძახებ შენ, მეუფეო! ნება მოგვეცი, ვილოცოთ! უკუნითი უკუნისამდე, ამინ! (ლათ.).

„მე“-ს მთავარი დამახასიათებელი ნიშანი. თუ გნებავთ, ახლავე შევუდგეთ საქმეს, უთუოდ შევძლებ თქვენეული სახის ნაკვთების, ტანის სიმაღლის, აზრთა წყობის გათვალისწინებით და განსაზღვრული პროპორციების დაცვით გამოვძერწო შერწყმა კარაკალასი, აბელიარისა და ბოკაჩოსი, მერე კი ჩემი გენიის ცეცხლი გამოაწრთობს და შესატყვის ფორმასა და სახეს მისცემს ყველაფერ ამას და შევუდგები საოცარი ანტიკურ-რომანტიკული სტილის ჰაეროვანი დალალებისა და კულულების შექმნას, მათ დაწყობა-დალაგებას.

პიეტროს ნათქვამში იმოდენა სიმართლე დავინახე, ვაღიარე კიდევაც მის წინაშე, რომ ერთ დროს მართლა ვიყავი სასულიერო პირი, ბერადაც აღვიკვეცე, ოღონდ ამჯერად იძულებული ვარ დავმალო ჩემი მღვდლური წარმოშობა და რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება ტონზურაც არ გამოვაჩინო-მეთქი.

უცნაური დალაქი შეუდგა ჩემი თმის დამუშავებას სასაცილო ნახტომების, ღმეჭისა და შეძახილების თანხლებით. ზოგჯერ პირქუშად გამოიყურებოდა, ზოგჯერ ჩაიცინებდა, ხან კიდევ ისე გაიჯგიმებოდა, გეგონებოდა მოწინააღმდეგეს ბრძოლაში იწვევსო. ზოგჯერ ფეხის წვერებზე შედგებოდა ბალეტის მოცეკვავესავით. თავს ძალიან ვიკავებდი, მაგრამ ბოლოს მაინც წამსკდა სიცილი. დასასრულ პატარა კაცმა როგორც იქნა მოამთავრა ვარცხნა, მაგრამ ვიდრემდე თავისი მჭერმეტყველების შადრევანს ამოაფრქვევდა, კვლავ დრო ვიხელთე და ვთხოვე, იქნებ ისეთი ოსტატი მიპოვოთ, ვინც ჩემს აბურდულ წვერს ისევე მოემსახურება, როგორც ბელკამპო მოემსახურა სულ ახლახან ჩემს თმას მეთქი. პიეტრომ როგორღაც უცნაურად ჩაიცინა, ფეხის წვერებზე აიწია, კართან მიიჭრა და ჩაკეტა იგი, მერე კი შუა ოთახამდე მოვიდა ცუნცულით და პათეტიკურად წარმოთქვა:

— ო, ოქროს საუკუნევ! შენი მეუფების იმ ბედნიერ ხანაში, როცა წვერი და დატალღული თმა მამაკაცის საუცხოო მორთულობად ითვლებოდა, წვერიცა და თმაც კი ჭეშმარიტი ხელოვანის ტკბილი ზრუნვის საგანი გახლდათ. ის დრო წავიდა, ის დრო აღარ დაბრუნდება! მამაკაცი, გადაეჩვია თავის უმშვენიერეს ზინათს, და უგვანო და სასირცხვილო პირის მპარსველებს მიენდო და ისინიც, ამაზრზენი საპარსით ბოლომდე პარსავენ წვერს. ო, თავხედო და უსირცხვილო წვერის მპარსველებო და წვერის დამყენებლებო! თქვენ ხომ ხელოვნების აბუჩად ასაგდებად ალესეთ სამართებლები აყროლებული ზეთით გაჟღენთილ შავ ქამრებზე, გამოაჩინეთ ფოჩიანი საფულეები, აბრახუნეთ ტაშტები, ააქაფეთ საპონი, გარშემო აშხეფეთ ცხელი წყალი, უტიფარი თავხედობით ეკითხებოდით, პაციენტებს ცერით გინდათ თუ კოვზით პირის გაპარსვაო. პიეტრო ჯერაც ცოცხალია და კვლავ იღწვის, ვაჟკაცურად ებრძვის ემაგ დამამცირებელ და შეურაცხმყოფელ საქმიანობას — წვერის ძირფესვიანად ამოგდებას, დედაბუდიანად მოკვეცას. წვერის გადარჩენისათვის ეძიებს გზებს, რათა დამლუპველი და წარმავალი მოდა უგულებელყოს და დროის სულისკვეთებაზე მაღლა დადგეს. მაინც რას წარმოადგენს, კაცმა რომ თქვას, თავისი არსით ეს უსასრულოდ ნაირფეროვანი და ხვეული ქილვაშები. ისინი ნატიფად შემოდგომიან ოვალური სახის კონტურებს, ხან სევდიანად ჩამოშვებულან ყელისაკენ, ხან კადნიერად მოკალათებულან ბაგეთა კუთხეში, ხანაც კიდევ მოკრძალე-

ბით შემჭიდროებულან ვიწრო ხაზებად, ზოგჯერ კი ისინი კულულთა თამამ მოქნევას გაუფართოვებია. და ეს ყველაფერი სხვა რაღა უნდა იყოს, თუ არა ხელოვანისეული გამონაგონი, რაშიც სილამაზისა და სიწმინდისაკენ სწრაფვაა გაცხადებული. დიახ, პიეტრო! დაგვინახე, რა სულიც ბინადრობს შენში და გვიჩვენე როგორი მსხვერპლის გაღება ძალგიძს ხელოვნებისათვის, ამით შენ დიდად აღემატები წვერის მპარსველთა აუტანელ ხელობას.

ეს თქვა ტანჩიამ და უმალ დააძრო უზადო საპარსი და თავისი გაწაფული ხელით შეუდგა წვერისგან ჩემს განთავისუფლებას. რაც მართალია მართალია, მისი ოსტატობის წყალობით სულ სხვანაირი გავხდი. საკმარისი იყო ჩვეულებრივი, თვალში ნაკლებ მოსახვედრი ტანისამოსი ჩამეცვა და სავსებით მოვიშორებდი იმის საფრთხეს, რომ ჩემი საეჭვო შესახედაობის გამო ვინმე ყურადღებას მომაქცევდა.

ჩია კაცმა რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, ყურადღებით შეათვალიერა თავისი ნახელავი და კმაყოფილებით ჩაიღიმა. მე ვუთხარი სიფრიფანა კაცს, ამ ქალაქში პირველად ვარ და ძალიან მეამებოდა, თუ აქაურობისთვის შესაფერის ტანსაცმელს შემირჩევთ-მეთქი. მერე კი ხელში ერთი დუკატი ჩავუდე გასამრჯელოდ და წასახალისებლად. ვერ წარმოიდგენთ სიხარულისაგან როგორ შეიცვალა, სიყვარულით დააჩერდა ხელის გულზე დადებულ ოქროს მონეტას. მერე კი კვლავ განაგრძო უცნაური ლაპარაკი:

— უძვირფასესო მწყალობელო და მფარველო, მე თქვენში არ შევმცდარვარ. სულმა, რომელიც ჩემს ხელს წარმართავდა, არწივისებური აღმაფრენა მისცა ბაკენბარდებს და აშკარად გამოხატა თქვენი აზრთა წყობის ღირსი და შესაფერი ამაღლებული ხასიათი. მე მყავს მოკეთე და მეგობარი, სახელად დამონი ანუ ორესტე, რომელიც ისევე გენიალურად სრულყოფს თქვენი სხეულის შემოსვას, რა უზადო ხელოვნებითაც სულ ახლახან თქვენი ღირსეული თმა და წვერი სრულვყავი. დიახ, მე ახლა თქვენს წინაშე წარმოვადგენ კოსტიუმების ხელოვანს, იცოდეთ ჩემო ბატონო, რომ იგი კოსტიუმების ხელოვანია, ასე ვეძახი მას, ნაცვლად ტრივიალური სახელისა მკერავი. იგი იდეალურის ძიებაში სიამით თავდაკარგული კაცია, იგი თავისი ფანტაზიით ქმნის ფორმათა და სახეთა საოცარ ჰარმონიას. მან შეიძინა მზა ტანსაცმლის მაღაზია, სადაც უთვალავ და ნაირ-ნაირ ჩასაცმელ-დასახურავს ნახავთ. ვის არ შეხვდებით ამ მაღაზიაში: თანამედროვე პეწენიკს, თვალის დამაბრმავებელი ბრწყინვალებით რომ აღემატება ირგვლივ ყველას და ყველაფერს, ამაყი და დაურიდებელი, ხან ფილოსოფიურ ჭვრეტაში ჩაძირული და თავის გარშემო ყველაფერი მივიწყებია. იგი ხან მიამიტად მოარშიყე ჯენტლმენია, ხანაც ენაკვიმატი ხუმარა, ანდა სასოწარკვეთილი მიზანტროპი, სევდიანი, უცნაური, შეშლილობამდე მხიარული, ხან კოპწიად ხანაც დაუდევრად ჩაცმული ყმაწვილი, რომელმაც სიცოცხლეში პირველად შეუკვეთა კოსტიუმი და არ უკადრისობს დედისა თუ გუვერნიორის რჩევა-დარიგებებს; თქვენ იქ ნახავთ ორმოცი წლის მამაკაცს, რომელიც პუდრს იყრის თავზე, რათა თმაში აქა-იქ გამორეული ჭაღარა დამალოს, ხანში შესულ დარდიმანდს, მორიდებულ მეცნიერს, თავის სამეცნიერო სამუშაოს რომ მოსწყვიტა, მდიდარ ვაჭარს, შეძლებულ მეშჩანს — ყველა ამ ადამიანის ტანსაცმელი ჰკიდია ჩემი მეგობრის მაღაზიაში და

თქვენ შესაძლებლობა გექნებათ სულ რამდენიმე წუთში საკუთარი თვალით ნახოთ ჩემი ძვირფასი დამონის მხატვრული ქმნილებები.

ციცქნა კაცი მკვირცხლად გახტა გარეთ და მალე მობრუნდა, მაღალი, ბრგე, სოლიდურად ჩაცმული მამაკაცის თანხლებით. ეს კაცი წრიპა შოენფელდთან შედარებით, სრულიად საპირისპირო ბუნების ადამიანი სჩანდა. შოენფელდმა ჩემს წინაშე წარადგინა იგი, როგორც დამონი. დამონმა გამომცდელად შემათვალიერა, თვალით ამზომ-დამზომა და ბიჭის მიერ შემოტანილი ყუთიდან, რომელშიც მრავალი ტანისამოსი ეწყო, ამომირჩია ჩემთვის შესაფერი კოსტიუმი, რომელიც სავსებით შეესატყვისებოდა ჩემს სურვილ-მოთხოვნილებებს. მხოლოდ მოგვიანებით შევძელი შემეფასებინა ღირსება და თავდაჭერილობა ამ კოსტიუმების ხელოვანისა, როგორც მას მაღალფარდოვნად ეძახდა გამწლეული დალაქი. მართლაც შეუცდომლად შემირჩია კოსტიუმი, არც თვალში მოგხვდებოდა, არც თვალს აღიზიანებდა, რესპექტაბელურ შთაბეჭდილებას ახდენდა, ცნობისმოყვარეებს სურვილი უქრებოდათ გამოეკითხათ ჩემი ასავალ-დასავალი, წარმომავლობა, პროფესია, ვინ ვიყავი, რას წარმოვადგენდი თუ სხვა ასეთები. კაცმა რომ თქვას, ძნელია ისე ჩაიცვა, რომ შენმა კოსტიუმმა დაფაროს შენი საქმიანობა და არა მხოლოდ დაფაროს, არამედ არანაირი აზრი არ შექმნას ამის თაობაზე. კოსტიუმი მაღალი წრის ბიურგერისა უფრო ნეგატურ მხარეებს ითვალისწინებს და მიახლოებით მიანიშნებს, რას წარმოადგენს განათლებული კაცის ქცევა, რომ იგი უფრო თავშეკავებას გულისხმობს, ვიდრე ქმედებაში თავის გამჟღავნებას. გაწრიპული დალაქი კვლავ დაიღვარა უცნაურ გროტესკულ მჭევრმეტყველებად. მაგრამ როგორც შევატყვე, ცოტანი იყვნენ ჩემებრ მოთმენით რომ იტანდნენ ამას. ამიტომაც ჩემთან იგი თავს უჩვეულოდ ბედნიერად გრძნობდა, რაკი შესაძლებლობა მიეცა სამზეოზე გამოეფინა თავისი დაუშრეტელი ტალანტი. შოენფელდის მეგობარი სერიოზული და გონიერი კაცი ჩანდა. მან მოულოდნელად სიტყვა შეაწყვეტინა ენაგაკრეფილ დალაქს, მხარში ხელი ჩაავლო და უთხრა:

— ისევ შენებურად გაუტიე ხომ, შოენფელდ, ისევ შენებურად მოჰყევ არა სისულელეების ჩმახვას? დარწმუნებული ვარ, ამ პატივცემულ ბატონს ყურები გამოუჭედა შენმა ლაქლაქმა.

ბელკამპომ ნაღვლიანად დახარა თავი, მერე სწრაფად დაავლო ხელი თავის დამტვერიანებულ ქუდს და კარებში რომ გადიოდა ხტუნაობით, ხმამაღლა მოგვაძახა:

— ასეა, როცა უახლოესი მეგობარიც არ გინდობს და სახელს გიტეხს. მკერავმა კი გამომშვიდობებისას მითხრა:

— უცნაური კაცია ეს შოენფელდი! ზედმეტმა კითხვამ აურია გონება. მაგრამ ეს ხელს არ უშლის კეთილი ადამიანი და ნამდვილი პროფესიონალი იყოს. ჩემის აზრით კი, თუ ადამიანმა თავისი საქმე ზედმიწევნით კარგად იცის, იმას შეიძლება მიეტევოს ასეთი გადამლაშებები და მეც ვითმენ ამ კაცის მომაბეზრებელ გამოხდომებს.

ჩემს სენაკში მარტო რომ დავრჩი, კედელზე ჩამოკიდებული დიდი სარკის წინ სიარულის სწავლას შევუდექი. პაწაწკინტელა დალაქმა ამ თვალსაზრისით ერთობ საყურადღებო მითითებები მომცა. მღვდლებს ახასიათებთ, მძიმე, მოუქნელი სისწრაფე სიარულში, რაც გამოწვეუ-

ლია გრძელი სამოსით, რომელიც ხელს უშლის დიდი ნაბიჯების გადადგმას, საკულტო მსახურება კი სწრაფ მოძრაობას ითხოვს. ასევე დამახასიათებელია მღვდლისათვის უკან გადაზნექილი ტანი და ხელების თავისებური დაყენება, არასოდეს ძირს არ უნდა დაუშვას, უთუოდ გულზე უნდა ჰქონდეს დაკრეფილი ანდა ანაფორის განიერ სახელოში შემალული. არც ისე ადვილია ამ ორი დამახასიათებელი ნიშნის დაფარვა, რომ ესენი გამოეპაროს საზრიანი და მიხვედრილი დამკვირვებლის თვალს, და მეც ვცდილობდი როგორღაც ამეებს გადავჩვეოდი, რომ საკვესებით წამეშალა კვალი ჩემი სასულიერო წარმოშობისა. თავს იმით ვინუგეშებდი, მთელი ჩემი წუთისოფელი მოჭმული მაქვს-მეთქი, ისიც შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრების გამოცდას წარსულში ასე თუ ისე გავუძელი და ახლა ყოფის ახალ ფაზაში შესასვლელად ვემზადებოდი. ჩემი შინაგანი „მე“ თითქო გარდაისახა და წარსული ყოფის ოდენ მკრთალი მოგონებაღა თუ შემომრჩა. იგი თანდათან გაუფერულდა, ბოლოს კი სრულიად მიინავლა, გაუჩინარდა. ხალხის გნიასი და ღრიანცელი, სამრეწველო და სავაჭრო საწარმოთა გამუდმებული ხმაური და აურზაური, ქუჩებს რომ სიცოცხლით ავსებდა, ეს ყველაფერი ჩემთვის სრულიად ახალი ხილი იყო და მინარჩუნებდა მხიარულ განწყობილებას, რომელიც იმ სასაცილო ქონდრისკაცმა მომგვარა. ახალ წესიერ სამოსში გამოწყობილმა გავბედე და საერთო სასადილოში შევედი. ყველანაირი შიში გამიქრა, რაკი შევამჩნიე, რომ ყურადღებას არავინ მაქცევდა, იქამდე რომ ჩემს უახლოეს მეზობელს ზედაც არ შემოუხედავს, როცა მის მაგიდასთან ადგილი დავიკავე. სასულიერო წოდებისაგან ჩემი განთავისუფლების აღსანიშნავად, ჩამოსულ უცხოელთა სიაში თავი ლეონარდად მოვიხსენიე ანუ კერძო პირად, ვინც საკუთარი სიამოვნების გულისათვის მოგზაურობს. უნდა ითქვას, რომ მსგავსი მოგზაურები ქალაქში მრავლად იყვნენ, ამიტომაც არავის აზრად არ მოსვლია დაწვრილებით გამოეკითხა ჩემი ვინაობა. ერთგვარ სიამოვნებას განვიცდიდი, როცა ქალაქის ქუჩებში დავეხეტებოდი და მდიდრულ მაღაზიებს ვათვალიერებდი, ვიტრინებში გამოფენილი სურათებისა და გრავიურების ცქერით ვტკბებოდი. საღამოობით ხალხმრავალ ადგილებში სასეირნოდ დავდიოდი. მოსეირნეთა მხიარულ ხორხოცსა და ჟრიამულში კიდევ უფრო მწარედ ვიგრძენი ჩემი სიმარტოვე და მიუსაფრობა. აქ არავინ მიცნობდა, არავის ვედარდებოდი, ვინ ვიყავი, საიდან მოსული, რომელმა ქარმა გადმომისროლა ამ მხარეში, რა უცნაურმა ფათერაკმა და ბედის გამაცბუნებელმა თამაშმა გადმომაგდო აქეთკენ. ჩემი საიდუმლო ღრმად მქონდა სულში ჩაგმანული და მის შესახებ ძეხორციელმა არა იცოდა რა და ეს ყველაფერი, ნაცვლად იმისა, რომ კეთილისმყოფელი ზემოქმედება მოეხდინა ჩემზე, პირიქით, უალრესად საშინელის გრძნობით მავსებდა. თავს კარგა ხნის წინათ დამარხულად ვთვლიდი, რომელიც საფლავიდან წამომდგარა და ეულად დაეთრევა ამ დედამიწაზე, რადგან ყველა მისი მოკეთე და მახლობელიც რახანია წუთისოფელს გამოსალმებია. სასტიკი გულისწყრომა მეუფლებოდა, როცა ვიხსენებდი, რაოდენ ტკბილად და კრძალვით მესალმებოდნენ სახელგანთქმულ საეკლესიო ქადაგს, როგორ ეძიებდნენ პატივს ჩემთან დაახლოებისა, თუნდაც ორიოდ სიტყვით დალაპარაკებისა. მაგრამ ის საეკლესიო ქადაგი — მღვდელი — მედარდუსი ხომ მოკვდა,

აღარ არსებობს, მთის ვიწროებში ჩაიმარხა. მე იგი არა ვარ, თუმცა კვლავაც ვიმყოფები ამ ქვეყანაზე, ჩემს წინაშე ხელახლა გადაიშალა ცხოვრება თავისი მრავალფერი განსაცხრომელით. როცა სასახლეში თავს გადახდენილი სიზმრად ვიხილე, ასე მეგონა, ეს ყველაფერი მე კი არა, სხვა ვინმეს შეემთხვა-მეთქი. ეს სხვა მე არ ვყოფილვარ, ოღონდ ისიც კაპუცინი მღვდელი იყო. ერთადერთი მხოლოდ ავრელიაზე ფიქრი აკავშირებდა ჩემს ადრინდელ ყოფას დღევანდელთან. მაგრამ ეს ფიქრი, ვითარცა ღრმა და სამარადისოდ განუქარვებელი ტკივილი ხშირად მიხშობდა ხალისს სიცოცხლისა და უნებლიედ ამომისვრიდა ცხოვრების იმ ჭრელი რგოლიდან, რომელიც გამუდმებით გარს მერტყა. თავისთავად ცხადია, ხელიდან არ ვუშვებდი შემთხვევას, ვწვეოდი საჯარო თავშეყრის ადგილებს, სადაც მიდიოდა სმა, თამაშობები და მსგავსი გართობები. მეტადრე მომეწონა ქალაქის ერთი სამიკიტნო, რომელსაც სახელი გაეთქვა საუკეთესო ღვინოებით და, სადაც ყოველ საღამოს თავს იყრიდა ურიცხვი ხალხი. მეზობელ ოთახში გამუდმებით ერთი და იგივე პირები იკრიბებოდნენ, ისინი მაგიდას შემოუსხდებოდნენ და ცხოველი და გონებამახვილური საუბრები ჰქონდათ გამართული. შესაძლებლობა მომეცა დავახლოვებოდი ამ ადამიანებს, რომლებსაც ვიწრო, ჩაკეტილი წრე შეექმნათ, რამდენიმე საღამოს განმავლობაში ტკბილად შევექცეოდი ჭიქა ღვინოს სამიკიტნოს ერთ კუთხეში მიყუჟული და ყურს ვუგდებდი იმათ საინტერესო საუბრებს. ერთხელ როგორღაც მათთვის მიუკვლეველი, ერთობ საყურადღებო რაღაც ლიტერატურული მონაცემი მივაწოდე, რის შემდეგაც თავიანთ მაგიდასთან შემომთავაზეს ადგილი. გარდა ამისა ამ საკრებულოს ძალიან მოსწონდა თხრობის ჩემეული ტალანტი და განსწავლულობა, რომელიც მეცნიერების სხვადასხვა დარგებში ჩემი სერიოზული და ბეჯითი მეცადინეობის წყალობით დღითიდღე იზრდებოდა, რაც აქამდე ჩემთვის სრულიად უცხო იყო. ამ გზით შეძენილი ნაცნობთა წრე ჩემზე ყველაზე კეთილისმყოფელ ზეგავლენას ახდენდა. თანდათან გავითავისე მაღალი წრის ადამიანთა ცხოვრების წესები და ჩვევები, ნელ-ნელა უშუალო, ძალდაუტანებელი და მხიარული ხასიათისა გავხდი, სილაღე და სითამამე შევიძინე, და ის მოუქნელობა, უწინდელი სამონასტრო ცხოვრებიდან რომ გამომყვა, თანდათან დაიხვეწა.

იმ საზოგადოებაში, სადაც მე დავდიოდი, რამდენიმე საღამო ლაპარაკობდნენ მხოლოდ ერთ უცხოელ მხატვრებზე, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ჩამოსულა ქალაქში და თავისი სურათების შესანიშნავი გამოფენა მოუწყვია. ეს გამოფენა ამ წრის ყველა წევრს უკვე დათვალიერებული ჰქონდა. ისინი ისეთი ქებით მოიხსენიებდნენ უცნობი მხატვრის ფერწერულ ტილოებს, რომ მეც დაუყოვნებლივ განვიზრახე ვწვეოდი გამოფენას. როცა საგამოფენო დარბაზში შევედი, თვითონ მხატვარი იქ არ იმყოფებოდა. მხატვრის ნაცვლად ჩიჩერონეს მოვალეობას ასრულებდა ვინმე ხანში შესული ბატონი, ვინც ასახელებდა უცხო ნახატების შემქმნელ დიდოსტატებს, რომელთა ნამუშევრებიც გამოფინეს მხატვრებმა საკუთარ ნაწარმოებებთან ერთად. ეს იყო დიდებული გამოფენა, მეტწილად ცნობილი მხატვრების ორიგინალებით, რამაც აღტაცებაში მომიყვანა. ზოგიერთმა ფერწერულმა ტილომ, რასაც მოხუცი ზერელე, ნაუცბათევად შესრულებული ფრესკული პორტრეტების

დედნებს ეძახდა, შორეული ბავშვობის მოგონებები გამიღვიძა სულში. ეს მოგონებები სულ უფრო ნათელ და ცხოველ ფერებად გადმოიღვარა. რა თქმა უნდა, ეს იყო დედნები ხატებისა, „წმინდა ცაცხვის“ მონასტერში რომ ესვენა. ერთ-ერთ ფერწერულ ტილოზე, რომელსაც „წმინდა ოჯახი“ ერქვა, იოსების სახის ნაკვთებში ვიცანი ის იდუმალი მლოცველი, რომელსაც ოდესღაც ჩემთან უცხო ბიჭი მოჰყავდა. გული ულრმესი სევდით ამევსო და ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა უზარმაზარი პორტრეტი ვიხილე ჩემი მშვენიერი ქალბატონისა და მეორე დედისა. ამის შემხედვარემ თავი ველარ შევიკავე და გულიდან ხმამაღალი ამოძახილი აღმომხდა. ეს იყო დიდებული პორტრეტი ვანდეიკის ბრწყინვალე ტილოების სადარი მაღალზე მაღალი გაგებით. აბატისა პორტრეტზე მთელი ტანით იყო გამოსახული. მხატვარს ზუსტად დაეჭირა ის წამი, როცა აბატის ლოცვა დაესრულებინა და ის იყო სენაკიდან გადიოდა, რათა წინ გაძღოლოდა ეკლესიის ეზოში თავმოყრილ მრევლს, რომელიც მოწიწებით ელოდებოდა ამ ღვთისმოსავი ბრწყინვალე ქალბატონის გამოჩენას, ხალხით გაჭედილი ეკლესია კი პორტრეტზე უკანა ხედის შორეულ პერსპექტივაში მოჩანდა. ამ უტურფესი ქალბატონის მზერაში ზეცისაკენ მიდრეკილი სული გამოსჭვიოდა. თითქოს შენდობას ევედრებოდა უფალს უტიფარი ცოდვილის გამო, რომელმაც ძალისძალობით მოიშორა თავიდან მისი დედური გული. და ეს ცოდვილი მე ვიყავი. ჩემს არსებაში თითქოს კარგა ხნის წინათ მივიწყებულმა გრძნობებმა გაიღვიძა. რა ხანია, რაც ის გრძნობები ჩაქრა და ჩაიფერფლა ჩემში. ამ წუთში კი დაუძლეველი სურვილი გამიჩნდა გარდასულ დრო-ჟამს დავბრუნებოდი. და, აი, ჩემს წარმოსახვაში კვლავ კარტეზიანელთა მონასტერში ვცხოვრობ, კვლავ იმ მადლიან და სათნო მღვდელთან ვიმყოფები, ისევ ის სიცოცხლით სავსე, ალალ-მართალი და მხიარული ბიჭი ვარ და გული საგულედან ამოვარდნას ლამობს, რადგან წმინდა ბერნანდუსის დღე ახლოვდება. სწორედ მაშინ მქონდა შესაძლებლობა მისი ხილვისა. თითქოსდა ყურში ჩამესმის ტრფობით გამთბარი მისი საამოდ მჟღერი, ტკბილი და ხავერდოვანი ხმა: „ჰოი, ფრანცისკუს, შვილო ჩემო, იყავი განა ღვთისმოსავი და კეთილი?“ აბა, რა უნდა მეთქვა პასუხად ამ კითხვაზე. მე ხომ ცოდვას ცოდვაზე ვუმატებდი, აღთქმა გავტეხე, კაციც მოვკალი. სინანულითა და წუხილით გატანჯული და ძალაგამოლეული მუხლებზე დავეცი და თვალთაგან მდულარე ცრემლი წამსკდა. მოხუცი ბატონი დამფრთხალი გამოიქცა ჩემკენ და შეშფოთებულმა მკითხა:

— რა ამბავია თქვენს თავს, რა დაგემართათ, ბატონო ჩემო?

— იცით რა, აბატისას პორტრეტი ძალიან მაგონებს დედაჩემს, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ სასტიკი ტანჯვით გარდაიცვალა. — მივუგე ყრუ, ძლივს გასაგონი ხმით. მერე ფეხზე წამოვდექი და შევეცადე როგორმე თავი მომეთოკა.

— გავიაროთ, ბატონო ჩემო, — მითხრა მოხუცმა — მსგავსი მოგონებები მძიმე, მტკივნეულ განცდებს იწვევს და რაღაცნაირად თავი უნდა მოარიდოო. მე ახლა სხვა პორტრეტს განახებთ, ბატონი მხატვარი ამ პორტრეტს თავის საუკეთესო ქმნილებად თვლის. იგი ნატურიდანაა შესრულებული და დიდი ხანი არც არის, რაც გაასრულა. ჩვენ ამ

პორტრეტს ფარდა ჩამოვაფარეთ, იმის შიშით მზეს არ დაეზიანებინა მისი ჯერ კიდევ გაუმშრალი ფერები.

მოხუცმა ისეთნაირად დამაყენა, შუქი პორტრეტს ეცემოდა, მერე ფარდა სასწრაფოდ გადასწია და ჩემს წინაშე ავრელია წარსდგა. შევძრწუნდი, თავი ძლივს დავიმორჩილე. მაგრამ ჩემს სიახლოვეს მტრის არსებობა ვიგრძენი, იგი ლამობდა კვლავ იმ ბობოქარ ტალღებში ჩაყვეგდე, რის ვაივაგლახით რომ დავაღწიე თავი და ჩემი მოსპობა, გაცამტვერება უნდოდა. მე კი გაბედულება და მხნეობა მოვიკრიფე, რათა თამამად შევბმოდი ურჩხულს, რომელიც იდუმალ წყვდიადს მოაპობდა და ჩემკენ მოიწევდა. ვნებიანად ვუცქერდი ავრელიას მშვენებას, რომელიც სიცოცხლის გზნებას აფრქვევდა პორტრეტიდან. ღვთისმოსავი ქალწულის ნაზი, ბავშვური გამოხედვა თითქოს ბრალს სდებდა ღვიძლი ძმის შეჩვენებულ მკვლელს, მაგრამ ჩემში სავსებით გაქრა და მიინავლა სინანულის განცდა, იგი სულის იდუმალ წიაღში აღმოცენებულ მწარე ეშმაკეულ ქირდვად იქცა, შხამიანი ნესტარი ჩამასო და მყუდრო ცხოვრებიდან გამომრიყა. ჩემი სატანჯველი ახლა სულ სხვა რამე იყო, ვერ მომენელებინა, რომ იმ საბედისწერო ღამეს სასახლეში ავრელია ჩემი ვერ გახდა. ჰერმოგენის გამოჩენამ ვერ აღასრულა ჩემი იდუმალი ხორციელი ლტოლვა. მაგრამ იმან სიკვდილით ზღო დანაშაული. ავრელია ცოცხალია და ეს საკმარისია, რომ სასოებას სივრცე და გასაქანი მიეცეს. მჯერა, იმას დავიპყრობ, დავეუფლები, უსათუოდ ჩემი გახდება, რადგან საკუთარ ბედისწერას ვერსად გაექცევა. განა მე თვითონ არა ვარ მისი ბედისწერა?

მივშტერებოდი პორტრეტს და საკუთარ თავს ახალი ცოდვის ჩასადენად ვაქეზებდი. მოხუცი კი გაოცებული მიყურებდა, მთლად ენად გაიკრიფა, რამდენს არ მელაპარაკებოდა ამ სურათის იერსახესა და კოლორიტზე, მაგრამ იმას ყურს არ ვუგდებდი. მთელი ჩემი არსება იმზომ შეეპყრო ავრელიაზე ფიქრს, ეჭვი აღარც მეპარებოდა, რომ საცაა ცოდვასაც ჩავიდენდი; ამიტომაც ისე სასწრაფოდ გავეცალე იქაურობას, აღარც მიკითხავს უცხო მხატვრის ვინაობა და ამით ხელიდან გავუშვი შესაძლებლობა საფუძვლიანად გამომერკვია, რა ვითარებაში შეიქმნა ეს ფერწერული ტილოები, რომლებიც მთლიანობაში ერთ ციკლად ერთიანდებოდნენ და მიმანიშნებდნენ ჩემი წარსულის შესახებ. მტკიცედ განვიზრახე, სიცოცხლე გამეწირა და ავრელიას დავუფლებოდი. არაფერი მაშინებდა, არაფერს შეეძლო ჩემი დაფრთხობა. დიახ, ისიც კი მეჩვენებოდა, რომ ჩემს გარდასულ ცხოვრებას შორიდან ვუცქერდი, როცა გონების თვალით ვუჭვრეტდი მოვლენებს, ვრწმუნდებოდი, რომ არასოდეს შიშის გრძნობა არა მქონია, მაშასადამე, თავის გაწირვაც არასოდეს შემძლებია.

თავში ათასნაირი გეგმა მიტრიალებდა, რათა დასახულ მიზანს მივახლოვებოდი, ბოლოს კი განვიზრახე გამეგო უცნობი მხატვრის ვინაობა. ვინაც ავრელიას პორტრეტი შექმნა, გამომეკვლია ვის მეგობრობდა, რა ურთიერთობები ჰქონდა, ამის ცოდნა უსათუოდ დამეხმარებოდა მთავარი მიზნის მისაღწევად საჭირო მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებაში. სახელდობრ, არც მეტი, არც ნაკლები, თავში ის აზრიც კი მომივიდა, ჩემი ამდღევანდელი ფერშეცვლილი, სრულიად ახალი სახით სასახლეს დავბრუნებოდი და საოცარი ის იყო, რომ ამ ჩემს განზრახვა-

ში განსაკუთრებულად სარისკოსა და გაბედულს ვერაფერს ვხედავდი. საღამოთი ისევ სამიკიტნოს ვეწვიე, სადაც ჩემი წრე იკრიბებოდა. რაღაც უსათუოდ უნდა მეღონა, ახლა ჩემთვის ერთობ მნიშვნელოვანი იყო, რითიმე თავი გამერთო, რომ სულის უსაზღვრო ღელვა დამეურვებინა და აგზნებული ფანტაზია მომეთოკა.

აქ დაუსრულებლად ლაპარაკობდნენ უცხოელი მხატვრის სურათებზე, მეტადრე იმ საოცარ შთაბეჭდილებაზე, რასაც ეს ბრწყინვალე ქმნილებები ახდენდა. შესაძლებლობა მომეცა მხარი ამება ქება-დიდებისათვის, რასაც ისინი ამ შედევრებისადმი აღავლენდნენ. მჭევრმეტყველების იშვიათი გამობრწყინებით აღვწერე ავრელიას ენით უთქმელი მშვენება, რაიც ჩემს სულში აბობოქრებული დემონური ირონიის ათინათი იყო. მით უფრო აღტაცებაში მოიყვანა ჩემი მსმენელები ავრელიას ბავშვურად მიამიტ ანგელოზის სახეზე მოფენილმა ღვთისმოსავმა ნათელმა. მაგიდის ერთმა წევრმა თქვა, მხატვარი კიდევ რამდენიმე დღეს დარჩება ქალაქში და აპირებს დაასრულოს რამდენიმე ნახატი და თუმცა იგი საკმაოდ ხანშია შესული, მაინც დიდებულ და საინტერესო, გენიალურობის ნიშნით აღბეჭდილ მხატვრად გვევლინება და ეს საუცხოო პიროვნება ხვალ ღირსჰყოფს ჩვენს საკრებულოს თავისი სტუმრობითო. მეორე საღამოს ჩვეულებრივზე ადრე ვეწვიე ჩემს ახალ ნაცნობებს უცნაური განცდებითა და გამოუცნობი წინათგრძნობებით გაოგნებული და შეძრული. მხატვარი უკვე მოსული დამხვდა, მაგიდასთან იჯდა ჩემგან ზურგშექცევით. როგორც კი მაგიდას მივუჯექი და შევხედე, უმალ შევიცანი სახე იმ უცნობი კაცისა, რომელიც წმინდა ანტონიუსის დღეს კუთხის სვეტს მიყრდნობილი ვიხილე ეკლესიაში და ვინაც უზომო შიში და ძრწოლა მომგვარა. იგი დიდხანს მიყურებდა ღრმა ფიქრებში წასული, მაგრამ ავრელიას პორტრეტის ხილვამ ძალა და სიმხნე შემძინა და ამჯერად შევიძელი ამეტანა ეს უჯიათი მზერა. ცხადად დავინახე, რომ მტერი აშკარად შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში და ჩვენს შორის საცაა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა დაიწყებოდა. თვითონ თავდასხმას არ ვაპირებდი, პირიქით, მისგან ველოდი შემოტევას და ასეთ შემთხვევაში იმნაირი საჭურველით ვეკვეთებოდი, უთუოდ რომ გამიმართლებდა. უცხოელ მხატვარს განსაკუთრებული ყურადღება არც მოუქცევია, თვალი მომაშორა და განაგრძო საუბარი ხელოვნებაზე, რომელიც ჩემს შემოსვლამდე ჰქონდა დაწყებული. საუბარმა ნელ-ნელა მის ნამუშევრებზე გადაინაცვლა, ქებადიდებით მოიხსენიეს მისი სურათები, მეტადრე ავრელიას პორტრეტი. ერთი შეხედვით ახალგაზრდა ქალის ეს პორტრეტი იქნებ ეტიუდის შთაბეჭდილებას ახდენდეს, სინამდვილეში კი შესაძლოა, ვინმე წმინდანის სახის შესაქმნელად იქნეს გამოყენებული, ამტკიცებდნენ მავანნი. ამასთან დაკავშირებით ჩემი მოსაზრება იკითხეს, რადგან ამ ცოტა ხნის წინათ ცხოველი ფერებით დავხატე ამ ჩინებული პორტრეტის აღმატებული ღირსებები და ჩემდა უნებურად აღმომხდა, რომ ეს პორტრეტი სხვაგვარად ვერც წარმომედგინა, თუ არ წმინდა როზალიას ხატება. მხატვარმა ჩემს მიერ წარმოთქმულ სიტყვებს თითქოს ყურადღება არც მიაქცია, ოღონდ ეს კი განაცხადა:

— მართალი გითხრათ, ამ პორტრეტზე ზუსტადაა წარმოდგენილი გოგონა, რომელიც მართლაც და ღვთისმოსავი წმინდანია და ბოროტებასთან ბრძოლაში ზეცად ამაღლდა. მე იგი საშინელი შეჭირვების ჟამს

დავხატე, როცა უმძიმეს წუხილს შეეპყრო და ნუგეშს რელიგიაში ეძიებდა. ღრუბლებსიქითა მეუფის მიერ მოვლინებულ მარადიულ ბედისწერას შესთხოვდა შველას და მისი შემწეობის იმედი ჰქონდა. სწორედ ჩვენს სულში ჩაბუდებული იმედის გამოხატულებაა ეს პორტრეტი, სულისა, რომელიც მიწიურ სურვილებზე მაღლა დამდგარა, ჭეშმარიტად ამაღლებული სულის ძიებაა ამ ქმნილების ძირითადი არსი.

მერე სხვა თემებზე გადაიტანეს საუბარი და ნამეტნავად გაერთნენ ლაპარაკში. უცხო მხატვრის საპატივცემულოდ სუფრაზე ჩვეულებრივზე უკეთესი ღვინო მოიტანეს და ჩვეულებრივზე უფრო მეტიც დალიეს, ერთი სიტყვით გვარიანად მოილხინეს. თითოეული მეინახე თავშესაქცევ ამბავს ჰყვებოდა. უცხო მხატვარი მხოლოდ შიგნიდან იცინოდა. ეს შინაგანი სიცილი თვალებში ეხატებოდა, მაგარ-მაგარ თქმებსაც დაურთავდა წამდაუწუმ, რითაც ყველა აღტაცებაში მოჰყავდა. დროდადრო უცნაური გულისყურით შემხედავდა, ამ დროს კი არაფრით არ შემეძლო დამეთრგუნა უსიამო, ძრწოლვისმომგვრელი განცდა, მაგრამ ნელ-ნელა თავი დავიოკე და განვიშორე ეს საშინელი განწყობა, რამაც უცნობის პირველი ხილვისთანავე დამრია ხელი. და მე დავიწყე სასაცილო ამბების თხრობა უცნაურ ბელკამპოზე, ვისაც მთელი ქალაქი იცნობდა, თანაც იმზომ თვალისმომჭრელი ფერებით წარმოვაჩინე ბელკამპოს ფანტასტიკური გატაცებები, რომ ამის გამგონენი ლამის სიცილით დაიხოცნენ. ერთ გულკეთილ სქელუა ვაჭარს, რომელიც ჩემს პირდაპირ იჯდა, სიცილისაგან ცრემლი მოერია. იგი მიმტკიცებდა, რომ ასეთი სასიამოვნო საღამო დიდი ხანია არ გაუტარებია. როცა სიცილი მიწყდა, უცხო მხატვარმა შეკითხვა დაუსვა ოთახში მყოფთ:

— ბატონებო, ოდესმე ეშმაკი თუ გინახავთ?

ეს შეკითხვა მორიგ გახუმრებად ჩათვალეს, ამიტომ ხუმრობითვე მიუგეს, მისი ხილვის პატივი ჯერ არ გვქონიაო.

— მე კი, ვგონებ, კინაღამ მერგო ამის პატივი, თანაც არცთუ ისე შორს აქედან, სახელდობრ, ბარონ ფ-ის სასახლეში, რომელიც მთებში მდებარეობს.

მე ავკანკალდი, სხვებმა კი იხუვლეს:

— განაგრძეთ, განაგრძეთ!

— თუ ამ მთებში გივლიათ, — განაგრძო მხატვარმა, — უეჭველად გაგეგონებათ, ერთი უკაცრიელი და საშინელი ადგილი რომ არის. ხშირი ნაძვნარიდან გახვალ თუ არა, წინ პიტალო კლდე აგესვეტება. სწორედ იმ კლდეზეა ის შავი უძირო ხახადაფჩენილი უფსკრული, რომელსაც არაერთი მოგზაურისათვის დაუცია შიშის ზარი და რომელსაც ეშმაკის საკარცხულს ეძახიან. ამბობენ, გრაფი ვიქტორინი, თავში რომ ავი ზრახვები უტრიალებდა, სწორედ იმ კლდის ქიმზე იყო ჩამომჯდარი და მოულოდნელად ეშმაკი გამოეცხადა. ეშმაკს მეტისმეტად მოეწონა ვიქტორინის ბოროტი ჩანაფიქრები და გადაწყვიტა თვითონ დაპატრონებოდა ამ ჩანაფიქრებს, ხოლო გრაფი უფსკრულში გადაესროლა, თავად კი გრაფის ადგილი დაეჭირა. ამის შემდეგ ეშმაკი ბარონის სასახლეს მოევლინა, ვითარცა კაპუცინი მღვდელი. ერთხანს იმან ბარონესა მოიმწვანილა, მერე კი ჯოჯოხეთში გაგზავნა, იმავე გზას გაუყენა მისი შეშლილი გერიც, ვისაც არაფრით არ შეეძლო თავის გვერდით მოეთმინა არსებობა ეშმაკის ინკოგნიტოსი, რომელიც ყველას გასაგონად აცხა-

დებდა, გაფრთხილდით, ჩვენს შორის ეშმაკი დაიარებაო. ოღონდ ეს არის, ერთი ღვთისმოსავი სული კი გადაურჩა ამის წყალობით დაღუპვას, რაც ეშმაკის მზაკვრული ჩანაფიქრით უნდა მომხდარიყო. მერე ისე მოხდა, რომ კაპუცინი მღვდლის ანაფორაში გახვეული ეშმაკი გაუჩინარდა, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერავინ გაიგო. ზოგნი ამტკიცებდნენ, რომ იგი ლაჩრულად გაექცა ვიქტორინის აჩრდილს, რომლის გასისხლიანებული სხეული საფლავიდან წამომდგარა. როგორც არ უნდა ილაპარაკონ, ერთი რამ ცხადზე უცხადესია და მეც დარწმუნებული ვარ, ბარონესამ მისგან მოწოდებული შხამიანი სასმელი დალია და სულიც გააფრთხო, ხოლო ჰერმოგენს მკვლელის ვერაგულად ჩაცემულმა მახვილმა მოულო ბოლო. თავსდატეხილ განუზომელ მწუხარებას ბარონმა ველარ გაუძლო და მალე აღესრულა, ხოლო ავრელია, ეს ულვთისნიერესი წმინდანი იმ უმძიმეს წუთებში აღვბეჭდე სურათზე, როცა სასახლეში ეს შემაძრწუნებელი ამბები ხდებოდა. ბედის ანაბარად მიტოვებული გოგონა შორეულ ქვეყანაში გაიქცა, თავი შეაფარა კარტეზიანულ მონასტერს, რომლის აბატისა მამამისის მეგობარი ქალი იყო. ამ დიდებული ქალბატონის პორტრეტს ჩემს გამოფენაზე ალბათ ნახავდით. ყველაფერ ამაზე ჩემზე უკეთ და ბევრად უფრო გამოწვლილვით მოგახსენებთ აი ეს ბატონი, (მან ხელი ჩემკენ გამოიშვირა), რომელიც იმჟამად სასახლეში იმყოფებოდა.

ყველა განცვიფრებით შემომაჩერდა. განრისხებული ფეხზე წამოვვარდი და გაშმაგებით ვიყვირე:

— აბა რა მესაქმება, ბატონო ჩემო, თქვენს აბდაუბდა მონაჩმახთან ეშმაკზე და მის სისხლიან ამბებზე. ვიღაცაში შეგეშალეთ, ჰო, შეგეშალეთ და გთხოვთ, თავი დამანებოთ!

ისე ავღელდი, ძალიან გამიჭირდა ჩემი სიტყვებისათვის გულგრილი ელფერი მიმეცა. მხატვრის იდუმალებით აღსავსე სიტყვებმა გამაოგნა. სასტიკი შეშფოთება დამეუფლა, რომლის დაფარვას ამაოდ ვცდილობდი. მხიარული განწყობილება გაქრა. სტუმრებს გაახსენდათ, რომ სავსებით უცხო პიროვნება ვიყავი, თანდათან გონს მოეგნენ და უნდობლად და ეჭვით დამიწყეს ყურება.

უცხო მხატვარი ფეხზე წამოდგა და -ცოცხალ-მკვდრის გარინდებული მზერით გამბურღა, როგორც ერთ დროს კაპუცინთა ეკლესიაში. სიტყვა არ დასცდენია, გაქვავებული, უსიცოცხლო თვალებით შემომაჩერდა, ხოლო მისმა ლანდივით მზერამ თმა ყალყზე დამიყენა, შუბლზე ცივმა ოფლმა დამასხა და შეძრწუნებულს მთელი სხეული ამიცახცახდა. გონებადაკარგული და ცნობამიხდილი უაზროდ გავყვიროდი:

— აქედან გაეთრიე! თვითონა ხარ სატანა! თვითონა ხარ თახსირი მკვლელი! ჩემთან არაფერი გესაქმება!

ყველანი წამოვარდნენ, შეშინებული კითხულობდნენ, რა ამბავია, რა მოხდაო. დარბაზში თამაშს თავი მიანებეს და ჩემი შემაძრწუნებელი ხმის გაგონებაზე ოთახში შემოცვივდნენ.

— მთვრალია! შეიშალა! გაიყვანეთ აქედან! აქედან გაიყვანეთ! — ყვიროდნენ ზოგიერთები და ჩემკენ იშვერდნენ ხელს. უცხო მხატვარი კი ადგილიდან არ იძვროდა, თვალს არ მაშორებდა, გამძვინვარებისა და სასოწარკვეთილებისაგან შეშლილმა ჯიბიდან ის დანა ამოვიღე, რითაც ჰერმოგენი გავგმირე და მხატვარს ჩავკარი, მაგრამ ჩემმა დარტყ-

მამ იმას არაფერი დაუშავა, პირიქით, თვითონ დავშავდი და ძირს დავენარცხე. მხატვარმა კი ამაზრზენად და გამქირდავად გადაიხარხარა, ამ ხარხარძა მთელს ოთახში გამოსცა ეხო.

— ძმაო მედარდუს. ძმაო მედარდუს! ყალბი თამაში გამოგივიდათ! სჯობს, აქედან წახვიდეთ და მოინანიოთ თავლაფდასხმულმა და განწირულმა!

ვიგრძენი, როგორ წამავლო ვიღაცამ ქეჩოში ხელი. ერთხანს გავუძალიახდი, ჯანი მოვიკრიბე და გამძვინვარებული ხარივით ვეკვეთე გარშემორტყმულ ხროვას, რაც ძალი და ღონე მქონდა მივაწექი, აქეთ-იქით მივყარ-მოვყარე და კარისაკენ გზა გავიკვლიე. მერე სწრაფად დერეფნისაკენ გავიქეცი და გაიღო თუ არა მომცრო გვერდითა კარი, ვიღაცამ ბნელ ოთახში შემათრია. გაძალიანებას აზრი აღარ ჰქონდა, რადგან უკან განრისხებული ჯგრო მომდევდა. როცა ჯგრომ ჩაიარა, ბნელი კიბით იმ ვიღაცამ ჯერ ეზოში, მერე კი სახლის უკან ქუჩაში გამიყვანა. ფარნის კაშკაშმა შუქზე ჩემი მხსნელი ვიცანი. იგი სასაცილო დალაქი ბელკამპო აღმოჩნდა.

— ეტყობა, უცხოელ მხატვართან პატარა უსიამოვნება შეგემთხვათ, — მითხრა მან. — გვერდით ოთახში ჭიქა ღვინოს შევექცეოდი, როცა ხმაური ატყდა. რაკი ამ სახლის ყოველი კუთხე-კუნჭული საკუთარი ხუთი თითივით ვიცი, გადავწყვიტე დაგხმარებოდით. მით უფრო რომ მთელს ამ უსიამოვნებაში ყველაზე მეტად მე მიმიძღვის ბრალი.

— თქვენ რა შუაში ხართ? — ვკითხე გაოცებულმა.

— ვინ გარდაუვა განგების ნებას? ვის ძალუძს წინააღმდეგობა გაუწიოს ცით მოვლენილ სულს? — მომიგო ქონდრისკაცმა მისებური პათოსით, — როცა თმის ვარცხნილობას ვამუშავებდი თქვენსას, ღრმად პატივცემულო, ჩემში ჩვეულებისამებრ აენთნენ და აგიზგიზდნენ უკიდურესად ამაღლებული იდეები, მოუთოკავი ფანტაზიის ველურ შემოტევას მივეცი თავი და სულაც დამავიწყდა როგორ დამელაგებინა რბილ ხვეულებად თქვენი ე. წ. მრისხანების კულული. ეს კიდევ არაფერი, უარესიც მოხდა, შუბლზე ჩამოშლილი დაგიტოვეთ შიშისა და შეძრწუნების ოცდაშვიდი ღერი თმა და სწორედ ეს ღერები აიბურძგნენ, როცა მხატვარი მიაშტერდა მათ. ეგ მხატვარი, რომ იცოდეთ, მოლანდება იყო მხოლოდ და სხვა არაფერი. ეს ოცდაშვიდი ღერი თმა საწყალობელი კვნესა-ვიშვიშით მიეხალა მრისხანების კულულს, რომელიც ოხვრითა და კვნესით აიშალ-აიჩეჩა. საკუთარი თვალით დავინახე, პატივცემულო, გაშმაგებულმა როგორ იშიშვლეთ დანა, რომელსაც რამდენიმე წვეთი სისხლი შეხმობოდა. თქვენი მცდელობა ორკუსში გაგეგზავნათ მხატვარი, რა თქმა უნდა, განწირული იყო. იგი ხომ ისედაც ორკუსიდან იყო დედამიწაზე მოსული, ვითარცა მარადიული ურია ანუ აჰასფერი, ანდა ბერტრამ დე ბორნი ან მეფისტოფელი, ბენვენუტო ჩელინი ანდა წმინდა პეტრე ანუ იმქვეყნიური სუფევის მკვიდრი ანდა კადნიერი აჩრდილი, რომელთაც ვერავინ ვერაფერს დააკლებს, თუ არ დალაქის თმის დასახვევი გავარვარებული მაშა, რასაც ძალუძს დაიმორჩილოს და მოდრიკოს იდეა. ეს იდეა კი, კაცმა რომ თქვას, თვითონ უცხო მხატვრის ფიქრებს გამოხატავს, მაგრამ იქნებ მისი ფიქრების მოხდენილად დალაგება-დაწყობა ელექტრონული სავარცხლითაც მოხდეს. მან უნდა შეირგოს ეს ფიქრები, რათა იდეა გამოკვებოს და აცოცხლოს. ხომ ხედავთ,

პატივცემულო, მე, როგორც პროფესიონალ მხატვარსა და ფანტასტიკოსს ეგეები სულ ფეხებზე მკიდია, ანუ ჩემთვის ეს ყველაფერი, როგორც გერმანელები იტყვიან ხოლმე, ტუჩის საცხია მხოლოდ და სხვა არაფერი და ეს ტუჩის საცხი მნიშვნელოვანი დოზით შეიცავს ძვირად ღირებულ მიხაკის ზეთს.

შენიშვნები

„ეშმაკის ელექსირი" ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანის (1776-1822) პირველი გამოქვეყნებული რომანია. აქამდე მას დაწერილი ჰქონდა რომანი „კორნარო, გრაფ იულიუს ფონ S-ის მემუარები" სამ ტომად (1795), რომელიც არ გამოქვეყნებულა, რადგან მწერალს ანონიმურად სურდა მისი დაბეჭდვა, გამომცემელმა კი ამაზე უარი განაცხადა. ეს ნაწარმოები კ. გროსეს გახმაურებული რომანის „გენიოსის" შთაბეჭდილებით დაიწერა. „გენიოსი" ჰოფმანის სიჭაბუკისდროინდელი ლიტერატურული გატაცება იყო.

„ელექსირის" წერა ჰოფმანმა 1814-15 წლებში დაიწყო ბერლინსა და ლაიფციგში, ამ დროისათვის იგი უკვე ცნობილი მწერალი იყო, შექმნილი ჰქონდა „კალოს სტილით დაწერილი ფანტასტიკური მოთხრობები",[1] ნაგრამ თვით ალმოცენება რომანისა ჰოფმანის ცხოვრების ადრეულ, ბამბერგულ პერიოდს (1808-1813) ემთხვევა, როცა იგი ბამბერგის თეატრის კაპელმაისტერი, დეკორატორ-მხატვარი, კომპოზიტორი და მუსიკის თეორეტიკოს-კრიტიკოსი იყო. ბამბერგში მიიღო ჰოფმანმა მონაწილეობა თავისი მეგობრის ღვინითა და წიგნებით ნოვაჭრის კარლ ფრიდრიხ კუნცის მიერ მოწყობილ კაპუცინთა მონასტრის ტრაპეზობაზე, სადაც გაიცნო მღვდელი სახელად კირილუსი. როგორც კუნცი მოგვიანებით აღნიშნავს თავის მოგონებებში, ჰოფმანი თურმე დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს პასტორისა და სამონასტრო ცხოვრებას. იგი ბამბერგში გაეცნო ახლოს გერმანული კათოლიციზმის სამყაროს და ეს ფაქტი ისტორიულ საფანელად დაედო კიდეც რომანის სიუჟეტს.

„ეშმაკის ელექსირი" თემატიკით, მოტივებით და სიუჟეტით ენათესავება ინგლისელი მწერლის გრეგორი ლევის (1775-1818) რომანს — „ამბროსიო ანუ მღვდელი" (1785), რომელიც რამდენიმე ევროპულ ენაზე ითარგმნა და ფრიად გავრცელებულ ე. წ. „სამონასტრო რომანის" ჟანრს განეკუთვნება. იგი ინგლისურიდან გერმანულად თარგმნა ფრიდრიხ ფონ ოერტელმა 1797 წელს და ჰოფმანიც ამ თარგმანით გაეცნო მას. ჰაინრიხ ჰაინე წერდა: „ეშმაკის ელექსირში" ისეთი სიუხვეა საშინელი და შემაძრწუნებელი ამბებისა, რომ წარმოუდგენელია ამაზე მეტის მოგონება — შეთხზვა შესძლოს ადამიანის გონმა. მასთან შედარებით სუსტი ნაწარმოებია ლევის მიერ მსგავს თემაზე შექმნილი „მღვდელი", რომლის წაკითხვის შემდეგ ერთი სტუდენტი ჭკუაზე შეიშალა გოეტინგენში".

სწორედ საშინელისა და შემაძრწუნებლის შთამბეჭდავი ასახვაა „ელექსირის" მთავარი მახასიათებელი ხაზი, სწორედ ეს მოტივია წამოწეული წინა პლანზე დიდი რომანტიკოსი მწერლის ამ საოცარ ქმნილებაში და, როგორც ჰოფმანის ერთ-ერთი მკვლევარი გერჰარდ ზაიდელი აღნიშნავს მას, მართლაც ვერ უდებენ ტოლს ისეთი ცნობილი მწერლების ცნობილი ნაწარმოებები, როგორიცაა შილერის „სულთამხილველი", კლინგერის „ფაუსტი", ჟან-პაულ რი-

ბტერის „ტიტანი“ და „ჰესპერუსი“, ბრენტანის „რომანსი როზენკრაცზე“ და ფუკეს „ჯადოსნური ბეჭედი“, აგრეთვე ტივისა და ნოვალისის ნაწარმოებები. ყველაზე ახლოს ჰოფმანის „ელექსირთან“ შეიძლება მივიჩნიოთ კ. გროსეს ზემოთ ნახსენები რომანი „გენიოსი“. სტილითა და სიუჟეტით ამ რომანს ჰოფმანზე დიდი ზემოქმედება არ მოუხდენია, მხოლოდ „გენიოსის“ ფატალისტური მომენტები შეიძლება გამოვყოთ ელექსირთან მიმართებაში. ამ მხრივ საყურადღებოა „ეშმაკის ელექსირის“ გენეალოგიური კონსტრუქცია, რომელიც მედარდუსის წარმოშობას უკავშირდება და, რომელიც ფუნდამენტურად განიხილა და წარმოაჩინა ჰოფმანის ცნობილმა მკვლევარმა და გამომცემელმა — ვალტერ ჰარიხმა ჰოფმანის მისეულ გამოცემათა IV ტომში.

ჰოფმანისათვის თვითმიაზნი როდია ძრწოლვისმომგვრელი და აჩრდილისეული ხილვების ჩვენება. თანამედროვე ე. წ. საშინელებების ამსახველი რომანებისა და მოჩვენებებზე მოთხრობების ავტორებისაგან განსხვავება. ჰოფმანი ცდილობს ფაბულაში შეტანილ არადამაჯერებლობათა კომპენსირება გულმოდგინე ფსიქოლოგიური მოტივირებით და დამოწმებებით მოახდინოს. თავისი პოეტური ჩანაფიქრების ხორცშესხმას მწერალი ახერხებს სამედიცინო-ფსიქოლოგიურ, საგანგებო ლიტერატურის ვრცელი შტუდიების საშუალებებით. მეტადრე ინტენსიურად გამოიყენა მან (და ეს უფრო „ელექსის“ მეორე ნაწილს შეეხება), სწორედ 1814 წელს ბამბერგში გამოსული გ. ჰ. შუბერტის „სიზმრის სიმბოლიკა“, აგრეთვე იოჰან ქრისტიან რაილის „რაფსოდიები ფსიქიური სამკურნალო მეთოდებისა სულით სნეულებზე“, კარლ კლუგეს „ცდა ანიმალურ მაგნეტიზმზე, როგორც სამკურნალო საშუალებაზე“, ფილიპ პინელის „სამედიცინო-ფილოსოფიური ტრაქტატი შეშლილობაზე“. კოქსის „პრაქტიკული შენიშვნები სულით სნეულებზე“.

ჰოფმანი ხშირად მიმართავდა საკონსულტაციოდ ცნობილ ფსიქიატრებს, მეტადრე თავის მეგობარს — მარკუსს, რომელსაც რომანშიც მოიხსენიებს, როგორც ბამბერგის „წმინდა ძმათა“ ფსიქიატრიული სამკურნალოს ხელმძღვანელს.

ჰოფმანის ჩანაფიქრი, — შუასაუკუნეობრივი მონასტერი და კათოლიკური გოტიკა დაედო საფუძვლად თავისი რომანისათვის, — ბამბერგში ჩაისახა. საკუთრივ „ეშმაკის ელექსირის“ კონცეფცია 1814 წელს მომწიფდა. ამავე წლის 4 მარტის დღიურში ჰოფმანი წერს ამ წიგნის შექმნის იდეაზე. 5 მარტს დაიწყო პირველი ნაწილის წერა, 23 აპრილს კიდევაც დაასრულა. 24 მარტს ლაიფციგიდან ატყობინებს თავის ბამბერგელ გამომცემელს — კუნცს, რომანის პირველი ნაწილი თითქმის დამთავრებული მაქვსო. სავარაუდოა, რომ კუნცმა რომანის გამოცემაზე უარი უთხრა. 9 ივნისს ჰოფმანმა ნაწარმოების პირველი ნაწილი გაუგზავნა ბერლინში ჰიტციგს (მეგობარი და პირველი გამომცემელი ჰოფმანისა). ამ დროს რომანის მეორე ნაწილის იდეა, როგორც დღიურებში ვკითხულობთ, მომწიფებულია. ბერლინში საცხოვრებლად გადასვლისას, დაახლოვებით 1815 წლის ზაფხულში, ჰოფმანი კვლავ დაუბრუნდა რომანზე მუშაობას და წლის ბოლომდე გაასრულა კიდეც. საბოლოოდ ჰიტციგმა იტვირთა ამ რომანის გამოცემა და გამოსცა ბერლინში, პირველი ნაწილი — 1815 წელს, მეორე ნაწილი — 1816 წელს. ეს არის ჰოფმანის სიცოცხლეში გამოცემული ამ რომანის ერთადერთი პუბლიკაცია.

I ნაწილი

1. „კალოს სტილით დაწერილი ფანტასტიკური მოთხრობები“ — პირველი დიდი ლიტერატურული ქმნილება ჰოფმანისა, ოცი მოთხრობის, ნარკვევის, ზღაპრისა და სტატიის კრებული, რომელიც 1808-1815 წლებში მისი ცხოვრების ბამბერგულ, დრეზდენულ, ლაიფციგურ და ნაწილობრივ ბერლინურ პერიოდებში შეიქმნა.

2. ჟაკ კალო (1592-1635) — ნანსის მკვიდრი, ფრანგი მხატვარი, გრავიურისტი, ოფორტისტი.

3. ბ. — ქალაქი ბამბერგი.

4. „წმინდა ცაცხვის“ მონასტერი ითვლება სახელგანთქმულ სალოცავ ალაგად რასტენბურგში (აღმ. პრუსია).

5. წმინდა ბერნარდუსი — ბერნარდ ფონ კლერვოქსი (დაახლ. 1090-1153) ქრისტიანი წმინდანი და საეკლესიო მოძღვარი, დოქტორ მელიფლუსად წოდებული. კლერეოქსის მონასტრის აბატი ლანურში.

6. წმინდა ბერნარდუსის დღესასწაული — ბერნარდუსის დღედ ითვლებოდა 20 აგვისტო (მისი გარდაცვალების დღე).

7. „დიდება მაღალო ღმერთო“. ქრისტიანული სახოტბო სიმღერა, კათოლიკური მესსის ნაწილი.

8. მიტრა, ძვირფასი თავსაბურავი ეპისკოპოსებისა და აბატებისათვის.

9. მედარდუსის დღე — 8 ივნისი. ქრისტიანი წმინდანი, ტურნისა და ნოიონის ეპისკოპოსი (დაახლ. 500-560).

10. წმინდა ანტონიუსის ცხოვრება — რომანში წარმოდგენილი ცხოვრების ისტორიას იხსენიებს ალექსანდრიელი წმინდა მაკარიუსი. ანტონიუსზე ლეგენდას ჰოფმანი გაეცნო ციმერმანის წიგნით „მარტოობის შესახებ“ (1784), რომელშიც ლაპარაკია პადუელ წმინდა ანტონიუსზე. ჰოფმანმა ანტონიუსში ქრისტიანი წმინდანი — ანტონიუს დიდი (დაახლ. 250-356) იგულისხმა.

11. წმინდა ანტონიუსის დღე — 17 იანვარი.

12. წმინდა როზალია — მონტე პერერინოს მონაზონი, ითვლება პალერმოს წმინდანად. ჰოფმანი არ მიიჩნევს მას წამებულად.

13. ცირცეა — ჯადოქარი, მაცთუნებელი ქალი. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით კირკე არის ჰელიოსის მაცთური ასული. აიეტის და კუნძულ აიადან.

14. „წმინდაო როზალია, ილოცე ჩვენთვის“.

15. ტუპე — ფრანგული სიტყვისაგან toupet — ქოჩორი, გრუზა თმა. დაახლ. 1780 წლიდან მეტად გავრცელებული მამაკაცის პარიკი შუბლზე ჩამოშლილი გრუზა თმით.

16. ტიტუსის ვარცხნილობა. მე-18 საუკუნის ბოლოს გავრცელებული მოდა, რაც მოკლედ შეკრეჭილ, კულულებად დაფენილ თმას ნიშნავს.

17. ჯაკომო პუნტო, იაკობ შტიხი — იაკობ მენცელ შტიხი (დაახლ. 1750-1803) ჯოვანი პუნტოდ წოდებული. თვალსაჩინო ჰორნისტი (მებუკე). პოვენმა მისთვის შექმნა „სონატა საყვირისათვის“.

18. კარაკალა — იმპერატორი მ. აურელიუს ანტონინუს აუგუსტუს (186-217). რომის იმპერატორი კარაკალად წოდებული, ვისაც დიდად მოსწონდა კაპუცინური მოსასხამის ტარება.

19. ტიტუს ფლავიუს ვესპასიანუსი (39-81), რომის იმპერატორი.

20. კარლოს I დიდი (742-814), ფრანკთა მეფე და რომის იმპერატორი.

21. ალბათ იგულისხმება ჰენრიხ IV ბოლინგბროკი (1367-1413), ინგლისის მეფე.

22. გუსტავ I ადოლფი (1594-1632), შვეციის მეფე.

23. პუბლიუს ვერგილიუს მარო (70-19 ძვ. წ.), რომაელი პოეტი, „ენეიდას" ავტორი.

24. ტორკვადი ტას (1544-1595), იტალიური რენესანსის თვალსაჩინო წარმომადგენელი. „განთავისუფლებული იერუსალემის" ავტორი.

25. ჯოვანი ბოკაჩო (1313-1375). იტალიური რენესანსის თვალსაჩინო მწერალი, „დეკამერონის" ავტორი.

26. „უფსკრულიდან ამოგძახებ, შენ, მეუფეო, ნება მოგვეც, ვილოცოთ უკუნითი უკუნისამდე, ამინ!" (ლათ.).

27. აბელარი (1079-1142) — ფრანგი სქოლასტიკოსი ფილოსოფოსი და თეოლოგი, რაციონალისტური ტენდენციების გამო იდევნებოდა. საყურადღებოა მისი თხზულებები „კი და არა" (1122) და ავტობიოგრაფიული ნაწარმოებები „ჩემი უბედობის ამბავი".

28. დამონი და ფინტიასი — ორი სახელგანთქმული პითაგორელი მეგობარი სირაკუზში.

29. ორესტე — ძველბერძნული მითოლოგიისა და ლიტერატურის გმირი, აგამემნონისა და კლიტემნესტრას ვაჟი, ელექტრას ძმა. შური იძია დედაზე მამის მკვლელობისათვის.

30. ჩიჩერონე — უცხოელთა მეგზური იტალიაში.. რომანში მინიშნებულია ჩიჩერონეს ენამრავლობაზე.

31. ანტონის ვან დეიკი (1599-1641) — ნიდერლანდელი მხატვარი, რუბენსის მოწაფე. დიდხანს მოღვაწეობდა იტალიასა და ინგლისში. ქმნიდა რელიგიური შინაარსის სურათებს. სახელი გაითქვა პარადული და ინტიმური პორტრეტებით.

32. ჩვეულებისამებრ (ფრანგ.).

33. მოლანდება, აჩრდილი (ფრანგ.).

34. აჰასფერი — შუასაუკუნეების ქრისტიანული ნაწარმოების გმირი. მეწაღე, ღარიბი ებრაელი, რომელმაც გოლგოთას გზაზე ჯვრის ზიდვით დაღლილ ქრისტეს შესვენება დაუშალა, რისთვისაც ღმერთმა შეაჩვენა და მარადიული ხეტიალი არგუნა განკითხვის დღემდე. მოგვიანებით აჰასფერს „მარადიული ურიას" უწოდეს. გადატანითი მნიშვნელობით აჰასფერი ნიშნავს უთვისტომო, მიუსაფარ კაცს. მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში აჰასფერის სახე სხვადასხვაგვარადაა გააზრებული (გოეთე, შილერი, ჰანს ქრისტიან ანდერსენი...).

35. ბერტრან დე ბორნი — პროვანსელი ტრუბადური (დაახლ. 1146-1215), მეტადრე ულანდის ლექსის მიეხდვით გახდა ცნობილი გერმანიაში.

36. ბენვგნუტო ჩელინი — იტალიელი ოქრომჭედელი (1500-1570), რომლის ცხოვრება თარგმნა გოეთემ.

37. წმინდა პეტრე, პეტრე — ქრისტეს მოციქული, უფრო სწორად, სიმონი, გალილეველი მეთევზე. კათოლიკურ ეკლესიაში პატივი დასდეს ყოფილიყო რომის პირველი ეპისკოპოსი.

(გაგრძელება იქნება)

ალბერ კამიუ

სტუმარი

ფრანგულიდან

თარგმნა ილია გასვიანმა

ალბერ კამიუ დაიბადა 1913 წლის 7 ნოემბერს ალჟირში, მონდოვიში. მამამისი მარნის ბრძოლაში დაიღუპა 1914 წელს. ამის შემდეგ დედა, ესპანური წარმოშობის ქალი — კატრინ სენტესი — დედაქალაქში (ალჟირში) გადავიდა და ბელკურის ღარიბულსა და კოსმოპოლიტურ უბანში დამკვიდრდა. კამიუს აღზრდაში დიდი წვლილი მიუძღვით ბებიას და ბიძას, პროფესიით ყასაბს და ანდრე ჟიდის დიდ დამფასებელს. ასევე ლუი ჟერმენსაც, რომელიც კამიუს მასწავლებელი იყო ბელკურის სკოლაში.

1937 წელს კამიუს ჭლექი შეეყარა და საჯკურნალოდ ალპებში გაემგზავრა. ალჟირში დაბრუნების შემდეგ იმავე 1937 წელს მან გამოაქვეყნა თავისი ესე „პირი და სარჩული“. აქედან იწყება მისი ლიტერატურული კარიერა. ომის გამოცხადებისას კამიუ მოხალისედ წავიდა ჯარში, მაგრამ სუსტი ჯანმრთელობის გამო გაათავისუფლეს სამხედრო სამსახურიდან. საკუთარი პოლიტიკური შეხედულებების გამო იძულებული გახდა დაეტოვებინა ალჟირი და პარიზში გადასულიყო, სადაც ჟურნალისტად მუშაობდა.

კამიუს ძირითადი ნაწარმოებებია:

ესეები:

„პირი და სარჩული“ (1937); რომანები:
„ქორწილი“ (1938); „უცხო“ (1942);
„სიზიფეს მითი“ (1942); „შავი ჭირი“ (1947);
„ამგოხეგული“ (1951); „დაცემა“ (1956).

პიესები:

„კალიგულა“ (ოთხმოქმედებიანი პიესა, დაიწერა 1938 წელს, გამოქვეყნდა 1944 წელს);

„მართალნი“ (1949),
„გაუგებრობა“ (1944),
„საალყო მდგომარეობა (1948).

1957 წელს ალბერ კამიუს ნობელის პრემია მიენიჭა.

1960 წლის 4 იანვარს, ორშაბათს, პარიზის გზაზე, სანსის მახლობლად კამიუ საგზაო ავარიაში დაიღუპა. მანქანა, რომლითაც მწერალი პარიზში მიემგზავრებოდა, ხეს შეასკდა. ეს იყო ალბათ ყველაზე უსამართლო, ყველაზე აბსურდული სიკვდილი აბსურდის ფილოსოფიის შემქმნელისა.

მოთხრობა „სტუმარი“ შესულია კამიუს მოთხრობების კრებულში „გადასახლება და სამეფო“ (1957), სადაც ვხვდებით იმ მრავალ თემას, ავტორმა რომ განავითარა თავის რომანებში „უცხო“ და „შავი ჭირი“.

მასწავლებელი მაღლიდან დაჰყურებდა ორ კაცს, მისკენ რომ ამოდიოდნენ. ერთი ცხენზე იჯდა, მეორე ფეხით მოდიოდა. ისინი ჯერ არ შედგომოდნენ სკოლისკენ ამომავალ დახრამულ ციცაბო ბილიკს. სკოლა ბორცვის კალთაზე იდგა. კაცები დაქანცულები ჩანდნენ, რადგან თოვლში მოაბიჯებდნენ ამ მაღალი ცარიელი ზეგანის უზარმაზარ განშტოებაზე. დროდადრო ცხენი წაიბორძიკებდა; არ ხვიხვინებდა, მხოლოდ ოხშივარი ჩანდა, ნესტოებიდან რომ გამოდიოდა. ერთ-ერთი კაცი, ეტყობა, იცნობდა ამ მხარეს. ისინი ნაკვალევს მოსდევდნენ, აგერ რამდენიმე დღეა რომ გამქრალიყო თეთრი და ჭუჭყიანი თოვლის ქვეშ. მასწავლებელმა გამოთვალა, რომ ბორცვამდე ნახევარ საათზე ადრე ვერ მიაღწევდნენ. ციოდა და სკოლაში შევიდა, სვიტერი რომ ეპოვა.

მასწავლებელმა გადაჭრა სკოლის ცარიელი და გაყინული ოთახი. შავ დაფაზე სამი დღეა საფრანგეთის ოთხი მდინარე, ოთხი სხვადასხვა ფერის ცარცით დახატული, სანაპირო ზოლისაკენ მიედინებოდნენ. თოვლი თავხედურად მოვიდა შუა ოქტომბერში რვა თვის გვალვის შემდეგ. წვიმას არავითარი ცვლილება არ მოუტანია. ოციოდე მოწაფე, ზეგანზე გაფანტულ სოფლებში რომ ცხოვრობდნენ, სკოლაში აღარ დადიოდნენ. კარგ ამინდს უნდა დალოდებოდი. დარიუ ერთადერთ ოთახსღა ათბობდა, რომელშიც ცხოვრობდა. ეს ოთახი სკოლას ემიჯნებოდა და ასევე ისიც ზეგანს გადაჰყურებდა აღმოსავლეთისკენ. ერთი ფანჯარა, მსგავსად სკოლის ფანჯრებისა, სამხრეთისკენ გადიოდა. სკოლა რამდენიმე კილომეტრზე მდებარეობდა იმ ადგილიდან, სადაც ზეგანი სამხრეთისკენ დაბლდებოდა. როცა მოწმენდილი ამინდი იყო, შეიძლებოდა დაგენახათ მთის იისფერი განშტოებანი. აქედან იწყებოდა უდაბნო.

ცოტა რომ გათბა, დარიუ იმ ფანჯარასთან მიბრუნდა, საიდანაც პირველად შეამჩნია ის ორი კაცი. ისინი აღარ ჩანდნენ. ეტყობა, უკვე ციცაბო ბილიკს შედგომოდნენ. ცა უკვე არც ისე ჩაშავებული იყო. ღამით ალბათ თოვდა. დილა თითქოსდა ტალახისფერი გათენებულიყო, ძლივძლივობით ემძლავრა, რადგანაც ღრუბლები მაღლა-მაღლა მიიწევდნენ. ნაშუადღევის ორ საათზე იტყოდით, დღე მხოლოდ ახლა იწყებაო. მაგრამ ეს ჯობდა იმ სამ დღეს, როცა სქლად თოვდა თითქოს

სამუდამოდ გამეფებული უკუნეთის შუაგულში, თანაც ქარი უცბად იცვლიდა მიმართულებას და სკოლის ორმაგ კარს აჯაყჯაყებდა. დარიუ მაშინ მოთმინებით უძლებდა გრძელ საათებს თავის ოთახში, საიდანაც მხოლოდ ფარდულში გასასვლელად გამოდიოდა, ქათმებისთვის რომ მიეხედა და მარაგიდან ცოტაოდენი ნახშირი წამოელო. საბედნიეროდ, საბარგო მანქანამ ტაჯიდიდან — ჩრდილოეთით ყველაზე მახლობელი სოფელი რომ იყო, ქარიშხლამდე ორი დღით ადრე ჩამოუტანა მარაგი. ის ორ დღეში დაბრუნდებოდა.

ალყის გასაძლებად მას ჰქონდა ხორბლის ტომრები, პატარა ოთახი რომ აევსო და ადმინისტრაციას დაეტოვებინა მარაგად, რათა თავისი მოწაფეებიდან იმათთვის დაერიგებინა, რომელთა ოჯახებიც გვალვის მსხვერპლნი გამხდარიყვნენ. მართლაც უბედურება ყველას კარს მოდგომოდა, რადგან ყველანი ღარიბები იყვნენ. დარიუ ყოველდღე უნაწილებდა პატარებს ცოტა-ცოტა მარაგს, ამ მძიმე დღეების განმავლობაში რომ არ ჰქონდათ; დარიუმ ეს იცოდა. იქნებ ამ საღამოს ერთ-ერთის მამა ან უფროსი ძმა მოსულიყო დარიუსთან და იგი მათ მარცვლეულით მოამარაგებდა, რომ მომავალი მოსავლის აღებამდე თავი გაეტანათ. სულ ეს იყო საჭირო. ხორბლით დატვირთული გემები საფრანგეთიდან მოემართებოდნენ, ყველაზე მძიმე დრო უკან იყო მოტოვებული. მაგრამ ძნელი იქნებოდა დავიწყება ამ სიღარიბისა, მზეში მოხეტიალე ამ ძონძებიანი აჩრდილების ლაშქრისა, თვეების მანძილზე გადამწვარი ზეგნებისა, ნელ-ნელა დანაოჭებული, მთლად გადახრუკული მიწისა, ყოველი ქვისა, ფეხქვეშ მტვრად რომ იქცეოდა. იხოცებოდა ათასობით ცხვარი და აქა-იქ ადამიანებიც, ისე რომ ამას ხანდახან ვერც კი იგებდნენ.

ამ მიკარგულ სკოლაში, სადაც თითქმის ბერივით ცხოვრობდა და კმაყოფილიც კი იყო იმ ცოტაოდენისა, რაც გააჩნდა, ამ ძნელად ასატანი ცხოვრების მიუხედავად, მან ბატონად იგრძნო თავი — რაკი ჰქონდა ვიწრო დივანი, მობათქაშებული კედლები, თეთრი ხის თაროები, ჭა და ყოველკვირეული მომარაგება წყლითა და საკვებით. და უცებ მოულოდნელად წამოვიდა თოვლი, მერე წვიმებმა დასცხო. მხარე იყო ასეთი, საცხოვრებლად მკაცრი და ძნელი, ადამიანებიც კი არ იყვნენ, რომ რამე მოეგვარებინათ. მაგრამ დარიუ აქ დაიბადა. სხვაგან ყველგან ის განდევნილივით გრძნობდა ხოლმე თავს.

დარიუ გარეთ გამოვიდა და სკოლის წინ მიწაყრილზე დადგა. ის ორი კაცი ახლა შუა ფერდობზე იყვნენ. მან მხედარში ბალდუსი ამოიცნო — მოხუცი ჟანდარმი, რომელსაც დიდი ხანია იცნობდა. ბალდუსის თოკის ბოლოთი გამოება ერთი არაბი, შეკრული ხელებით და შუბლდახრილი მის უკან რომ მოდიოდა. ჟანდარმმა მისალმების ნიშნად ხელი დაუქნია, რაზეც დარიუმ არ უპასუხა. ეს უკანასკნელი გართული იყო არაბის ცქერით, რომელსაც ჯელაბა ეცვა, ადრე რომ ლურჯი ფერის უნდა ყოფილიყო, ფეხზე კი — უხეში მონაცრისფრო მატყლის წინდები და სანდლები, თავზე ვიწრო და მოკლე ფესი ეხურა. ისინი ახლოვდებოდნენ. ბალდუსის ნაბიჯ-ნაბიჯ მოჰყავდა თავისი ცხენი, არაბი რომ არ დაეშავებინა, და ასე ნელ-ნელა მოიწევდნენ წინ.

ხმის მოსაწვდენი მანძილიდან ბალდუსიმ დაუყვირა: „ერთი საათი

უნდა ელ ამერიდან აქამდე სამი კილომეტრის გამოვლას!“ დარიუმ არ უპასუხა; ტანდაბალი და მხარბეჭიანი ჩანდა თავის სქელ სვიტერში. დარიუ მხოლოდ უყურებდა, როგორ ამოდიოდნენ ისინი. არაბს ერთხელაც არ აუწევია თავი. „გამარჯობათ, — თქვა დარიუმ, როცა ისინი მიწაყრილზე ამოვიდნენ. — შემოდით, გათბით“. ბალდუსი გაჭირვებით ჩამოვიდა ცხენიდან, თუმცა თოკისთვის ხელი არ გაუშვია. მან მასწავლებელს აბურძგნულ ულვაშებს ქვემოდან გაუღიმა. პატარა კუშტი თვალები, მზემოკიდებულ შუბლს ქვეშ ღრმად ჩავარდნილნი, და ირგვლივ ნაოჭებით დაღარული პირი მას ყურადღებიანი და მუყაითი ადამიანის იერს აძლევდა. დარიუმ აღვირს ჩასჭიდა ხელი, ცხენი ფარდულისაკენ წაიყვანა და ისევ გამობრუნდა ამ ორი კაცისკენ, მას ეხლა სკოლაში რომ ელოდებოდნენ. დარიუმ ისინი ოთახში შეიყვანა. „ახლავე გავათბობ სასწავლო ოთახს, — თქვა მან. — იქ უფრო მოხერხებულად ვიქნებით“. ოთახში მეორედ რომ შევიდა, ბალდუსი დივანზე იჯდა. არაბისთვის თოკი მოეხსნა და ისიც ახლა ბუხართან ჩაცუცქულიყო. ხელები ისევ შეკრული ჰქონდა, ფესი უკან გადაეწია და ფანჯრისკენ იყურებოდა. დარიუმ პირველად მისი დიდი ტუჩები დაინახა, ხორციანი და პრიალა, თითქმის ზანგური. სწორი ცხვირი და ჯიუტი შუბლი ჰქონდა, თვალები კი კუშტი და წამონთებული; გახურებულ, სიცივისგან ოდნავ გაფერმკრთალებულ სახეს ერთდროულად შფოთიანი და უდრეკი იერი ედო, რამაც გააოცა დარიუ, როდესაც არაბმა სახე მისკენ მოატრიალა და პირდაპირ შეხედა თვალებში.

— აქეთ გამოდით, — თქვა მასწავლებელმა, — პიტნის ჩაის მოგიმზადებთ.

— გმადლობთ, — უპასუხა ბალდუსიმ. — ესეც თუ სამუშაოა! უთუოდ პენსიაზე გასვლა მომიწევს. — და არაბულად უთხრა თავის ტყვეს: — მოდი აქ. — არაბი ადგა და სკოლაში ნელა შევიდა, შეტყუპებული მაჯები წინ გამოეშვირა.

ჩაისთან ერთად დარიუმ სკამიც მოიტანა; მაგრამ ბალდუსი უკვე წამოჭიმულიყო პირველსავე მერხზე, არაბი კი მასწავლებლის ფიცარნაგზე ჩაცუცქულიყო, ბუხრის პირდაპირ, რომელიც საწერ მაგიდასა და ფანჯარას შორის იყო. როცა დარიუმ ტყვეს ჩაის ჭიქა გაუწოდა, შეკრულმა ხელებმა ცოტა შეაყოყმანა და თქვა: „ალბათ შეიძლება მოხსნა“. „რა თქმა უნდა, — უთხრა ბალდუსიმ. — ეს მგზავრობის დროს იყო საჭირო“. მან თითქოს ასადგომად წამოიწია, მაგრამ დარიუმ ჭიქა მიწაზე დადგა და არაბთან ჩაიმუხლა. ეს უკანასკნელი უსიტყვოდ შეჰყურებდა წამონთებული თვალებით. ხელები რომ გაუნთავისუფლეს, მან ერთმანეთს გაუსვ-გამოუსვა შეშუპებული მაჯები, ჭიქა აიღო და ცხელი ჩაი პატარ-პატარა ყლუპებით შთანთქა.

— კეთილი, — თქვა დარიუმ. — მაშ საით გაგიწევიათ?

ბალდუსიმ ჩაის ულვაში მოაშორა და ამოილაპარაკა:

— ჩვენ შენთან მოვედით, შვილო.

— უცნაური მოწაფეები კი ხართ! — აქ დარჩებით?

— არა. მე ელ ამერში გავბრუნდები. შენ კი ამას ტენგიში მიიყვან. მას შერეულ კომუნაში ელოდებიან.

ბალდუსი დარიუს მეგობრული ღიმილით შეჰყურებდა.

— რას ამბობ, — თქვა მასწავლებელმა. — მასხრად მიგდებ?

— არა, შვილო. ეს ბრძანებაა.

— ბრძანება? მე ხომ...— დარიუ შეყოყმანდა, არ სურდა მოხუცი კორსიკელის განაწყენება. — ბოლოსდაბოლოს, მე აქ არაფერ შუაში ვარ, ეს ხომ ჩემი საქმე არაა.

— ეე! ეს რალას ნიშნავს? ომის დროს ყველანაირ საქმეს ვასრულებთ ხოლმე.

— მაშ ომის გამოცხადებას დაველოდები!

ბალდუსი თავის დაქნევით დაემოწმა.

— კეთილი, მაგრამ ეს ბრძანებაა და ის შენც გეხება. როგორც ჩანს, რაღაც მოხდება. მომავალი აჯანყების შესახებ ლაპარაკობენ. ასე რომ ჩვენც მობილიზებულნი ვართ.

დარიუ მის ჯიუტ სახეს შეჰყურებდა.

— მისმინე, შვილო, — თქვა ბალდუსიმ. — ძალიან მიყვარხარ, უნდა გამიგო. ჩვენ, თორმეტიოდე კაცი, პატრულის ფუნქციას ვასრულებთ ამ პატარა დეპარტამენტის ტერიტორიაზე. მე უნდა დავბრუნდე. მიბრძანეს შენთვის ჩამებარებინა ეს ტიპი და დაუყოვნებლივ დავბრუნებულიყავი. მისი იქ ყოფნა აღარ შეიძლებოდა, რადგან სოფელი შფოთავდა, შეპყრობა უნდოდათ მისი. შენ ის ხვალ ტენგიში უნდა მიიყვანო. ოციოდე კილომეტრიც არაა იქამდე, რაც შენნაირ ჯანმაგარ კაცს არ შეაშინებს. მალე ეს ყველაფერი მორჩება. ხოდა, შენც დაუბრუნდები შენს მოწაფეებს და შენს ტკბილ ცხოვრებას.

კედლის იქით ცხენის ფრუტუნისა და ჩლიქების ცემის ხმა გაისმა. დარიუმ ფანჯრიდან გაიხედა. იდარებდა, სინათლე ეფინებოდა თოვლიან ზეგანს. მთელი თოვლი რომ დადნებოდა, მზე ისევ გამოჩნდებოდა და კიდევ ერთხელ გადახრუკავდა ქვიან მინდვრებს. ზეცა ამ უკაცრიელ სივრცეს ისევ გადმოაფრქვევდა თავის მწველ შუქს. აქ ხომ არაფერი მეტყველებდა ადამიანის არსებობაზე.

— ბოლოს და ბოლოს, — მიუბრუნდა იგი ბალდუსის. — რა ჩაიდინა ასეთი? — და ვინემ ჟანდარმი პირს გააღებდა, ჰკითხა: — ფრანგულად ლაპარაკობს?

— არა, ერთი სიტყვაც არ იცის. მას მთელი თვე ეძებდნენ, მაგრამ მალავდნენ. მან თავისი ბიძაშვილი მოკლა.

— ჩვენ წინააღმდეგაა?

— არა მგონია. თუმცა ვინ იცის?

— რატომ მოკლა?

— ვფიქრობ, რაღაც ოჯახური საქმეებია. როგორც ჩანს, ერთს მეორის მარცვლეული მართებდა. თუმცა კაცმა არ იცის. მოკლედ რომ ვთქვათ, მან ბიძაშვილი მოკლა წალდით. ხომ იცი, ცხვრებს რომ კლავენ ხოლმე, ისე...

ბალდუსიმ ხელი ისე გაიქნია, თითქოს ყელში გამოისვაო; არაბი კი ამ დროს მას ყურადღებით და ერთგვარი შეშფოთებით უყურებდა. დარიუს უეცრად სიბრაზე მოაწვა ამ ადამიანისა თუ ყველა ადამიანის მიმართ მათი საზიზღარი სიავის, დაუღალავი სიძულვილისა და სიხარბის წყურვილის გამო.

ღუმელზე ჩაიდანი შიშინებდა. მან ისევ დაუსხა ჩაი ბალდუსის,

შეყოყმანდა, მაგრამ შემდეგ არაბსაც მიუტანა, რომელმაც ისევე ხარბად დალია ჩაი, მისმა მაღლა აწეულმა მკლავებმა ახლა ოდნავ გადაწიეს ჯელაბა და მასწავლებელმა თვალი ჰკიდა მის გამხდარსა და დაკუნთულ მკერდს.

— გმადლობთ, ყმაწვილო, — თქვა ბალდუსიმ. — ახლა კი წავედი.

იგი ადგა და არაბისაკენ გაემართა, თან ჯიბიდან თოკი ამოიღო.

— რას აკეთებ? — ცივად ჰკითხა დარიუმ.

შეფიქრიანებულმა ბალდუსიმ მას თოკი აჩვენა.

— ახლა საჭირო აღარაა, — უთხრა დარიუმ.

მოხუცი ჟანდარმი შეყოყმანდა.

— როგორც გინდა. რა თქმა უნდა, იარაღი გექნება?

— სანადირო თოფი მაქვს.

— სად?

— ჩემოდანში.

— ის საწოლთან ახლოს უნდა გქონოდა.

— რატომ? მე არაფერი მაქვს საშიში.

— შეშლილხარ, შვილო. ისინი რომ აჯანყდნენ, საიმედო ადგილი არავის ექნება. ჩვენ ყველანი ერთნაირ მდგომარეობაში ვართ.

— მე თავს დავიცავ. დრო მექნება, მათი მოსვლა რომ დავინახო.

ბალდუსიმ სიცილი დაიწყო, შემდეგ ულვაშმა ისევ დაუფარა ჯერ კიდევ თეთრი კბილები.

— დრო გექნება? კეთილი. მეც სწორედ ამას ვამბობ. შენ მუდამ ცოტათი შეშლილი იყავი. სწორედ ამისთვის მიყვარხარ. ჩემი შვილიც ასეთი იყო.

ამის თქმისას რევოლვერი ამოიღო და საწერ მაგიდაზე დადო.

— შეინახე, მე ორი იარაღი არ მჭირდება აქედან ელ-ამერში ჩასასვლელად.

რევოლვერი ლაპლაპებდა მაგიდის შავ ზედაპირზე. ჟანდარმი რომ მისკენ მოტრიალდა, მასწავლებელს ტყავისა და ცხენის სუნი ეცა.

— მისმინე, ბალდუსი, — თქვა უცებ დარიუმ. — ეს ყველაფერი, პირველ რიგში კი ეგ შენი ყმაწვილი, ზიზღსა მგვრის. მე მას არ წავიყვან. რომც მცემო, ამას არ ვიზამ.

მოხუცმა ჟანდარმმა, რომელიც დარიუს წინ იდგა, მკაცრად შეხედა.

— ნუ სულელობ, — უთხრა ნელა. — ეს არც მე მიყვარს. ადამიანის დაბორკვას წლების მიუხედავად ვერა და ვერ ეჩვევი, მუდამ გრცხვენია კიდეც, დიახ. მაგრამ იმათ არ უნდა დავანებოთ ამის გაკეთება.

— მე მას არ წავიყვან, — გაიმეორა დარიუმ.

— ეს ბრძანებაა, შვილო. გიმეორებ.

— დიახ. გაუმეორე მათ, რაც გითხარი: მე მას არ წავიყვან.

ბალდუსი, ჩანდა, თავს ძალას ატანდა რაღაც მოეფიქრებინა. იგი არაბსა და დარიუს შეჰყურებდა. ბოლოს გადაწყვიტა.

— არა, მე მათ არაფერს ვეტყვი. თუ შენ ჩვენი მიტოვება გინდა, როგორც გინდოდეს, მე შენ არ გაგცემ. მაგრამ პატიმრის მიყვანის და

ჩაბარების ბრძანება მაქვს და ამას გავაკეთებ. ახლა კი ხელი მომიწერე ქაღალდზე.

— ეს უსარგებლოა. მე ვიტყვი, რომ იგი შენ დამიტოვე.

— ნუ იავგულებ ჩემთან. ვიცი, სიმართლეს იტყვი. აქაური ხარ და კაციც, ბოლოს და ბოლოს. მაგრამ წესია ასეთი, ხელი უნდა მომიწერო.

დარიუმ უჯრა გამოსწია, ამოიღო იისფერი მელნის ოთხკუთხა პატარა ქილა, წითელი ხის კალმისტარი, რომელსაც ნიმუშების ხაზგასასმელად იყენებდა, და ხელი მოაწერა. ჟანდარმმა საგულდაგულოდ დაკეცა ქაღალდი და საფულეში შეინახა. შემდეგ კარისაკენ გაემართა.

— გაგაცილებ, — უთხრა დარიუმ.

— არა, არ ღირს, — თქვა ბალდუსიმ. — შენ შეურაცხყოფა მომაყენე.

მან არაბს შეხედა, უძრავად რომ იჯდა, ნაღვლიანად ამოიოხრა და კარისკენ მიტრიალდა:

— მშვიდობით, ყმაწვილო, — თქვა და კარი გაიჯახუნა. მერე ფანჯრის წინ გამოჩნდა და მიიმალა; მისი ნაკვალევი თოვლმა დაფარა. ტიხარს იქით ცხენი აბორგდა, ქათმები დაფრთხნენ. ერთი წუთის შემდეგ ბალდუსიმ ისევ გამოიარა ფანჯრის წინ, ხელში აღვირი ეჭირა. ცხენი ციცაბო ბილიკისაკენ წაიყვანა უკანმოუხედავად. ჯერ ის გაუჩინარდა და მერე ცხენი, მოისმა, როგორ დაგორდა დიდი ქვა. დარიუ პატიმართან გამობრუნდა, რომელიც ისევ იმ ადგილას იჯდა და თვალებს არ აცილებდა მას. „მოიცადე", — უთხრა მასწავლებელმა არაბულად და თავისი ოთახისაკენ გაემართა. ზღურბლს რომ გადააბიჯა, რევოლვერი მოაგონდა. საწერი მაგიდისაკენ წავიდა, აიღო იგი და ჯიბეში ჩაიჩარა. შემდეგ უკანმოუხედავად თავის ოთახში შევიდა.

ის დიდხანს იწვა დივანზე და უყურებდა, ცა ნელ-ნელა როგორ იფარებოდა ღრუბლებით, და სიჩუმეს უსმენდა. ეს სიჩუმე მძიმე და აუტანელი ეჩვენა ომის შემდეგ. აქ მოსვლის პირველ დღეებში მან სამსახური ითხოვა პატარა ქალაქში, რომელიც იმ მთების ძირში მდებარეობდა, მაღალ ზეგნებს რომ ყოფდა უდაბნოსაგან. იქ ქალაქის კლდოვანი გალავანი, ჩრდილოეთით მწვანე და შავი, სამხრეთით კი ვარდისფერი ან იასამნისფერი, მარადიული ზაფხულის საზღვარს აღნიშნავდა. იგი ერთ ადგილას განაწესეს, უფრო ჩრდილოეთით, თვით ზეგანზე. დასაწყისში მარტოობა და სიჩუმე მისთვის მძიმე აღმოჩნდა ამ უნაყოფო მიწებზე, მხოლოდ ქვების სამეფოს რომ წარმოადგენდა. ზოგჯერ ნახნავები გაფიქრებინებდათ, აქ კულტურები გაუშენებიათო, მაგრამ ისინი ერთი რომელიღაც ქვის გამოსამზეურებლად გაეთხარათ, მშენებლობისთვის რომ იყო გამოსადეგი. აქ მიწას მხოლოდ კენჭების მოსაქუჩად ამუშავებდნენ. ან კიდევ ღრმულ ადგილებში მოგროვებულ მიწას ფხეკდნენ სოფლებში მწირი ბაღების გასანოყიერებლად. ამ მხარის სამი მეოთხედი ხომ მარტო ქვით იყო დაფარული. იქ ქალაქები ჩნდებოდნენ ხოლმე, ბრწყინავდნენ, შემდეგ ქრებოდნენ. იქ ადამიანები დადიოდნენ, ერთმანეთი უყვარდათ ან ერთმანეთს ჭამდნენ, მერე კი იხოცებოდნენ. ამ უდაბნოში არავინ, არც ის, არც მისი სტუმარი არაფერს წარმოადგენდნენ. თუმცა დარიუმ იცოდა, ამ უდაბნოს იქით ვერც ერთი და ვერც მეორე ნამდვილად ვერ იცხოვრებდნენ.

როდესაც ადგა, სასწავლო ოთახიდან არავითარი ხმაური არ გამოდიოდა. გააოცა იმ გულწრფელმა სიხარულმა, რომელმაც მოიცვა იმის გაფიქრებისას, რომ არაბი გაიქცა და ის მარტო დარჩა, ისე რომ არაფერიც არ ექნებოდა გადასაწყვეტი, მაგრამ პატიმარი თურმე იქ იყო. მთელ სიგრძეზე გაწოლილიყო ღუმელსა და საწერ მაგიდას შორის. თვალები ღია ჰქონდა და ჭერს შეჰყურებდა. ამგვარ პოზაში განსაკუთრებით სქელი ტუჩები უჩანდა, რაც მას გაბუტული ადამიანის იერს აძლევდა.

— წამო, — უთხრა დარიუმ. არაბი ადგა და გაჰყვა. ოთახში მასწავლებელმა სკამი აჩვენა მაგიდასთან, ფანჯრის ქვეშ. არაბი დაჯდა, თან დარიუს თვალს არ აშორებდა.

— გშია?

— კი, — თქვა პატიმარმა.

დარიუმ ორი სადილის ჭურჭელი დადგა მაგიდაზე. ფქვილი და ზეთი აიღო, სინში გალეტი მოცომა და პატარა გაზქურა აანთო. სანამ გალეტი ცხვებოდა, ფარდულიდან ყველის, კვერცხების, ფინიკებისა და შესქელებული რძის გამოსატანად გავიდა. გალეტი რომ გამოცხვა, ფანჯრის კიდეზე დადო გასაცივებლად, შეათბო წყალგარეული შესქელებული რძე და დასასრულ ომლეტი შეწვა. ამ მოძრაობის დროს რევოლვერი მოხვდა თეძოზე, მარჯვენა ჯიბეში რომ ედო ღრმად. დადგა ჯამი, სასწავლო ოთახში გავიდა და რევოლვერი საწერი მაგიდის უჯრაში ჩადო. ოთახში რომ დაბრუნდა, უკვე ღამდებოდა. შუქი აანთო და არაბს საჭმელი მოუტანა.

— ჭამე, — უთხრა მან. არაბმა გალეტის ნაჭერი აიღო, პირთან მიიტანა სწრაფად, მაგრამ გაჩერდა.

— შენ? — თქვა მან.

— შენ შემდეგ მეც შევჭამ.

მსხვილი ტუჩები ოდნავ გაიპო, არაბი შეყოყმანდა, შემდეგ გაბედულად ჩაკბიჩა გალეტი.

ჭამა რომ დაამთავრა, არაბი მასწავლებელს შეაცქერდა.

— შენა ხარ მოსამართლე?

— არა, შენ ჩემთან ხვალამდე დარჩები.

— რატომ ჭამ ჩემთან ერთად?

— იმიტომ, რომ მშია.

არაბი გაჩუმდა. დარიუ ადგა და გავიდა. ფარდულიდან სამგზავრო საწოლი მოიტანა, მაგიდასა და ღუმელს შორის გაშალა, თავისი საწოლის პერპენდიკულარულად. დიდი ჩემოდნიდან, კუთხეში რომ იდგა და ქაღალდების თაროს მაგივრობას უწევდა, ორი საბანი ამოიღო და სამგზავრო საწოლზე გაფინა. საქმეს რომ მორჩა, თავის საწოლზე ჩამოჯდა. მეტი არც არაფერი იყო გასაკეთებელი და მოსამზადებელი, მხოლოდ ამ კაცისთვის უნდა ეყურა. ხოდა, უყურებდა კიდევაც, თან ცდილობდა წარმოედგინა მისი გაშმაგებული სახე, მაგრამ ვერ ახერხებდა. ის მხოლოდ მზერას ხედავდა, ერთდროულად კუშტსა და გაბრწყინებულს, და ცხოველურ პირს.

— რატომ მოკალი? — ჰკითხა ისეთი მტრული კილოთი, თვითონაც გაოცდა. არაბმა მზერა აარიდა.

— იგი გამექცა, მე გამოვეკიდე, — თქვა. მერე დარიუს საწყალი თვალებით შეხედა.

— რა უნდა მიქნან?

— გეშინია?

არაბი გახევდა და თვალები აარიდა.

— ნანობ?

არაბმა შეხედა, პირი ღია ჰქონდა. აშკარა იყო, ვერ გაიგო ნათქვამი. დარიუ ბრაზმა აიტანა და ამავე დროს თავს უხერხულად გრძნობდა, ორ საწოლს შუა რომ გაჩხერილიყო თავისი უზარმაზარი სხეულით.

— აქ დაწექი, — უთხრა მან, — ეს შენი საწოლია.

არაბი არ განძრეულა.

— მითხარი..! — გამოსძახა მან დარიუს.

მასწავლებელმა შეხედა.

— ჟანდარმი ხვალ მოვა?

— არ ვიცი.

— შენც ჩვენთან ერთად მოდიხარ?

— არ ვიცი. რატომ მეკითხები?

პატიმარი ადგა და საბნებზე გაიშხლართა ფეხებით ფანჯრისკენ. ნათურის შუქი პირდაპირ თვალებში ეცა და მაშინვე დახუჭა თვალები.

— რატომ მეკითხები? — გაუმეორა დარიუმ, საწოლის წინ მდგარმა.

არაბმა თვალები გაახილა დამაბრმავებელი შუქის ქვეშ და შეხედა, თან შეეცადა თვალები არ დაეხამხამებინა.

— წამოდი ჩვენთან ერთად, — თქვა მან.

შუალამე იყო და დარიუს ისევ არ ეძინა. საწოლში ჩაწვა მას მერე, რაც ყველაფერი გაიხადა: ჩვეულებისამებრ შიშველი წვებოდა ხოლმე. მაგრამ როცა უტანსაცმლოდ აღმოჩნდა ოთახში, შეყოყმანდა. თავს არასაიმედოდ გრძნობდა, ცდუნება იგრძნო, ტანთ ისევ ჩაეცვა. მერე მხრები აიჩეჩა. მას სხვა ამგვარი ყმაწვილებიც ჰყავდა ნანახი და, თუ საჭირო იქნებოდა, ორად გაგლეჯდა თავის მოწინააღმდეგეს. საწოლიდან დარიუს შეეძლო თვალი ედევნებინა ბიჭისთვის, ზურგზე რომ იწვა ისევე უძრავად და თვალები დაეხუჭა ძლიერ შუქზე. დარიუმ შუქი რომ ჩააქრო, სიბნელე თითქოსდა უცებ გაიყინა. ღამე ნელ-ნელა გაცოცხლდა ფანჯარაში, სადაც უვარსკვლავო ცა ნელა მოძრაობდა. მასწავლებელმა მალე გაარჩია მის წინ გაწოლილი სხეული. არაბი კვლავაც არ ინძრეოდა, თვალები კი თითქოს ღია ჰქონდა. სკოლის ირგვლივ მსუბუქი ქარი ქროდა. იქნებ ღრუბლები გაეფანტა და მზე გამოეჩინა.

ღამით ქარმა იმძლავრა. ქათმები აკრიახდნენ, მერე მიჩუმდნენ. არაბი გვერდზე გადაბრუნდა, დარიუსკენ ზურგით. ამ უკანასკნელს მოეჩვენა, კვნესა მომესმაო. დარიუმ მის სუნთქვას მიაყურა, უფრო ძლიერი და თანაბარი რომ გამხდარიყო. უსმენდა ამ სუნთქვას, ასე ახლოს რომ მოესმოდა, და ფიქრობდა, ველარ დავიძინებო. ოთახში, სადაც ერთი წელი მარტო იძინებდა, აქ სხვისი ყოფნა აწუხებდა. აწუხებდა კიდევ იმიტომ, რომ რაღაც ძმობის მაგვარ გრძნობას აღუძრავდა, რასაც კარგად იცნობდა და ამგვარ გარემოებაში უარყოფდა. მამაკაცებს

შორის, ერთ ოთახში რომ სძინავთ, ჯარისკაცებსა თუ პატიმრებში რაღაც უცნაური კავშირი მყარდება, თითქოსდა იარაღისა და ტანსაცმლისაგან განთავისუფლებულთ და ყოველ საღამოს ერთად შეყრილთ განსხვავების მიუხედავად სიზმრებისა და დაღლილობის ძველი ერთობა აერთიანებთ. მაგრამ დარიუ მალე გამოერკვა, არ უყვარდა ხოლმე ასეთი სისულელეები. უნდა დაეძინა.

თუმცა ცოტა მოგვიანებით, არაბი რომ ოდნავ შეირხა, მასწავლებელს მაინც არ ეძინა. პატიმარი რომ მეორედ შეინძრა, დარიუ გახევდა და ყურადღება დაძაბა. არაბი ნელა იწეოდა მკლავებზე დაყრდნობილი, თითქოს მთვარეულიაო. მერე შეიცადა საწოლზე უძრავად მჯდარმა, თავი არც მოუტრიალებია დარიუსკენ, თითქოსდა მთელი ყურადღებით უსმენდა. დარიუ არ განძრეულა. თავში გაუელვა, რომ რევოლვერი საწერი მაგიდის უჯრაში იყო. ჯობდა ახლავე ემოქმედა. მან გააგრძელა პატიმრის თვალთვალი, რომელიც ისევ ისე ფრთხილად ადგამდა ფეხებს, მერე შეიცდიდა, შემდეგ ისევ ნელა იმართებოდა წელში. დარიუ ის-ის იყო უნდა გამოლაპარაკებოდა, როცა არაბი ამოძრავდა, ამჯერად ბუნებრივი ტემპით, მაგრამ საოცრად ჩუმად. იგი შიგნითა კარისაკენ მიდიოდა. ეს კარი ფარდულში გადიოდა. არაბმა ფრთხილად გააჩხაკუნა რაზა, კარი ღიად დააგდო და გავიდა. დარიუ არ განძრეულა. „გარბის, — მხოლოდ ეს გაიფიქრა. — აბა, კარგად იყავი!“ მაგრამ მაინც ყური დაცქვიტა. ქათმები არ განძრეულან: მაშასადამე, ის ზეგანზე უნდა ყოფილიყო. რაღაცა მოესმა წყლის სუსტი ჩხრიალივით, თუმცა ვერ მიხვდა, რა იყო; იმავ წუთს არაბი ისევ შემოცურდა კარებში, საგულდაგულოდ დაკეტა და უხმაუროდ ჩაწვა. დარიუმ ზურგი შეაქცია და დაიძინა. მოგვიანებით, თითქოს ძილის სიღრმიდან კვლავაც გაიგონა მალული ნაბიჯების ხმა სკოლის გარშემო. „ალბათ მეჩვენება, მეჩვენება!“ — იმეორებდა ძილში.

როცა გაიღვიძა, ცა მოწმენდილი იყო. ცუდად მიხურული ფანჯრის ღრიჭოდან ცივი და სუფთა ჰაერი შემოდიოდა. არაბს ეძინა, საბნებზე მოკუნტულსა და პირღიას, სავსებით უმწეოს. მაგრამ დარიუმ რომ შეანჯღრია, იგი შეშინებული წამოხტა. ისეთი შეშლილი თვალებით და შეშინებული გამომეტყველებით შეხედა დარიუს, რომელიც ვერ იცნო, რომ მასწავლებელმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. „ნუ გეშინია. მე ვარ. უნდა ვჭამოთ“. არაბმა თავი დააქნია და, ხოო, თქვა, სახე დაუწყნარდა, მაგრამ გამომეტყველება ისეთივე დაბნეული ჰქონდა. ჩანდა, ფიქრით სხვაგან იყო.

ყავა მზად იყო. მათ დალიეს ყავა, სამგზავრო საწოლზე ჩამომსხდარნი გალეტების ნახაზებს კბეჩდნენ. შემდეგ დარიუმ ის ფარდულქვეშ შეიყვანა და ონკანი აჩვენა, სადაც თვითონ იბანდა. მერე ოთახში დაბრუნდა, დაკეცა სამგზავრო საწოლი და საბნები, აალაგა თავისი ლოგინი და ოთახი მოაწესრიგა. სკოლის გავლით მიწაყრილზე გავიდა. მზე ამოდიოდა, ცა ლურჯი იყო; ნაზი და მკვეთრი შუქი ავსებდა ცარიელ ზეგანს. ციცაბო ბილიკზე ალაგ-ალაგ თოვლი დნებოდა. ალბათ ისევ გამოჩნდებოდა ქვები. მასწავლებელი ზეგნის კიდეზე ჩაცუცქულიყო და ცარიელ სივრცეს გაჰყურებდა. იგი ბალდუსიზე ფიქრობდა, ვისაც აწყენინა, თითქმის გააგდო კიდეც, თითქოსდა არ უნდოდა ერთნაირ მდგომარეობაში რომ ყოფილიყვნენ. ისევ ჩაესმოდა ყურში ჟან-

დარმის დამშვიდობება და რატომღაც საოცრად ცარიელი და სუსტი ეჩვენებოდა საკუთარი თავი. ამ დროს სკოლის მეორე მხარეს პატიმარმა დაახველა. დარიუმ ყური მიუგდო თითქმის ძალაუნებურად, მერე კი გაშმაგებით კენჭი ისროლა, რომელმაც ჰაერში გაისისინა თოვლში ჩაფლობამდე. ამ კაცის უაზრო დანაშაული დარიუს აღშფოთებით ავსებდა, მაგრამ მისი მიყვანა და გადაცემა მაინც მის ღირსებას ეწინააღმდეგებოდა, მარტო ამაზე ფიქრიც კი შეურაცხყოფდა და ჭკუაზე შლიდა; წყევლიდა თავისიანებს, ეს არაბი რომ გამოუგზავნეს, და იმასაც, ვინც მოკვლა გაბედა და ვეღარ გაიქცა. დარიუ ადგა, მიწაყრილს შემოუარა, ერთხანს იქ უძრავად იდგა და შემდეგ სკოლაში შევიდა.

არაბი ფარდულის დაცემენტებულ მიწაზე დახრილიყო და კბილებს იწმენდდა ორი თითით. დარიუმ შეხედა, შემდეგ „წამოო", — უთხრა. იგი ოთახში შებრუნდა, პატიმრის წინ მოაბიჯებდა. სვიტერზე სანადირო პიჯაკი გადაიცვა და სამგზავრო ფეხსაცმელები ჩაიცვა. მერე შეიცადა, სანამ არაბი ფესს დაიხურავდა და სანდლებს ჩაიცვამდა. სკოლაში რომ შევიდნენ, დარიუმ თავის თანამგზავრს გასასვლელი უჩვენა და, წადიო, უთხრა, არაბი არ განძრეულა. — „მეც მოვდივარ", — უთხრა ისევ. არაბი გავიდა. დარიუ ოთახში შებრუნდა და ორცხობილები, ფინიკები და შაქარი შეახვია პაკეტში. სანამ გავიდოდა, ერთი წამით შეყოყმანდა კლასში საწერი მაგიდის წინ, შემდეგ სკოლის ზღურბლს გადააბიჯა და კარი დაკეტა. „აი, აქეთ", — უთხრა მან. დარიუმ აღმოსავლეთისკენ აიღო გეზი, პატიმარი უკან მოჰყვებოდა. მაგრამ სკოლიდან პატარა მანძილითღა რომ იყო დაცილებული, თითქოს რაღაც ხმაური მოესმა უკნიდან. დარიუ მობრუნდა და სახლის მიდამოები დაზვერა: არავინ იყო, არაბი შეჰყურებდა, ჩანდა, ვერ გაეგო, რა ხდებოდა.

— წავედით, — უთხრა დარიუმ.

ერთი საათი იარეს და მერე შეისვენეს ცარცის მთის წვეროსთან. თოვლი უკვე ჩქარ-ჩქარა დნებოდა, მზე ხელდახელ შთანთქავდა გუბეებს, სწრაფად ასუფთავებდა ზეგანს, რომელიც ნელ-ნელა შრებოდა და ისევე თრთოდა, როგორც ჰაერი, გზა რომ გააგრძელეს, მათი ნაბიჯების ქვეშ მიწა ხმაურობდა. დროდადრო წინ ჩიტი გადაუფრენდათ ხოლმე მხიარული ძახილით. დარიუ ღრმად ისუნთქავდა ამ ცივსა და გრილ სინათლეს; რაღაცნაირ აღტაცებას ჰგვრიდა ეს უზარმაზარი ნაცნობი სივრცე, ეხლა თითქმის მთლიანად ყვითელი რომ იყო ლურჯი ცის გუმბათის ქვეშ. კიდევ ერთი საათი იარეს, სამხრეთისაკენ ჩადიოდნენ. მათ ბრტყელ მაღლობს მოატანეს, ფხვიერი კლდეებისაგან შექმნილს. აქედან მოყოლებული ზეგანი აღმოსავლეთით დაბლა, ველისკენ იყო დაქანებული, სადაც რამდენიმე ჩამომხმარი ხე ჩანდა, სამხრეთით აი კლდოვანი გროვებისაკენ, რაც პეიზაჟს უსწორმასწორო იერს აძლევდა.

დარიუმ ორივე მიმართულებით დაზვერა იქაურობა. მხოლოდ ცა მოჩანდა ჰორიზონტზე; კაციშვილი არ ჩანდა. იგი არაბს მოუტრიალდა, მას რომ უყურებდა და ვერაფერი გაეგო. დარიუმ პაკეტი გაუწოდა:

— აიღე, — უთხრა მან. — აქ ფინიკები, პური და შაქარია; ორი დღე გეყოფა. აი ათასი ფრანკიც.

არაბმა პაკეტი და ფული ჩამოართვა, მაგრამ ხელები მკერდთან ისე ეჭირა, თითქოს არ იცოდა, რა ექნა იმისათვის, რასაც აძლევდნენ.

— ახლა შეხედე, — თქვა მასწავლებელმა და აღმოსავლეთისკენ აჩვენა. — აი ტენგის გზა. ორი საათი უნდა იარო. ტენგიში პოლიცია და ადმინისტრაციაა. ისინი გელოდებიან. — არაბი აღმოსავლეთისაკენ იყურებოდა, პაკეტი და ფული ისევ ისე ჩაებღუჯა. დარიუმ მკლავში მოკიდა ხელი და ერთი მეოთხედით სამხრეთისაკენ შემოატრიალა მოურიდებლად. იმ მაღლობის ძირში, სადაც ისინი იყვნენ, ძლივს შესამჩნევი გზა ჩანდა. — აი აგერ ბილიკი, ზეგანს რომ კვეთს. აქედან ერთი დღის სავალზე საძოვრებსა და საუკეთესო მომთაბარეებს იპოვი. ისინი თავიანთი წესით მიგიღებენ და შეგიფარებენ. — არაბი დარიუს მიუტრიალდა, სახეზე ერთგვარი შიში გამოეხატა.

— მომისმინე, — უთხრა მან. დარიუმ თავი გააქნია:

— არა, გაჩუმდი. ახლა კი წადი. — მან ზურგი შეაქცია არაბს, სკოლისკენ ორი ნაბიჯი გადადგა, კვლავ შეხედა უძრავად მდგარ არაბს და წავიდა. რამდენიმე წუთის განმავლობაში მხოლოდ საკუთარი ნაბიჯების ხმა ესმოდა ცივ მიწაზე, თავი არ მიუბრუნებია. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ მოტრიალდა. არაბი ისევ იქ იდგა, გორაკის ნაპირზე, მკლავები ჩამოეშვა და მასწავლებელს უყურებდა. დარიუმ იგრძნო, როგორ მოაწვა ყელში რაღაც. გაღიზიანებულმა შეიკურთხა და წავიდა. ის უკვე შორს იყო, როცა ისევ შეჩერდა და მოტრიალდა. გორაკზე ამჯერად არავინ ჩანდა.

დარიუ შეყოყმანდა. მზე ახლა მაღლა იდგა ცაზე და შუბლს უხურებდა. მასწავლებელი უკან დაბრუნდა, ჯერ ოდნავ ყოყმანით, შემდეგ მტკიცედ. როდესაც პატარა გორაკს მიაღწია, ოფლში იყო გაწურული. მან სწრაფად აიარა გორაკი და აქოშინებული წვეროზე შეჩერდა. სამხრეთით კლდიანი მინდვრები ლურჯ ცაზე მკაფიოდ მოჩანდა, მაგრამ ველზე, აღმოსავლეთით, სიცხისაგან უკვე ბული დგებოდა. და ამ მსუბუქ ნისლში დარიუმ გულშეკუმშულმა შეამჩნია არაბი, ნელა რომ მიაბიჯებდა ციხისკენ მიმავალ გზაზე.

ცოტა მოგვიანებით სკოლის ოთახის ფანჯრის წინ მდგარი მასწავლებელი გასცქეროდა, მაგრამ ვერ ხედავდა, როგორ ეშვებოდა სინათლე მაღლა ციდან ზეგნის მთელ ზედაპირზე. მის უკან შავ დაფაზე, საფრანგეთის მდინარეთა კლაკნილ ხაზებს შორის, მოჩანდა წარწერა, ცარცით რომ დაეწერა მოუქნელ ხელს და რომელიც ეს-ეს იყო წაიკითხა: „შენ ჩვენი ძმა გაეცი. ეს ძვირად დაგიჯდება“.

დარიუ შეჰყურებდა ცას, ზეგანს და მის გადაღმა უხილავ მიწებს, ზღვამდე რომ გაშლილიყო. ამ ვრცელ ქვეყანაში, მას რომ აგრერიგად უყვარდა, იგი მარტო იყო.

ტეფი

მოთხრობები

თარგმნა ნინო საითიძემ

ტეფი — ეს გვარი დღევანდელი ქართველი მკითხველისთვის — სპეციალისტთა ძალზე ვიწრო წრის გარდა — თითქმის უცნობია. XX საუკუნის დასაწყისში კი მისმა დიდებამ რუსული ლიტერატურის არა-ერთი კორიფე დაჩრდილა. ტეფის ტალანტი ერთნაირად აღაფრთოვანებდა განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა და ლიტერატურული გემოვნების ადამიანებს. ძნელად მოიძებნებოდა მეორე მწერალი, ვის შემოქმედებასაც კრიტიკისა და მკითხველის ასეთი ერთსულოვნება გამოეწვიოს. იგი მიაჩნდათ რუსული ლიტერატურის განუმეორებელ მოვლენად და იმ ნამდვილ სასწაულად, ასი წლის შემდეგაც რომ აღაფრთოვანებდა მკითხველს.

1913 წელს რომანოვების დინასტიის სამასი წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებულის შედგენისას როცა იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს ჰკითხეს, ამ კრებულში რომელი მწერლის ხილვას ისურვებდითო, ძან დაუფიქრებლად უპასუხა: „ტეფის, რა თქმა უნდა, ტეფის, მხოლოდ ტეფის!“.

ქართველი მკითხველისთვის არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული ამ „რუსი საფოს“(ასე მოიხსენიებდნენ მას თანამედროვენი) შემოქმედების გაცნობა.

ტეფის ნამდვილი გვარი და სახელია — ნადეჟდა ალექსანდრეს ასული ლოხვიცკაია.

ჩემი პირველი ტოლსტოი

ცხრა წლისა ვარ.

ვკითხულობ ტოლსტოის „ბავშვობას და ყრმობას“: ჩავიკითხავ ბოლომდე, ისევ თავიდან ვიწყებ.

ამ წიგნში ჩემთვის ყველაფერი მშობლიურია.

ვალოდია, ნიკოლენკა, ლუბოჩკა, — ყველანი ჩემთან ერთად ცხოვრობენ, ჩვენ გვგვანან — მე, ჩემს დებსა და ძმებს. მათი ბებიასეული ძოსკოვური სახლიც — ჩვენი მოსკოვური სახლია. როცა ვკითხულობ მათ სასტუმრო, მოსასვენებელ თუ საკლასო ოთახებზე, წარმოდგენაც არაფრისა მჭირდება — ეს ჩვენი ოთახებია.

ნატალია სავიშნა — მასაც კარგად ვიცნობ, — ეს ჩვენი მოხუცი ავდოტია მატვეევნაა, ბებიას ყოფილი ყმა. მასაც აქვს სკივრი, სახურავზე სურათებდაწებებული. ოღონდ ის ნატალიასავით კეთილი არაა, თანაც ბუზღუნაა. მაგრამ მაინც ისე ძალიანა ჰგავს, რომ როცა კი ნატალია

საგიშნაზე ვკითხულობ, სულ ავდოტია მატვეევნა წარმომიდგება ხოლმე თვალწინ.

ყველა ჩვენიანია, ყველა ახლობელია.

თვით ბებიაც, მკაცრი, გამომცდელი თვალებით რომ იყურება თავისი ჩაჩის მაქმანებიდან და მისი ოდეკოლონის შუშაც, სავარძლის გვერდით პატარა მაგიდაზე, რომ დგას, — ესეც მშობლიური და ნაცნობია.

უცხო მხოლოდ გუვერნიორი St-lémore-ია და იგი მე და ნიკოლენკას ერთნაირად გვძულს. მერე როგორ მძულს! მგონი, მე უფრო მძულს, ვიდრე ნიკოლენკას: მან ბოლოს მაინც აპატია და შეურიგდა კიდეც, მე — არა.

„ბავშვობა და ყრმობა“ შემოვიდა ჩემს ბავშვობასა და ყრმობაში და ისე ორგანულად შეერწყა, თითქოს კი არ წამეკითხოს, არამედ თვითონ მეცხოვროს ამ ცხოვრებით.

მაგრამ ჩემს სულში, მისი პირველი ყვავილობისას, წითელი ისარივით შემოიჭრა ტოლსტოის სხვა ნაწარმოები — „ომი და მშვიდობა“.

* * *

ცამეტი წლისა ვარ.

ყოველ საღამოს გაკვეთილების მომზადების მაგივრად სულ „ომსა და მშვიდობას“ ვკითხულობ. ვკითხულობ და ვკითხულობ.

მიყვარს თავადი ანდრეი, მძულს ნატაშა. მძულს ჯერ ერთი იმიტომ, რომ ვეჭვიანობ, მეორეც იმიტომ, რომ ანდრეის უღალატა.

— იცი რა, — ვეუბნები ჩემს დას, — მე მგონი, ტოლსტოის შეეშალა. შეუძლებელია, ნატაშა ვინმეს მოსწონებოდა. თვითონ განსაჯე: ნაწნავი — „წვრილი და მოკლე“, ტუჩები — დაბერილი. არა, ნამდვილად არ მოეწონებოდა. თავადმა ანდრეიმ მისი ცოლად შერთვა ალბათ სიბრალულის გამო გადაწყვიტა.

არც ის მომწონდა, თავადი გაბრაზებისას რომ ყვიროდა ხოლმე. მიმაჩნდა, რომ ტოლსტოი აქაც ცდებოდა. დანამდვილებით ვიცოდი, თავადი ანდრეი არ იყვირებდა.

ყოველ საღამოს ვკითხულობდი „ომსა და მშვიდობას“.

ვიტანჯებოდი, როცა თავადი ანდრეის სიკვდილის ამბავს ვუახლოვდებოდი. თუმცა სასწაულის იმედი ცოტათი ყოველთვის მქონდა. ეს ალბათ იმიტომ, რომ ყოველთვის, როცა ის კვდებოდა, საშინელი სასოწარკვეთა მეუფლებოდა.

ღამღამობით, ძილის წინ, ბევრჯერ გადამირჩენია ანდრეი განსაცდელისაგან: ყუმბარის აფეთქებისას ხელს ვუბიძგებდი ხოლმე, რათა წაქცეულიყო და მიწას გაკვროდა. (რატომ ვერავინ ხვდებოდა, რომ მისთვის ხელი ეკრა? მე მივხვდებოდი, მე გადავარჩენდი! გადავარჩენდი!).

მერე საუკეთესო ექიმებსა და ქირურგებს ვუგზავნიდი დაჭრილს.

ყოველკვირა ვკითხულობდი, როგორ კვდებოდა თავადი ანდრეი, მაგრამ იმედს მაინც არ ვკარგავდი. მჯეროდა, სასწაული მოხდებოდა და ამჯერად ალარ მოკვდებოდა.

მაგრამ არა, მოკვდა! მოკვდა!

ადამიანი ერთხელ კვდება, ის კი — მუდამ, მუდამ!

გული მეკუმშებოდა, გაკვეთილებს ველარ ვამზადებდი. დილით კი... თვითონაც იცით, რა ელის დილით მას, ვინც გაკვეთილები არ მოამზადა.

და, ბოლოს და ბოლოს, გამოსავალი ვიპოვე, გადავწყვიტე, ტოლსტოისთან წავსულიყავი და შევვედრებოდი, თავად ანდრეის ნუ მოკლავთ-მეთქი. დაე, დააქორწინოს ის და ნატაშა, ამაზეც კი თანახმა ვარ! ოღონდ ის ნუ მოკვდება!

გუვერნანტს ვკითხე, ავტორს თუ შეუძლია უკვე დაბეჭდილ ნაწარმოებში რაიმე შეცვალოს-მეთქი. მიპასუხა, ეს შესაძლებელია, ავტორებს ახალ გამოცემებში ზოგჯერ შესწორებები შეაქვთო.

ჩემს დას ვთხოვე რჩევა. მან მითხრა, მწერლის ფოტოსურათი იშოვე, ისე მიდი მასთან და სთხოვე, რამე წაგიწეროსო. სხვაგვარად ლაპარაკსაც არ მოისურვებს და საერთოდაც, ისინი არასრულწლოვანებთან არ საუბრობენო.

დავიზაფრე.

განზრახვაზე ხელი მაინც არ ამილია. ნელ-ნელა ვარკვევდი, სად ცხოვრობდა ტოლსტოი. მისი პორტრეტიც ვიყიდე. დავიწყე იმაზე ფიქრი, რა მეთქვა მისთვის. მეშინოდა არ ავტირებულიყავი. შინაურებს არაფერს ვუმხელდი — დამცინებდნენ.

და ერთ დღესაც გავბედე. ვიღაც ნათესავები გვესტუმრნენ. სახლში ფაციფუცი ატყდა. მეც ვიხელთე, მოხუც ძიძას ვთხოვე, სამეცადინოდ მივდივარ ამხანაგთან და გამომყევი-მეთქი. წავედით.

ტოლსტოი შინ დაგვხვდა, სანამ წინკარში ვუცდიდით, ძალიან ვღელავდი, გაპარვასაც ველარ მოვასწრებდი, თანაც ძიძისაც მომერიდა.

მახსოვს, ვიღაც მსუქანმა გოგომ ღიღინით ჩამიარა. ამან საბოლოოდ დამაბნია. ვითომც არაფერიო, თავისუფლად მიდის და მიღიღინებს, არაფრის არ ეშინია. მე კი მეგონა, ტოლსტოის სახლში ფეხისწვერებზე დადიან და ჩურჩულით ლაპარაკობენ-მეთქი.

აი ისიც. უფრო ტანდაბალი აღმოჩნდა, ვიდრე ველოდი. ჯერ ძიძას შეხედა, მერე — მე. სურათი გავუწოდე და შიშისაგან ისე ვიყავი დამფრთხალი, უნებურად ენა მომეჩლიქა:

— გთხოვთ, ფოტოგლაფიაზე წაგვიწეროთ.

მაშინვე გამომართვა და გვერდით ოთახში გავიდა.

აქ მივხვდი, ვერაფრის თხოვნას ველარ შევძლებდი, ვერც ვერაფერს მოვუყვებოდი, ამ „ფოტოგლაფიითა“ და „წაგვიწელეთი“ ხომ თავი ისე მომეჭრა, რომ ყველაფერს აჯობებდა, იქიდან თუ მოვუსვამდი.

ის დაბრუნდა, ფოტო გადმომცა, რევერანსი გავუკეთე.

— თქვენ რაღა გნებავთ, მოხუცო? — მიმართა ძიძას.

— არაფერი, გოგონას მოვყევი.

სულ ეს იყო.

საწოლში „ფოტოგლაფია“ და „წაგვიწელეთ“ გამახსენდა და ბალიშში თავჩარგული ავტირდი.

* * *

კლასში მეტოქე მყავდა — იულენკა არშევა, ისიც თავად ანდრეაზე იყო შეყვარებული, თანაც ისე მგზნებარედ, რომ ამის შესახებ მთელმა კლასმა იცოდა. ისიც ლანძღავდა ნატაშა როსტოვას, მასაც არ სჯეროდა, რომ თავადი ყვიროდა.

ჩემს გრძნობას საგულდაგულოდ ვმალავდი და, როცა არშევა ბობოქრობდა, ვცდილობდი ახლოს არ გავკარებოდი, რათა თავი არ გამეცა.

ერთხელაც, სიტყვიერების გაკვეთილზე, რომელიღაც ლიტერატურული ტიპების გარჩევისას, მასწავლებელმა თავადი ბოლკონსკი ახსენა. ძთელი კლასი არშევასაკენ შეტრიალდა. ის კი იჯდა წითელი, ყურებაგიზგიზებული და ნირწამხდარი იღიმებოდა.

მათი სახელები ერთმანეთს დაკავშირებოდა, მათი რომანი დაცინვის, ცნობისმოყვარეობის, განკიცხვის, ინტერესის საგანი გამხდარიყო, როგორც საერთოდ ხდება, როცა საზოგადოება ვინმეს სასიყვარულო თავგადასავალზე მსჯელობს ხოლმე.

მე კი... ვიჯექი მარტოსული, ჩემი საიდუმლო „უკანონო“ გრძნობით დათრგუნული და არშევასაკენ გახედვასაც ვერ ვბედავდი.

საღამოს კვლავ კითხვა დავიწყე. ვკითხულობდი, როგორ კვდებოდა თავადი ანდრეი... და იმედგადაწურული სასწაულსაც აღარ ველოდი უკვე.

წავიკითხე სევდით, ტკივილით აღსავსემ, მაგრამ უდრტვინველად. თავი მორჩილად ჩავკიდე, წიგნს ვეამბორე და დავხურე:

— იყო სიცოცხლე, ამოიწურა და დასრულდა.

ჟიშმიშა

მოსკოვი. დიდმარხვის დღე.

შორიდან ეკლესიის ზარების ყრუ გუგუნი ისმის.

გარიჟრაჟის ბინდით მოცული ოთახის გამოღებული კარიდან მოჩანს, რა ჩუმად, ფრთხილად და შრიალით მოძრაობს გაურკვეველი ფიგურა. იგი ხან მოლივლივე რუხ ლაქად იკვეთება, ხან ისევ ფერმკრთალდება და ბინდს ერწყმის.

შრიალი ნელ-ნელა კლებულობს, იატაკის ფიცარმა დაიჭრიალა, შემდეგ მეორემ, მოშორებით. ყველაფერი მიწყნარდა. ძიძა ცისკრის ლოცვაზე წავიდა.

ის მარხულობს.

ამის გაფიქრებაზე გოგონას საშინელი შიში იპყრობს.

საწოლში ერთიანად იკუნტება, ძლივს სუნთქავს. უსმენს და უყურებს, უსმენს და უყურებს.

გუგუნი ავბედითი ხდება. ბავშვს დაუცველობის და მარტოობის განცდა ეუფლება. რომ დაიძახოს, მაინც არავინ მოვა. რა შეიძლება მოხდეს?

ღამე იწურება. მამლებმაც ალბათ უკვე იყივლეს და მოჩვენებებმა შინისაკენ მოუსვეს.

„შინ“ — სასაფლაოებზე, მიტოვებული საფლავების ჯვრების ქვეშ, ჭაობებში ან ტყის ყრუ ბილიკების გადაკვეთაზე. ახლა ვერცერთი მოჩვენება ველარ გაბედავს ადამიანის ხელის ხლებას, უკვე დილის წირვა სრულდება და ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის ილოცებენ. მაშ რაღაა საშიში?

მაგრამ რვა წლის სულს გონებისა ნაკლებად სჯერა. იგი იკუმშება, თრთის და ჩუმად სლუკუნებს. დღისით დაიჯერებს, მაგრამ ახლა, სევდაში, დაუცველ მარტოობაში მან „არ იცის“, რომ ეს მხოლოდ ცისკრის

ხარების ხმებია. მისთვის ეს რაღაც გამოუცნობი, ავის მომასწავებელი გუგუნია. თუ ნაღველს და შიშს ბგერებით გამოხატავ, ამ გუგუნს მიიღებ, თუ ფერში გადაიტან, ეს მოლივლივე რუხი წყვდიადი იქნება.

და მთელი ცხოვრება გაჰყვება მას განთიადისწინა კაეშნის განცდა, ყოველ დილას გაურკვეველი სევდითა და შიშით გაახელს თვალს. ექიმები დამამშვიდებელ წამლებს გამოუწერენ, ურჩევენ საღამოობით ისეირნოს, ღამით სარკმელი გააღოს, ძილის დროს ღვიძლზე სათბურა დაიდოს, მოწევას თავი დაანებოს და კიდევ ბევრ სხვა რამეს. მაგრამ განთიადისწინა სასოწარკვეთის დღს მისი სულიდან ველარაფერი წაშლის.

* * *

გოგონას მეტსახელად „ქიშმიშას" ეძახდნენ. ქიშმიში კავკასიური წვრილი ჩამიჩია. ასე ალბათ პატარა ტანის, პატარა ცხვირის, პატარა ხელების გამო უწოდეს. ცამეტი წლისა ერთბაშად ტანს აიყრის, ფეხები დაუგრძელდება და ყველა დაივიწყებს, ოდესღაც ქიშმიშა რომ იყო.

მაშინ კი, ქიშმიშად ყოფნის დროს, გოგონა ამ მეტსახელით საშინლად იტანჯებოდა. ის მეტად თავმოყვარე იყო, ოცნებობდა უჩვეულო რამ ჩაედინა და სახელი გაეთქვა. ვთქვათ, ცნობილი ძალოსანი გამხდარიყო, რომელიც ნალებს მოღუნავდა, გაქანებულ სამცხენა ეტლს შეაკავებდა; ან ყაჩაღი; ისე კი ჯალათობა ერჩია, რადგან ის ყაჩაღს ბოლოს მაინც ერეოდა, ესე იგი, მასზე ძლიერიც იყო. განა შეიძლებოდა, ამ პატარა, კაფანდარა, გაცრეცილი, თმაგაკრეჭილი გოგონას შემხედვარეს ვინმეს წარმოედგინა, რა მრისხანე და მბრძანებლური ოცნებები უტრიალებდა მას თავში? კიდევ ერთ რამეზე ოცნებობდა — საშინელი მახინჯი ყოფილიყო, უბრალო კი არა, ისეთი, ხალხს რომ დააფრთხობდა. ქიშმიშა სარკესთან დგებოდა, თვალებს აელმებდა, ტუჩებს მანჭავდა, ენას ჰყოფდა. ამასთან, უცნობი კავალერის მაგივრად, რომელიც ვითომ ხურგს უკან ედგა და მის სახეს ვერ ხედავდა, ბოხი ხმით წინასწარ წარმოთქვამდა:

— მადამ, ნება მიბოძეთ კადრილზე მიგიწვიოთ.

დაღმეჭილი სიფათი, სრული ბრუნი და პასუხი:

— სიამოვნებით. ოღონდ ჯერ დაღმეჭილ ლოყაზე მაკოცეთ.

იგულისხმებოდა, რომ გულგახეთქილი კავალერი უკანმოუხედავად მოუსვამდა და ეს სიტყვები დაედევნებოდა:

— ჰა! ჰა! ჰა! შეგეშინდათ?

ქიშმიშას ჯერ მხოლოდ საღმრთო რჯულს და სუფთა წერას ასწავლიდნენ.

გოგონას ძალიან მოეწონა, ყველა საქმე ლოცვით რომ უნდა დაეწყო, მაგრამ ყაჩაღის კარიერის გახსენებაზე შეშფოთდა.

— ყაჩაღებმაც უნდა ილოცონ, ვიდრე საყაჩაღოდ წავლენ? — იკითხა ქიშმიშამ.

პასუხი ბუნდოვანი იყო: „სისულელეებს ნუ ლაპარაკობ". ქიშმიშა ვერ მიხვდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ყაჩაღებს ლოცვა არ ევალებოდათ, თუ პირიქით, ამის აუცილებლობა იმდენად აშკარა იყო, რომ მსგავსი კითხვა თავში არც უნდა მოსვლოდა.

როცა ქიშმიშა წამოიზარდა და აღსარებაზე პირველად წავიდა, მის

სულში გარდატეხა მოხდა. მრისხანე და მბრძანებლური ოცნებები უკვალოდ გაქრა.

ტაძრის შუაგულში, საკურთხევლის წინ სამი ყმაწვილი იდგა და ახგელოზის ხმით გალობდა. და ამ ღვთაებრივი ჰანგებისაგან სული უმშვიდდებოდა, გული უჩუყდებოდა. უნდოდა, თეთრი, მსუბუქი, ჰაეროვანი, გამჭვირვალე ყოფილიყო, ამ საოცარი ბგერებითა და საკმევლის სურნელით გარემოცული, გუმბათისაკენ გაფრენილიყო, იქ სადაც სულიწმიდის თეთრ მტრედს ფრთები გაეშალა.

ყაჩაღის ადგილი აქ არ იყო. ჯალათს და ძალოსანსაც არაფერი ესაქმებოდათ. მახინჯი საფრთხობელაც სადმე კარს უკან უნდა მიყუჟულიყო და სახე დაემალა. ხალხის შეშინება აქ შეუფერებელი საქმე იქნებოდა. ეჰ, წმინდანი რომ გახდებოდეს! რა საუცხოო იქნებოდა! წმიდანი ისეთი მშვენიერია, ისეთი საოცარი, ყველაზე და ყველაფერზე მეტი. ყველა მასწავლებელზე, დირექტორზე და თვით გუბერნატორზე მნიშვნელოვანიც.

მაგრამ როგორ უნდა გახდეს წმიდანი? სასწაულების მოხდენა მოუწევს, ეს კი სულ არ ეხერხება. თუმცა ამით ხომ არ იწყებენ. იწყებენ წმინდა ცხოვრებით. ჯერ თვინიერი, კეთილი, მორჩილი უნდა გახდეს, ყველაფერი ღარიბებს დაურიგოს, იმარხულოს. კეთილი, მაგრამ როგორ დაურიგოს ყველაფერი ღარიბებს? ალბათ ახალი საგაზაფხულო პალტო რომ აქვს, პირველ რიგში, სწორედ ის უნდა მისცეს. ეს დედას განარისხებს. ისეთი ჩხუბი და ცემა-ტყეპა ატყდება, გაფიქრებისაც ეშინია. დედა განერვიულდება, ვინმეს განერვიულება და გულისტკენა კი წმინდანს არ ეპატიება. იქნებ მისცეს პალტო ვინმეს, დედას კი უთხრას მომპარეს? არა, წმინდანი ვერ იცრუებს. საშინელი მდგომარეობაა: ყაჩაღს რა ეხალვლება. იცრუე, რამდენიც გენებოს და მზაკვრულადაც იხარხარე. კი მაგრამ, ადამიანები წმინდანები როგორლა ხდებოდნენ? საქმე ის არის, რომ ისინი ბებრები იყვნენ, სამოც წელზე ნაკლების არც ერთი არ იქნებოდა. დედისთვის ყურისგდება არც მოეთხოვებოდათ, მთელ ქონებას პირდაპირ არიგებდნენ. გამოდის, ამით დაწყება არ შეიძლება. ეს ბოლოსკენ გადაიწევს. უნდა დაიწყოს მორჩილებით, თვინიერებით. და კიდევ, თავშეკავებით. მხოლოდ მარილმოყრილი შავი პური ჭამოს და ონკანის წყალი სვას. აი, ისევ ხათაბალა. ქალაქში ტიფია და დედამ აუდუღარი წყლის დალევა აუკრძალა. მზარეული დაასმენს და მაგრადაც მოხვდება. თუმცა დედა რომ გაიგებს, ქიშმიშა წმინდანიაო, იქნებ ხელი აღარ შეუშალოს?

არადა, რა საუცხოო იქნება წმინდანობა. დღეს ეს ისეთი იშვიათობაა.

ნაცნობები გაოცდებიან:

— რატომაა ქიშმიშას თავთან ეს ნათება?

— როგორ, არ იცით? ის ხომ უკვე დიდი ხანია, წმინდანია.

— აჰ! აჰ! შეუძლებელია.

— აი, თავად დარწმუნდით.

ქიშმიშა კი ზის, წყნარად იღიმება და მარილიან შავ პურს ციცქნის.

სტუმრებს შური იპყრობთ. მათ ხომ წმინდანი შვილები არ ჰყავთ.

— იქნებ თვალთმაქცობს?

რა სულელები არიან! მაშ, ეს შარავანდი!

ნეტავ ნათებას მალე თუ დაიწყებს. ალბათ რამდენიმე თვეში, შეძოდგომისთვის უკვე ექნება. ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! რა შესანიშნავია!

მომავალ წელს აღსარებაზე მივა.

მღვდელი მკაცრად ჰკითხავს:

— რა ცოდვები გაქვს? მოინანიე.

პასუხად:

— არავითარი, მე... წმიდანი ვარ!

ის: აჰ! აჰ! შეუძლებელია!

— ჰკითხეთ დედას, ჰკითხეთ ჩვენს სტუმრებს, ყველამ იცის.

— იქნებ რაიმე, სულ პატარა ცოდვა მაინც აქვს?

— არც ერთი! არა-ვი-თა-რი!

ნეტავ გაკვეთილების მომზადება მაინც მოუწევს? ცუდია, თუ მოუწევს. წმიდანი ზარმაცი ვერ იქნება. ვერც გაუგონარი. გიბრძანებენ— ისწავლე. აი, სასწაულების მოხდენას თავიდანვე რომ მოახერხებდეს. მასწავლებელს შეეშინდება, მის წინაშე მუხლებზე დაეცემა და გაკვეთილსაც არ გამოჰკითხავს.

შემდეგ წარმოიდგინა, როგორი სახე ექნებოდა. სარკესთან მივიდა, ლოყები ჩაიგდო, ნესტოები დაბერა, თვალები გადაატრიალა. ძალიან ძოეწონა, მართლაც, წმიდანის სახეა. ცოტა მახინჯი კია, მაგრამ ნამდვილი წმიდანისაა. ასეთი სახე არავის აქვს. ახლა დროა, შავი პურისთვის სამზარეულოსკენ მოუსვას.

მზარეული, გაღიზიანებული და აფორიაქებული, როგორც ყოველი საუზმობის წინ, ქიშმიშას ვიზიტმა გააოცა.

— სამზარეულოში რა გესაქმებათ? იცოდეთ, დედათქვენი გაჯავრდება.

თავისდაუნებურად გემრიელი სამარხვო საჭმლის — სოკოს, თევზის, ხახვის სურნელმა ცხვირში სასიამოვნოდ შეუღიტინა გოგონას.

ის-ის იყო მზარეულისათვის უნდა ეპასუხა, „თქვენ არავინ გეკითხებათო“, გაახსენდა წმიდანი რომ იყო და მორიდებით თხოვა:

— ვარვარა, თუ არ შეწუხდებით, შავი პურის ნაჭერი მომიჭერით.

დაფიქრდა და დაამატა:

— დიდი ნაჭერი.

მზარეულმა ჩამოუჭრა.

— მარილიც მოაყარეთ, გეთაყვა, — თხოვა ქიშმიშამ და თვალები ზეცად აღაპყრო.

სჯობს, პური აქვე ჭამოს, თორემ შინაურები ვერ გაუგებენ და უსიამოვნებასაც შეამთხვევენ.

პური უგემრიელესი იყო და ქიშმიშამ ინანა, ერთბაშად ორი ნაჭერი რომ არ გამოართვა. შემდეგ ონკანის წყლით ჩამჩა აავსო და მოიყუდა.

შემოვიდა მოახლე და შეიცხადა:

— იცოდეთ, დედათქვენს ვეტყვი, აუდულარ წყალს რომ სვამთ.

— მარილმოყრილი პურის უშველებელი ნაჭერი შეჭამა და იმან მოაწყურა, — აუხსნა მზარეულმა.

სასაუზმოდ დაუძახეს. გადაწყვიტა წასულიყო, მაგრამ პირი არაფრისთვის დაეკარებინა და თვინიერი ყოფილიყო.

შემოიტანეს უხა და ღვეზელი.

ქიშმიშა იჯდა და მის თეფშზე დადებულ ღვეზელს უდრტვინველად დასცქეროდა.

— რატომ არ ჭამ?

პასუხად მშვიდად გაიღიმა, მესამედ მიიღო წმიდანის გამომეტყველება, სარკის წინ რომ დაამუშავა.

— ღმერთო, რა დაემართა? — გაოცდა დეიდა. — რას იმანჭება?

— სწორედ საუზმის წინ, შავი პურის აი ამოდენა ნაჭერი შეჭამა, — დაასმინა მოახლემ. — და წყალიც ონკანიდან დალია.

— ვინ მოგცა სამზარეულოში შესვლის და პურის აღების უფლება? — გაუბრაზდა დედა. — წყალიც აუდუღარი დალიე?

ქიშმიშამ თვალები გადაატრიალა და წმიდანის სახის ბოლო, დაბერილნესტოებიანი ვარიანტი გამოამზეურა.

— რა მოუვიდა?

— მე გამომაჯავრა! — იკივლა დეიდამ და აზლუქუნდა.

— აქედან გაეთრიე, საძაგელო გოგო! — უყვირა დედამ. — შენს ოთახში ადი და მთელი დღე არ გამოხვიდე იქიდან.

— პანსიონში მალე მაინც გაამგზავრებდნენ! — სლუკუნებდა დეიდა. — ნერვები დამაწყვიტა.

* * *

საბრალო ქიშმიშა!

ასე დარჩა — ცოდვილად.

მიწისქვეშა ფესვები

ლიზა მაგიდასთან თავის ადგილას არ იჯდა. „მისი ადგილი“ იმ სკამზე იყო, რომელზეც ტელეფონების ძველი სამი წიგნი ერთმანეთზე ეწყო. გოგონას ამ წიგნებზე იმიტომ სვამდნენ, რომ იგი თავისი ექვსი წლის კვალობაზე მეტად ტანმორჩილი იყო და მაგიდის ზემოთ მხოლოდ ცხვირი უჩანდა. ეს სამი წიგნი მისი ფარული ტანჯვის, შეურაცხყოფისა და შერცხვენის მიზეზს წარმოადგენდა. ლიზას ძალიან უნდოდა დიდი ყოფილიყო.

მთელი სახლი უფროსებით იყო სავსე. ისინი ჩვეულებრივ ადამიანურ სკამებზე სხდებოდნენ, ის კი პატარა იყო და თუ სასადილოში მარტო აღმოჩნდებოდა, ყოველთვის სხვა სკამზე ჯდებოდა ხოლმე.

შეიძლება ამ სამი წიგნის გამო დარჩა მას დაუმსახურებელი დამცირების განცდა და მისგან თავის დაღწევის მუდმივი სწრაფვა.

— რძე ისევ დაგიღვრია, — ჩაესმა ბებრული ბუზღუნი. — შენს ადგილზე რატომ არ ზიხარ? აი, დედაშენს ვეტყვი და შავ დღეს დაგაყრის.

რა თქმა უნდა, „შავ დღეს დააყრის“. წყალი არ გაუვა. მეტს რას აკეთებს. მიზეზსაც ყოველთვის პოულობს. დაბეზღება სულაც არაა საჭირო. ხან თმაგაწეწილი ხარო, ხან მაგიდას იდაყვებით ეყრდნობიო, ფრჩხილები ჭუჭყიანი გაქვსო, მხრებში იხრებიო, ჩანგალი ცუდად გი-

ჭირავსო, პირს აწკლაპუნებო. მთელი დღე! მთელი დღე! თან ამის გამო უნდა გიყვარდესო, ეუბნებიან.

როგორ უყვარდეს? რას ნიშნავს სიყვარული?

მას უყვარს მუყაოს პატარა სპილო, ნაძვის ხის უბრალო სათამაშო.

ტკივილამდე უყვარს. ჩვრებში ახვევს. თეთრი ჩაჩის ქვეშ ხორთუმი გამოჩრია. ისეთი უსუსურია, ისეთი მიმნდობი, რომ მის შემხედვარეს, სინაზისა და სიბრალულისაგან ტირილი უნდება. იგი სპილუკას მალავს. ინსტინქტი კარნახობს. თუ უპოვეს, დასცინებენ, აწყენინებენ. გრიშამ შეიძლება განზრახ გაუფუჭოს კიდეც.

გრიშა უკვე დიდია, თერთმეტი წლისაა. გიმნაზიაში სწავლობს, დღესასწაულებზე ამხანაგები მოჰყავს — პუტკუნა ტულზინი და შავტუხა, ქოჩორა ფიშერი. მაგიდაზე კალიის ჯარისკაცებს ჩაარიგებენ ხოლმე. ხანაც სკამებს ახტებიან, ჩხუბობენ. ძლიერი და ყოვლისშემძლეები არიან. არასოდეს ხუმრობენ, არასოდეს იცინიან. წარბები შეჭმუხნილი აქვთ, ხმა — გამყინავი. დაუნდობლები არიან. განსაკუთრებით ფუნთუშა ტულზინი, რომელსაც გაბრაზებისას ლოყები უცახცახებს ხოლმე.

მაგრამ ყველაზე საშიში გრიშაა. სტუმრები ჩქმეტას ვერც გაუბედავენ. გრიშას ყველაფერი შეუძლია. ის ძმაა. ლიზას ჰგონია, რომ გრიშას მის გამო რცხვენია ამხანაგებისა. სად გაამხილოს, ჩემი და ტელეფონების სამ წიგნზე ზისო. ფიშერზე ამბობენ, მისი და ბებერია, ჩვიდმეტი წლისააო. ასეთისა, რა თქმა უნდა, არ შეგრცხვება.

დღეს სწორედ დღესასწაულია და ფიშერი და ტულზინიც მოვლენ. ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! ნეტავ რა იქნება?

დილას ეკლესიაში იყვნენ — ის, დედა, დეიდა ჟენია (ის ყველაზე უარესია) და ძიძა ვარვარა. გრიშას რა ენაღვლება, გიმნაზიაშია და ამხანაგებთან ერთად წავიდოდა. ლიზა კი გააწამეს.

დეიდა ჟენია ყურში ჩასწივის:

— თუ ლოცვა არ იცი, პირჯვარი მაინც გადაიწერე.

მშვენივრად იცის ლოცვა. „ღმერთო, მოგვეც ჯანმრთელობა მამას, დედას, გრიშას, დეიდა ჟენიას და მე — პატარა ლიზავეტას“. აგრეთვე: „ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ“.

ეკლესიაში ბნელა. ბანები გაუგებარ და მრისხანე სიტყვებს გუგუნებენ. გოგონას ახსენდება, რომ ღმერთი ყველაფერს ხედავს, ყველაფერი იცის და ყველაფრისათვის დასჯის (დედამ ყველაფერი არ იცის და მაინც რა აუტანელია!). ღმერთიც უნდა უყვარდეს! აი, ვარვარა თავგადაგდებული ლოცულობს, მერე იატაკამდე იხრება. დეიდა ჟენიას თვალები დაუჭყეტია და თავს აქიცინებს, გეგონება, ვინმეს ნიშნს უგებსო. აჰა, თურმე ესაა სიყვარული.

გოგონა უკან იყურება, სურს დაინახოს, სხვებს როგორღა უყვართ.

და კვლავ სისინი:

— წყნარად იდექი! ღმერთი დაგსჯის!

ლიზა გულმოდგინედ იწერს პირჯვარს, ვარვარასავით თავგადაგდებული ოხრავს, თვალებს ჭყიტავს, შემდეგ მუხლებზე დგება. ცოტა ხანს ასეა გაჩერებული. მუხლებში ტკივილს გრძნობს და ქუსლებზე ჯდება.

და ისევ ყურთან ამჯერად სისინის ნაცვლად ბუზღუნი:

— ახლავე ადექი და წესიერად მოიქეცი.

დედაა.

გაბრაზებული ბანები კი მრისხანე სიტყვებს გუგუნებენ. ალბათ ამცნობენ, ღმერთი დაგსჯისო. მის წინ უზარმაზარი კანდელია. სანთლები ტკაცუნობენ, ცვილი წვეთავს. იატაკსაც დაჰკვრია. ლიზა მისკენ მიჩოჩავს, ცოტა რომ მოაციცქნოს.

მძიმე თათი მხარში სწვდება და ფეხზე აყენებს.

— იცელქე, იცელქე, — დასჩხავის ვარვარა. — მიხვალ სახლში და დედაშენი შავ დღეს დაგაყრის!

დედა შავ დღეს დააყრის. ღმერთი ყველაფერს ხედავს და ისიც დასჯის.

რატომ არ შეუძლია ისე მოიქცეს, როგორც სხვები — იქცევიან?

ოცი წლის შემდეგ თავისი ცხოვრების საშინელ გადამწყვეტ წუთს იტყვის: „რატომ არ შემიძლია ისე მოვიქცე, როგორც სხვები იქცევიან? რატომ ვერასოდეს ვთვალთმაქცობ?“

* * *

საუზმის შემდეგ ტულზინი და ფიშერი მოვიდნენ.

ტულზინს არაჩვეულებრივი ცხვირსახოცი ჰქონდა — ზეწარივით უზარმაზარი, ჯიბე დოლივით გამობერვოდა. ბიჭი დაკეცილსავე ისვამდა მრგვალ ცხვირზე. ცხვირსახოცი უხეში და ულმობელი იყო, ცხვირი კი — ნაზი და რბილი, და მეტისმეტადაც უწითლდებოდა.

მას, ვისაც ლიზა ცხრამეტი წლის შემდეგ შეიყვარებს, პატარა სიფრიფანა ცხვირსახოცები ექნება, აბრეშუმის ძაფით ამოქარგული მონოგრამით. სიყვარულის ჯამი იმდენი შესაკრებისაგან შედგება... ჩვენ რა ვიცით?

შავტუხა, ქოჩორა ფიშერი, მამლაყინწასავით ჩხუბისთავი, სასადილო ოთახში მაგიდასთან ფუსფუსებს. კალის ჯარისკაცების მთელი ყუთი მოუტანია და გრიშას სასტიკ ბრძოლაში იწვევს.

ტულზინს ერთადერთი ტყვიამფრქვევი ჯიბეში უდევს და ყოველთვის, როცა კი ცხვირსახოცს ჯიბიდან იღებს, ძირს უვარდება.

გრიშას თავისი ყუთები მოაქვს და უცებ ლიზას ამჩნევს. გოგონა ძალიან სავარძელში ზის, თავს ზედმეტად გრძნობს და წარბშეკრული უყურებს საომარ სამზადისს.

— ვარვარა! — ღრიალებს გრიშა. — მოაშორეთ აქედან ეს ჩერჩეტი, ხელს გვიშლის!

ხელებდაკაპიწებული ვარვარა სამზარეულოდან მოჰქრის.

— რა ამბავში ხარ, შე ყაჩაღანა? — ეკითხება გაბრაზებული.

სავარძლის სახელურებს ჩაფრენილი ლიზა ერთიანად იკუნტება, ვინ იცის რა მოხდება — შეიძლება ფეხებითაც დაითრიონ...

— მინდა და ვჩხუბობ, — ულრენს გრიშა. — შენ კი შენიშვნის მოცემას ნუ მიბედავ, მე უკვე ვსწავლობ.

ლიზას მშვენივრად ესმის ამ სიტყვების მნიშვნელობა. „ვსწავლობ“ იმას ნიშნავს, რომ ის უკვე სხვა უფროსების გამგებლობაშია და სრული უფლება აქვს აღარ დაუჯეროს ბებო ვარვარას. საბავშვო ოთახების და გადიების დრო დამთავრდა.

აშკარაა, ამას ვარვარაც ხვდება, რადგან ნაკლები სიმკაცრით ეუბნება:

— თუ სწავლობ, ისე მოიქეცი, როგორც მოსწავლეს შეეფერება. რატომ აგდებ ლიზუტკას? ან სად წავიყვანო? იქ დეიდა ჟენია ისვენებს, სასტუმრო ოთახში კი ვიღაც უცხო ქალია. სად წავიყვანო, ჰა? ის ხომ წყნარად ზის. ხელს არავის უშლის.

— არაფერიც, ტყუი, გვიშლის! — ყვირის გრიშა. — ეგ რომ გვიყურებს, ჯარისკაცებს ისე ველარ ვალაგებთ, როგორც საჭიროა!

— თქვენც ნუ დაალაგებთ. დიდი ამბავი!

— სულელო ბებერო!

გრიშა ერთიანად წითელია. ვიღაც ჭუჭყიანი ბებრუხანა რომ ეუფროსება, ამის გამო ამხანაგებთან თავს უხერხულად გრძნობს.

ლიზას თავი მხრებში ჩაურგავს და ხან ვარვარასკენ აპარებს თვალს, ხანაც გრიშასკენ. ლიზა ახლა მშვენიერი ქალბატონია და მის გამო ორი რაინდი ერთმანეთს შერკინებია. ვარვარა ლიზას ღირსებას იცავს.

— ამას აქ მაინც არ გავაჩერებ! — ყვირის გრიშა და ლიზას ფეხებით ითრევს, მაგრამ გოგონა ისე ჩაბღაუჭებია სახელურს, რომ გრიშამ ლამის სავარძლიანად დაითრიოს.

ტულზინი და ფიშერი არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ამ ბობოქარ მოვლენებს, მშვიდად ამოაქვთ ჯარისკაცები ლაფნის მრგვალი ყუთებიდან და მაგიდაზე ალაგებენ. ასეთი ჩხუბით მათ ვერ გააკვირვებ. უკეთესად არც თვითონ აქვთ საქმე: დეიდა, ძიძა, უმცროსი ძმები, უფროსი დები, თექვსმეტი წლის შინაბერები... ერთი სიტყვით, მათ ვერ გააკვირვებ.

— ეი, გრიშკა ვაგულოვ, მოხვალ თუ არა? — საქმიანად კითხულობს ტულზინი და საოცარ ცხვირსახოცს ჯიბიდან იღებს. ტყვიამფრქვევი იატაკზე ვარდება.

— ჰო, მართლა, — ეს არტილერია სად დავაყენო?

გრიშა თავს ანებებს ლიზას ფეხებს, მუშტს მრავლისმეტყველად ულერებს და:

— ჯანდაბას, იჯექი, ოღონდ ჯარისკაცებს არ მიაშტერდე და არ ისუნთქო. გაიგე? სუნთქვა არ გაბედო! უ-უ, შე ძროხა!

აკანკალებული „ძროხა“ ღრმა, ჩასუნთქვით იმარაგებს ჰაერს. რა იცის, კიდევ როდის ჩაასუნთქვინებენ.

ბიჭები საქმეს იწყებენ. ფიშერს ორჯერ უფრო მსხვილი და ჭყეტელა ჯარისკაცები ჰყავს, ვიდრე გრიშას.

— ეს გრენადერებია, — ამბობს ამაყად.

გრიშა იშმუშნება. არ სიამოვნებს, სხვა რომ ჯობნის.

— მაგიდის კიდეებთან მოგვიწევს მათი ჩამწკრივება. გასაგები მაინც იქნება, ამოდენები რატომ არიან.

— კი მაგრამ, რატომ? — საგონებელშია ჩავარდნილი ტულზინი.

— იმიტომ,. რომ გუშაგებად ყოველთვის გოლიათებს არჩევენ. საზიფათო საქმეა. ყველას სძინავს, ისინი კი ფხიზ... ფხიზლ... ფხიზლობენ.

ფიშერი კმაყოფილია.

— აბა რა, — ამბობს. — გმირები არიან!

ლიზას გმირების ნახვა უსაშველოდ აინტერესებს. ხვდება, ახლა მისთვის არავის სცხელა. სავარძლიდან ფრთხილად ცოცდება, მაგიდას ეპარება და კისერწაგრძელებული გაჰყურებს.

ბრრახ!

გრიშამ შიგ ცხვირში ხეთქა მუშტი.

— სისხლი! სისხლი! — ყვირის ვიღაც.

ბრძოლის ველზე პირველმა სისხლმა იფეთქა.

ლიზას ყურში საკუთარი გულისწამღები კივილი ჩაესმის, თვალები დახუჭული აქვს, ვიღაცა კივის, ვარვარაა?

ლიზა მიჰყავთ.

წლების შემდეგ იტყვის:

— არა, არასოდეს შეგიყვარებთ. თქვენ გმირი ხართ. სიტყვა „გმირი“ კი ისეთ სევდას, ისეთ სასოწარკვეთას იწვევს ჩემში, რომ... თუმცა, არ ვიცი, რატომ. წყნარ ადამიანებთან თავს უფრო მშვიდად ვგრძნობ, უფრო კარგად ვარ. აჰ, არ ვიცი, არ ვიცი, რატომ.

სინაზის შესახებ

„სინაზე... სად არ შეხვდები მას!“ — უთხრა ოლგამ ობლომოვს.

რა ფრაზაა ეს? როგორ უნდა გავიგოთ? განა შეიძლება სინაზის ასე არად ჩაგდება? სად გვხვდება ის ასე ხშირად?

ვფიქრობ, აქ უზუსტობაა: ოლგა სინაზეს კი არ იხსენიებს აქ აგდებულად, არამედ იმდროინდელ მოდურ სენტიმენტალობას, ყალიბ, ზედაპირულ და მანერულ საქმიანობას. სწორედ საქმიანობას და არა — გრძნობას.

ან როგორ შეიძლება სინაზის არად ჩაგდება?

სინაზე სიყვარულის ყველაზე უწყინარი, მოკრძალებული, ღვთიური სახეა.

სინაზის და — სიბრალულია ისინი ყოველთვის ერთად არიან.

მაო ხშირად ვერ შეხვდებით, თუმცა ზოგჯერ სწორედ იქ წააწყდებით, სადაც სულ არ ელით. თანაც სრულიად განსაცვიფრებელი გამოვლინებით.

სიყვარული — ვნება ყოველთვის გაფაციცებული ყურადღებაა საკუთარი თავის მიმართ. მას სურს დაგიპყროს, გაცდუნოს, თავი მოგაწონოს. იგი დინჯშემოყრილი გამოწმებს, დაკარგულის ხელიდან გაშვებისა ეშინია მუდამ.

სიყვარული — სინაზე (სიბრალული) ყველაფერს გასცემს, ის უსაზღვროა. არასოდეს ფიქრობს საკუთარ თავზე, რადგან „თავისთვის არას ითხოვს“. მხოლოდ ის არ ითხოვს.

ზოგიერთის აზრით, სინაზე ადამიანს ამცირებს. პირიქით. სინაზე ღვთით ბოძებული რამაა, ზემოდან მოდის. იგი საყვარელ არსებაზე ზრუნავს, იცავს მას, უფრთხილდება. დაცვას და ზრუნვას ხომ უმწეო არსება მოითხოვს. ამიტომ საალერსო სიტყვები კნინობითი სიტყვებია, ძლიერისაგან სუსტისაკენ მიმართული.

შვილიკო! ჩემო პაწაწავ!

მერე რა, თუ შვილიკო ორმოცდაათი წლისაა, პაწაწა — სამოცდა-

ათისა, სინაზე ზემოდან მოდის და ამიტომ ეჩვენება ისინი პატარებად, უსუსურებად, ეშინია, იტანჯება მათ გამო.

შეუძლებელია, ვალკირიამ, ზიგფრიდისადმი მთელი თავისი სიყვარულის მიუხედავად, მას „ბაჭია“ უწოდოს. ვალკირია მოჯადოებულია ზიგფრიდის სიძლიერით, მისი სიყვარული — პატივისცემაა ზიგფრიდის ფიზიკური ძალისა და სულის სიმტკიცის მიმართ. ვალკირიას უყვარს გმირი. ამგვარ სიყვარულში სინაზისათვის ადგილი არ რჩება.

თუ პატარა, სუსტი, ნაზი ბუნების ქალი „დერჟიმორდას“ შეიყვარებს, ყოველთვის იმ წამის მოლოდინში იქნება, როცა ეს ყოვლისშემძლე არსება დაჩაგრულად მოეჩვენება, რაც მის სინაზეს გაუხსნის გზას.

— ის, რა თქმა უნდა, ძლიერი ადამიანია, უხეშიც კი. მაგრამ იცით, მძინარეს რა ბავშვური და უმწეო სახე აქვს?

ეს სინაზე ბრმად, ხელისცეცებით ეძებს თავის გზას.

ერთი დანიელი ახალგაზრდა ქალი, რომელიც პირველად მოხვდა საფრანგეთში, გაოცებული ყვებოდა, ფრანგი ქალები თავიანთ ბავშვებს ბაჭიებსა და წიწილებს ეძახიანო. ის კი არა, ერთი ქალი თავის ავადმყოფ ქმარს თურმე კომბოსტოს და აბრეშუმის ჭიის პარკს ეძახდა.

— და იცით, — დასძენდა იგი, — შევამჩნიე, რომ ეს ბავშვებზეც და ავადმყოფებზეც ძალიან კარგად მოქმედებდა.

— განა თქვენთან, დანიაში საალერსო სიტყვები არ იციან?

— არა, არ იციან.

— კი მაგრამ, აბა სინაზეს როგორ გამოხატავთ?

— როცა ვინმე გვიყვარს, ვცდილობთ მისთვის ყველაფერი გავაკეთოთ, შეძლებისდაგვარად, საყვარელ ადამიანს კი ქათამს არამც და არამც არ დავუძახებთ.

სინაზე სულ უფრო და უფრო იშვიათად გვხვდება.

თანამედროვე ცხოვრება რთული და მძიმეა. თანამედროვე ადამიანი სიყვარულშიც კი თავისი პიროვნების დამკვიდრებას ცდილობს პირველ რიგში.

სიყვარული ორთაბრძოლაა.

— გვიყვარდეს? ძალიან კარგი!

ხელები დაიკაპიწეს, მხრებში გასწორდნენ და აბა, ვინ — ვის?!

სინაზისთვის სცხელათ? თანაც ვის გაუფრთხილდნენ, ვინ შეიბრალონ, როცა ყველა გმირია?!

ვინც სინაზე შეიცნო, ის განწირულია. მისი სული მთავარანგელოზის შუბმა განგმირა და მას ამიერიდან აღარც სიმშვიდე უწერია, აღარც ზომიერება.

ჩვენს წარმოსახვაში სინაზე აუცილებლად სასთუმალთან დახრილი ალერსიანი ქალის სახით გვევლინება.

ეჰ, რა ვიცით ამ „ალერსიან ქალებზე“? არაფერი!

არა, სინაზეს მათთან არ უნდა ვეძიებდეთ.

მე იგი სხვაგან შემხვედრია, თანაც არა პოეტური, არამედ უბრალო, ზოგჯერ სასაცილო გამოვლინებითაც კი.

იგი ჩემს სულს პირველად დიდი ხნის წინ მოევლინა. ჩემი სული შვიდ წელზე მეტისა არ იყო.

უზარმაზარი შვიდი წელიწადი. ყველაზე სავსე, დატვირთული და მნიშვნელოვანი ადამიანის ცხოვრებაში.

საღამო იყო. ნაძვის ხე გვედგა. იყო აღტაცება, ეჭვიანობა, სიცილი, შური და წყენა, — სულიერი განცდების მთელი აკორდი.

მე და ჩემს დას გვაჩუქეს მუყაოს პატარა ნაცრისფერი სპილოები, რომლებსაც ზურგზე ოქრომკედით მოსირმული წითელი ხავერდის ჩული ჰქონდათ მიმაგრებული. მუცელში კანფეტები უჩხარუნებდათ.

უფრო საინტერესო საჩუქრებიც მივიღეთ. სპილოები ხომ ნაძვის ხის უბრალო სათამაშოები იყო.

ჩემი სპილოდან კანფეტები გადმოვყარე, სასწრაფოდ შევახრამუნე, ის კი ნაძვის ხის ქვეშ შევჩურთე, — იძინოს იქ, დილამდე მოვიფიქრებ ვის ვაჩუქო.

საღამოს, როცა თოჯინებს დასაძინებლად ვამზადებდი, შევამჩნიე, რომ ჩემი და ლენა რაღაც განსაკუთრებულად ჩუმად ფუსფუსებდა თავის კუთხეში და თან შეშინებული მიყურებდა.

ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს ეს?

ლენასთან მივედი, მან მაშინვე თოჯინის საბანს სტაცა ხელი. რაღაცას მიმალავდა.

— მანდ რა გაქვს?

ლენამ ამოიფშვინა, საბანი ორივე ხელით ჩაიხუტა და მრისხანედ მითხრა:

— არ გაბედო!

ორი გზა მქონდა: ან უნდა მეთქვა, „მინდა“, „გავბედავ“ და ჯიქურ მივვარდნოდი, ანდა თავი ისე მომეჩვენებინა, თითქოს სულ არ მაინტერესებდა.

ეს უკანასკნელი ავირჩიე.

შევტრიალდი და ჩემს კუთხეს დავუბრუნდი. მაგრამ ცნობისმოყვარეობა შკლავდა და ლენას ჩუმად ვადევნებდი თვალს. ლენა ვიღაცას თუ რაღაცას ეფერებოდა, ეჩურჩულებოდა. ხანდახან შიშისგან დამრგვალებული თვალებით გადმომხედავდა. მე კვლავ თავს ვიკატუნებდი, ვითომ ვერაფერს ვამჩნევდი. ღიღინიც კი წამოვიწყე.

და მისი მოტყუება შევძელი. ლენა ადგა, ერთი-ორი გაუბედავი ნაბიჯი გადადგა, შემდეგ მზერა ჩემკენ გამოაპარა და რომ დარწმუნდა, მშვიდად ვიჯექი, ოთახიდან გავიდა.

ორი ნახტომით გავჩნდი ოთახის იმ კუთხეში, საბანს ხელი ვტაცე და მეტისმეტად სასაცილო რამ დავინახე. ბალიშზე თავი დაედო და მშვიდად იწვა ერთიანად შეფუთული სპილუკა — მახინჯი, საცოდავი და ცხვირა. ჩაჩის ქვეშ მხოლოდ ხორთუმი და პარტყუნა ყურის ნაწილი მოუჩანდა. ისეთი უმწეო, მორჩილი და თან ისეთი სასაცილო იყო, რომ ჩემი შვიდი წლის სული დაიბნა. ხორთუმის ქვეშ თაფლაკვერის ნაკვნეტი და ორი კაკალი დავინახე. აუტანელი ტკივილი ვიგრძენი და ამ უცნაური სატანჯველისაგან თავის დასაღწევად სიცილს და ყვირილს მოვყევი:

— ლენა! სულელი ლენა! სპილო შეუფუთავს! შეხედეთ! შეხედეთ!

ლენა მოქრის, გაწითლებული, შეშინებული, თვალებში საშინელი სასოწარკვეთა ჩასდგომია. ხელს მკრავს, სპილოს მალავს. მე კი ვყვირი და ვყვირი:

— შეხედეთ! შეხედეთ! სპილო ნაჭრებში გაუხვევია!

ლენა პაწია, რეზინასავით რბილ მუშტებს მიშენს და ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ჩურჩულით მეუბნება:

— არ გაბედო მისი დაცინვა! იცოდე, შემიძლია მო-ო-გკლა!

და ტირის. ალბათ თავზარდაცემულია, ასეთი დანაშაულის ჩადენა რომ შეუძლია.

მე არ მტკივა. მისი მუშტები ხომ პატარა რეზინასავით რბილია. მაგრამ ის, რომ ჩემი დაიკო თავის საფრთხობელას ასე იცავს ჩემგან (მე ხომ დიდი ვარ, უფრო ძლიერი, ფეხებით ვჩხუბობ და მან ეს იცის), და თანაც ამ მახინჯ, ცხვირა, ჩაჩიან სპილუკასაც არაფერი დაუშავებია, — ეს ყველაფერი ისეთი ტკივილით, ისეთი აუტანელი სიბრალულით მიკუმშავს პატარა, ჯერ მთვლემარე სულს, რომ ლენას მხრებში ვწვდები, ვტირი და ვყვირი, ვყვირი, ვყვირი...

მუყაოს გონჯი სპილუკა, ჩაჩიანი, — დამავიწყდება კი როდისმე?..

* * *

აი კიდევ ერთი ამბავი. ასევე ბავშვის სულის ისტორია.

ჩემს პეტერბურგელ ნაცნობებს ბიჭუნა ჰყავდათ, ოთხი წლის მიშა. უხეში ბავშვი იყო, მოღუშული. ბოხი ხმით ლაპარაკობდა. როცა კარგ გუნებაზე იყო, დათვივით აბაჯბაჯებული ცეკვავდა და თან ბურდღუნებდა: „ბუმ-ბუმ-ბუმ“. შემთხვევით თუ ვინმე შეუსწრებდა, სირცხვილისაგან გაშმაგებული ბიჭი მივარდებოდა და მუშტებს მუხლებში უბაგუნებდა (უფრო მაღლა ვერ სწვდებოდა).

პირქუში ბავშვი იყო, ნელაც ვითარდებოდა, ცოტას და ცუდად ლაპარაკობდა; რასაც უშლიდნენ, იმის კეთება უყვარდა, თანაც აკეთებდა აშკარად, განზრახ უფროსების დასანახად. ღუმელში ძვრებოდა, პირში ლურსმნებს და ჭუჭყიან ბუმბულს იტენიდა, მურაბიან ქილაში ხელს ჰყოფდა. ერთი სიტყვით, წყალწაღებული ვინმე იყო.

ერთხელ მის ოთახში სპილენძის ძველი, საკმაოდ დიდი შანდალი შეიტანეს. ალბათ აღარ სჭირდებოდათ.

მიშამ იგი სათამაშოებთან მიათრია, ავტომობილთან, ჯამბაზთან, ხომალდთან, ბატკანთან ერთად საპატიო ადგილი მიუჩინა. საღამოს კი ძიძის პროტესტის მიუხედავად საწოლში ჩაიწვინა. ძიძამ ღამით ნახა, რომ შანდალი შუა საწოლში „იწვა“, სანთლის ჩასადები ადგილი ბალიშზე ედო. იწვა თბილად, „ყელამდე“ შეფუთნილი, შიშველი და გაყინული მიშა კი კუთხეში მიკუნტულიყო, აქაოდა, შანდალი არ შევაწუხოო. ძიძამ რამდენჯერმე აიღო ჩუმად შანდალი, მაგრამ დილით გაღვიძებულს ის კვლავ საწოლში დახვდა თბილად შეფუთნილი, მიშა კი შანდლის „ფეხებთან“ სიცივისაგან ოთხად მოკეცილიყო.

მეორე დღეს შანდლის წართმევა გადაწყვიტეს. ბიჭი განწირული ხმით ღრიალებდა, სიცხეც კი მისცა. შანდალი ოთახში დატოვეს, მაგრამ მიშას მისი ლოგინში ჩაწვენა აუკრძალეს, ბიჭუნას მთელი ღამე მოუსვენრად ეძინა, ხშირად იღვიძებდა, თავს წამოსწევდა და შეწუხებული იყურებოდა იქით, სადაც შანდალი ეგულებოდა. დილით გაიღვიძა თუ არა, მაშინვე ლოგინში ჩაიწვინა, რათა მძიმე ღამის შემდეგ დაესვენა.

ნასადილევს შოკოლადი მისცეს. საერთოდ, მას ტკბილეული აკრძალული ჰქონდა, ამიტომ ეს მისთვის ნამდვილი დღესასწაული იყო. გაწითლებულმა აიღო შოკოლადი და თავის ოთახში წაბაჯბაჯდა. ცოტა ხან-

ში მოისმა, როგორ მღეროდა „ბუმ-ბუმ-ბუმ“-ს, ეტყობა, დათვივით ცეკვავდა.

მეორე დილით ოთახის დალაგებისას ძიძას შოკოლადი ხელუხლები დახვდა, ბიჭს შანდალში ჩაეჩარა.

შანდალს გაუმასპინძლდა იმით, რაც ყველაზე საუკეთესო ჰქონდა, შემდეგ კი სიხარულისაგან მღეროდა და ცეკვავდა.

* * *

პარიზის მახლობლად ერთ სანატორიუმში ვცხოვრობდით.

სანატორიუმი რუს ექიმს ეკუთვნოდა და მობინადრეთა უმეტესობაც რუსები იყვნენ. სეირნობდნენ, ჭამდნენ, რადიოს უსმენდნენ, ბრიჯს თამაშობდნენ, ჭორაობდნენ. ნამდვილი ავადმყოფი ორი იყო — ჭლექიანი გოგონა, ვისთვისაც თვალი არავის მოეკრა და ერთიც ტიფგადატანილი ბრაზიანი მოხუცი.

მოხუცი ხშირად იჯდა ტერასაზე, შეზლონგზე, შეფუთნილი, ბალიშებშემოწყობილი, გაფითრებული, წვერმოშვებული, მდუმარე. როცა ვინმე ჩაუვლიდა, თვალებს ხუჭავდა. მთრთოლვარე ჩიტივით დასტრიალებდა თავს ცოლი, ასაკში შესული, გამხდარი, სახეშემჭკნარი ქალი, რომელსაც ისეთი შფოთარი და თანაც ბედნიერი თვალები ჰქონდა, თითქოს ბედნიერება ეს-ეს არის დაინახა და მისი დაჯერებისა ეშინიაო.

ქალი მშვიდად არასოდეს იჯდა, სულ თავისი ავადმყოფის ირგვლივ ფუსფუსებდა: გაზეთს უფურცლავდა, ბალიშს უფუებდა, პლედს უსწორებდა, წამალს ასმევდა, რძის შესათბობად გარბოდა. ყველა ამ მომსახურებას მოხუცი აშკარა ზიზღით ღებულობდა, ამ ზიზღით გულგახეთქილ ქალს კი კოვზი ხელიდან უვარდებოდა, რძე იღვრებოდა, თან განუწყვეტლივ იღიმებოდა მთრთოლვარე ტუჩებით და ათასგვარ მხიარულ ამბავს უყვებოდა ქმარს. ყვება და იცინის, იქნებ ქმარმაც გაიცინოსო. კაცი კი თავს ისე აჩვენებდა, თითქოს არც გაუგონიაო და პირს იქით აბრუნებდა.

მხოლოდ მოხუცის ჩაძინების შემდეგ ბედავდა ქალი დამჯდარიყო და ხელში წიგნი აეღო. მაგრამ არ კითხულობდა, დაძაბული და კისერწაგრძელებული აყურადებდა ავადმყოფის სუნთქვას.

მოხუცი ყოველთვის ოთახში საუზმობდა და სადილობდა, ქალი სასადილოში მარტო ჩამოდიოდა. ყოველ დილით, გაზეთით ხელში, მაგიდიდან მაგიდასთან დაქროდა, ყველას ალერსიანად უღიმოდა და ეკითხებოდა:

— ვერ დამეხმარებით? აი, აქ კროსვორდია. „რა არის სახლში ოთხასოიანი?“

კარი მეგონა, მაგრამ პირველი ასო „ი“ უნდა იყოს, რადგან ვერტიკალურად „ქალი, რომელიც ძროხად იქცა“, — ეს ხომ იოა.

თან უხსნიდა:

— ფურცელზე ჩემთვის ვიწერ, სერგეი სერგეევიჩს რომ დავეხმარო. ეს მისთვის ერთადერთი გასართობია, ამით ვიქცევთ თავს. როცა მას უძნელდება ამოცნობა, ვეხმარები. ავადმყოფები ხომ ბავშვებივით არიან. ისე მიხარია, ეს მაინც რომ ახალისებს. მისთვის კითხვაც მომქანცველია.

მაშ, არ იცით, რა სიტყვაა? აბა, იმ ქალიშვილს ვკითხავ.

და მიფრინავს მსუბუქი და სიფრიფანა სხვა მაგიდისაკენ, იქიდან — კიდევ სხვაგან, თან ყველას ღიმილით უხსნის, რომ მის ქმარს კროსვორდები ართობს და რთულ შემთხვევებში თვითონაც ეხმარება.

— ხომ იცით, ავადმყოფები ბავშვებივით არიან.

და ალერსიანი ღიმილით ყველას თავს უქნევს, თითქოს ყველანი რაღაც მხიარულ შეთქმულებაში მონაწილეობენ და მასავით ეხალისებათ რთული სიტყვების გამოცნობა, რათა ძვირფას სერგეი სერგეევიჩს მიეხმარონ.

ქალი ძალიან ებრალებოდათ და დიდი გულისხმიერებითაც ეპყრობოდნენ.

—ჭკვიანი ქალი იყო, ბაქტერიოლოგი, სამეცნიერო შრომები ჰქონდა. ყველაფერი მიატოვა, ახლა კი კროსვორდებით ხელში დაქრის აქეთ-იქით.

— ის რაღას წარმოადგენს?

— ის? როგორ გითხრათ, რაღაც გაურკვეველი ვინმეა. მგონი, საზოგადო მოღვაწე იყო, არც ისე ცნობილი. პროვინციულ გაზეთებში წერდა. ისე კი, მე თუ მკითხავთ, ერთი ყოყლოჩინა სულელია.

ქალის ცხოვრებაში ეს ნახევარი საათი საუკეთესო დრო იყო. ეს იყო მომზადება იმ ღვთაებრივი წუთებისათვის, როცა „მას“ მისი დახმარება შეიძლება დასჭირვებოდა.

ერთხელაც კაცი ჩვეულებრივზე ადრე გამოვიდა ტერასაზე, სადაც ზოგიერთი დამსვენებელი მაგიდას ჯერაც უჯდა, ცოლი დიდხანს დაფოფინებდა, პლედს აფარებდა, ბალიშებს უსწორებდა და თუ სურვილს მაშინვე ვერ მიუხვდებოდა, კოპებშეკრული კაცი იშორებდა მის ხელს.

ბოლოს, როგორც იქნა, ჩაწყნარდა.

გახარებულმა ქალმა გაზეთს სტაცა ხელი.

— ნახე, სერიოჟენკა, დღეს ძალიან საინტერესო კროსვორდი უნდა იყოს.

კაცმა თავი ასწია, ბოროტი ყვითელი თვალები გადმოკარკლა და ერთიანად აძაგძაგდა:

— ეშმაკსაც წაულიხარ მაგ შენი იდიოტურ კროსვორდებიანად! — წაისისინა გაცოფებულმა.

ქალი გადაფითრდა, დაიბნა:

— კი მაგრამ, შენ ხომ... შენ ხომ ყოველთვის გაინტერესებდა...

— არასოდეს არ მაინტერესებდა! — ცახცახებდა და სისინებდა ქმარი, თან მხეცური კმაყოფილებით ჭვრეტდა ქალის გაფითრებულ, სასოწარკვეთილ სახეს. — არასოდეს! ეს შენ მიწყალებდი გულს დეგენერატის სიჯიუტით! ი-დი-ო-ტო!

ქალმა აღარაფერი უპასუხა, გაჭირვებით ჩაისუნთქა ჰაერი, ხელები მაგრად მიიჭირა მკერდზე და ისეთი ტკივილითა და სასოწარკვეთით მიმოიხედა, თითქოს შველას ითხოვსო.

მაგრამ, აბა, ვის შეუძლია სერიოზულად მოეკიდოს ასეთ სასაცილო, სულელურ მწუხარებას?

მხოლოდ ერთი პატარა ბიჭი, — გვერდით. მაგიდასთან რომ იჯდა და ამ ამბავს შეესწრო, — თვალებდახუჭული ატირდა მწარედ.

ჟორჟ ემანუელ კლანსიე (დ. 1914 წ. საფრანგეთში).

დაბრუნება

ფრანგულიდან

თარგმნა ნათია ამაღლობელიამ

ის ალბათ სიზმარს ხედავს. მარცხენა ხელი მომუჭა და მერე ნაზად გაშალა. ყოველ ამოსუნთქვაზე ბალიშზე მიფენილი კულულები ერხევა. დილის ბინდ-ბუნდში ისეთი პატარა, უმანკო და მშვენიერთა, გული მეკუმშება მის შემხედვარეს. ომიდან სრულიად ძალაგამოცლილი დავბრუნდი. ჩემს თავს ვეკითხები, ნუთუ მძინარე შვილის დანახვისას ყველანი ასეთ ნაზ და ამავე დროს მტანჯველ გრძნობას განიცდიან-მეთქი? მინდა გავაღვიძო — მთელი დღეა არ მინახავს! — გაიზმორება, თავს აქეთ-იქით შეატრიალებს, შეიჭმუხნის მზის სხივივით მსუბუქ, ქერა წარბებს, ბოლოს გაახელს მრავლისმეტყველ, მშვიდ, ნაცრისფერ თვალებს, თვალებს, რომლებიც გასამართლებენ და გპატიობენ. დაგინახავს, მაგრამ არ გაგიცინებს, დედას ან ბებიას დაუძახებს! „გაგიჟდი, რატომ გააღვიძე!“... „უბედურო ჟან, რა დაუფიქრებელი ხართ, ბავშვებისა არაფერი გაგეგებათ!“ და ორივე ჩურჩულით გაეშურება ჟანეტისკენ.

ძილში ლუსისაც აქვს რაღაც ბავშვური: პაჭუა ცხვირი და პატარა ნიკაპი. ადრე ვერა და ვერ ვახერხებდი მისი სახის გახსენებას. ამის გამო ჩემი ცხოვრების რაღაც ნაწილი თითქოს ჩემდაუნებურად ქრებოდა და ეს საშინელება იყო, რატომღაც არასოდეს მიფიქრია მის ლამაზ და ნაზ პროფილზე. ეს მხოლოდ ბევრი უძილო ღამის შემდეგ, ერთ დილას შევამჩნიე, როცა ჩვენი სხეულები გააფთრებით, თითქმის გაშმაგებით ცდილობდა შერწყმას, თითქოს სურდათ სამუდამოდ გაექროთ ის წლები, ჩვენ რომ დაგვაშორა. მაგრამ ახლა ვიცი, ეს ხვევნა-კოცნა მხოლოდ ფიქრს, ლაპარაკს და ერთმანეთის დანახვას გვაცილებდა. ასეთი ვნების შემდეგ, როცა ჩემი ცოლის კრიალა თვალებში, მის ბაგეებზე ცეცხლისა და მგზნებარების ნაცვლად გულგრილობა ამოვიკითხე, გავოცდი და გული მეტკინა თითქოს დავრწმუნდი, მის ბედნიერებაში ჩემი ადგილი არ იყო.

დედამისი აქამდე განზე იდგა, მთელი დღე სამზარეულოში ტრიალებდა, საღამოს კი, სადილის შემდეგ, სასწრაფოდ გადიოდა ხოლმე თავის ოთახში. დროთა განმავლობაში მიხვდა, რომ ახლადდაქორწინებულები აღარ გვერქვა. მაშინ მეგონა რომ მხოლოდ ის იყო ოჯახის სული და გული. ჩემს ცოლს ყოველთვის დედამისის იმედი ჰქონდა. მაშინაც კი, როცა ჩემთვის თავის მოწონება სურდა, კაბის თაობაზე რჩევას მაინც დედამისს ეკითხებოდა. ის კი თითქოს ვერც ამჩნევდა, რო-

გორ ჰყავდა შვილი მიჯაჭვული. ქალიშვილისგან თავისივე ანარეკლი გამოძერწა, ახლა შვილიშვილის ჯერი დამდგარიყო.

ჩვენი ქორწინების პირველ წლებში აზრადაც არ მომსვლია, რომ შეიძლებოდა ასეთი ზეგავლენის არსებობა. სიდედრი ჩემთვის პორცელენის სამშვენისებით მორთულ პატარა სახლში მცხოვრები მარტოხელა ქვრივი ქალი იყო, ვინც საუცხოო ნამცხვრებს გვიცხობდა და ვის სანახავადაც ყოველ კვირა დღეს მივდიოდით. ომში ჩემი წასვლის შემდეგ კი ჩვენთან გადმოსახლდა, ნეტა როდის წავა? — „ის ჩვენ ხელს გვიმართავს, გვეხმარება, — ამბობს ხოლმე ლუსი, — დედაჩემი რომ არა ვინ მოუვლიდა პატარას, ჩვენ ხომ ორივენი ვმუშაობთ?“

დიახ, სწორედ ის ზრდიდა და ზრდის ბავშვს. ზრდის კი? ამის თქმა ნაადრევია. უკვე შევეჩვიე იმის დანახვას, ფეხის წვერებზე როგორ უვლის ლუსი დედამისს გარშემო, თითქოს მისი ჩრდილი იყოს. ნამდვილად ასეა. მაგრამ მე უძლური ვარ. არ შემიძლია შევცვალო არც ჩემი ცოლის გაუბედავი და არც ჩემი სიდედრის მბრძანებლური ხასიათი. მაგრამ პატარა... ყოველ შემთხვევაში მისი არსებობა მაინც გაამართლებდა ჩემს დაბრუნებას, ჩემს სიცოცხლეს.

ჟანეტის ნაკვთები ლუსისას ჰგავს, თუმცა მათში მეტი სიმსუბუქე და ახალი სახის ჩამოყალიბების მოლოდინი იგრძნობა. ამ საიდუმლოს გამოვლენას კი ხელის შეწყობა უნდა. მისი გამოხედვა არც დედამისისას, არც ბებიამისისას არა ჰგავს, თითქოსდა უფრო ნათელი აქვს... პატარას შეუძლია არც შემომხედოს, სულ პატარა ადგილიც კი არ მიმიჩინოს თავის ოცნებებსა და თამაშებში, მაგრამ ეს ნათელი მაინც რჩება მასში, ნათელი, რომელიც მიხმობს და რომელიც მხოლოდ მე შემიძლია ვიხსნა ჩაქრობისაგან მზის, ქარის, წვიმის, კორდების, წიგნების, ცხოვრების სიყვარულით. ჯერ ვასწავლიდი ფულის ფლანგვით გამოწვეულ გულდაწყვეტას და დაზოგვით გამოწვეულ სიხარულს. „ნუ აფუჭებ შენს ნივთებს“; „ჟანეტ, გაუფრთხილდი კაბას, რომ იცოდე რა ძვირია ყველაფერი“. მაგრამ პატარა განაგრძობს მზის სხივებთან თამაშს ან პირალმა გაწოლილი თვალს ადევნებს ღრუბლების მოძრაობას, არ აწუხებს არც საყვედურები და არც კენჭები, ზურგში რომ ერჭობა ერთ-ერთ ასეთ დღეს, როცა თავის ფანტაზიებში გართული ყურსაც არ უგდებდა საყვედურებს, როცა გავუღიმე—ო! როგორ მინდა, რომ ჩემსა და მას შორის სულ მცირე ურთიერთობა მაინც იყოს შესაძლო — უნდა გენახათ რა შეშფოთება აისახა მაშინ ჩემი ცოლის თვალებში, დედამისის მზერა კი სიძულვილით და სიბრალულით აივსო, ცხადია, სიძულვილი ჩემდამი იყო მომართული, ხოლო სიბრალული — თავისი ქალიშვილისადმი, ასეთ სულელს რომ მისთხოვდა. პატარას შეეშინდა და ბებიამისის კაბის კალთას ამოეფარა. მე კი გავიქეცი, უეცარი გადაფითრება რომ დამემალა.

ოცნებებში წასვლა მოუქნელს ხდის ხოლმე კაცს. მაგრამ ორი თვის წინ მართლა ძალიან მჭირდებოდა ოცნება. ლუსიზე და იმ საათებზე უფრო მეტს ვფიქრობდი მასთან რომ გავატარებდი, ვიდრე ჩემს გოგონაზე. წარსულში თავს კარგად ვგრძნობდი, მერე უბედური ვიყავი, მაგრამ მომავალზე ვფიქრობდი. ახლა ყველაფერი აირია, სახე იცვალა: ამას არავის ვეტყოდი, მაგრამ ის უბედურება მენატრება კიდეც. არადა, განა უბედურებაა გაზაფხულის გრილი განთიადები ყვავილე-

ბით გადაპენტილ მთებზე? განა უბედურებაა გრილ დღეებში კლდეებს შორის მოქცეული ქვიანი მიწის დამუშავება? განა უბედურებაა თავიანთი სოფლის ქვებივით გაუთლელ, ღარიბ გლეხებს შორის შეგრძნობილი მარტოობა?

ხეობის ქვები, პარაცელსის ქვები.[1] მახსენდება დღე, როცა ყოველკვირეულმა ფრანგულმა გაზეთმა მოაღწია ჩემამდე და პარაცელსიზე ეს სტატია წავიკითხე: „იგი რამდენჯერმე ჩავიდა კარიანთიაში[2] მდებარე ლავანის ხეობაში. ის ხელმძღვანელობდა ამ მხარეში აღმოჩენილი მინერალებისა და ქვების კვლევა-ძიებას, კერძოდ კი აინტერესებდა ზოგიერთი ღია იისფერი კრისტალი, რომელთაც მაგიურ ძალას მიაწერდნენ“. მე კი ამ დროს ხელში მქონდა ალქიმიკოსების ეს ქვები. ერთ-ერთი მათგანი იმ კალოზე წავიღე, სადაც ღამეს ვათევდი. აქ, ამ ადგილას უფრო მყუდროდ ვგრძნობდი თავს, ვიდრე ჩვენთვის განკუთვნილ ფერმებში... უბედურებაო? განა უბედურებაა თავისუფლების განუწყვეტელი წყურვილი, სიკვდილის ტოლფასი გაქცევის აუცილებლობა? დიახ, უბედურებას კარგად ვიცნობ... გუშინწინ ლუსიმ დაწითლებული თვალებით შემომხედა და გადმომჩურჩულა: „მე ყველაფერს ვხვდები. მითხარი, იქ სხვა გყავდა, ის გენატრება?“ რა სისულელეა! იქ არც ერთი ქალისთვის არ შემიხედავს, საკუთარ თავს არ ვაძლევდი ამის უფლებას, თან იქ ლამაზი ქალები არც იყვნენ. ძმაკაცები, როცა მოუნდებოდათ ყველასთან ერთობოდნენ. მე ვეწირებოდი ჩემსავე პატიოსნებას, არ მინდოდა სურვილს ავყოლოდი. თუმცა ეს არა ცოლის, არამედ დაკარგული თავისუფლების ერთგულება უფრო იყო; მეგონა, რომ ფიზიკური სურვილის დაკმაყოფილება ქედის მოხრა იქნებოდა და უფრო მეტად შემბოჭავდა. „რა სისულელეა!“ — წამოვიძახე, როცა ლუსიმ თავისი შეშფოთება გამანდო, მაგრამ ამავე დროს ძალიან გამიკვირდა: ის რაც არ მინდოდა დამენახა ჩემს თავში — სამყაროს დაუფლების უუნარობა — ასე ადვილად ცხადდებოდა სხვებში.

აჰ! ეს კარი ისევ ფრიალებს, ფრთხილად უნდა გამეღო, ნეტავი ჟანეტს არ გაეღვიძოს. ჩემი მხრიდან ნამდვილი ბავშვობაა, მაგრამ როცა შინ არა ვარ, მირჩევნია რაც შეიძლება დიდხანს ეძინოს; ძილი ცოტახანს მაინც დაიცავს მათგან. ერთ საათში გაიღვიძებს, ააჭრიალებს კარს, წუთით გაჩერდება საფეხურზე, შეხედავს ამ უყვავილებო, მეჩხერ ბალს, სახლებს შორის შესამჩნევ გორაკების ხაზს; და ისევე მსუბუქად, ისევე წმინდად, როგორც მისი სუნთქვა და ძილია, თვალის დახამხამებაში ჩაიკრავს გულში ამ ახალ დღეს.

არ მჯეროდა პარაცელსის მოჯადოებული ქვების მაგიური ძალისა, თუმცა ისეთივე ლამაზი მეჩვენებოდა, როგორც ჟანეტს ჩვენს ეზოში მიმოფანტული კენჭები. ქვები, მთები, ბალახი, თოვლი, ეს სამყარო, სადაც კაცობრიობის ტრაგიკულმა სისულელემ ამდენი ტანჯვა მარგუნა, მაგრამ სადაც ამისდა მიუხედავად ყოველივე ასე ნაზად მელაპარაკებოდა.

ომის შემდეგ მე წავიყვან ჟანეტს იქ.

---

1. ფილიპ ფონ გოგენგეიმი (1493—1541 წწ.) ექიმი და ბუნებისმეტყველი.
2. სამხრეთ ავსტრიის ოლქი.

რამდენი ვინმე მიმიჩნევს გიჟად თუ ჰგონიათ, რომ... მაგალითად, თუნდაც ყასაბი დუშემი, ეს ესაა რომ მომესალმა თავისი ჯიხურის ზღურბლიდან. ის ბედნიერია, თუმცა ხორცი არა აქვს, ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის, მაგრამ ფული მაინც ცვივა მის სალაროში, ფული, რომელზეც მარშალია[1] გამოსახული, მისი მფარველი.

— საბრალო გიჟი, — იფიქრებენ ისინი, — შეხედეთ ამ საბრალო გიჟს, ის საკუთარ თავისუფლებას თმობს იმის შიშით, რომ მომავალში მისი შვილი ვერ გაიგებს რა არის ჭეშმარიტი თავისუფლება. ამ გიჟს დილიდან საღამომდე ბანკის სალაროს სარკმლის მიღმა ციფრებში კირკიტი უფრო დიდ უაზრობად მიაჩნია, ვიდრე მთის კენჭების მოფერება. — ისინი, საღი აზრის და კარგი ზრახვების მქონე ადამიანები ბედნიერები არიან, რადგან მარშალი მათ ჯიხურებს იცავს, ხოლო სულმდაბლობა, მათ მიერვე არჩეული, ყოველივეს ტალახით რომ სვრის ტიროლის ყველაზე იდუმალ ხეობებამდეც კი, მათ ქვეყანასაც ანადგურებს.

მალე რვა საათი შესრულდება. ბანკში ადრე მისვლა არ მომიწევს; დაუზეთავი, ბებერი ტრამვაი დიდხანს მირახრახებს ტაატით. ტრამვაიში ასვლისას ჟანეტს ცოტა ეშინია, თუმცა მოხიბლულიცაა. მთხოვა, კიდევ გამატარე ტრამვაითიო. მე მოვეხვიე, ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა რაღაცა მთხოვა. მიხვდა, რომ ეს „ბავშვური ახირება“ — როგორც ბებიამისი იტყოდა — მარტო მე შემეძლო მისთვის ამესრულებინა.

ძალიან მინდოდა ომიდან დაბრუნებისას პატარასთვის სამახსოვროდ რაიმე წამომეღო, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. ის ქვა, ჩემი კალოს კუთხეში რომ ვინახავდი და მზეზე სხივებს ირეკლავდა, პირველ დღეებში ქურთუკის ჯიბით თან დამქონდა, თილისმასავით. მატარებელში, როცა ვინმე მომიახლოვდებოდა და დიდხანს შემომაცქერდებოდა, ხელს ვუჭერდი ქვებს. ბოლოს კი, სოფლის მღვდელმა ხელი რომ ჩამომართვა და მითხრა: „აი, თავისუფალი ხართ, აქ მთავრდება თქვენი...“ — შემდეგ შეასწორა და ჩაიბუტბუტა — „ჩვენი პატიმრობა“, როცა მან სიბნელეში განაგრძო გზა დიდი ნაბიჯებით, მის მიერვე მინიშნებულ ტყისმჭრელთა ბილიკზე სირბილით დავეშვი, ჩავირბინე მთის ფერდობი, ამოვიღე ქვა ჯიბიდან და, არ ვიცი რატომ, მთელი ძალით მოვისროლე ღამის სიბნელეში... არადა ჟანეტს შეეძლო ის მზეზე აებრჭყვიალებინა.

ახლა კი ნეტავი თუ შევძლებ ოდესმე რამე ვაჩუქო?

„ეს მამაა, შენი მამა“ — ეუბნებოდა პატარას სადგურის ბაქანზე ლუსი, ის კი ლოკომოტივს უყურებდა. მოგვიანებით, სახლში, მუხლებზე დასმა რომ მოვუნდომე, გაიქცა...

ტრამვაით გასეირნებამაც ვერ მოხიბლა. ამის შემდეგაც ზოგჯერ უთხოვია ხოლმე რაღაც, მაგრამ ყოველგვარი ნდობისა და მეგობრობის გარეშე.

ვიცი, უნდა მომეთხოვა, უნდა მეთქვა, სიდედრისთვის სხვა ბინა ეშოვნა, მაგრამ წარმომიდგენია რა წამებულივით შეტრიალდებოდა

---

1. ფაშისტური ოკუპაციის დროს ქალალდის ფულზე მარშალი პეტენი იყო გამოსახული.

ლუსისაკენ: „ხედავ, ლუსი, მოწმე იყავი: სამი წელი ვინახავდი მის ოჯახს, ვუვლიდი მის ცოლსა და შვილს, ახლა დაბრუნდა და მაგდებს აქედან“. ჰოდა, ისინიც გაერთიანდებოდნენ ურჩხულის წინააღმდეგ და პატარა სამუდამოდ მათი მსხვერპლი შეიქმნებოდა. ამიტომ უნდა მოვითმინო, უნდა ვიეშმაკო, უკეთესის მოლოდინში კი ვოცნებობ: აი, ომი დასრულდა, მე მივემგზავრები ჟანეტთან ერთად, არ ვიცი სად; თუმცა როგორ არა, ვიცი, კარინთიის ხეობაში, როცა ხალხი იქ კვლავ გახდება პარაცელსის ქვების ღირსი.

ᲰᲔᲠᲛᲐᲜ ᲰᲔᲡᲔ

ᲜᲝᲕᲐᲚᲘᲡᲘ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘᲓᲐᲜ

ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲐ ᲔᲙᲐ ᲒᲝᲒᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ

არიან ამქვეყნად უწყინარი ბავშვები, რომელთა დიდრონ შთაგონებულ თვალებს ძნელად თუ გაუსწორებს კაცი მზერას. მათზე წინასწარმეტყველურად ამბობენ ხოლმე, დიდი დღე არ უწერიათო, და ვითარცა სათნო მსხემებს, მოწიწებითა და თანაგრძნობით შესცქერიან.

ასეთი ბავშვი იყო ნოვალისი. ხალხს მისი სახელი თუ გაუგია და მის ორ-სამ „საგალობელზე“ თუ სმენია რამე. განათლებულ წრეებშიც ცოტა ვინმემ იცის მის შესახებ... ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ მისი ნაწარმოებების წინამდებარე გამოცემა[1] პირველია ნახევარი საუკუნის მანძილზე. ღრმა ფესვები აქვს იმ სიმპათიასა და ხიბლს, ამ პოეტის გამოჩენამ რომ გამოიწვია. მისი „საგალობლები“ და მუსიკასავით ტკბილხმოვანი პოეტური სახელი კვლავაც ხმიანობს გერმანელი ხალხის გულში, თუმცა ამ ქვეყნიდან ადრე წასული პოეტის შემოქმედება არ გასცდენია ვიწრო ლიტერატურულ წრეებს და აღიარებული არ ყოფილა.

ნოვალისი ოცდარვა წლისა გარდაიცვალა და საფლავში თან ჩაიტანა ადრეული რომანტიზმის ახლადნაყარი ფესვები. მეგობრების ხსოვნას იგი შემორჩა ჭაბუკურად მომხიბლავი და მშვენიერი, პატივსაცემი, საყვარელი და უებრო, რომლის პოეზიასაც ისეთი იდუმალი ტრფო-

ბის ხიბლი დასჩენია, ძნელად რომ შევიგრძნობთ რომელიმე სხვა პოეტის ქმნილებებში. პირველი „რომანტიკული სკოლის“[2] დამაარსებელთა შორის, ნოვალისი ყველაზე გენიალური პოეტი იყო და რაოდენ სამწუხაროა, რომ ამ სკოლის მიღწევებს ჯერ კიდევ ხშირად უკავშირებენ მისსავე მოგვიანო „აყვავების ხანას“, მას რომ სახელი გაუტეხა. სინამდვილეში იშვიათად თუ ყოფილა გერმანიის ისტორიაში ადრეული რომანტიზმის ესოდენ საინტერესო და მიმზიდველი ეპოქა. თუ რა ბედი ეწია ამ ეპოქას, ამის გადმოცემა სულ ადვილად შეიძლება რამდენიმე სიტყვით: ეს გახლავთ ხანმოკლე ისტორია იმ ახალგაზრდა პოეტთა წრისა, რომლებიც შემოქმედებითი თვალსაზრისით თავიანთი დროების ძირითად სულისკვეთებას — ფილოსოფიას შეეწირნენ მსხვერპლად. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ამ სკოლის ტრაგიკული ბედი სწორედ ის არის, რომ მისი ყველაზე დიდი იმედი, პირველი რანგის ერთადერთი პოეტი სრულიად ჭაბუკი გარდაიცვალა და ეს ჭაბუკი ნოვალისი იყო.

გერმანიას ნამდვილად არასოდეს ჰყოლია ასეთი საინტერესო, მგზნებარე შემოქმედებითი ახალგაზრდა თაობა. ეს ის დროა, როდესაც ვილჰელმ შლეგელი თავისი „ლიტერატურული წრის“[3] ჩამოყალიბებას იწყებს. მისი გენიალური, მაგრამ მშფოთვარე სულის ძმა ფრიდრიჰი შეუპოვარ და მუყაით შლაიერმახერთან ერთად ბერლინში ცხოვრობს, ხოლო ფიცხი და დაუდგრომელი ტიკი ისე აჯადოებს გაუბედავ ვაკენროდერს, რომ მას პოეტად აქცევს. ეს ის დროა, როდესაც შლაიერმახერი თავის ეპოქალურ „გამოსვლებს“ აღტაცებული დაატარებს გულით, უფროსი შლეგელი კი საკუთარ უბადლო კრიტიკულ ნაშრომებს ხვეწს და აშალაშინებს, და ქედუხრელ კაროლინასთან[4] ერთად მუშაობს შექსპირის ნაწარმოებთა მისეულ დიდებულ თარგმანებზე. სწორედ ამ დროს წერს ფრიდრიჰ შლეგელი თავის გახმაურებულ რომანს „ლუცინდე“,[5] რომლის კითხვისას დღესდღეობით დიდ სიამოვნებას აღარ განვიცდით. ძმები შლეგელები სწორედ ამ დროს იქცევენ გოეთეს ყურადღებას, ნოვალისი უჩვეულოდ სწრაფი აღზევების შემდეგ, დიდების გვირგვინს ელტვის და მისკენ იწვდის ნატიფ ხელს, ხოლო ფიხტეს[6] გვერდით ახლებურად და მრავლისმეტყველად წარმოჩინდება ღრმად მოაზროვნე შელინგი,[7] გარდა დილთაისა[8] („შლაიერმახერის ცხოვრება“) და ჰაიმისა[9] („რომანტიკული სკოლა გერმანიაში“) ლიტერატურის ვერც ერთი კრიტიკოსი ვერ ჩაწვდა ამ ეპოქის სრულქმნილებასა და თავისებურ მიმზიდველობას, ათეული წლების მანძილზე ყოველგვარი კრიტიკის გარეშე „რომანტიკულის“ იარლიყს აკრავდნენ და ერთ ტაფაში მოაქცევდნენ ყველა ვაიმწერალს.

და მაინც სიტყვა „რომანტიკულის“ უდიერად მოხსენიება და დილთაისა და ჰაიმის მიერ იმ დროებაზე დაწერილი ზემოხსენებული შესანიშნავი ნაშრომების ნაკლოვანი ცოდნა არ ყოფილა ერთადერთი და თანაც ძალზე მნიშვნელოვანი მიზეზი იმისა, რომ ნოვალისის შემოქმედება თითქმის სრულიად მიივიწყეს. ნოვალისი ძნელად იკითხება, ბევრად უფრო ძნელად, ვიდრე ახალი დროების სხვა რომელიმე გერმანელი მწერალი. მისი შემოქმედებიდან ფრაგმენტებილა შემოგვრჩა, რომლებშიც მწერალი ეს-ესაა იწყებს გზის გაკვალვას ჭეშმარიტი პოეზიისაკენ. და მაინც მისი ნაწერების წაკითხვა, დიახაც რომ ულირთ კარგ მკითხველებს. ეს ნაწერები ბადებენ შემოქმედებითი ტვირთის-

გან საკუთარი მცდელობით თავდახსნის განცდას, თავდახსნისა, ასე ღრმად რომ გამჯდარიყო პოეტის სულში და აგრერიგად სჭირდებოდა მის დროებასა თუ მის სკოლას. და, აი, ადამიანს ეძალება მტკივნეული გრძნობა: ერთი ნაბიჯიც, სიცოცხლის კიდევ ათი წელი, და ახლა ერთი უკვდავი პოეტით მეტი გვეყოლებოდა. დღესდღეობით კი ისღა დაგვრჩენია, იმ ფრაგმენტებს დავჯერდეთ, რომელთა კითხვისას ტკივილნარევი სასოებით ისევ და ისევ წარმოვიდგენთ უდროოდ წასული ჭაბუკის მშვენიერ მომღიმარ სახეს. ძალზე სამწუხაროა, რომ არ შემოგვრჩა პოეტის არც ერთი დასრულებული ქმნილება, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რადგან ერთი მათგანიც კი ფასდაუდებელი იქნებოდა ჩვენთვის. უნდა ითქვას, რომ ტიკმა თავისი შემოქმედების ადრეულ პერიოდში რამდენიმე ერთობ ნატიფი და მომხიბლავი რომანტიკული ზღაპარი დაწერა, მაგრამ ნოვალისის ერთი სტრიქონიც კი უფრო მეტად გვხიბლავს უმაღლესი პოეზიის ჯადო-თილისმით, თუმცა ფრაგმენტულობის გამო ნაკლებად გვაკმაყოფილებს. მისი ქმნილებების ცალკეულ ნაწყვეტებსა თუ მის „საგალობლებში“ სინაზისა და სულიერების ენითაუწერელი სურნელი იგრძნობა. შემოგვრჩა მისი სიტყვები, რომლებიც გვეალერსებიან და გვათრთოლებენ. და გვხვდება ისეთებიც რომელთა გაგონებაზე გინდა სუნთქვა შეიკრა, რათა მთელი არსებით მიეცე ამ სპეტაკი, თითქმის ზეციური მშვენიერებით ტკბობას. ამასთანავე, ნოვალისის აზრებსა და ფიქრებში მომაჯადოებლად კდემამოსილი, ჭაბუკური ინდივიდუალობის თბილ სუნთქვას შევიგრძნობთ, რადგან, რაგინდ არაამქვეყნიურ მეოცნებედაც არ უნდა გვეჩვენებოდეს იგი, ნოვალისზე მაინც არ ითქმის, განდეგილი ან გულთამხილავი იყოო; თუმცა კი მის პიროვნებაში არის რაღაც თავად მისი ცხოვრებასავით და აღსასრულივით აუხსნელი, რომლის მხოლოდ მოკლე აღწერაღა შემოგვრჩა და რაც ესოდენ უჩვეულოდ გვიჩუყებს გულს. დასნეულებულ ნოვალისს სიცოცხლის უკანასკნელ დღეებშიც არ დაუკარგავს ხალისი და ინტერესი; სეირნობდა, მუსაიფობდა და მუშაობდა. ერთ დილას კი, როდესაც ფორტეპიანოს ხმებს ისმენდა, სკამზე ჩამოჯდა, თითქოს მთვლემარეს გაეღიმაო, და, აღესრულა. ძალაუნებურად გეფიქრება, მისმა ნატიფმა, საოცრად ღრმა და ცხოველმყოფელმა სულმა ჯერარნამღერი სიმღერების ქვეყანაში, თავისი ნოსტალგიის ლურჯ მთებში, ამ მუსიკის მსუბუქ ჰანგებთან რიტმშეწყობით ხომ არ გადაინაცვლაო? კაცთათვის ნიშნეული იდუმალებითაა მოცული ნოვალისის მშვიდი ღიმილი, მისი ნათელი, ხალისიანი მზერა, რომლის მიღმაც მძიმე სენი ღრღნიდა მის სულსა და სხეულს. ასეთად აღწერენ მას მეგობრები, ასეთი წარმოუდგება იგი ჩვენს შინაგან მზერას გადმოცემებისა და მისივე ნაწერების წყალობით — ტანკენარი, უჩვეულო ღირსებით აღსავსე, კეთილშობილი ჭაბუკი, ვისთვისაც უცხოა ყოველგვარი კადნიერება, მაგრამ ასევე უცხოა ყოველგვარი პათეტიკაც, ნოვალისზე ფიქრისას თვალწინ დამიდგება ხოლმე მისი სათნო სერიოზული სახე, ვხედავ, გულისამაჩუყებელი იდუმალი სინაზით შეპყრობილი როგორ უსმენს საკუთარი სიკვდილის მაუწყებელ მუსიკას. მერე, მერე კი ვხედავ იმ ღიმილს, რომლის წმინდა მადლიც მისი დაუმთავრებელი ლექსებისა და შეწყვეტილი სიცოცხლის ყველაზე იდუმალ ხიბლად წარმოჩინდება.

ნოვალისის ჩვენს ხელთ არსებული ქმნილებები აშკარად ორ სფეროს განეკუთვნება. ეს არის: ფილოსოფია და პოეზია. მაგრამ მაინც უსამართლობა მგონია, როცა თუნდაც „საისელ მოწაფეების“, ანდა „ჰიმნების“[10] მისტიკასა და ნატურფილოსოფიას ფილოსოფიად ნათლავენ. მათში პოეზია გაცილებით უფრო ჭარბობს, და პოეტის ზოგ-ზოგი აფორიზმი გვაფიქრებინებს, რომ მას სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში გაცნობიერებული უნდა ჰქონოდა, რა ახლოს იყო საკუთარ მიზანთან.

ნოვალისის პოეტურ ფრაგმენტებთან შედარებით თვით ცნობილი პოეტების მემკვიდრეობაც კი უსაშველოდ მშრალი და ხელოვნური გვეჩვენება. მასში იმდენად დიდებული პოეტური სული ცოცხლობდა, რომ ნოვალისის რუდუნება მხოლოდ და მხოლოდ მისი საოცარი სულიერებისათვის ჯებირის შემოვლებას და კალაპოტის მიცემას უფრო ჰგავს, ვიდრე მუშაკობას, თხზვას ან ქმნადობას. ნოვალისის შემოქმედებაში უამრავი ნატიფი ლიტერატურული წვრილმანის გვერდით კაცს სწორედაც რომ საგონებელში აგდებს მისი ლიტერატურული ქმნილებების სრულიად არალიტერატურული სრულქმნილება, სისპეტაკე და მიამიტობა. ალბათ სხვა არც ერთ გერმანელს არ ჰქონია მისებრ უსაზღვრო პოეტური სული და ეს ერთადერთი კაციც თავისი დროების მსახვრელ სულისკვეთებას შეეწირა მსხვერპლად, რადგან სწორედ ის წლები ითვლება საკუთრივ ჩვენი თანამედროვე ლიტერატურის დაბადების ხანად. ტიკს გამორჩეულად ერგო პირველი თანამედროვე მწერლის სახელი. გერმანიას წინა საუკუნეებში არასოდეს ჰყოლია მსგავსი დაუდგრომელი, გამრჯე და სხარტი გონების მქონე მოაზროვნეები. „ათენეუმისა“[11] და „ბერლინური სალონების“[12] დაარსებასთან ერთად ჩვენში ლიტერატურას უკვე აღიქვამენ როგორც „საგანს თავისთავად“, ხოლო მწერლობას — როგორც პროფესიას. ამ დროიდან მოყოლებული მრავლად გვყავს რომანისტები, ჟურნალისტები, მოლაყბენი, ფელეტონისტები და ნაირ-ნაირი ჯურის ლიტერატურული მოაზროვნეები თუ „ჭკუის კოლოფები“. თავად რომანტიზმის ნაზი ყლორტი კი პირველი შეეწირა მსხვერპლად ამგვარ ლიტერატურულ ხელოსნობას. 20-30-იანი წლების მოდასაყოლილმა რომანტიკოსებმა უდრტვინველად გამოუყვანეს წირვა ნოვალისის მიერ ჩაყრილ ნაზ ფესვებს; თუმცა ვაიმწერალთა ამ დასში, რა თქმა უნდა, გამონაკლისის სახით მაინც გვხვდებიან აიჰენდორფის მსგავსი სპეტაკი ბუნების ადამიანები.

დღესდღეობით არავინ აღარაფრად დაგიდევთ იმ დრომოჭმულ რომანტიზმს, შეწყდა რომანტიზმის, როგორც რეაქციული მიმდინარეობის, წინააღმდეგ ატეხილი გააფთრებული ბრძოლაც. მაგრამ თუ დავაკვირდებით, „ახალი ხელოვნებისადმი“ როგორი ნოსტალგიით არიან შეპყრობილი ჩვენი მოდერნისტები, ახალგაზრდული ლიტერატურულ წრეებში სწორედ იმ გუნება-განწყობასა და მიზანმისწრაფებებს დავინახავთ, ასე აშკარად რომ შეგვახსენებენ 1800-იანი წლების მშფოთვარე პოეტურ ახალგაზრდობას.

ახლა კი, როგორც იქნა, აღსრულდა და ხელთა გვაქვს ნოვალისის ნაწარმოებთა კრებული. და თუკი ჩვენი „ნეორომანტიკოსები“ არ დაიზარებენ, საკუთარი შესაძლებლობები და პოეტური სინდისი ამ მივიწყებული, სულმნათი პოეტის არშინით გაზომონ, ეს მხოლოდ სასიკე-

თოდ წაადგებათ. ნეტავ კი გვყავდეს ისეთი პოეტები, თვალს რომ გაუსწორებდნენ სულიერებით აღსავსე ამ დიდრონი ბავშვური თვალების მზერას! ნეტავ რაც შეიძლება მეტი მკითხველი შეეშვას მოდური კითხვის ტექნიკას და ფორმალურ მხარეებს და გამბედაობა ეყოს ნოვალისის შემოქმედების იდუმალ სიღრმეში ჩაიძიროს! ეს სიღრმე ხომ იმგვარ ნეტარსა და თან მტკივნეულ გრძნობებს აღძრავს, სიყმაწვილეში გაგონილი სიმღერის ჰანგი ან იმ ყვავილის სურნელი რომ განგვაცდევინებს, ბავშვობაში მშობლიურ ბაღში რომ შევფოფინებდით და რა ხანია უკვე მივივიწყეთ.

(1900)

შენიშვნები:

1. ჰ. ჰესეს მხედველობაში აქვს ნოვალისის ნაწარმოებთა კრიტიკული გამოცემა 1901 წელს.

2. საუბარია „იენის სკოლის“ რომანტიკოსებზე.

3. იგულისხმება „იენის ლიტერატურული წრე“, რომელშიც შედიოდნენ: ძმები შლეგელები, ნოვალისი, ლ. ტიკი, ვ. ვაკენროდერი, ფილოსოფოსები: ფრ. შლაიერმახერი და ფრ. შელინგი.

4. კაროლინა შლეგელი (1763—1809), მწერალი და მთარგმნელი, ა. შლეგელის (1767—1845) მეუღლე.

5. ფრ. შლეგელის რომანი „ლუცინდე“ (1799), რომლის პერსონაჟებშიც თანამედროვეები შეიცნობდნენ თავად ავტორს და პირველი ქმრისგან გამოქცეულ დოროთეა ფაიტს.

6-7. ფიხტე, იოჰან გოტლიბი (1762—1814), შელინგი, ფრიდრიჰ ვილჰელმი (1775—1854) — რომანტიკოსთა წრესთან დაახლოებული გერმანელი ფილოსოფოსები.

8-9. დილთაი, ვილჰელმი (1833—1911) — ფილოსოფოსი და კულტურის ისტორიკოსი. ჰაიმი, რუდოლფი (1721—1801) — ლიტერატურის ისტორიკოსი.

10. იგულისხმება ნოვალისის „ღამის ჰიმნები“.

11. ჟურნალი „ათენეუომი“ — 1798—1800 წლებში იენის რომანტიკოსების ბეჭდვითი ორგანო.

12. ბერლინში გადასვლის შემდეგ ფრ. შლეგელი უკავშირდება რაქელ ლევინისა და ჰენრიეტა ჰერცის ლიტერატურულ სალონებს.

ირვინგ შოუ

გოგოები ზაფხულის კაბებში

ინგლისურიდან

თარგმნა ეკა ჭიაღაშვილმა

სასტუმრო „ბრევურტიდან“ რომ წამოვიდნენ, მეხუთე ავენიუ მზის სხივებში ლივლივებდა. თებერვლის მიუხედავად მზე სითბოს აფრქვევდა და ირგვლივ ყოველივე — ავტობუსები, კარგად ჩაცმული წყვილები და სარკმლებჩახურული მშვიდი და წყნარი შენობები — კვირადღის განწყობას ქმნიდა.

მაიკლი ფრენსისის მკლავს ჩაფრენოდა და მზის შუქში გახვეულნი ვაშინგტონის მოედნისაკენ მომღიმარნი მსუბუქად მიაბიჯებდნენ, რადგან, ჯერ ერთი, გვიანობამდე ეძინათ, მერე ფრიად გემრიელად ისაუზმეს, თანაც კვირადღე იდგა. მაიკლმა ღილები შეიხსნა და სუსტმა ქარმა პალტოს კალთები ჰაერში აუტყლაშუნა.

— ფრთხილად, — გადაულაპარაკა ფრენსისმა, როცა მერვე ქუჩა გადაკვეთეს. — კისერი არ მოგტყდეს.

მაიკლს გაეცინა, ფრენსისსაც.

— არც ისე ლამაზია, — უთხრა ქალმა. — ყოველ შემთხვევაში იმდენად მაინც, მის გამო კისერი მოიტეხოს კაცმა.

მაიკლმა ისევ გაიცინა.

— რა იცოდი, რომ ვუყურებდი?

ფრენსისმა გვერდზე გადახარა თავი და ქუდის ფარფლებიდან ქმარს შეჰლიმა. — მაიკ, ძვირფასო!!.

— კარგი, კარგი, — უთხრა მაიკლმა, — მაპატიე.

ფრენსისი მსუბუქად შეეხო მკლავზე და ვაშინგტონის მოედნისაკენ ნაბიჯი ააჩქარებინა.

— მოდი, დღეს ნურავის მოვინახულებთ, — უთხრა. — უბრალოდ ავდგეთ და ასე ვიხეტიალოთ. მე და შენ ხომ სულ მუდამ გათქვეფილნი ვართ ხალხში, მათ ვისკის ვსვამთ ან ისინი — ჩვენსას. მხოლოდ ლოგინში თუ ვხვდებით ერთმანეთს. მე კი მინდა მთელი დღე ჩემს ქმართან ერთად ვიარო, მხოლოდ მე რომ მისმინოს, მე მელაპარაკოს.

— მერედა ხელს ვინ გვიშლის? — შეეკითხა მაიკლი.

— სტივენსონებმა თქვეს, პირველი საათისთვის შემოგვიარეთ და ქალაქგარეთ გავიდეთო მანქანით.

— კარგი ეშმაკები არიან, — თქვა მაიკლმა. — ვიცი, ვიცი, ერთ დასტვენაზე ქალაქგარეთ უჩვენოდაც გასწევენ.

— ეს რა, პაემანს მინიშნავ?

— ჰო, გინიშნავ.

ფრენსისი გადაიხარა და ყურის წვერზე აკოცა მაიკლს.

— ძვირფასო, — უთხრა ქმარმა, — ეს მეხუთე ავენიუა.

— მოიცა, მოიცა, პროგრამა შევადგინო, — თქვა ფრენსისმა. — აბა, წარმოიდგინე, როგორი იქნება კარგად დაგეგმილი კვირადღე ნიუ-

ორკში ახალგაზრდა წყვილისთვის, ფულის უხვად ხარჯვა რომ მონდომებიათ.

— მოდი მეტროპოლიტენის მუზეუმში შევიაროთ, — შესთავაზა ფრენსისმა, რადგან კვირის განმავლობაში მაიკლმა რამდენჯერმე გამოთქვა ამისი სურვილი. — სამი წელია იქ არ ვყოფილვარ და ათი სურათი მაინც მეგულება, რომელთა ხელახლა ნახვასაც ვისურვებდი. მერე შეგვიძლია ავტობუსით „რადიო სიტისკენ“ გავუხვიოთ და მოციგურავეებს ვადევნოთ თვალი. მოგვიანებით „კავანაში“ წავიდეთ, სადაც მჭედლის წინსაფრისოდენა ბიფშტექსითა და ღვინოთი გაგვიმასპინძლდებიან. ამის მერე კი „ფილმარტეში“, ისეთი ფრანგული სურათი გადის თურმე! ყველა ამაზე ლაპარაკობს.

— რა თქმა უნდა, — უთხრა მაიკლმა და ჩავლილ უქუდო გოგოს თვალი მოაშორა, შავი თმა მოცეკვავის დარად რომ ისე აეჭრა, თავი მუზარადს უგავდა.

— აი დღევანდელი პროგრამაც! — გადაჭრით თქვა ფრენსისმა. — ან იქნებ სულაც მეხუთე ავენიუზე ხეტიალი გერჩივნოს?

— არა, — უთხრა მაიკლმა. — სულაც არა.

— შენ ყოველთვის სხვა ქალებს უყურებ ყველგან, სადაც არ უნდა წავიდეთ, — თქვა ფრენსისმა.

— არა, ძვირფასო, — უპასუხა მაიკლმა. — მე ყველაფერს ერთნაირად ვუმზერ — ღმერთმა თვალები ამისთვის მომცა — სულ ერთია, ქალები იქნებიან მიწისქვეშა გადასასვლელებში თუ კაცები, კინოფილმები თუ მინდვრის პაწაწა ყვავილები. ასე ვაკვირდები და ვსწავლობ სამყაროს ჩემდა უნებლიეთ.

— ერთი ეგ შენი მზერა დაგანახა მეხუთე ავენიუს უნებლიე შესწავლისას, — უთხრა ფრენსისმა.

— მე ის კაცი ვარ, ბედნიერი რომაა თავისი ქორწინებით.

მაიკლმა ნაზად მოუჭირა იდაყვზე ხელი. — ჩვენი, მისტერ და მიხის მაიკლ ლუმისების მაგალითი მთელმა მეოცე საუკუნემ შეიძლება გადაიღოს. მოდი ახლა და დავლიოთ რამე, — თქვა და შეჩერდა.

— ახლახანს არ ვისაუზმეთ?

— მომისმინე, ძვირფასო, — უთხრა მაიკლმა და შეეცადა ფრთხილად შეერჩია სიტყვები. — მშვენიერი დღეა, ორივენი კარგად ვგრძნობთ თავს და მიზეზი არაა, ეს ყოველივე არ გამოვიყენოთ. მოდი რა, კარგი კვირადღე მოვიწყოთ.

— კარგი. თუმცა არც კი ვიცი, რატომ წამოვიწყე ეს. მოდი, მოვეშვათ ყველაფერს და მართლა კარგად მოვილხინოთ.

მერე ერთმანეთს ჩაჰკიდეს ხელი და ასე უხმოდ გაუყვნენ გზას ვაშინგტონის პარკში საბავშვო ეტლებს, საკვირაოდ, მორთულ მოხუც იტალიელებსა და კუბოკრულ ქვედაწელებიან ქალებს შორის.

— მეტროპოლიტენის მუზეუმს წელიწადში ერთხელ მაინც უნდა ეწვიოს კაცი, — თქვა ფრენსისმა ცოტა ხნის შემდეგ და შეეცადა ისეთივე კილოთი ეთქვა, როგორც საუზმობისას თუ სეირნობის დასაწყისში.

— ეს კი კვირადღეს სჯობია, სურათებს უამრავი ადამიანი ათვა-

ლიერებს და ისეთი გრძნობა გიჩნდება, რომ ყველაფრის მიუხედავად ნიუ-იორკში ხელოვნება არ დაკნინებულა.

— რაღაც მინდა გითხრა, — უთხრა მაიკლმა ძალზე სერიოზულად. — მთელი ამ ხუთი წლის მანძილზე სხვა ქალს არც ერთხელ არ გავკარებივარ.

— ძალიან კარგი, — თქვა ფრენსისმა.

— ხომ გჯერა?

— როგორ არა.

ისინი ხალხით გადაჭედილ სკამებს შორის მიდიოდნენ ქალაქის პარკის დაბალი ხეების ქვეშ.

— ვცდილობ არ შევიმჩნიო, — თქვა ფრენსისმა. — მაგრამ შიგნით რაღაცა ჩამწყდება ხოლმე, როცა ვინმე ქალს ჩავუვლით და შენ სწორედ ისე შეხედავ, როგორც მე სულ პირველად ელის მაქსუელის სახლში. შენ სასტუმრო ოთახში რადიოს გვერდით იდექი იმდენ ხალხთან ერთად და მწვანე ქუდი გეხურა.

— მახსოვს ის ქუდი, — თქვა მაიკლმა.

— და სხვებსაც ისევე უცქერი, — უთხრა ფრენსისმა. — ამის გამო მართლა საშინლად ვგრძნობ ხოლმე თავს.

— სუ, კმარა, ძვირფასო! გთხოვ.

— მგონი ახლა კი დავლევდი რამეს, — თქვა ფრენსისმა.

მერვე ქუჩაზე ბარისკენ წავიდნენ უსიტყვოდ. მაიკლი ანგარიშმიუცემლად ხელს აშველებდა ბორდიურებზე გადასვლისას და მანქანებს არიდებდა ცოლს. ბარში ფანჯარასთან დასხდნენ, საიდანაც მზის სხივები იღვრებოდა, ხოლო ბუხარში პაწაწა მხიარულ ცეცხლს ტკაცატკუცი გაჰქონდა. მათ ტანმორჩილი იაპონელი ოფიციანტი მიუახლოვდა, მაგიდაზე მარილიანი ჩხირები დააწყო და გადაბადრულმა შეჰღიმა.

— საუზმის შემდეგ რას შეუკვეთავ? — ჰკითხა მაიკლმა.

— ალბათ ბრენდის, — უპასუხა ფრენსისმა.

— კურვუაზიე, თუ შეიძლება, — უთხრა მაიკლმა ოფიციანტს. — ორი კურვუაზიე.

ოფიციანტი ჭიქებით დაბრუნდა. ისინი ისხდნენ და მზის სხივებში გახვეულნი წრუპავდნენ ბრენდის. მაიკლმა ჭიქა ნახევრამდე დაცალა და ცოტა წყალი დააყოლა.

— ჰო, ვუყურებ ქალებს, — თქვა მან. — თუმცა ვერ ვიტყვი, კარგია ეს თუ ცუდი. ჰო, ჰო, ვუყურებ ხოლმე. სხვაგვარად არ შემიძლია. ქუჩაში ჩამეარა და არ შემეხედა, ამით ხომ შენც მოგატყუებდი და საკუთარ თავსაც.

— შენ ნდომით უყურებ ხოლმე, — უთხრა ფრენსისმა. ხელში ბრენდის ჭიქას ატრიალებდა. — ყველას განურჩევლად ასე უყურებ.

— გარკვეულწილად, — ჩაილაპარაკა მაიკლმა ჩუმად, თავისთვის. — ჰო, კი, გარკვეულწილად. რას იზამ, ეს ასეა.

— ვიცი. ამიტომაც ვგრძნობ ხოლმე თავს ცუდად.

— კიდევ ერთი ბრენდი, — დაუძახა მაიკლმა ოფიციანტს. — არა, ორი ბრენდი მოგვიტანეთ.

მერე ამოიხვნეშა, თვალები დახუჭა და თითისწვერებით ფრთხილად მოისრისა.

— მიყვარს მათი იერი, მიხრა-მოხრა. ქალთა ლაშქარი

ერთ-ერთი ყველაზე დიდი ხიბლი იყო ჩემთვის ნიუ-იორკში. როცა ოჰაიოდან აქ ჩამოვედი, პირველად ეს მილიონი მშვენიერი ქალი შევამჩნიე. დავდიოდი და გული ამოვარდნაზე მქონდა.

— პატარა ბიჭი, — თქვა ფრენსისმა. — ეს ბავშვური გრძნობაა.

— უნდა გამიგო, კიდევ ერთხელ გამიგო. თითქმის შუა ხნისა ვხდები, ცოტა ქონიც დამედო და მაინც ისევე მიყვარს დღის სამ საათზე მეხუთე ავენიუზე გასეირნება. დავდივარ ქუჩის აღმოსავლეთით, ორმოცდამეათე და ორმოცდამეჩვიდმეტე ქუჩებს შორის. ამ დროს ყველანი გარეთ არიან გამოფენილნი საყიდლებზე, ბეწვის ქურქებში გახვეულნი, უცნაური, გიჟური ქუდებით, მთელი სამყარო თითქოსდა შვიდ ნაწილად გაყოფილაო და მერე აქ მოუყრია თავი — საუკეთესო ქურქები, საუკეთესო ტანსაცმელი, ულამაზესი ქალები, ფულის სახარჯავად გამოსულნი, რაიც ასე დიდ სიამოვნებას ჰგვრით ხოლმე.

იაპონელმა ოფიციანტმა მაგიდაზე დააწყო ჭიქები და ღიმილმა კვლავ გადაუბადრა სახე.

— ყველაფერი რიგზეა? — იკითხა.

— მშვენივრადაა ყველაფერი, — უპასუხა მაიკლმა.

— თუ მხოლოდ ბეწვის ქურქებია, — უთხრა ფრენსისმა. — და ორმოცდახუთდოლარიანი ქუდები...

— არა, საქმე ეს როდია, გამიგე, ეს დეკორაციაა მხოლოდ იმ გარკვეული ტიპის ქალთათვის, — უთხრა მაიკლმა. — ისე კი აუცილებელი არაა ამ ყოველივეს უსმინო.

— მე მინდა ვუსმინო.

— მე ოფისელი გოგოებიც მიყვარს, დახვეწილნი, სათვალეებში, მოხდენილნი, ცოცხალნი და ცქვიტნი, ყველაფერში კარგად რომ ერკვევიან. მიყვარს სადილობის დროს ორმოცდამეოთხე ქუჩაზე გამვლელი მსახიობი ქალებიც, დიდებულად გამოწყობილნი, მიყვარს უნივერმაღის გამყიდველი გოგოებიც, პირველ რიგში მამაკაცს რომ მოგხედავენ და მანდილოსნებს ალოდინებენ. ეს ყოველივე დაგროვდა ჩემში, ათი წელი გამიტარებია ამაზე ფიქრში. ახლა ეს ყველაფერი გამახსენე და მეც გითხარი.

— განაგრძე, — უთხრა ფრენსისმა.

— ნიუ-იორკზე ფიქრისას ამ ქალაქში გამოსული ყველა გოგო შაგონდება. არ ვიცი, მე მემართება მხოლოდ ასე, თუ ყველა კაცი იგივე გრძნობით დადის ამ ქალაქში, მაგრამ ასე მგონია, პიკნიკზე ვარ-მეთქი. მიყვარს თეატრებში ქალთა სიახლოვეს ჯდომა, ლამაზმანთა გვერდით, ექვსი საათი რომ ემზადებოდნენ ასეთი შედეგისათვის. მიყვარს ახალგაზრდა გოგოების სიახლოვეს ყოფნა ფეხბურთის მატჩებზე, ღაწვები რომ შესწითლებიათ; თბილ ამინდებში კი ზაფხულის კაბებში გამოფენილი გოგოებიც მიყვარს. — მაიკლმა ბოლომდე შესვა სასმელი. — ეს არის და ეს.

ფრენსისმაც დასცალა თავისი ჭიქა და მერე რამდენჯერმე ნერწყვი გადაყლაპა.

— ამბობ, რომ გიყვარვარ, არა?

— მიყვარხარ.

— ისე, სილამაზე არც მე მაკლია, — უთხრა ფრენსისმა. — მეც ისეთივე ლამაზი ვარ, როგორც ნებისმიერი მათგანი.

— შენ მშვენიერი ხარ, — თქვა მაიკლმა.

— მე კარგი ცოლი ვარ, — უთხრა ფრენსისმა ვედრებით. — კარგი დიასახლისი, კარგი მეგობარი. ცხრა მთას გადავივლიდი შენთვის.

— ვიცი, — უთხრა მაიკლმა და ფრენსისს თითებზე ხელი მოუჭირა.

— და მაინც თავისუფალი გინდა იყო, რათა..., — თქვა ფრენსისმა.

— სუს!

— სიმართლე მითხარი, — ქალმა ხელი გაინთავისუფლა.

მაიკლმა წკიპურტი ჰკრა ჭიქის კიდეს.

— კარგი, გეტყვი, — უთხრა მშვიდად. — ზოგჯერ ასე მგონია, რომ თავისუფალი მინდა ვიყო.

— კი ბატონო, — უპასუხა ფრენსისმა. — როცა კი იტყვი.

— ნუ სულელობ, — მაიკლმა სკამი მისკენ მიაჩოჩა და თეძოზე ჩამოუსვა ხელი.

ფრენსისი უხმოდ აქვითინდა და ცხვირსახოცში ჩამალა სახე, ოღონდ ისე, ბარში არავის შეემჩნია. — როდესმე, — უთხრა ტირილით, — გადადგამ კიდეც ამ ნაბიჯს.

მაიკლმა არ უპასუხა. იჯდა და ბარმენს უყურებდა, ნელა რომ თლიდა ლიმონს.

— ასე არაა?—ჰკითხა ფრენსისმა მკვახედ.—მიდი, თქვი, რომ ასეა.

— შესაძლოა, — თქვა მაიკლმა და სკამი ისევ უკან დასწია. — თუმცა საიდან უნდა ვიცოდე?

— იცი, — დაიჟინა ფრენსისმა. — რა, არა?

— ჰო, — თქვა მაიკლმა ცოტა ხნის შემდეგ. — ვიცი.

ფრენსისმა ტირილი შეწყვიტა, ცხვირსახოცში ორჯერ-სამჯერ ჩაისრუტუნა, მერე გვერდზე გადადო და სახე უტყვი, არაფრისმთქმელი გაუხდა.

— ერთი რამ მაინც გააკეთე ჩემთვის, — უთხრა მერე.

— ბატონი ბრძანდები.

— ნულარ მეტყვი, ის ლამაზია და ეს ლამაზიაო. აღარ მინდა არც ლამაზი თვალები, არც ლამაზი მკერდი, არც ლამაზი სხეული, არც კარგი ხმა. — და მაიკლს გამოაჯავრა. — შენთვის შეინახე, არ მაინტერესებს.

მაიკლმა ოფიციანტი იხმო.

— ჩემთვის შევინახავ, — ჩაილაპარაკა მერე.

ფრენსისმა თვალის კუთხეებზე მიიჭირა თითები.

— კიდევ ერთი ბრენდი, — უთხრა ოფიციანტს.

— ორი, — დაამატა მაიკლმა.

— დიახ, მისის, დიახ, სერ, — თქვა ოფიციანტმა და უკან დაიხია. ფრენსისი ცივ მზერას არ აცილებდა მაიკლს მაგიდის მეორე მხრიდან.

— გინდა სტივენსონებს დავურეკო? — ჰკითხა ბოლოს. — კარგი იქნება ახლა ქალაქგარეთ.

— რა თქმა უნდა, — უთხრა მაიკლმა. — დაურეკე.

ფრენსისი წამოდგა, ოთახი გადაჭრა და ტელეფონთან მივიდა. მაიკლმა თვალი გააყოლა. მაინც რა მშვენიერი გოგოაო, რა ლამაზი ფეხები აქვსო, გაიფიქრა.

მარია ფონ ებნერ-ეშენბახი

კრამბამბული

გერმანულიდან

თარგმნა ნონა ფუხაშვილმა

სიყვარულის ნიჭი ყოველ ადამიანს გააჩნია, მაგრამ ჭეშმარიტ წარუშლელ სიყვარულს იგი მხოლოდ ერთხელ განიცდის. ასე ფიქრობდა მონადირე ბატონი ჰოპი. მას არაერთი შესანიშნავი ძაღლი ჰყოლია, ოღონდ ყველაზე ძვირფასი და დაუვიწყარი მისთვის მხოლოდ კრამბამბული იყო. ეს ძაღლი ჰოპმა უსაქმური ტყის მცველისგან იყიდა ქ. ვიშაუს ერთ-ერთ სასადილოში, „ლომი" რომ ერქვა. იყიდა კი არა, უფრო სწორედ, გაცვალა. მონადირეს ძაღლი პირველი შეხედვისთანავე მოეწონა და ეს მოწონება ალბათ სიცოცხლის ბოლო წუთამდე გაუგრძელდებოდა. ლამაზი ცხოველის პატრონს მათხოვრის იერი ჰქონდა, იგი მაგიდასთან იჯდა არყის ცარიელი ჭიქების წინ და სასადილოს მეპატრონეს ლანძღავდა, დასალევს მუქთად რომ აღარ აძლევდა. იქვე იდგა ხესავით ხმელ-ხმელი ჯერ კიდევ ნორჩი ყმაწვილი ქერა თმითა და მეჩხერი ქერა წვერით. ბიჭს მონადირის სამოსი ეცვა, ალბათ უკანასკნელი სამსახურის დროს შეძენილი წარსული დიდების ნაშთი, ქუჩის ნესტიან ნანგრევებში გატარებული ღამეების კვალი რომ ეტყობოდა. უსიამო საზოგადოებაში მოხვედრილი ჰოპი ამ ყმაწვილის გვერდით დაჯდა და გაესაუბრა. გამოირკვა, რომ ძაღლის უსაქმურმა პატრონმა მოკლელულიანი თოფი და სანადირო ჩანთა სასადილოს მეპატრონეს გირაოდ გადასცა და ახლა ძაღლის მიცემაც უნდოდა. ამ ბინძურ მეპატრონეს, ხალხის მტარვალს კი გაგონება არ უნდოდა ისეთ გირაოზე, ჭამა რომ სჭირდებოდა.

ბატონ ჰოპს კრინტიც არ დაუძრავს იმაზე, რომ ძაღლი მოეწონა. მან მოატანინა დანციგის ერთი ბოთლი ალუბლის მაგარი არაყი და უქნარას დაუსხა. ერთ საათში მართლაც ყველაფერი მოგვარდა. მონადირემ თორმეტი ბოთლიც დაუმატა იგივე სასმელისა და ვაჭრობაც დასრულდა. მაწანწალამ ძაღლი ჰოპს გადასცა. საოცარია, რომ ეს წუთები ძველი პატრონისათვის მეტად მტკივნეული აღმოჩნდა. ძაღლს ყელზე თოკს რომ აბამდა, ხელები ისე უცახცახებდა, გეგონებოდა, ამ საქმეს ვერასოდეს დაასრულებსო. ჰოპი მოთმინებით ელოდა. გაოცებული იყო, ამ არაჩვეულებრივი ძაღლისათვის ცუდ მოვლას პეწი რომ ვერ წაერთმია. ორი წლისა თუ იქნებოდა, ფერით თავის მათხოვარ პატრონს ჰგავდა, თუმცა ოდნავ უფრო მუქი იყო. შუბლზე თეთრი ხაზი გასდევდა მარჯვნივ და მარცხნივ ნაძვის წიწვებივით წვრილ ზოლებად. ცვარივით ნათელ და კრიალა ყვითელ ჭრილში დიდრონი შავი თვალები

უელვარებდა, ხოლო გრძელი უზადო ყურები წაეცქვიტა. ძაღლს ყველაფერი უზადო ჰქონდა თათებიდან დრუნჩამდე. ეს ძლიერი მოქნილი არსება ყოველ შექებაზე ორ ფეხზე დგებოდა. მისი ოთხი ცოცხალი სვეტი, ირმის სხეულსაც რომ დამშვენდებოდა, კურდღლის კლანჭების სიმსხო იყო. ოჰ, წმინდაო ჰუბერტ! ამ არსებას ისეთი ძველი და წმინდა სისხლის წინაპრები უნდა ჰყოლოდა, როგორც გერმანული ორდენის რაინდს.

მონადირე გახარებული იყო ამ ხელსაყრელი გარიგებით. იგი წამოდგა, ხელი ჩაავლო უქნარას მიერ განასკვულ თოკს და ჰკითხა: „რა ჰქვია ძაღლს?“ „კრამბამბული“, — მიუგო მან. „ძალიან კარგი. აბა, კრამბამბულ, წინ გასწი!“ მაგრამ რამდენიც არ უნდა ეყვირა და ესტვინა მონადირეს, ძაღლი არ ემორჩილებოდა, ისევ ძველ პატრონს შეჰყურებდა და ყმუოდა. პატრონი რომ უბრძანებდა „მარშ“ და თან ფეხს დააბაკუნებდა, ძაღლი მიუცუცქდებოდა და ლოკვას უწყებდა. დიდი ბრძოლის შემდეგ, როგორც იქნა, დაიმორჩილა ძაღლი ბატონმა ჰოპმა, გაკოჭილი ტომარაში ჩასვა და მხარზე მოკიდებული მიიყვანა სავალი გზიდან კარგა მანძილით მოშორებულ თავის სახლში.

მთელი ორი თვე დასჭირდა, ვიდრე გაქცევის მცდელობის გამო გაშოლტილი და ეკლიანი საბმელით დაბმული კრამბამბული არ მიხვდა, ამიერიდან ვის ეკუთვნოდა. მაგრამ რომ მოათვინიერეს, იცით, როგორი ძაღლი დადგა? ენა ვერ აწერს, სიტყვით ვერ იტყვი, ისეთი სრულყოფილი, ისეთი გულმოდგინე მსახური, ერთგული მეგობარი და დამცველი. „ესაა, ლაპარაკი არ შეუძლია“, — ამბობენ ხოლმე გაწვრთნილ ძაღლებზე. კრამბამბულს კი ესეც არ აკლდა. მონადირე დიდხნობით ესაუბრებოდა ხოლმე მას. ცოლი ხანდახან საყვედურობდა კიდეც და ეჭვიანობდა „ბულიზე“, როგორც დამცირებით შეარქვა მან ძაღლს. იგი მთელი დღეობით შინ იჯდა, ალაგებდა, რეცხავდა, სადილს აკეთებდა ან უხმოდ ქსოვდა. საღამოს კი ვახშმის შემდეგ ქსოვას რომ დაიწყებდა, სიამოვნებითაც ილაყბებდა ქმართან, მაგრამ...

— ბულის ყოველთვის უყვები ხოლმე, ჰოპ, რაღაცას, მე—არა. ცხოველთან ხმამაღალი ლაპარაკით ადამიანებთან საუბარს გადაეჩვევი.

მონადირემ იცოდა, რომ ცოლის სიტყვებში ნამდვილად ერია სიმართლის რაღაც მარცვალი, მაგრამ ვერა გაეწყო რა. ან რაზე უნდა ესაუბრა თავის ბებერ ცოლთან. ბავშვები არასოდეს ჰყოლიათ, ძროხის მოვლა არ შეეძლოთ, მოშინაურებული ფრინველი კი არც ცოცხალი აინტერესებდა მონადირეს და არც შემწვარი. ქალს კი სულაც არ უნდოდა მიწის სამუშაოებისა და ნადირობის ამბების მოსმენა. როგორც იქნა, ჰოპმა ამ გაჭირვებიდან გამოსავალი იპოვა. კრამბამბულთან საუბრის ნაცვლად ჰყვებოდა ხოლმე მის წარმატებებზე, ადამიანთა შურზე, ასეთი ძაღლი რომ ჰყავდა და იმ სასაცილო თანხაზე, ძაღლში რომ გადაიხადა.

გავიდა ორი წელი. ერთ მშვენიერ დღეს მონადირეს სახლში გრაფის მეულლე ეწვია. მომხიბვლელმა ქალბატონმა საუბარი რომ დაიწყო, ჰოპი მაშინვე მიხვდა მისი სტუმრობის მიზეზს. „ხვალ, ძვირფასო ჰოპ, გრაფის დაბადების დღეა...“ „და თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, — მშვიდად, ღიმილით გააგრძელა მონადირემ, — მას საჩუქარი გსურთ მიუძღვნათ. თან დარწმუნებულიც ხართ, რომ კრამბამბულზე მეტად

ისე ვერაფრით მიანიჭებთ დიდ სიხარულსა და ბედნიერებას“. — „დიახ, ასეა, ძვირფასო ჰოპ“... ამ თავაზიანი სიტყვების შემდეგ გრაფის მეუღლეს კმაყოფილებისაგან სიწითლემ გადაჰკრა, უმალ მადლობა გადაუხადა ჰოპს დ თხოვა ძაღლის ფასი დაესახელებინა. მონადირის არსებაში ბებერმა მელამ გაიღვიძა და მორჩილად, თან ეშმაკურად შეეცადა აეხსნა: „თქვენო კეთილშობილებავ! ძაღლს თუ სასახლეში დააბამთ, შეეცდება თოკი დაღრღნას ან ჯაჭვი გაწყვიტოს. თუ ამას ვერ მოახერხებს, გაიგუდება. მაშინ ის თქვენთვისაც დაიკარგება და ჩემთვისაც“.

ძაღლი მაინც წაიყვანეს, მაგრამ საქმე გაგუდვამდე არ მისულა. გრაფს ამ ძნელად მოსათვინიერებელმა ჯიუტმა ცხოველმა ყოველგვარი სიხარული გაუქარწყლა. ამაოდ სცადეს ჯერ სიყვარულით მისი გულის მოგება, შემდეგ კი სიმკაცრით დამორჩილება. მაგრამ ის ყველას კბენდა, ვინც მიეკარებოდა, საჭმელს პირს არ აკარებდა, ისედაც ძალაგამოლეული მთლად ჩამოხმა. რამდენიმე კვირის შემდეგ ჰოპს შეატყობინეს, რომ მისი ძაღლი წაეყვანა. მათი შეხვედრა უსაზღვრო სიხარულით იყო აღსავსე. გალიაში გამოკეტილმა კრამბამბულმა პატრონის დანახვაზე ყმუილი მორთო, შეაცტა, წინა თათები მკერდზე მიაბჯინა და მოხუცს ლოყებზე ჩამოგორებული სიხარულის ცრემლები აულოკა.

ამ ბედნიერ საღამოს მათ სასადილოში შეიარეს. მონადირემ დოქტორთან და მოხელესთან ტაროკის* თამაში დაიწყო. კრამბამბული თავისი პატრონის უკან კუთხეში იწვა. დროდადრო მონადირე გადახედავდა ხოლმე თითქოს ღრმად ჩაძინებულ ძაღლს. მაგრამ პატრონის მზერას იგრძნობდა თუ არა, იგი იატაკზე კუდის ქიცინს დაიწყებდა, თითქოს სურდა ეთქვა, მეც აქა ვარო. ხოლო თავის ფიქრებში ჩაძირული ჰოპი სიმღერას რომ წამოიწყებდა: „ნეტავ რას აკეთებს ახლა ჩემი კრა-.მბამბული?“ ღირსებით სავსე ძაღლი წამოხტებოდა და მისი ნათელი თვალები მზერით მიუგებდნენ: „ის კარგად არის!“

იმ დროს მთელ იმ არემარეში, ასევე გრაფის კუთვნილ ტყეებში სისასტიკითა და უხეშობით გამორჩეული ბრაკონიერები დათარეშობდნენ. ბანდის მეთაური ერთი დაუდეგარი კაცი იყო, რომელსაც ხის მჭრელები „ყვითელს“ უწოდებდნენ. ისინი მას ერთ რომელიმე მიგდებულ ბინძურ სასადილოში არყის დასალევად შესულს ხედავდნენ ხოლმე. ტყის მცველებიც „ყვითელს“ ეძახდნენ. მაგრამ როგორც კი მის კვალს მიაგნებდნენ, იგი უმალ უჩინარდებოდა და ვერა და ვერ იჭერდნენ. ასევე „ყვითელს“ უწოდებდნენ მას ის შიკრიკები, ვისაც ბანდის მეთაური სოფლებში აგროვებდა შეუბრალებელი ადამიანებისაგან.

ამ სასტიკმა „ყვითელმა“ პატიოსან მონადირეებს საფიქრალი გაუჩინა. იგი საკმაოდ დახელოვნებული იყო თავის საქმეში. თორემ, აბა, ისე როგორ შეძლებდა ასე თავდაჯერებით გარეული ცხოველის კვალის მიგნებასა ან მისთვის დაგებული ხაფანგისათვის თავის მოხერხებულად არიდებას.

ტყის მცველები მღელვარებამ მოიცვა, ვინაიდან ცხოველებისა და ტყის ზიანი დიდზე დიდი იყო. ხშირად ისეც ხდებოდა, რომ ტყეში უმ-

---

*** ტაროკი — კარტის თამაშის სახეობა, რომელსაც თამაშობს სამი მოთამაშე 78 კარტით. გავრცელებული იყო 18 საუკუნეში, გერმანიაში.**

ნიშვნელო დანაშაულზე წასწრებულ უბრალო ადამიანებს სასტიკად უსწორდებოდნენ. ირგვლივ უბედურება მძვინვარებდა. უფროსმა მეტყევემ, რომლის წინააღმდეგ სიძულვილმა იფეთქა, მრავალი კეთილი რჩევა-გაფრთხილება მიიღო. ამბობდნენ, თითქოს ყაჩაღებს ფიცი დაედოთ, რომ პირველი შემთხვევისთანავე სხვების სამაგალითოდ მასზე ეძიათ შური. წინდაუხედავმა მამაცმა მეტყევემ ამ მითქმამოთქმას ყური არ ათხოვა. იმაზე უფრო ზრუნავდა, რომ ყველასათვის ცნობილი გამხდარიყო ქვეშევრდომთა მიმართ მისი სიმკაცრე, ხოლო მოსალოდნელი ცუდი შედეგებისათვის პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებდა. უფროსი მეტყევე ხშირად მოაგონებდა ხოლმე ჰოპს თავის მოვალეობას და საყვედურობდა გაუბედაობის გამო, რაზეც მოხუცი, ცხადია, მხოლოდ იღიმებოდა. ამ დროს კრამბამბული ზემოდან ქვემოთ იყურებოდა და ხმამაღლა, დინჯად ამთქნარებდა. ძაღლსა და მის პატრონს არაფერი სწყინდათ უფროსი მეტყევისაგან. იგი ხომ იმ დაუვიწყარი ადამიანის ვაჟი იყო, ვინც ჰოპს კეთილშობილური სანადირო საქმეები შეასწავლა. ჰოპმა კი ახლანდელი უფროსი მეტყევე ბავშვობაში შეგირდად აიყვანა და სანადირო საქმეებს აზიარა. ოდესღაც ბიჭის მიერ მიყენებულ ტანჯვა-წვალებას მონადირე დღეს მხიარულად იგონებდა და ამაყობდა ყოფილი შეგირდით, უხეში მოპყრობის მიუხედავად მაინც ძალიან რომ უყვარდა.

ივნისის ერთ მშვენიერ დილას ისინი შემოწმებისას შეხვდნენ ერთმანეთს. ეს მოხდა ცაცხვების ხეივანში „გრაფის ტყეს“ რომ ესაზღვრებოდა და იმ ნაკვეთებთან ახლოს, უფროსი მეტყევე სიამოვნებით რომ მოაყრიდა დენთს. ცაცხვის ხეები ლამაზად ჰყვაოდა და ზედ რამდენიმე ჭაბუკი მოკალათებულიყო. ისინი ციყვებივით აცოცებულიყვნენ იმ ლამაზ ხეებზე, ტოტებს ამტვრევდნენ და ძირს ყრიდნენ. მათთან ერთად მოსული ორი ქალი კი დამსხვრეულ ტოტებს სწრაფად აგროვებდა და კალათებში ყრიდა. მალე კალათები სურნელოვანი ყვავილებით თითქმის პირამდე აივსო. უფროსი მეტყევე საშინლად გაბრაზდა. მან თავის მხლებლებს ყმაწვილები ამ უზარმაზარი ხეებიდან ჩამოაყვანინა. ისინი მიწაზე დაეცნენ და წუწუნითა და ყვირილით უფროსი მეტყევის ფეხებთან მიხოხდნენ — ერთი დასახიჩრებული სახით, მეორე — გაშეშებული მკლავით, მესამე კი — მოტეხილი ფეხით. შემდეგ უფროსი მეტყევე იმ ორ ქალს საცემრად მივარდა. ერთ-ერთ ქალში ჰოპმა ის მეძავი შეიცნო, ჭორებს რომ ავრცელებდა, თითქოსდა „ყვითელის“ საყვარელი იყო. ამ ქალების კალათები, თავსაფრები და ყმაწვილების ქუდები გირაოდ დაიტოვეს. შემდეგ ისინი ჰოპს სასამართლოზე უნდა წარედგინა, თუმცაღა გული კი ცუდს უგრძნობდა.

ჰოპისათვის მიცემული ეს ბრძანება ბოლო და უკანასკნელი იყო იმ უფროსი მეტყევისათვის, ჯოჯოხეთში მყოფი ტანჯული საბრალო ცოდვილებით გარშემოტრყმულ გამხეცებულ ეშმაკს რომ ჰგავდა. ერთი კვირის შემდეგ ჰოპმა უფროსი მეტყევე ცაცხვების ხეივანში მკვდარი იპოვა. როგორც ეტყობა, იგი ჭაობსა და ღორღში ეთრიათ, ვიდრე ამ ადგილამდე მოიყვანდნენ. გვამი მოჭრილ ტოტებზე იდო, შუბლს ცაცხვის ყვავილებით სქლად მოწნული გვირგვინი „უმშვენებდა“, ასეთივე გვირგვინი ბაფთასავით ებნია მკერდზეც, ხოლო ცაცხვის ყვავილებით

სავსე მისი ქუდი გვერდით ეგდო. მონადირის ჩანთაც დაეტოვებინა მისთვის მკვლელს, მხოლოდ ტყვიები ამოეწყო და მის ნაცვლად ცაცხვის ყვავილები ჩაეწყო, უფროსი მეტყევის ლამაზი სასროლი იარაღი კი უბრალო თოფით შეეცვალა. მოგვიანებით სასიკვდილო ტყვია, მოკლულს მკერდში რომ უპოვეს, იმ უბრალო თოფის ვაზნას მოერგო, უფროს მეტყევეს გასამასხარავებლად რომ ეკიდა მხარზე. ამ შელახული გვამის დანახვაზე ჰოპი სასოწარკვეთილებამ შეიპყრო, თითქოს ძალა გამოეცალა, თითქოს თითის განძრევაც აღარ შეეძლო, თითქოს გონებაც დაებინდა. მიშტერებოდა გვამს და არაფერზე არ ფიქრობდა. მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ უეცრად თავში გაუელვა: „ნეტავ რა მოსდის ძაღლს?“

კრამბამბული გვამს ყნოსავდა, მოუსვენრად უვლიდა გარს, ცხვირით მიწას ეხებოდა, ხან წკმუტუნებდა, ხან სიხარულით ყეფდა, შემდეგ რამდენიმე ნახტომი გააკეთა. ისე იქცეოდა, თითქოს დიდი ხნით მიძინებულმა მოგონებამ გაიღვიძაო მასში...

— აქეთ მოდი, — დაუყვირა ჰოპმა, — ჩემთან! — და კრამბამბულიც დაემორჩილა, თუმცა თავის პატრონს ისეთი მღელვარებით შეაცქერდა, თითქოს ეუბნებოდა: „ნუთუ ვერაფერს ხედავ? ვერაფრის სუნს ვერ გრძნობ? ო, ჩემო ძვირფასო ბატონო, შეხედე მაინც! აბა დაყნოსე! აბა აქეთ მოდი, ბატონო!“ და ძაღლი მისკენ მიიწევდა, დრუნჩით ეხებოდა მის მუხლებს, თითქოს ეკითხებოდა: „არ გამომყვები გვამისაკენ?“ კრამბამბულმა მძიმე თოფი პირით ისე გაათრია, ვითომ თამაში უნდოდა. მონადირეს ჟრუანტელმა დაუარა და გონებაში ათასნაირი ვარაუდი ამოუტივტივდა. რაკი გამოძიება მისი საქმე არ იყო და არც უფლება ჰქონდა უფროსობა გაეთვითცნობიერებინა ამ საქმეში, ამიტომ ეს საშინელი აღმოჩენა ხელშეუხებლად უნდა დაეტოვებინა და თავის გზაზე, ამ შემთხვევაში სწორედ სასამართლოში უნდა წასულიყო. უბრალოდ ის გაეკეთებინა, რაც ევალებოდა.

ყველა ფორმალობის შესრულების შემდეგ, კანონი რომ ასეთი უბედურების ჟამს აწესებს, მთელი დღე და ნახევარი ღამე გავიდა. ჰოპმა დაძინებამდე ძაღლი თავისთან მიიხმო.

„ჩემო მეგობარო, — უთხრა ძაღლს, — ახლა ჟანდარმერია ფეხზე დადგება და ამაო ძიებას დასასრული არ ექნება. მოდი, იქნებ ეს სხვებს მივანდოთ და ის ნაძირალა, ჩვენი უფროსი მეტყევე რომ მოკლა, გზიდან ჩამოვიცილოთ? ჩემი კრამბამბული აკი იცნობს ამ მოძალადეს, სწორედაც რომ იცნობს. მაგრამ ამის ცოდნა არავის სჭირდება, ამიტომაც არც არავისთვის გამინდვია ეს... დიახ, ამ ამბავში ჩემს ძაღლს ჩავრთავ... სხვა არაფერი მომდის აზრად!“ მონადირე კრამბამბულისაკენ დაიხარა, მის გაშლილ მუხლებს შუა რომ მოკალათებულიყო, ლოყა ძაღლის თავს დაადო და მისი მადლიერებით სავსე ალერსი ხალისით მიიღო. ვიდრე ძილი არ მოერია, თავისთვის დუდუნებდა: „ნეტავ, რას აკეთებს ახლა ჩემი კრამბამბული?“

ფსიქოლოგები ცდილობდნენ იმ საიდუმლოს ამოხსნას, თუ რატომ ბრუნდება ხოლმე ზოგიერთი დამნაშავე დანაშაულის ჩადენის ადგილზე. ჰოპმა ამ ცნობილი მოსაზრებების შესახებ არაფერი იცოდა და ცაცხვების ხეივნის ახლოს მოუსვენრად დადიოდა ხოლმე ძაღლთან ერთად.

უფროსი მეტყევის მკვლელობიდან მეათე დღეს ჰოპმა პირველად

გადაიტანა ყურადღება სხვა საქმეზე და „გრაფის ტყეში“ მოსაჭრელი ხეების დანიშვნა დაიწყო.

მუშაობას მორჩა თუ არა, თოფი გადაიკიდა და ტყის გავლით ნაკვეთების მოპირდაპირედ მდებარე ცაცხვების ხეივნისაკენ მოკლე გზით გაეშურა. იმ წუთს, როცა ბილიკს უნდა დადგომოდა, მუხების ღობეს რომ გასდევდა, თითქოს ფოთლებში რაღაცამ გაიშრიალა უეცრად, მეორე სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. ძაღლი ფოთლებს უჩვეულოდ რომ არ დაჰკვირებოდა, ჰოპი იფიქრებდა, მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარაო. ბალანაბურძგნული, კისერწაგრძელებული, კუდაპრეხილი კრამბამბული კი ღობის ერთ ადგილს გულისყურით ყნოსავდა. „ოჰო! — გაიფიქრა ჰოპმა, — აბა ვნახოთ, ბიჭო, თუ ეს შენა ხარ.“ მონადირე ხეს ამოეფარა და ჩახმახი შეაყენა. გული სწრაფად უცემდა და ისედაც შენელებული სუნთქვა თითქმის მთლად შეეკრა. და ჰოი საოცრებავ! ღობის მიღმა ბილიკზე „ყვითელი“ მიაბიჯებდა. მონადირის ჩანთაზე ორი ბაჭია ეკიდა, ხოლო მხარზე ჰოპისათვის კარგად ნაცნობ ტყავის თასმებზე — უფროსი მეტყევის თოფი. ო, რა დიდი სიამოვნება იქნებოდა ამ აბეზარი ბიჭის დაწვა სადმე მოფარებულში.

ისე არასოდეს უსვრია ჰოპს ნებისმიერი ნაძირალასათვის, წინასწარ რომ არ გაეფრთხილებინა. ახლაც ბილიკზე გადახტა და შეჰყვირა: „დამნებდი, წყეულო!“ ბრაკონიერმა პასუხად უმალ იარაღი იგლიჯა მხრიდან. მონადირემ ცეცხლი გაუხსნა... მაგრამ რის ცეცხლი!... ყოვლად წმინდანნო! თოფმა ჭახუნის ნაცვლად დაიტკაცუნა. თოფმა უმტყუნა მონადირეს, რადგან დიდი ხნის წინ დატენილი თოფი ნესტიან ტყეში ხეზე იყო მიყუდებული.

ღამე მშვიდობისა, ასეთია თურმე სიკვდილი, გაიფიქრა მოხუცმა... მაგრამ არა, იგი ცოცხალია. მხოლოდ საფანტისაგან დახვრეტილი მისი ქუდი დაეცა ბალახებში...

„ყვითელსაც“ არ წყალობდა ბედი; ეს უკანასკნელი გასროლა იყო მისი თოფიდან. შემდეგ ისევ ტყვიები ამოიღო ჩანთიდან...

— ეცი! — ხმამაღლა დაუყვირა ჰოპმა ძაღლს: — აბა ეცი-მეთქი! — მეორე მხრიდან სიყვარულით სავსე ძველი ნაცნობი ხმა ესმოდა და იზიდავდა ძაღლს: „ჩემთან, ჩემო კრამბამბულო ჩემთან მოდი!“

ძაღლმა კი...

რაც შემდეგ მოხდა, მონათხრობზე სწრაფი გახლდათ.

კრამბამბულმა იცნო თავისი პირველი პატრონი და შუა გზიდან მასთან მიირბინა. დაუსტვენს ჰოპი და ძაღლი მასთან ბრუნდებოდა, დაუსტვენდა „ყვითელი“ და ძაღლი ახლა მასთან გარბოდა. შემდეგ სასოწარკვეთილი ჩერდებოდა იმ ადგილზე, ერთნაირი მანძილით რომ იყო დაშორებული როგორც მონადირის, ასევე ბრაკონიერისაგან.

ბოლოს და ბოლოს საწყალი ცხოველი მოეშვა ამაო ბრძოლასა და ეჭვებს, თუმცა ტანჯვას კი ვერა. ყეფითა და ყმუილით, ლარივით დაჭიმული და თავაწეული, თითქოს ზეცას სულიერი ტკივილის მოწმედ უხმობსო — პირველ პატრონთან მიხოხდა.

ამ სურათმა ჰოპი შურისძიების წყურვილით აღავსო. აცახცახებული ხელებით ჩააწყო მან ახალი ტყვიები თოფში და მშვიდად დაუმიზნა მოწინააღმდეგეს. „ყვითელმაც“ მისკენ მომართა ლულა. ამჯერად ბედი გამიმართლებსო, — ასე ფიქრობდა ორივე. მათ ერთმანეთი

უკვე მიზანში ჰყავდათ ამოღებული და დახატული მშვილდოსნებივით დინჯად უმიზნებდნენ ერთურთს.

ორჯერ გაისმა სროლის ხმა. მონადირის ტყვია ნაძირალას მოხვდა და ძირს დასცა. რატომ? იმიტომ რომ როცა ძაღლი მოსაფერებლად შეახტა, სწორედ გასროლის წამს ფეხი დაუცდა.

— მხეცო! — გამოსცრა მან კბილებში, უკან გადავარდა და სული განუტევა.

მონადირე ნელა მიუახლოვდა გვამს. „კმარა, — გაიფიქრა მან, — საფანტის ერთი მარცვალიც კი აფსუსია შენთვის.“ მიუხედავად ამისა მაინც დადგა თოფი მიწაზე და ხელმეორედ დატენა. ტანგამართული და ენაგადმოგდებული ძაღლი კი მის წინ იჯდა, წკმუტუნებდა და ჰოპს შეჰყურებდა. მონადირემ საქმე რომ დაამთავრა და თოფი კვლავ აიღო ხელში, მათ შორის საუბარი გაიმართა, რომლიდანაც ვერც ერთი მოწმე ვერაფერს გაიგებდა, თუნდაც მიცვალებულის ნაცვლად ცოცხალი კაცი მდგარიყო იქ.

— იცი, ვისთვისაა განკუთვნილი ეს ტყვია?

— „დავფიქრდები“.

— მოღალატე, პირმოთნე, არამზადავ, მოვალეობა და ერთგულება დაივიწყე.

— „დიახ, ასე გახლავთ, ჩემო ბატონო!“

— შენ ჩემი სიხარული იყავი. ახლა კი ყველაფერი დამთავრდა. აღარ მიხარია შენი არსებობა.

— „გასაგებია, ჩემო ბატონო“, — და კრამბამბული დაწვა, თავი გაშლილ წინა თათებს დაადო და მონადირეს შეხედა.

ოჰ, ნეტავ არ შეეხედა ამ დაწყევლილ ცხოველს მისთვის! სწრაფად მოულებდა ბოლოს და საკუთარ თავსაც და ძაღლსაც ტანჯვისგან იხსნიდა. მაგრამ ასე არ მოხდა. განა შეეძლო იმ არსების მოკვლა, ასე რომ შეჰყურებდა? ბატონმა ჰოპმა რამდენიმე ღვთისსაგმობი სალანძღავი სიტყვა წაიჩურჩულა, თოფი კვლავ მოიგდო მხარზე, ნაძირალას ბაჭიები ჩამოხსნა და წავიდა.

ძაღლს თვალი არ მოუშორებია მისთვის, ვიდრე იგი ხეებს შუა არ გაუჩინარდა. შემდეგ წამოიმართა და მისმა ყმუილმა მთელი ტყე შეძრა. შემდეგ რამდენიმეჯერ წრე დაარტყა და კვლავ გვამს მიუჯდა. ამ მდგომარეობაში იპოვეს ძაღლი სამართალდამცველებმა, ჰოპის მეთაურობით გამთენიისას რომ გამოჩნდნენ ნაძირალას გვამის შესამოწმებლად. ბატონების მიახლოვებისას კრამბამბულმა რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია. ერთ-ერთმა მათგანმა მონადირეს ჰკითხა: „ეს ხომ თქვენი ძაღლია?“ — „დარაჯად დავტოვე მასთან“ — მიუგო ჰოპმა, რადგან სიმართლის აღიარებისა შერცხვა. თუმცა რა? სიმართლე მაშინვე გამჟღავნდა. გვამი მანქანაზე რომ დადეს და წაიღეს, კრამბამბული თავდახრილი და კუდაპრეხილი გაჰყვა უკან. მოსამართლემ დაინახა, რომ ძაღლი იმ ოთახის შორიახლოს ტრიალებდა, სადაც „ყვითელი“ იწვა. მან წიხლი ამოარტყა ძაღლს და შეჰყვირა: „სახლისაკენ!“ კრამბამბულმა შეულრინა და გაიქცა. მოსამართლის აზრით ძაღლი მონადირე ჰოპის სახლისაკენ უნდა წასულიყო, მაგრამ იქ არ მისულა. იგი საცოდავ მაწანწალად იქცა.

მოუვლელი და გამხდარი კრამბამბული სოფლის გალმა მდებარე ღარიბთა უბნების შორიახლოს დაეხეტებოდა. ერთხელ განაპირა ქოხის წინ მდგარ ბავშვს ეცა და ხარბად გამოგლიჯა ხელიდან ერთი ნაჭერი პური. ბავშვი შიშისაგან გაქვავდა, მაგრამ როცა პატარა ფინია გამოვარდა სახლიდან და ყაჩაღს დაუყეფა, კრამბამბულმა ნადავლი გაიტაცა და იქაურობას გასცილდა.

იმავე საღამოს ჰოპი ძილის წინ ფანჯარასთან იდგა და ზაფხულის სასიამოვნო ღამით ტკბებოდა. უეცრად მოეჩვენა, თითქოს ტყის გამოღმა მდელოზე ძაღლი იჯდა, ერთგულზე ერთგული და უპატრონო. მონადირე დააკვირდა ამ ადგილს და წარსული ბედნიერება მოაგონდა.

ჰოპმა დარაბა დახურა და დაწვა. რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა — ძაღლი იქ უკვე აღარ იყო. კვლავ შეეცადა დაძინებას, მაგრამ სიმშვიდე ვერა და ვერ ჰპოვა.

ჰოპს მოუსვენრობა დაეტყო: „რაც არის არის!... — მას უკვე ვეღარ გაეძლო ძაღლის გარეშე. — ისევ მოვიყვან სახლში“, — გაიფიქრა მან. ეს რომ გადაწყვიტა, თავი ახალდაბადებულივით იგრძნო.

როგორც კი ინათა, ჩაიცვა, ცოლს უთხრა, სადილზე ნუ დამელოდებიო, და სწრაფად გავიდა სახლიდან. მაგრამ იქვე ფეხი წამოჰკრა იმას, რის საძებნელადაც შორს მიდიოდა. მის წინ მკვდარი კრამბამბული ეგდო, თავით ზღურბლს მიყრდნობილი, რომლის გადაბიჯება ვერ გაებედა.

მონადირემ ვერა და ვერ გამოიგლოვა იგი. ნატრობდა იმ წამებს, ძაღლის დაკარგვა რომ აღარ ახსოვდა. სასიამოვნო მოგონებებში ჩაძირული ნაცნობ სიტყვებს იმეორებდა: „ნეტავ რას აკეთებს ახლა ჩემი კრამბამ...“ მაგრამ შემკრთალს სიტყვა შუაზე უწყდებოდა, თავს გააქნევდა და ღრმად ამოიოხრებდა: „მენანება ძაღლი“.

გიიომ აპოლინერი

ლექსები

ფრანგულიდან

თარგმნა ილია გასვიანმა

მონპარნასი

ო, სასტუმროს კარო ორი მწვანე მცენარით
არასდროს რომ აყვავდება
სად არის ჩემი ნაყოფი სად გავიდგი ფესვები
ო სასტუმროს კარო ანგელოზია შენ წინაშე
და კატალოგებს არიგებს
უმანკოება ხომ ასე კარგად არასდროს დაუცვიათ
სამუდამოდ მიბოძეთ ოთახი მხოლოდ თითო კვირით
რომ აქირავებთ

წვერებიანო ანგელოზო თქვენ ხომ სინამდვილეში
ერთი ლირიკოსი ხართ გერმანიიდან
და პარიზის გაცნობა გსურთ
თქვენ მისი ქუჩის
ამ ხაზებს იცნობთ სადაც სიარული აკრძალულია
და ოცნებობთ
გარშში წახვიდეთ კვირადღის გასატარებლად

ჰაერი დახშულია და თქვენი თმები გრძელია
ო კეთილო პატარა პოეტო ოდნავ სულელო და
მეტად ქერავ
თქვენი თვალები ძალიან წააგავს ამ ორ დიდ ბუშტს
კამკამა ჰაერში რომ ადიან
ალალბედზე

მიწის ოკეანე

ჯ. დე კირიკოს

მე ავიშენე სახლი შუაგულ ოკეანეში
მისი ფანჯრები არის მდინარეები
ჩემს თვალთაგან რომ გადმოედინებიან

აქ ყველგან რვაფეხა დაფუთფუთებს კედლებთან
გაიგონეთ როგორ ცემს მათი სამკეცი გულები და მათი ნისკარტები
მინებს ეხლება

სახლი ნოტიო
სახლი მცხუნვარე
ჟამი სწრაფმავალი
ჟამი მომღერალი

თვითმფრინავები კვერცხებს დებენ
ყურადღება ღუზას ვუშვებთ.

ყურადღება მიაქციეთ მელანს რომელსაც ღვრიან
კარგი იქნებოდა ციდან ჩამოსულიყავით
აი ცის მცოცავი ცხრატყავა
მიწიერი რვაფეხები თრთიან
და მერე ჩვენ ხომ ამდენნი ვართ საკუთარი თავის მესაფლავენი

ცარციან ტალღათა ფერმკრთალო რვაფეხებოო
ფერმკრთალნისკარტებიანო რვაფეხებო
ამ სახლის ირგვლივ ეს ოკეანეა რომელსაც შენ იცნობ
და რომელიც არასდროს ისვენებს.

ანი

ტეხასის სანაპიროზე
მობილსა და გალვესტონს შორის
არის ვარდებით სავსე ბაღი
იქ ერთი ვილაა
დიდი ვარდის მსგავსი

ბაღში ხშირად
ერთი ქალი სეირნობს მარტო
და როცა მე ჩავივლი გზაზე ცაცხვებს შორის
ჩვენ ერთმანეთს ვუყურებთ

რადგანაც ეს ქალი მენონიტია
მის ვარდის ბუჩქებს კვირტები არა აქვს მის
ტანსაცმელს კი ღილები

ჩემს პიჯაკსაც აკლია ორი ღილი
ქალბატონი და მე თითქმის ერთნაირ რიტუალს
ვასრულებთ

ღრუბელთა ფანტომი

თოთხმეტი ივლისის წინადღე იყო
ნაშუადღევის ოთხი საათი იქნებოდა
მე ქუჩაში გამოვედი აკრობატები რომ მენახა

ეს ხალხი ღია ცის ქვეშ რომ მართავს წარმოდგენებს
პარიზში სულ უფრო და უფრო იშვიათია
ჩემს სიჭაბუკეში უფრო ბევრნი იყვნენ
ისინი თითქმის ყველა პროვინციაში გადაბარგდა

სენ-ჟერმენის ბულვარს გავყევი
და პატარა მოედანზე სენ-ჟერმენ-დე-პრესა და
დანტონის ქანდაკებას შორის რომაა
აკრობატებს შევხვდი

მათ მუნჯი და თვინიერი ბრბო შემოხვეოდა
მეც ამ წრეში ჩავდექი ყველაფერი რომ მენახა
ვეება გირები
ბელგიის ქალაქები წამომართულნი ლონგვიელი რუსი მუშის ხელებით
შავი და ფუყე ჰანტელები ბერკეტად რომ უძრავი მდინარე აქვთ
თითები ცხოვრებასავით მწარესა და ტკბილ სიგარეტს რომ ახვევენ

მიწაზე ჭუჭყიანი ნოხები ეფინა
ნოხები რომელთა ნაკეცებს ვერაფერი გაასწორებდა
თითქმის მთლიანად მტვრის ფერი დასდებოდა
და ზედ ყვითელი თუ მწვანე ლაქები აჩნდათ ჯიუტად
მსგავსად მუსიკალური მელოდიისა თან რომ დაგდევთ და არ გშორდებათ

ხედავ იმ პირქუშსა და გამხდარ ტიპს
შევერცხლილ წვერში წინაპართა ფერფლი უჩანდა
სახეზე აჩნდა მთელი მემკვიდრეობა
მომავალზე ფიქრობდა
და ანგარიშმიუცემლად ატრიალებდა არღნის სახელურს
რომლის ნელი ხმა საოცრად რაკრაკებდა
და ყრუ კვნესას გამოსცემდა

აკრობატები არ იძვროდნენ
მათგან ყველაზე ხნიერს ეცვა მოიისფრო თუ მოვარდისფრო ტრიკო
ასეთი ფერის ლოყები აქვთ ქორფა, მაგრამ
სიკვდილის პირას მყოფ გოგონებს
ეს ვარდის ფერი ყველაზე მეტად
მათი ბაგეების ირგვლივაა ნაოჭებში
ან ნესტოებთან
ესაა ფერი სავსე ღალატით

ამ კაცს ზურგზე აჩნდა
თავისი ფილტვების საზიზღარი ფერი

მკლავები ყველგან მკლავები წესრიგს რომ იცავდნენ
მეორე აკრობატი
მხოლოდ საკუთარი ჩრდილით იყო მოსილი
მე მას დიდხანს ვუყურე
აღარ მახსოვს სახე ამ უთავო ადამიანის

მესამე აკრობატს არამზადის იერი ჰქონდა
კეთილი და ამავე დროს გაიძვერა აპაშის სახე
თავისი ნაოჭასხმული შარვლითა და წინდების სამაგრით
სუტენერს წააგავდა

მუსიკა შეწყდა და მათ მაყურებელთან მოლაპარაკება გამართეს
ხალხმა გროშ-გროშად ორნახევარი ფრანკი ჩამოჰყარა ხალიჩაზე
ნაცვლად სამი ფრანკისა მოხუცმა რომ მოითხოვა წარმოდგენისთვის
მაგრამ როცა ცხადი გახდა რომ აღარავინ მეტს აღარ ჩამოვიდოდა
გადაწყვიტეს სანახაობა დაეწყოთ
არლნის ქვეშიდან მოვარდისფრო-ფილტვისფერით მოსილი
მთლად პატარა აკრობატი გამოძვრა
მაჯებსა და კოჭებზე ბეწვის შემოსაკრავები ეკეთა
მოკლე შეძახილებით ესალმებოდა პუბლიკას
და საამურად შლიდა ხელებს

ცალი ფეხი უკან გადადგა
თითქმის ჩაიმუხლა
ამგვარად მიესალმა ქვეყნის ოთხივე მხარეს
და როდესაც ის ბურთზე შედგა
მისი წვრილი სხეული ისეთ ნაზ მუსიკად გარდაისახა
რომ მაყურებელთაგან არავინ დარჩენილა უგრძნობელი
პატარა უსხეულო სულიო
გაიფიქრა თითოეულმა
და ამ ფორმათა მუსიკამ ჩაახშო
მექანიკური არლნის ხმები
რომელსაც წინაპრების ფერფლით დაფარულსახიანი კაცი უკრავდა

პატარა აკრობატი ყირაზე გადავიდა
იმგვარი ჰარმონიით
რომ არლანმა დაკვრა შეწყვიტა
ხოლო მეარლნემ სახე ჩამალა ხელებში
მისი თითები მისივე ბედისწერის ჩამომავალთ ჰგავდა
პაწია ჩანასახები გამოუჩნდა წვერებიდან
კვლავ შეძახილი წითელკანიანის
ხეების ღვთაებრივი მუსიკა
ბავშვის გაუჩინარება
აკრობატებმა ვეება ჰანტელები ასწიეს
გირებით დაიწყეს ჟონგლიორობა

მაგრამ ყოველი მაყურებელი საკუთარ თავში ეძებდა
სასწაულებრივ ბავშვს

საუკუნევ ო ღრუბლის საუკუნევ.

ᲬᲘᲜᲐᲗᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ

შვილო ჩემო ჩვენ რომ წავიდეთ ამერიკაში
რაზეც მუდამ ვოცნებობდი
გემით რომელიც კარიბის ზღვას გაივლიდა
გემით უამრავი მფრინავი თევზით გარემოცულით
რომელთა ფრთები-ფარფლები თრთოლავენ სინათლეზე
ჩვენ მდინარე ამაზონს გავყვებით
და მისი ფერიის საძებნელად გავწევთ კუნძულიდან კუნძულზე
დიდ ჭაობებში შევალთ სადაც ტყეები ჩაძირულა

მიესალმე მახრჩობელა გველებს შევიდეთ რეპტილიების
სამფლობელოებში
ყური დაუგდე ბატის ხმას უა-უა მაიმუნები კივიან მოხეტიალე
ფრინველები
პრორორროკას ტალღები უზარმაზარი ტალღა
ამ უსაზღვროებათა ღვთაება ანდები პამპასები
დღეს ჩემშია მცენარეების ზღვაო
მილიონი თეთრი ცხვარი ერთმანეთს მისდევს
მოულოდნელი კონდორები კორდილიერების თოვლი
ო აქაურო ქოხმახებო საწყალო სამფლობელო რეპტილიებისავ
როდისღა ახსენებენ ამასწინანდელ ომს.

ᲦᲘᲦᲘᲚᲝ

ოცი წლის კაცო
ასეთი საზარელი რაღაცები რომ იხილე
რას ფიქრობ შენი ბავშვობის ადამიანებზე

შენ
იცი
რა არის სიმამაცე და ვერაგობა

შენ
პირისპირ
ნახე
სიკვდილი
ასჯერ
და
უფრო
მეტჯერ
შენ
არ
იცი

რა
არის
ცხოვრება
გადაეცი შენი სიმამაცე
მათ ვინც შენს შემდეგ
მოვა

ახალგაზრდა კაცო
შენ გიხარია შენი ხსოვნა სისხლიანია
შენი სულიც მეწამულია
შენ გიხარია

შენ შთანთქე მათი სიცოცხლე შენს გვერდით რომ დაიხოცნენ
შეუპოვარო

ახლა 17 საათია და შენ შეძლებ მოკვდე
უფრო ღვთისმოშიშად ვიდრე შენზე დიდნი
შენ ხომ სიკვდილს სიცოცხლეზე კარგად იცნობ
ო წარსული დროების სიტკბოებავ
უხსოვარი დროის სიზანტევ

წვიმს

ქალების ხმების წვიმა მოდის
თითქოსდა ისინი თვით მოგონებაშიც მომკვდარიყვნენ

ეს ასევე თქვენცა ხართ ჩემი ცხოვრების
საოცარო შეხვედრებო ო წვეთებო

და ეს ყალყზე შემდგარი ღრუბლები იწყებენ ჭიხვინს
აკუსტიკურ ქალაქთა მთელი სამყარო

უსმენს თუ წვიმს
მაშინ როცა სინანული და ქედმაღლობა მისტირიან ძველ მუსიკას

უსმინე როგორ ვარდება ბორკილები შენ რომ გიჭერენ

არის

არის მშვენიერი პატარა ხიდები
არის ჩემი გული შენთვის რომ ძგერს
არის სევდიანი ქალი ამ გზაზე
არის ლამაზი პატარა კოტეჯი ბაღში
არის ექვსი ჯარისკაცი გიჟებივით რომ ერთობიან
არის ჩემი თვალები შენს სახებას რომ ეძებენ
არის პატარა ლამაზი ტყე ბორცვზე
და ერთი ტერიტორიული არმიის ჯარისკაცი შარდავს
ჩვენ რომ ჩავივლით მაშინ

არის ერთი პოეტი პატარა ლუზე რომ ოცნებობს
არის პატარა ნაზი ლუ ამ დიდ პარიზში
არის ბატარეა ტყეში
არის მწყემსი ცხვრებს რომ აძოვებს
არის ჩემი ცხოვრება შენ რომ გეკუთვნის
არის ჩემი კალმისტარი რომელიც გარბის
არის ნაზი ფარდა ალვის ხეების
არის მთელი წარსული ცხოვრება ჩემი კარგად რომ ჩაიარა
არის ვიწრო ქუჩები მანტონში სადაც ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა
არის პატარა სოსპელელი გოგო თავის მეგობრებს რომ შოლტავს
არის მესაზიდრის მათრახი ჩემს შვრიის ჩანთაში
არის ბელგიური ვაგონები გზაზე
არის ჩემი სიყვარული
არის მთელი ცხოვრება
გალმერთებ

კინოთეატრში წასვლის წინ

დღეს საღამოს
კინოში წავალთ

რანი არიან ისინი — არტისტები
ეს ის ხალხი არაა ვინც მისდევს კაზმულ ხელოვნებას
აღარც ისინი ვინც მისდევს უბრალოდ ხელოვნებას
პოეტურსა თუ მუსიკალურს
არტისტები მსახიობი კაცები და მსახიობი ქალები არიან

ჩვენ რომ მსახიობები ვყოფილიყავით
ჩვენ არ ვიტყოდით სინემა-ს
ჩვენ ვიტყოდით სინე-ს

მაგრამ მოხუცი პროვინციელი მასწავლებლები რომ ვყოფილიყავით
ჩვენ არც სინე-ს ვიტყოდით და არც სინემა-ს
არამედ სინემატოგრაფ-ს

ღმერთო ჩემო ამიტომაც გემოვნება უნდა გვქონდეს

●

ის შემოვიდა
დაჯდა
ის არ უყურებს წითელთმიან
ცეცხლს
ასანთი იწვის
ის წავიდა

ტომას ედუარდ ლოურენსი

თარგმნა ნათელა გავაშელმა

ცვლილებანი აღმოსავლეთში

ანონსი

ინგლისელი მწერალი, სწავლული მედიევისტი, არქეოლოგი. პირველი მსოფლიო ომის წლებში მონაწილეობას ღებულობდა საომარ მოქმედებებში არაბეთის ტერიტორიაზე როგორც ბრიტანეთის სამხედრო მრჩეველი. მოგონებები ამ მოვლენების შესახებ გაერთიანდა წიგნში „Семь столов мудрости“, შემოკლებული ვარიანტი გამოქვეყნდა მემუარების წიგნში „Мятеж в пустыне“. ესე „ცვლილებანი აღმოსავლეთში“ შევიდა 1939 წლის გამოცემაში.

„უცვლელი აღმოსავლეთი“ — კარიკატურის ქვეშ ჩაწიკწიკებული წარწერა; თუმცა, დროება შეიცვალა და შური იძია ამ ფრაზის ავტორზე. დღეს აღმოსავლეთი არენაა ცვლილებებისა, იმდენად სწრაფი, იმდენად გრანდიოზული ცვლილებებისა, რომ მის ფონზე ჩვენი ევროპა მაჩანჩალა გეგონებ. დიდი ხნის განმავლობაში ისე ვიყავით ჩაფლული ომისა და მშვიდობის პრობლემებში, ვიშუშებდით ჭრილობებს, ვცდილობდით წონასწორობა აღგვედგინა კონტინენტზე, რომ აზიისთვის არ გვცხელოდა და არც იმის გარკვევის თავი გვქონდა, რა სურდა ან რა ხდებოდა იქ. ჩვენი ურთიერთობის ძველ, კეთილ საფუძველზე მორგებას რომ ვცდილობდით, ჩვენდა საკვალალოდ და გასაკვირად, აღმოვაჩინეთ, რომ ამას აზია ისე არ აღიქვამდა, როგორც მოველოდით. მას აზანზარებს არეულობა, მღელვარება, ამბოხება, ჩვენ კი, რადგან ვერ ვგრძნობთ მათ მიღმურ მოძრაობას, ხელიდან გაგვიხსლტა მოვლენათა განვითარების ძაფი და აღმოჩნდა, რომ ყოველივე ამისათვის გვაქვს მხოლოდ ერთი პასუხი — ძალის გამოყენება.

თუმცაღა, არსებობს გაგების გადაუდებელი აუცილებლობა, უნდა გავერკვეთ, შევაფასოთ აზიაში ჩვენი პოზიციები და მხოლოდ მაშინ გავუგებთ აზიელებს. ყველა თანახმაა, რომ დადგა ღირებულებათა გადაფასების დრო, მაგრამ ცოტა ვინმე თუ გახლავთ მზად, აქედან შესაბამისი დასკვნა გააკეთოს. ჰოდა, გავგზავნეთ კომისია ინდოეთში და კომისიამ იქ რეფორმის ჩატარება შემოგვთავაზა. გავგზავნეთ კომისია ეგვიპტეში იმის დასადგენად, რა სახის რეფორმის ჩატარებაა საჭირო ეგვიპტეში. ვიცით: ლორდთა პალატაში განიხილება მესოპოტამიაში კომისიის გაგზავნის საკითხი. თვით მალტასაც კი საგანგებო კომისია სწავლობს. და ეს ყოველივე შეუთანხმებელი, დანაწევრებული ზომებია, რასაც სათვალიანი სახელმწიფოს მოღვაწენი ატარებენ, მაგრამ მათსავე წილხვედრ ცალკეულ პროვინციებში პოლიტიკური ეითარების გარდა, სხვა რამის

დანახვის თავიც არ აქვთ. მათგან ერთსაც კი არ შეუძლია იქ მიმდინარე ამბების მთლიანი სურათის, ახალი აზიის მთლიანი სურათის შემოთავაზება. ერთსაც არ შეუძლია ავადმყოფისათვის დიაგნოზის დასმა ანდა წამლის დანიშვნა. რაც შეეხება ავადმყოფობას, უწოდეთ მას, რაც გნებავთ: ფიზიკური, მორალური თუნდაც გონებრივი მოშლილობა, ან სულაც მატერიალური პირობებით გამოწვეული. მაგრამ ეს აზიური ცივილიზაციის ავადმყოფობაა, დასავლეთთან მისი მჭიდრო კონტაქტის გარდუვალი შედეგი. ამავე ავადმყოფობით დასნეულდნენ ჩვენთან შეხვედრის შემდეგ ავსტრალიის აბორიგენები და სწორედ ამან გამოასალმა ისინი წუთისოფელს. მიზეზი ამისა მაშინ თითქმის მხოლოდ ბიოლოგიური იყო: გაუჭირდა ერთობ სუსტად განვითარებულ ავსტრალიის საზოგადოებას მისგან ბევრად განსხვავებულ სოციუმთან კონტაქტის დამყარება, აზია უფრო გამძლეა, უფრო ხანდაზმული, მოსახლეობაც მეტი ჰყავს და არც გადაშენება ემუქრება. მაგრამ მისი ავადმყოფობის მიზეზი სწორედ ჩვენ ვართ. ევროპის მონელება არც ისე იოლი საქმეა.

ადვილად გავუგებთ აზიაში ჩვენს მიერ შეტანილ დაძაბულობას, თუკი მატერიალურ სფეროს მივმართავთ. ტექნიკის განვითარებამ ჩვენგან ასწლეულის მძიმე ძალისხმევა და გამომგონებლობა მოითხოვა. ევროპა სახეს იცვლიდა თანდათან, წლითი წლობით, შემდეგი კი ახალი იდეებისათვის ადამიანების მისაჩვევად ზედმეტი ძალადობა აღარ იყო საჭირო. სასაპალნე ცხენებიდან ურემზე გადავედით, მერე ურესორო ეკიპაჟები გაჩნდა, მას მოჰყვა ეტლი, რკინიგზა, ავტომობილი, თვითმფრინავი და ჩვენც პროგრესი, ხანდახან, მეტისმეტად სწრაფიც კი გვეგონა — ჰოდა, მაშინ, მანქანების წინ წითელდროშიან კაცებს წავუწინამძღვრებდით. მუდამ ასე იყო. რაც შეეხება აზიას — ოცდაათ წელიწადში, ერთი თაობის თვალწინ, იგი სასაპალნე ვირებიდან „როლს-როისებში“ გადაჯდა, საგვარეულოს ბედაურებიდან კი — პირდაპირ თვითმფრინავებში. ხუთასი წელი დაგვჭირდა, საომარი მშვილდიდან, ძალიან დიდხანს რომ ეცოდვილებოდა მუშკეტებს, ავტომატურ იარაღზე გადასასვლელად. უდაბნოს ყაჩაღანას კი, მხოლოდ მსოფლიო ომის მიწურულს რომ გაუშვა ხელიდან შუბი, აგერ ახლა, სათარეშოდ მიმავალს, უნაგირზე ტყვიამფრქვევი „მაქსიმი“ გადაუკიდებია. ოთხასი წლის უკან გამოვიგონეთ საბეჭდი წნეხი და შეგირდობის გრძელი გზაც გამოვიარეთ. — ხრახნებით დამაგრებული ხის საბეჭდი დაფებიდან მოყოლებული — ბერკეტიან წნეხებამდე, ორთქლის წნეხამდე, ელექტრონულ წნეხამდე, სანამ თანამედროვე იაფსა და სწრაფ ბეჭდვას არ მივაღწიეთ. აღმოსავლეთში გვერდიგვერდ არსებობენ დღითიდღე სიდუხჭირეში ჩავარდნილი გადამწერი და ლინოტიპი. მასობრივი ბეჭდვა აზიაში უკვე მზამზარეული სახით შევიდა. ასეთია საქმის მატერიალური მხარე. აზიამ ოცდაათ წელიწადში გაიარა ის გზა, რასაც ჩვენ ასწლეულები მოვანდომეთ. რასაკვირველია, ყველაფერი ვერ მოირგო, როგორც ეს დაემართა რუსეთის ზოგიერთ ტერიტორიას, ბალკანეთის ქვეყნების ნაწილს, ჩრდილოეთ ამერიკის ბევრ რაიონს. მაგრამ მთავარია, რომ მან ეს გააკეთა და ტბის სკოლის პოეტებისა და დამარტინის აზია საბოლოოდ ჩაბარდა წარსულს. ამის დაუნახაობა შეუძლებელია. ზოგი ჩვენთაგანი, ვისთვისაც შუა საუკუნეები ძვირფასია, ამას დანაკარგივით მისტირის. მაგრამ ტირილი მხოლოდ პოზაა და სხვა არაფერი. დროს უკან ვინ დააბრუნებს? უფრო იოლია ისრების წინ წაწევა საათის ასაჩქარებლად. დღეს იმდენი ხალხი ცდილობს აზიის საათის წინ წაწევას, რომ უკვე შეუძლებელია მისი ბუნებრივი სიჩქარის გაგება, შესაძლოა, ამას მაშინ მივხვდეთ, როცა საათი გაჩერდება. მაგრამ, ასეა თუ ისე, მთავარია, მივხვდეთ, რომ ჩვენი დედამიწა სარბენი ბილიკია, რომელზედაც ერთმანეთს უსწრებენ ქვეყნები და კონტინენტები და აზია ამ შეჯიბრში ბეჯითად იყენებს ჩვენ მიერ დაგროვილ ცოდნა-გამოცდილებას.

შეიცვალა აზროვნება, შეიცვალა აზიის

ხალხების მორალი, თუმცა, ვინ იკისრებს ამის შეფასებას? აზიის მატერიალური წყობის ცვლილებებმა მოგვამზადა იმისათვის, რომ ყურაღღება მივაქციოთ სხვა დარგებში მიმდინარე ულრმეს ცვლილებებს — მზად ვართ თუ არა მათი სერიოზულობა ვირწმუნოთ? აზიაში იდეათა შეცვლა მოხდა — ხალხები პოლიტიკურ წარმომადგენლობებსა და პარლამენტზე ალაპარაკდნენ. არადა, ჩვენი მამების დროს ხომ მათ სასულიერო და მაღალი წრის მეუფენი მართავდნენ. დაფიქრებად ღირს, რამდენი საუკუნე დასჭირდა ინგლისს თემთა პალატის დასაფუძნებლად, რომ განგვაცვიფროს აზიის სიმკვირცხლემ: ქაიროსა და ბომბეიში — მუშათა მღელვარებებია, მექაში — საყოველთაო გაფიცვა, კონსტანტინოპოლში — პროფკავშირების კონგრესი. მას სწრაფად, ზედმიწევნით სწრაფად გადაედო ჩვენი სნეულებანი. თვითგამორკვევა? რასაკვირველია — დიახ! ეროვნებათა ლიგა? მათ ჩვენზე ნაკლებად არ აწუხებთ მისი პოლიტიკა. რას იზამ, ყველაფერი იცვლება. ჯერ კიდევ ომამდე შევამჩნიეთ: აზიის ქვეყნების პოლიტიკამ შეცვლა დაიწყო. გეგონებოდათ, მთელი მექანიზმის მამოძრავებელ ზამბარას მოსამართი გაუწყდაო და, აგერ, თამაშში ახალი მოტივები ჩაერთო. ჩვენი მამების დროს აღმოსავლეთი, განსაკუთრებით კი ახლო აღმოსავლეთი, ანუ აღლანეთის საზღვრებს მიღმა მდებარე მთელი ტერიტორია, ლოგიკურად გასაგები, მეტ-ნაკლებად ერთფეროვანი და ზედმიწევნით მარტივი იყო. სპარსეთი, თურქეთი, ეგვიპტე და მათთან ერთად სხვები წარმოადგენდნენ ოდინდელ ტრადიციულ სახელმწიფოებს, რომლებსაც სულთანი ანდა თავადები მართავდნენ, მეუფეთა უფლებები არავის ეეჭვებოდა, ხელისუფლება ღვთითბოძებულ სიწმინდედ მიიჩნეოდა, კანონმდებლობა კი სახელმწიფოებრივი რელიგიის დიქტატს ეყრდნობოდა. ამა ქვეყნების ქვეშევრდომნი, უპირველეს ყოვლისა, მუსულმანებად, ქრისტიანებად და წარმართებად იყოფოდნენ. და მხოლოდ შემდეგ, თუკი ამის საჭიროება წარმოიშობოდა, თავს აღიქვამდნენ თურქებად თუ არაბებად, თუმცა ამ საკითხში თავადაც საბოლოოდ არ იყვნენ დარწმუნებულნი — მთავარ როლს მაინც რწმენა თამაშობდა. ნუთუ ეს გვაძლევს საბაბს იმისას, რომ მათ ქედმაღლურად მოვეპყროთ? სულ ახლახან, ხელნაწერი წიგნებისა და საომარი მშვილდების ეპოქაში, მათგან ბევრად არ განვიდებიან. მხოლოდ დაახლოებით 1870 წლიდან აღვიქვით მიზიდულობა ახალი იდეისაკენ, რომლის სახელიც „ნაციონალიზმია". დასავლეთ ევროპელთა მიერ გამოგონილმა ამ იდეამ ნება-ნება შეაღწია სამხრეთ და აღმოსავლეთ ქვეყნებში და ყველგან, სადაც კი თავი შეჰყო, უწესრიგობა და ომები წარმოიშვა. ნაციონალიზმი — მშფოთვარე და მკაცრი სტიქიაა; შესაძლოა, მან არანაკლები სიცოცხლე შეიწირა, ვიდრე რელიგიურმა ომებმა, თუმცაღა, მისი ზეგავლენის ქვეშ შედარებით გვიან მოვექეცით, ეს სენი რაც უფრო ძველია, მით უფრო საშიშია. ბალკანეთსა და ირლანდიას, სადაც ამ სნეულებამ მოგვიანებით შეაღწია, განსაკუთრებით უჭირთ მისი გადატანა. ჩვენ, ვინც ეს სახადი შედარებით ადრე მოვიხადეთ, როგორც ჩანს, იმას მივაღწიეთ, რომ ამ ავადმყოფობის მიმართ იმუნიტეტს გამოვიმუშავებთ. ეტყობა, ეკონომიკური განვითარების იმ სტადიას მივადეეით, როდესაც ჯარი და მთავრობა მხოლოდ საქმიანი აქტივობის ნაწარმნი არიან. ნაციონალურმა საკითხმა, როგორც კამათის მიზეზმა, არსებობა შეწყვიტა. თუმცაღა, ყოველივე ამასთან ერთად, ეკონომიკურ მოტივებს შეუძლია შეასრულოს არანაკლებ დამანგრეველი როლი, ვიდრე ეროვნულსა და რელიგიურ იდეებს.

რაც არ უნდა იყოს, ახლო აღმოსავლეთი უკვე გარკვეულ ზღვარს გადასცილდა. ნაციონალზმის პირველი სიმპტომები თურქეთს გამოაჩნდა: მიდჰატ-ფაშამ[1] ისლამი-

---

1. აჰმედ მიდჰატ-ფაშა (1822-1883) 1878 წლის თურქეთის კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორი; 1872 და 1876-1877 წლებში დიდი ვეზირის პოსტი ეკავა. მოკლული იქნა სულთნის ბრძანებით.

სკენ მზერას თავი ანება და თურქეთის სამთავრობო კანცელარიის ენა ფრანგული სიტყვებით ააჭრელა. ეგვიპტეში არაბი-ფაშა[1] სათავეში ჩაუდგა არმიას და ხელისუფლებიდან ხედივისა და მისი თურქული გარემოცვის გაძევება სცადა. პირველსა და მეორე შემთხვევაშიც შედეგი გამაოგნებელი აღმოჩნდა: ეგვიპტეში ინგლისელებმა ტახტზე უცხოელი აიყვანეს, თურქეთში აბდულ-ხამიდი შეუდგა თვითმმართველობას; იგი ხელმძღვანელობდა პანისლამიზმის იდეებით — ისლამის იერარქიული კონცეფციით, რომელიც მოწოდებული იყო მიდჰატის იდეების გასაბათილებლად. პანისლამიზმის შესახებ სულთანმა შეიტყო ერთი გერმანული წიგნიდან, რომელსაც, შუა საუკუნეებში რომ ყოფილიყო გამოცემული, არც ხალიფატის რისხვა ასცდებოდა და — არც პაპის ტახტისა. თუმცა ამ იდეას დროებითი წარმატება ჰქონდა — იგი დღემდე სარგებლობს მხარდაჭერით ინდოეთის ზოგ-ზოგ ადგილსა და აფრიკაში. აზიაში რამდენიმე წელს მშვიდობამ დაისადგურა. ევროპამ ეს უბრალოდ მიიღო მხედველობაში, მაგრამ საკუთარ აზროვნებაში რაიმე ცვლილების შეტანა არც უცდია. ეს უმჯობესი იყო ჩვენთვისაც და აზიისთვისაც, როგორც ერთმა გერმანელმა შენიშნა, თუ იძულებულნი გავხდით და აზრი შევიცვალეთ, დაე, მან, ვინც ამის გაკეთება გვაიძულა, ამ უხერხულობისთვის საზღაური კიდევაც გადაგვიხადოს. ახალი იდეები არ მომკვდარა, არც შეეძლო სიკვდილი, ზედ აზიის კარიბჭესთან ხომ ბალკანეთი მდებარეობდა — ნაციონალიზმის მიკრობების გამოსაყვანი იდეალური საცდელი გარემო; და უკვე ოცი-ოცდაათი წლის შემდეგ სნეულება უკან დაბრუნდა, მაგრამ ახლა მისი მატარებლები აგიტატორები კი არა, შეთქმულები იყვნენ. სპარსეთი სავსე იყო მისთანებით. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი დასრულდა ამბოხებითა და მღელვარებით და გამოცხადდა კონსტიტუცია, რომლის შესრულებაც შეუძლებელი გახლდათ მისი მეტისმეტად წინააღმდეგობრივი ხასიათის გამო, მაგრამ კონსტიტუცია მოდური საგანი იყო, ყველა თავმოყვარე სახელმწიფოს რომ შეეფერებოდა და იგი სპარსეთმაც მოირგო, მაგრამ რა მოხდა, თუ „არ მუშაობდა“ და ვერც ერთმა სპარსელმა ვერ აითვისა? ასეა თუ ისე, აგერ უკვე ათი წელია, სპარსეთი კონსტიტუციით ცხოვრობს.

მერე თურქეთის ჯერიც დადგა. ამაზე ცოტა ადრე ინგლისელებმა ეგვიპტის პოლიტიკაში ჩაატარეს ერთგვარი, ერთობ უმნიშვნელო ცვლილებები, რომელსაც პოლიტიკური ორთქლის გამოსაშვები სარქველების როლი უნდა ეთამაშა. აბდულ-ჰამიდს[1], ლორდ კროშენის თუ სერ ელდონ გარსტისაგან განსხვავებით ერჩია უფრო მკაცრი გადაწყვეტილებანი, რის წყალობითაც ბოლომდე უმკლავდებოდა ნაციონალიზმის ზემოქმედებას, სანამ ამან თვით სულთნის ტახტიდან ჩამომგდებ აფეთქებამდე არ მიიყვანა. ასე მოულოდნელი დასასრული აღმოაჩნდა პანისლამიზმს: ისლამიზმის სამყაროს სულიერი და საერო მეუფე სატუსაღოში გამოკეტეს, შემდგომ კი ტახტზე უარი განაცხადა დეგენერატის სასარგებლოდ. ძველმა შელოცვებმა ძალა დაკარგა. რას იზამ, სწორედ ერთი კვირა დასჭირდა ახლით მათ შეცვლას. თურქეთმა გამოაცხადა, რომ ამიერიდან ყველა ხალხები ძმები არიან. ამ განცხადებით გამოსულ ახალთურქებს დაავიწყდათ სტატისტიკური მონაცემები და მოვლენათა მსვლელობამ უმალვე გამოააშკარავა მათი შეცდომა. ოსმალური იმპერიის ქვეშევრდომთა შორის თურქები უმცირესობას შეადგენდნენ: ოცდაათ-ოცდათხუთმეტ პროცენტს. მათი ბატონობის ქვეშ მყოფი ხალხები: ბერძნები, სომხები, ალბანელები, ქურთები, არაბები — მთელი ეს ჭრელაჭრელა ნარევი — მზად იყვნენ ძმობის ეს იდეა ელიარებინათ; მათ ჰერბერტ სპენსერი და

---

1. არაბი-ფაშა (1839-1911) ხედივის პროთურქული პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული 1879-82 წ. ეგვიპტის ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

1 აბდულ-ჰამიდი II (1842-1918) 1876-1909 წ. წ. თურქეთის სულთანი.

სხვა მისთანები მრავალი წლის უკან წაეკითხათ და ახლაღა გამოფხიზლდნენ: რასაკვირველია, თურქების თანასწორები იყვნენ და თავს მოვალედაც თვლიდნენ, შესაფერისი ძალ-ღონე ეხმარათ და ახალ ერაში შესასვლელად მათ მხარში ამოსდგომოდნენ. მილიონობით ადამიანმა იწყო გაერთიანება და განსჯა, როგორ აჯობებდა საერთო საქმის მოგვარება.

თავდაცვის გრძნობით შეპყრობილმა ენვერ-ფაშამ და მისმა კოლეგებმა ომის გაჩაღება გადაწყვიტეს. მათ პანთურქიზმის დოქტრინა წამოაყენეს. ნაწილი ფრანგული, ნაწილი კი გერმანული წიგნებიდან ამოკრეფილი ეს არეული მოძღვრება ამტკიცებდა, რომ ოსმანური იმპერია უეჭველად ჭეშმარიტად ოსმანური უნდა გამხდარიყო, რისთვისაც მის 1910 წლის საზღვრებს უნდა შეერთებოდა ყველა თურქულენოვანი ქვეყანა. ამან ახალ თურქებს მოუტანა ერთის მხრივ, ქვეყნის შიგნით საკმაოდ მრავალრიცხოვანი წრეების უკმაყოფილება, მაგრამ, მეორეს მხრივ, თურქული ინტერესების ზონაში აღმოჩნდა ჩართული ხივა და რუსეთის თურქესტანი. „მიუმხრობელი“ ქვეყნებისთვის თავი უნდა დაენებებინათ. დასაწყისისთვის იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრები „უცხო“ ხალხების საქმეში გარკვევა და მათი ერთიან ნაციად გამოჭედვა იყო საჭირო. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა: მიმდინარე ამბებს ევროპა ერთობ არაკეთილმოსურნე თვალით უყურებდა. შესაბამისად, მიღებულ იქნა ზომები, რათა მინიმუმამდე შემცირებულიყო სომეხთა და ბერძენთა რიცხვი, პარალელურად კი არაბების „დამუშავება“ დაიწყო. ეს უკანასკნელნი, ჯერ ერთი, არაბული ენიდან თურქულზე უნდა გადასულიყვნენ, მეორეც — ნაღდ ოსმალებად ქცეულიყვნენ. სწორედ ახალთურქთა მოგონილია ანდაზა: „თურქული ვირი ჯობია უცხოელ წინასწარმეტყველს“, რომელსაც უნდა მოეხდინა იმ ჭეშმარიტების დემონსტრირება, რომ ნაციონალიზმი ისლამზე მეტ პატივისცემას იმსახურებს. დაპყრობილმა ხალხებმა ენვერის „რბილი“ მმართველობა საკმაოდ მრისხანედ მიიჩნიეს და მთელ იმპერიაში ატყდა ჩურჩული, თანაც ერთობ გასაიდუმლოებულად, რომ მიმდინარე ამბები ეწინააღმდეგებოდა თვით ნაციონალიზმის პრინციპებს, რისთვისაც ხდებოდა, თურმე, ეს თვითნებობა. მობუზღუნეთა რიცხვი იზრდებოდა, უკმაყოფილონი ერთიანდებოდნენ და 1914 წლისათვის საიდუმლო საზოგადოებების მთელი ქსელი წარმოიქმნა. შეთქმულებმა მიზნად დაისახეს კონსტანტინოპოლისთვის ძალით გამოეგლიჯათ ადგილობრივი ავტონომიის უფლება. შეთქმულები მოქმედებდნენ სომხეთში, ქურთისტანში, სირიასა და მესოპოტამიაში. და ამ დროს ომიც დაიწყო.

ჯერ კიდევ ომამდე ნათელი იყო, რომ თურქეთი თავბრუდამხვევი სისწრაფით მიემართებოდა კატასტროფისაკენ, რის მიზეზიც თვით თურქების ჩამორჩენილობა იყო. თურქებს გააჩნიათ ორი განმასხვავებელი თვისება: უსიტყვო მორჩილების საბედისწერო ჩვევა და სახელმწიფოსათვის მსხვერპლად თვითშეწირვის თავგანწირული მზადყოფნა. პირველი იმაში გამოიხატება, რომ საკმარისია სადგურის რიარიაში ვინმემ ბრძანება გასცეს „დასხედით“, რომ უმალვე ყველანი სხდებიან. თურქული ხასიათის მეორე თვისებას ევროპელები არაერთხელ გადააწყდნენ. ამ ომის დროს: რომელიმე პოზიციაზე გამაგრებული თურქები მას სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ინარჩუნებდნენ. ამ ორი თვისების გამო იგულისხმება თურქებში მათი ერთგვარი ჩამორჩენილობა, რითაც მართლაც და გვარიანად გამოირჩევიან ამ ქვეყნის მკვიდრნი. თურქები შესანიშნავად უძღვებოდნენ მმართველობის საქმეს მანამ, სანამ ამისათვის მხოლოდ ხასიათის სიმტკიცე და ყოვლისშემძლე მუშტი კმაროდა. მაგრამ ჩვენს დროში, ტელეგრაფისა და უმაღლესი საგადასახადო მათემატიკის დროში, ეს თვისებები საკმაოდ არადამაჯერებლად გამოიყურება. მაგრამ საქმე მხოლოდ ის არაა, რომ თურქებმა დეგრადაცია განიცადეს. არა. ეს იმის ბრალია, რომ ჩვენ წავედით წინ და სწორედ ამი-

ტომ გამოიყურებიან ისინი ასე საცოდავად. ამიტომაც, თვით თავიანთ დონეზეც კი, თურქები იძულებულნი გახდნენ, ბატონობა დაეთმოთ სხვა რასებისათვის. მათი მმართველები გახდნენ ალბანელები, ბულგარელები, ჩერქეზები, ებრაელები, სომხები — ყველანი, ვინც გინდა, ოღონდ არა წმინდა სისხლის თურქები.

ძალაუფლება კი არა, თურქებს ვაჭრობაც ხელიდან გამოეცალა. ახლა ვაჭრობა — მთელი მეცნიერებაა, თურქებმა კი საკვაჭრო საქმეების წარმოება დაუთმეს უფრო საზრიან ხალხებს: ებრაელებს, სომხებს, არაბებს, მათ, ვინც ბუღალტერიასა და ეკონომიკაში ერკვევა. ასე და ამგვარად გადავიდა ქვეყნის სიმდიდრე, მისი მრეწველობა და ტექნიკური ბაზა არა — თურქების ხელში, თურქებს დარჩათ მხოლოდ ერთი მხარე, სადაც ისინი უპირატესობას ინარჩუნებდნენ — მახვილის ხმარება, რაშიაც მთელ ევროპაში ბადალი არ მოეპოვებოდათ, მაგრამ მახვილის ადგილი შაშხანამ, ქვემეხმა და თვითმფრინავებმა დაიკავა და ამ სიახლეთა გამო თურქეთის არმიის ეფექტურობის ფაქტორი ნულს გაუთანაბრდა. ასე აღმოაჩინეს თურქებმა, ახლანდელ ევროპაში ტვინი რომ ფასობდა და „დაბალი“ რასები, რომლებიც ჩვეულნი იყვნენ ჯერ დაფიქრებას და, შემდგომ, საქმის კეთებას, გამუდმებით მათი, თურქების ხარჯზე რომ მდიდრდებოდნენ. უწინდელ დროში ერთი მუჭა მრისხანე მხედრებიც კმაროდნენ, რომ მორჩილებაში ჰყოლოდათ ტრიპოლი და ალბანეთი, არაბეთი და სირია, მესოპოტამია და სასომხეთი. ახლა ყოველ პროვინციაში ძლიერი გარნიზონი იყო საჭირო. გარნიზონები მხოლოდ და მხოლოდ თურქებით ყალიბდებოდა. მხოლოდ ანატოლიელები იყვნენ იმპერიის ჭეშმარიტი ერთგულები. ჯარს ყოველწლიურად მიჰყავდა ახალგაზრდა კაცების უმეტესობა. მათგან შესანიშნავი რიგითები და სერჟანტები გამოდიოდნენ, მაგრამ პატრიარქალური კლასების წარმომადგენლები ოფიცრების როლში ვარგოდნენ. დღესდღეობით ოფიცერს წერა-კითხვაც უნდა სცოდნოდა, ცოტაოდენი მათემატიკაც და ფონდერ გოლცსაც ჩასწვდომოდა. ოფიცრების მოძებნა ისევ ქალაქელ კლერკთა შორის უხდებოდათ. მათ ვაჭრებისა და ჩინოვნიკების შვილებისაგან, დასავლური ცხოვრების წესს დაუფლებული ახალგაზრდებისაგან აგროვებდნენ — იმათგან, ვისაც შესისხლხორცებული ჰქონდა მთელი ბიზანტიური ბიწიერება, ვისაც უკიდურესად ეზიზღებოდა ტეტიაობა და ხელქვეითი ჯარისკაცები; ამ ოფიცრებს მხოლოდ საკუთარი განცხრომა აინტერესებდათ, დანარჩენს არაფრად აგდებდნენ. მათი ჯარისკაცები ასობით იღუპებოდნენ სხვადასხვა ეპიდემიის, ანტისანიტარიის, ცუდი კვებისა და უბედური შემთხვევებისაგან. ასე დაიწყო ჯარმა თურქი ახალგაზრდების განადგურება. შობადობა ანატოლიაში მკვეთრად დაეცა — აშკარა იყო, რომ თურქეთი „ჭკნებოდა“ და დაძაბულობისაგან კვდებოდა. იტალიისა და ბალკანეთის ომებმა მისი ისედაც უიმედო მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა.

ყველაფერი კატასტროფის მოახლოებას იუწყებოდა და აჰა, ომიც დაიწყო. ბოლოს წელიწადს სწრაფად განვითარებადმა აზიამ გააკეთა ისეთი თავბრუდამხვევი ნახტომი, რითაც ჩვენს შესაძლო მოლოდინს გადააჭარბა. ომის დროს ევროპა წინა აზიას შეესისხლხორცა. უხილავი წყალგამყოფის ერთ მხარეს გერმანიის ჯარი იდგა, მეორე მხარეს — მოკავშირეებისა. ერთმაც და მეორემაც დროულად იზრუნა მთელი სამინისტროების ასამოქმედებლად, თავიანთ განკარგულებაში ყველაფერი რომ გააჩნდათ, რათა გაეჩაღებინათ პროპაგანდა, რომლის ადრესატებიც აღმოსავლეთის ხალხები იყვნენ, ჩვენდა გემოვნებით ვბჭობდით ჯიხადის უფლებამოსილებასა და არაუფლებამოსილებაზე, რომელიც ღირსებას შემატებდა ნებისმიერ მუსულმანურ დიალექტიკას. ჩვენ ფიცს ვდებდით ცივილიზაციის უფლების, ადამიანურობის კანონების, საერთაშორისო უფლებების, ჟენევის კონვენციის, ჰააგის კონფერენციის სახელით. ჩვენ წავლეკეთ აზია სააგიტაციო ფურცლებით, კარიკატურებით, გაზეთებით,

ფილმებით, რომლებიც მოწოდებულნი იყვნენ იმისათვის, რომ აღმოსავლეთი გარკვეულიყო ჩვენს პაექრობებში და შეგნებულად დამდგარიყო ან ამ, ან იმ მხარეს. ასე ემართება ყველა მხატვარს, ჩვენს ნამოქმედარში, უპირველეს ყოვლისა, ჩვენვე გამოვისახებოდით. გაოგნებულ აზიელებს ჩვენი მოსმენის გარდა აღარაფერი დარჩენოდათ. ნებსით თუ უნებლიეთ მათ ჩვენი იდუმალი განზრახვების გაგება და მის არსში ჩაწვდომა დაიწყეს. მართალია, ყველაფერი არ მოსწონდათ, მაგრამ ბევრი რამ ისწავლეს. განსაკუთრებით გულში ჩაუვარდათ ის იდეები, რომელთა გამოც ჩვენ ყველანი ვიბრძოდით (ჩვენგან და ჩვენი მოწინააღმდეგეებისაგანაც მათ თითქმის ერთი და იგივე ესმოდათ). მათი გაგებით, ის, რაც უამრავი მოწმის ფიცით დასტურდება, შეუძლებელია, ტყუილი ყოფილიყო. მაშასადამე, მთელი ეს იდეალები — თავისუფლება, ადამიანურობა, კულტურა, ერთა თვითგამორკვევა — წარმოუდგენლად ძვირფასი იყო.

დასავლეთში თვლიან, რომ, რაგინდ უხეში და ბოროტიც არ უნდა იყოს სამხედრო პროპაგანდა, მის უკან უეჭველად უნდა იდგეს იდეათა და პრინციპთა ნაკრები. მაგრამ ამასთან ჩვენ, ინგლისელები, აბსტრაქტულ იდეებს იშვიათად თუ ვაყალიბებთ პირდაპირ. უფრო ჭკვიანურია ერთგვარი ილუსტრაციის შეთავაზება, მოაზროვნე კაცი თავად შესძლებს საჭირო დასკვნის გამოტანას; მხოლოდ სულელი ეთაყვანება მატერიალურ სახეს. აღმოსავლეთის ხალხები ბუნებით უფრო ფილოსოფოსები არიან, მით უფრო, რომ მათ იდეა მეტად აღელვებთ, ვიდრე მისი პრაქტიკული დანართი. ასეა თუ ისე, საკუთარ შეგნებაში წარმოქმნილი სიცარიელის აბსტრაქციით შევსება სწყუროდათ. გასულ საუკუნეში მათ ჰქონდათ რელიგია — სხეულისა და სულის კრედო. ის იყო მათი გზამკვლევი დღისითაც და ღამითაც. ამ შუქურაზე იყო აწყობილი მთელი ცხოვრება. აბდულ-ჰამიდის მცდელობამ, რაციონალურად მოექცია რელიგია და ისევე გაეჟღინთა ლოგიკით, რა რაოდენობითაც თეოლოგიით იყო გაჯერებული, იგი სრულიად გააცამტვერა. სულთნის დაცემასთან ერთად, რელიგიასაც გამოეცალა ბურჯი. აღმოსავლეთი კვლავაც მუსულმანური იყო, მაგრამ აღმოსავლური საზოგადოება უკვე ეროვნული საზოგადოება გახდა. ხალხი ახლა თავს ეგვიპტელებს, არაბებს თუ თურქებს უწოდებდა. გაზეთები, რომელთა რედაქტორებმაც დასავლურ იდეათა ზეგავლენით, რა ხანია, უარყვეს ისლამის ფორმალური დოგმები, მთელ მსოფლიოს ამცნობდნენ სამყაროზე ამ ახალ, ეროვნულ შეხედულებებს და მათ დაწვრილებით აშუქებდნენ. ერის იდეა გახდა ის აბსტრაქტული სტანდარტი, რომლის მიხედვითაც უნდა განსჯილიყო ამიერიდან ცხოვრებაც და პოლიტიკაც. ამ იდეამ შეცვალა რელიგიური მცნებანი და რწმენის სიმბოლონი და აგერ, თვით ომის მსვლელობისას, მუსულმანებმა იწყეს მუსულმანთა წინააღმდეგ ბრძოლა და ახალი იდეალის სახელით სიამოვნებით სწირავდნენ სიცოცხლეს. იმხანად, როდესაც ინგლისი მთელ აღმოსავლეთში მიმოფანტული თავისი სამფლობელოების დაცვისას მარცხისპირას აღმოჩნდა, ეროვნულ გრძნობათა მოზღვავებამ აზიაში ზენიტს მიაღწია. ყველაზე უკეთ ნაციონალიზმის სიმძაფრეს გავიგებთ არა იმ ფაქტის მეშვეობით, რომ ინდოეთის მუსულმანები თურქეთის მუსულმანების წინააღმდეგ იბრძოდნენ — ისინი იცავდნენ ინდოეთის უფლებას, რათა იგი ჩვენი იმპერიის პარტნიორი ყოფილიყო, არამედ იმით, რომ ისლამის სულიერი ცენტრის, მექას მცხოვრებლები ემირის, მექას შერიფის მეთაურობით, ვისი გვარიც თვით წინასწარმეტყველიდან იღებდა სათავეს, აუჯანყდნენ ხალიფას, კონსტანტინოპოლის სულთანს და არაბულად მოლაპარაკე მთელი აზიის მოსახლეობა აჯანყებულთა მხარეს დადგა. ეს იყო საბოლოო ტრიუმფი, ნაციონალიზმის პრინციპის აპოთეოზი, როგორც სამყაროსეული რელიგიის პრინციპის საპირისპირო პოლიტიკური მოძრაობის საფუძველთა საფუძველი, ეროვნულ განსხვავებულობაზე მაღლა მდგომი. გალი-

ლეველს კი არა, აზიის დაპყრობა პოლიტიკოსებს ერგო წილად.

მშვიდობა ჩამოდგა, მაგრამ ეროვნულ დულილს ბოლო არ უჩანდა. შეიცვალა ერთადერთი რამ, ეროვნულობის პრინციპის ალიარება, ახლა იგი უშიშარი, უფრო მეტიც, გონივრული გახდა. ეროვნული იდეის პირველი მომხრენი, ისინი, ვინც ფეისალთან ერთად გაიარა მთელი გზა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, გენერალ ალენბის ჯარის მხარდამხარ, თავს წირავდნენ არაბული მოძრაობის ღრმა რწმენით გამსჭვალულნი. გამარჯვებამ მათ სახელი მოუტანა და ეროვნული პროგრამის შეიარაღებული ბრძოლით რეალიზაციის დაუშვებლობის საკითხიც მოხსნა. ზავის დადებიდან ორი თვის შემდეგ მთელი სირია, სამხრეთიდან ჩრდილოეთის საზღვრამდე, ეროვნულმა მოძრაობამ მოიცვა; ეგვიპტემ ეროვნული დროშის ფრიალით მოაწყო აჯანყება ინგლისელთა წინააღმდეგ, ახალგაზრდა თურქი ოფიცრობა კი, რომელთა აზრით სულთანის დრო წარსულს ჩაბარდა, და მისი პოლიტიკა — უნიჭო, ხოლო ევროპული ორიენტაცია — უპერსპექტივო იყო, მის წინააღმდეგ გამოვიდა ძველის ნანგრევებზე ახალი თურქეთის ბრძოლით შესაქმნელად. მერე რა, თუ თურქეთმა თავისი ევროპული პროვინციები დაკარგა; რას იზამ — დაიკარგა არაბული პროვინციებიც. ჰა და ჰა, ჩრდილო-აღმოსავლეთში სომხური პროვინციებიც ხელიდან გამოეცლებათ, კი ბატონო. სმირნის დაკარგვის საშიშროებაც გაჩნდა — სმირნასაც იქით ჰქონია გზა. ეროვნული მომავლის ახალი კონცეფციის თვალთახედვით, თურქეთისათვის მნიშვნელოვანი იყო ანატოლიის მიწები — მარმარილოს ზღვიდან ზედ კასპიის ზღვამდე. ოდესღაც, მომავალში, თურქები კასპიის ზღვასაც გადაჰკვეთენ და თავიანთ ალიანსს შეუერთებენ თურქესტანის თურქმენებს და თანდათან, თურქულად მოლაპარაკე მთელი ხალხები, ზედ ჩინეთის საზღვრამდე, თურქეთის ორბიტაში ჰათრეულნი აღმოჩნდებიან. ეს იყო ლოგიკური განვითარება პანთურქიზმის დოქტრინისა, მთელი მისი ჭეშმარიტი დიდებულებით, ოღონდ ჩირქმოცხებულისა დაპყრობილი ხალხების დათრგუნვის ენვერისეული პოლიტიკით. ახალი პარტიის ლიდერი გახდა მუსტაფა ქემალი — ახალგაზრდა, პატივმოყვარე, ჭკვიანი და ხარბი მოსამსახურე კაცი, მან იჩქარა და თავი მთელი აზიის თურქული ხალხების ბელადად გამოაცხადა. თურქეთს თვითონვე შეეძლო თავის რჩენა, მას არც ბერძნული არმიის შეტევები აშინებდა და არც მოკავშირეთა ბლოკადა, საჭირო იყო მხოლოდ აღმოსავლეთის ფლანგზე რუსეთთან მოლაპარაკება. მანამდე, ჯერ იტალიასთან სცადა საქმის გარკვევა, შემდგომ — საფრანგეთსა და ინგლისთან, მაგრამ აღმოჩნდა, რომ პირველ შემთხვევაში მოლაპარაკება ბევრს არაფერს აძლევდა, მეორეში — ერთობ დიდი საფასურის გადახდა უწევდა, მესამეში — პარტნიორები ყოველი მოქმედების ლეგიტიმირებას ითხოვდნენ. ამჟამად იგი ბლოკირებულია ბერძენთა მიერ ეგეოსის მხრიდან და არჩევანის წინაშე დგას: ან ბერძნულ არმიას უნდა დანებდეს, ანდა რუსეთთან მეგობრული ხელშეკრულება დადოს. ეს უკანასკნელი შესაძლოა მისთვის კრახით დამთავრდეს, რის მიზეზიც თურქეთის შიდა ბრძოლებია: ქვეყნის ინტერესების საკეთილდღეოდ მუსტაფა ქემალს თავისი მომხრენი უყოყმანოდ გასწირავდნენ, რუსეთთან კავშირი თურქეთს ოცდაათიოდე წლით მაინც დაავიწყებდა თურქესტანის ავტონომიაზე ოცნებას და იგი მხოლოდ ანატოლიის ტერიტორიის ფარგლებს უნდა დასჯერებოდა. გარეკოლონიებდაკარგული, შიდა ომების წარმოებისაგანაც აუცილებლად განთავისუფლებული, დამოუკიდებელ ტერიტორიებზე გარნიზონების შენახვას შესძლებდა და, ალბათ, მოსახლეობის საგრძნობი მატების ხანაც დაუდგებოდა.

არაბების ბედის წინასწარმეტყველება უფრო ძნელია, ვიდრე თურქებისა. მათი აზროვნება ბევრად განვითარებულია. ინტელექტის დახვეწილობის წყალობით უფრო ღრმა დაფიქრებით, პრაქტიკულობით გამოირჩევიან, რის მეოხებითაც შეუძლიათ „შექმნა“, მაგრამ მათი ინტელექტი,

იმავდროულად, იოლადფეთქებადიცაა და მიდრეკილება აქვს ნგრევისკენაც. მათ არ ჰყოფნით თანმიმდევრულობა, შეუპოვრობა, ორგანიზებულობა, ისინი განწირულნი არიან მონები იყვნენ საკუთარი, წყალივით ცვალებადი ზეშთაგონების, თუმცაღა მის საუკეთესო თვისებებსაც ფლობენ: ყველაფერს ჩასწვდნენ და, ნიაღვრის მსგავსად, ყოველგვარი წინააღმდეგობა გადალახონ. ისტორიის დასაბამიდან ოცჯერ მაინც დააარსეს საკუთარი სახელმწიფოებრიობა და საკუთარი მიღწევებით დაქანცულებმა, იმავე სახელმწიფოს დაქცევის ნებაც მისცეს. მაგრამ ვერ იპოვით თუნდაც ერთ მოწმობას იმისას, რომ ისინი ოდესღაც რაიმე გარე ძალას გაეტეხოს — მხოლოდ განუწყვეტელი წარმატება იყო მიზეზი მათი დაცემისა. მათი ისტორია, ისტორია მოქცევისა და მიქცევისა, ძალზე მნიშვნელოვანია იმის გასაგებად, თუ რა ხდებოდა ყველა იდეათა სადნობ ამ ქვაბში, ამ ადგილებში, სადაც იშვება მთელი წინასწარმეტყველება — ანუ უდაბნოში. შიშველი სივრცე უსათუოდ განაწყობს მის მკვიდრთ ირწმუნონ არსებობა ერთადერთი და ყოვლისშემძლე ღმერთის, საპირისპიროდ მწირი ბუნებისა და ასევე მწირი ცხოვრებისა, საიდანაც განდევნილია ყოველივე ზედმეტი; ყველაფერი, რაც ხელს შეუშლის მჭვრეტელობას. ყველა არაბული მოძრაობა სათავეს უდაბნოდან იღებს, ხოლო იქიდან გამოტყორცნილი, ჩვეულებისამებრ, სირიისაკენ მიემართება. ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ თუმცა ყველა წინასწარმეტყველი უდაბნოში წასვლით იწყებს, არც ერთი მათგანი უდაბნოს მკვიდრი არ არის. ყველა ისინი ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებნი გახლავან და სწორედ იქ ეწვევა ხოლმე მათ თავდაპირველი ზეშთაგონება. განგების ხელი ურევია იმაშიც, რომ დამოუკიდებლობისა და თვითმმართველობის მოთხოვნებით წარმოებული ამჟამინდელი არაბული აჯანყებაც უდაბნოში დაიწყო. მანაც ტრადიციული გზა აირჩია — გზა დამასკოსაკენ, რომელიც, დასაბამიდან, ყოველი ახალი მოძრაობის პირველ ცენტრად ითვლებოდა. მისი შემდგომი ეტაპი დამთავრდა ფეისალის მიერ დამასკოს დაპყრობით. თუმცა ეს სულაც არ იყო არაბული მოძრაობის დასასრული. სემიტური სახელმწიფოების სიმძიმის ცენტრი და ცხოვრების შუაგული ყოველთვის იყო ბაღდადი. გასაგებ ეკონომიკურ და დემოგრაფიულ მიზეზთა წყალობით. სირია — ღარიბი ქვეყანაა, პატარა, მთა-ბორცვიანი, გვალვიანი, მწირი მინერალებითა და სახნავ-სათესი მიწებით. იგი არასოდეს გახდება მჭიდროდ დასახლებული მხარე, რაც შეეხება მესოპოტამიას — მასზე მიედინება რამდენიმე დიდი მდინარე, რომელთა ნაპირებზედაც გადაჭიმულია თვალუწვდენელი სარწყავი მიწები. მესოპოტამიის სიმდიდრე — ხორბალი და ბამბაა, ამას გარდა, ბუნებამ დააჯილდოვა იაფი საწვავის მარაგით. ასეთ ვითარებათა გამო, უეჭველია, მომავალში სათავეში ჩაუდგება არაბულ სამყაროს, — რაც წარსულშიც არაერთხელ მომხდარა. დამასკო ამჟამად, ბაღდადთან შედარებით, დროებით უპირატესობით სარგებლობს, თუმცაღა სწორედ ამ უკანასკნელს ეკუთვნის პირველობა არაბულ სამყაროში: მესოპოტამიის მოსახლეობა[1] ხუთჯერ აღემატება სირიის მოსახლეობას, ხოლო ამ ორი ქვეყნის სიმდიდრე, არც მეტი, არც ნაკლები, უთანაზომოა. მესოპოტამია იქნება აღმოსავლეთის ჭეშმარიტი მბრძანებელი და ამ ქვეყნის მოვლენათა წარმმართველი და მაკონტროლებელი ძალა, მეზობლებსაც დაიქვემდებარებს <. . .>

სპარსეთის მომავალი ჯერჯერობით უცნობია, ომამდე ქვეყანა დიდ ბრიტანეთსა და რუსეთს შორის გასაყოფად იყო განწირული. ომის დროს ერთგვარად დაზარალდა თურქთა თავდასხმებისაგან და გერმანიასა და ინგლისს შორის გამძვინვარებული პროპაგანდის არენად იქცა. რუსეთის რევოლუციამ, ასე თუ ისე, დიდ სახელმწიფოთა შორის ქვეყნის დაყოფის

---

1. ლოურენსს მხედველობაში აქვს ამჟამად ერაყის შემადგენლობაში შესული ტერიტორიები.

პრობლემა მოხსნა. ინგლისი აღმოჩნდა ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც შეეძლო სპარსეთი ეხსნა პოლიტიკური გაკოტრებისა და ანარქიისაგან, რათა შემდგომ შეზღუდული თვითმმართველობის გზას დასდგომოდა. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეებმა ჯეროვნად ვერ შეაფასეს სიტუაცია, რომლის შედეგადაც დაიდო შეთანხმება, რომელიც გასაქანს აძლევდა თავისუფალ და მიკერძოებულ ახსნა-განმარტებას, არა მარტო „მსოფლიო საზოგადოებრიობის“ მხრივ (მუდამ მზად რომაა, შეცდომაზე წაგიჭიროს), არამედ თვით სპარსელების მხრივაც. ამის შედეგად, ქვეყნის შიგნით ზურგი გვაქციეს პროგრესულმა ელემენტებმა — დახმარების იმედით მათ მზერა მიაპყრეს ჩრდილოეთით, რუსეთს. ეს დახმარება მართლაც მოდიოდა, მაგრამ ჰომეოპათური დოზებით და „შეურიგებლებმა“ გადაწყვიტეს, ინგლისის იქ ყოფნის აღსაკვეთად აქტიური ზომები მიეღოთ. ქვეყნიდან ჩვენმა წამოსვლამ მათ გამარჯვებულად აგრძნობინა თავი: ახლა უეჭველია რომ სპარსეთი გაერთიანდება ან ეროვნული მთავრობისა და ჩვენდამი მტრულად განწყობილი ადმინისტრაციის მეთაურობით, ანდა, როგორც ეს ომამდე იყო, დაიშლება ნაწილებად, რომლებიც ნორმალურად აღიარებენ თავს სპარსეთის სუბიექტებად, მაგრამ ამასთანავე გაკონტროლდებიან ერთმანეთს შორის მებრძოლი პრორუსული და პრობრიტანული პარტიზანული რაზმების მიერ.

ეგვიპტე — მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის კიდევ ერთი დამოუკიდებელი ქვეყანაა, ვისი საზღვრებიც რუქაზე ომმა შემოხაზა. საომარმა მოქმედებამ და ამბოხებამ იმდენი ჰქნა, რომ ეგვიპტელებმა, დასაწყისისთვის თუმცა საკმაოდ ბუნდოვნად, ერთიან ხალხად თავის აღქმა დაიწყეს. ნაციონალისტებმა, თუმცა ქვეყნის ყველა მკვიდრი ასეთია, უარი თქვეს მუსულმანებად და ქრისტიანებად ადრინდელ დაყოფაზე და გაერთიანდნენ ერთობის, გეოგრაფიული მდებარეობის და ენის საფუძველზე. ისინი განთავისუფლდნენ ქაიროს ალი აზხარის მუსულმანური უნივერსიტეტის რელიგიური ზეგავლენისაგან, რომელიც პროთურქული და ანტიბრიტანული განწყობილების მთავარ საყრდენს წარმოადგენდა. ახალი ნაციონალისტები ამ სიძველით ნათელცხებულ ინსტიტუტზე შეტევის განხორციელებასაც კი აპირებდნენ, რამეთუ მიზნად დაისახეს მისი ხასიათი და ყოფა-ცხოვრება თანამედროვე ეგვიპტის საჭიროებას მიუსადაგონ. რაც შეეხება საზოგადოებაში ქალის მდგომარეობას და საერო განათლებას, თურქ ნაციონალისტთა მსგავსად, ისინიც მოწინავე შეხედულებებს იზიარებენ: ეგვიპტელთა პოლიტიკური თვალსაწიერი ჯერჯერობით საკმაოდ ვიწროა, ფაქტიურად იგი ნილოსის ნაპირებით შემოიფარგლება; მაგრამ ერთი რამ ცხადია, მოსახლეობის რიცხვის ზრდა და ქვეყნის სიმდიდრე მათ მალე იძულებულს გახდის, ბევრად უფრო შორს გაიხედონ, მერე კი პრობლემები ჩრდილოეთ აფრიკისა, რომელსაც დღესდღეობით იოლად აკონტროლებენ წვრილად დაქუცმაცებული ტერიტორიების წინააღმდეგობრიობის წყალობით, მეტად მტკივნეულ ხასიათს მიიღებს. ეგვიპტე —იმდენად ძლიერი კომპონენტია ახალ ჩრდილოეთ აფრიკაში, რომ მის მთავრობას შეუძლია წამყვანი როლი ითამაშოს რეგიონში, რომელიც არაბულ კონფედერაციაში მესოპოტამიის როლს შეედრება.

ჩვენთვის ასე თუ ისე საინტერესო, მცირე აზიაში ზღვით მოსული კიდევ ორი ეროვნების ხალხი გამოჩნდა. ლაპარაკია ზმირნაში დამკვიდრებულ ბერძნებსა და პალესტინაში გადმოსახლებულ ებრაელებზე. რაც შეეხება ბერძნებს, ისინი ამ მიწაზე მოვიდნენ როგორც დამპყრობლები, ანთებულნი სურვილით, შეენარჩუნებინათ ადრე თურქეთის კუთვნილი აზიის ტერიტორიის ეს გემრიელი ნაჭერი. ნაწილობრივ ბერძნებით დასახლებული, მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრია — ზმირნა, ხოლო ის, ვინც მას ფლობს, მთელი რეგიონის მდგომარეობაზეც მოახდენს ზეგავლენას. ასეთი იყო წინაპირობები, რამაც ბერძნებს ამ ავანტიურაზე წასვლა უბ-

იძგა. თუმცა არა მგონია, მათმა მოქმედებამ აზიის მომავალზე რაიმე სასიკეთო ზეგავლენა იქონიოს.

ებრაული ექსპერიმენტი სრულიად სხვა ხასიათს ატარებს. ეს გაცნობიერებული მცდელობაა ყველაზე ნაკლებად ევროპელი ხალხისა, გამხდარიყო საკუთარი ბედილბლის ბატონ-პატრონი და ასწლეულობით ხეტიალის შემდეგ დაბრუნებულიყო აღმოსავლეთში, იქ, სადაც მისი ფესვები იყო. დამპყრობლებთან ერთად რეგიონში, რომელიც ქრისტიანობამდე რამდენიმე საუკუნით ადრე მათ ეკუთვნოდა, მოდის ევროპელთა ტექნოლოგია და ცოდნა. გადმოსახლებულები ცხოვრებას აპირებენ არაბულად მოლაპარაკე ადგილობრივ მკვიდრთა გარემოცვაში — მსგავსი ეთნიკური წარმოშობის, მაგრამ სრულიად განსხვავებულ სოციალურ პირობებში მცხოვრები ხალხის გვერდიგვერდ, ახალჩამოსახლებულები იმედოვნებენ პალესტინის მკაცრ კლიმატურ პირობებთან შეგუებას და დროთა განმავლობაში — საკუთარი გამოცდილებისა და კაპიტალის წყალობით, ევროპულ სახელმწიფოთა მსგავსად, მის მაღალგანვითარებულ ქვეყნად ქცევას. პროექტის წარმატება უეჭველად ასწევს არაბთა ცხოვრებას მოსულთა დონემდე, თანაც ეს მოხდება საოცრად სწრაფად. შედეგს კი უდიდესი მნიშვნელობა ექნება მთელი არაბული სამყაროსათვის. პალესტინა, შესაძლოა, გახდეს ამ რეგიონში ტექნიკის ძირითადი მიმწოდებელი, რაც მას შესაძლებლობას მისცემს, არ იყოს დამოკიდებული მწარმოებელ ევროპულ ქვეყნებზე. და მაშინ არაბულ კონფედერაციას შესაძლებლობა ექნება გახდეს მსოფლიო წყობის არცთუ უმნიშვნელო ელემენტი. მერე რა, თუ ყოველივე ეს არაბებს მხოლოდ მომავალში, ერთი-ორი თაობის შემდეგ ელოდება; მთავარია, სწორედ ეს სურათი ჰქონდეს აღბეჭდილი გონებაში მათ, ვინც დასავლეთ აზიის იმპერიას უყრის საფუძველს. მომავალი აზიური იმპერია, უმეტესწილად, დამოკიდებულია სიონისტთა ცდებსა და რუსეთში მოვლენების განვითარებაზე.

საგულისხმოა დავაკვირდეთ, რუსეთში მიმდინარე ცვლილებათა კვალდაკვალ როგორ იზრდება მისი პოტენციური ზეგავლენა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ჩრდილოეთ აზია რუსეთმა ჯერ კიდევ ცარიზმის დროს დაიმორჩილა, მას ეკუთვნის აქ უზარმაზარი, შავი ზღვიდან ჩინეთის ზღვამდე გადაჭიმული ტერიტორია. ქვეყნის აზიური ნაწილი იმდენად მნიშვნელოვანია, ყველა საფუძველი არსებობს იმისა, რომ თვითონ რუსეთის რევოლუციაში აზიურ ფენომენს ვხედავდეთ. ყოველ შემთხვევაში, აზიისათვის ამ რევოლუციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მას შეუძლია აქ იგივე როლი ითამაშოს, რა როლიც ევროპაში ითამაშა საფრანგეთის რევოლუციამ, როცა მისი ტალღებით ზეაწეულმა ძალადობამ ერთიმეორის მიყოლებით გადაუარა კონტინენტს სამოცწლიანი ინტერვალებით. ნათქვამი სულაც არ ნიშნავს, თითქოს ლენინის მოძღვრება გამოძახილს ჰპოვებს აზიელ გლეხებში — მას თვით რუსი გლეხებიც არ თანაუგრძნობენ, მაგრამ ბოლშევიკების წარმატება აღმოსავლეთისთვის თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ შეიძლება დამხობილ იქნეს ძველი მთავრობა, რომლის ხელისუფლებაც ღვთიური უფლებებით იყო დამკვიდრებული, მთავრობა რომლისგან ჩაგვრასაც აზია მეტისმეტად მტკივნეულად განიცდიდა, ცარიზმის დამხობას ზეგავლენა არ მოუხდენია აზიის დაყოფაზე, ჩრდილოეთი რუსეთს ერგო, სამხრეთი — ინგლისს. ცვლილება შეეხო თვით რუსულ ზონას, თუკი რევოლუციამდე ის მხოლოდ ოლქი იყო, მეტროპოლიის აბსოლუტური ზეგავლენის ქვეშ მყოფი, ახლა იქცა „გავლენათა პლაცდარმად“, საიდანაც წარმოებს აგიტაცია გარეთ, სადაც სათავეს იღებს სხვა ქვეყნების „პროგრესული საზოგადოებრიობის“ ინტერესებისათვის მიმართული უამრავი აქცია. სავარაუდოა, რომ ამ საზღვრის შემდგომ მუდამ „ღიად“ ყოფნა უწერია, რათა მისი მეშვეობით მოხდეს ნახევრადლეგალური იარაღის შეტან-გატანა. მეფის მთავრობა ზრუნავდა აზიის მთებზე გადაჭიმული რუსეთის იმპერიის სამხ-

რეთ საზღვრების საგულდაგულოდ დაცვაზე და სასაზღვრო რაიონებში მიგრაცია თითქმის არ შეინიშნებოდა. ახლა მდგომარეობა შეიცვალა, აზიის პროგრესული ნაწილი ჩრდილოეთისაკენ ისწრაფვის და არა სამხრეთისაკენ. ამგვარად, არა იმდენად რუსეთის მთავრობაზეა დამოკიდებული სპარსეთის, ანატოლიის, უფრო ნაკლებად კი სირიისა და მესოპოტამიის მომავალი, რამდენადაც კერძო პირებზე, რომლებიც იზიარებენ რუსეთის სახელმწიფოს ანტიიმპერიალისტურ პოლიტიკას და საკუთარი შიშისა და რისკის ფასად ყოველნაირად ცდილობენ ამ შეხედულებების პოპულარიზებას სამხრეთ აზიაში. რაც შეეხება საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკებს, მათი დამოკიდებულება, ალბათ, მარადიული არ იქნება და ისინი აშკარად დაადგებიან პრორუსული პოლიტიკის გზას.

ასეთია თანამედროვე სიტუაცია: პოლიტიკაში შეგნებული, ლოგიკურად დასაბუთებული ნაციონალიზმი გახდა დასავლეთ აზიაში მომხდარი ყველა მოძრაობის გაბატონებული ფაქტორი. ეს ფაქტორი იმდენად გლობალური ხასიათისაა, რომ შეუძლებელია ვიმედოვნებდეთ, რომ მისი ნეიტრალიზება მოხერხდეს და იმდენად ვრცელი სივრცის ცხოვრებას განსაზღვრავს, არც მის დროებით ხასიათზე საუბარი შეიძლება. იმისათვის უნდა ვიყოთ შემზადებულნი, რომ ასე დიდხანს გასტანს, რომ ნაციონალური გამოსვლები კვლავ და კვლვა იჩენს თავს ყოველ სადაო რაიონში, სანამ არ გაივლის საკმარისი დრო იმისათვის, რათა პროცესმა ახალ, უფრო მაღალ სტადიას მიაღწიოს. ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი დასავლეთ აზიის სახის იმდენად რადიკალური ცვლილების მოწმენი გავხდით, რომ ახლა მთელი ჩვენი მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკის გადასინჯვაა საჭირო. უნდა ვეცადოთ იგი ისეთნაირად შევასწოროთ, რომ ყველა კონსტრუქციულმა ძალამ, ვინც ამ ცვლილებებშია ჩათრეული, ჩვენში მოკავშირე დაინახოს.

ახალი იმპერიალიზმი — ეს არც კოლონიიდან წასვლას და არც ჩვენს მისიაზე ლაჩრულ უარის თქმას ნიშნავს. ახალი იმპერიალიზმი ჩვენგან მოითხოვს აქტიურ მოქმედებას: ჩვენ უნდა შევამზადოთ ადგილობრივი მოსახლეობა საკუთარ მომავალზე პასუხისმგებლობისათვის. თუმცა, ეს პასუხისმგებლობა განეკუთვნება საგანთა იმ გვარს, რომელსაც ყველა ეძებს, მაგრამ მისი მოპოვება არავის უხარია. ხალხის მიერ იმ ფაქტის შეგნება, რომ მას თავადვე შეუძლია თავის დაცვა, პირველი საფეხურია საკუთარი თავის პატივისცემისა და ჩვენც უნდა მოვთხოვოთ აზიის მოსახლეობას, რომ თავადვე იზრუნონ თავდაცვაზე. საოკუპაციო ჯარების გამოყვანის შემდეგ მათი ადგილი ნაციონალური არმიის ნაწილებმა უნდა დაიკავოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობამ იარაღი მიიღოს და მისი ხმარების მეცნიერებას დაეუფლოს. ჩვენი ამოცანაა, ადგილობრივ მკვიდრთ შევასწავლოთ უამრავი რამ, ხანდახან ძალითაც კი უნდა გადავადგმევინოთ რამდენიმე ნაბიჯი, ამასთან, ჩვენ განზე უნდა ვიდგეთ და მხოლოდ რჩევებს ვაძლევდეთ. ასეთი როლი არაფრით ჩამოუვარდება მმართველის თუ ხელმძღვანელის როლს, როგორსაც ადრე ვთამაშობდით. უფრო მეტიც, ეს როლი უფრო დიდ მოთხოვნას გვიყენებს: იოლია ადამიანს უბრძანო, მაგრამ რამდენად ძნელია, რჩევა შეასმინო! და მით უფრო ძნელია, რამდენადაც თავაზიანი ფორმით ურჩევ. მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ ბევრი რამ ჩვენგან სრულიად განსხვავებული მეთოდებით და, ამასთან, ხშირად ძალზე არაეფექტურად გაკეთდება. მაგრამ თვით ადგილობრივი მოსახლეობისათვის უკეთესია, თავადვე გააკეთონ რაიმე, თუნდაც წარუმატებლად, მაგრამ მაინც თავად, ვიდრე ამას ჩვენ გავაკეთებთ დახვეწილად. ასე თუ მოვიქცევით, აღმოვაჩენთ, რომ ჩვენი ჭეშმარიტი თანაშემწენი არიან არა ისინი, ვინც სავსებით გვემორჩილებიან, არამედ ისინი, ვინც ჩვენს წინააღმდეგ აქტიურ აგიტაციას ეწევიან, რამეთუ სწორედ ისინი არიან ხალხის ინტელექტუალური ბელადები და ისინი, არც ფილოსოფოსები

და არც მდიდრები, არამედ დემაგოგები და პოლიტიკოსები წაიყოლებენ ხალხს, ამასთან, ჩვენი მიზნები ერთმანეთს ემთხვევა. და დაე გვეგონოს, რომ სწორედ ასეთ ადამიანებს არ შეიძლება ვანდოთ ერთობ ძნელად დაწყებული კოლონიური სისტემის მართვის მშენებლობის გაგრძელება, მაგრამ განა ისინი ბევრად განსხვავდებიან ჩვენი მშობლიური თემთა პალატის წევრებისაგან? არადა, სწორედ მათ ხელთაა ჩვენი თავისუფლება. არ სურთ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება? ჩვენ ვუბიძგებთ მათ ამისაკენ, როცა ჩვენი ჯარების გამოსაყვანად მზადებას შევუდგებით. არ უნდა შეგვეშინდეს, რომ თავს დაიძვრენენ ჩვენი ზეგავლენისაგან, „გადაბარგდებიან“ სხვა უდიდესი სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ. ინგლისელები ხომ ყოველთვის იმსახურებენ სიმპათიებს იმათსას, ვისთანაც ძალზე ახლო ურთიერთობა არა აქვს და ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეედრება ბრიტანეთის იმპერიას სიდიდით — ჩვენ ვიცით, რას უნდა შევპირდეთ ჩვენთან შემოერთების მოსურნე პატარა ხალხებს. ეგვიპტე, სპარსეთი, მესოპოტამია — თუ მათ ამჟამინდელი ავტონომიის პირობების შენარჩუნებით დომინიონის სტატუსს შევაზავებთ — სიხარულით შემოგვიერთდებიან და ამ შემოერთების ფასი — ფულით თუ ჯარისკაცთა სიცოცხლით გამოხატული, იმაზე მეტი არ იქნება, რასაც ჩვენ ვიხდით იმაში, რომ იმპერიის შემადგენლობაში შემოდიან ავსტრალია და კანადა. ალტერნატივა იმაში მდგომარეობს, რომ აზიის ქვეყნები შევინარჩუნოთ ჩვენი ძალისმიერი ყოფნის თანდათანობითი შესუსტებით, სანამ არ მიხვდებიან, რომ ანარქია მეტისმეტად ძვირი ჯდება და, აი, მაშინ კი შევძლებთ წამოსვლას.

ნიკოლოზ ბერდიაევი

თარგმნა და კომენტარები დაურთო ზაურ კიღაძემ

წერილები

1. დემოკრატია და პიროვნება

I

ჩვენთან ახლა ცოტას ფიქრობენ საზოგადოებრიობის საფუძვლებზე. ჩვენი ცნობიერება მიმართულია ელემენტარული საჭიროებებისაკენ და ეს საჭიროებანი ფარავენ უფრო შორეულ პერსპექტივებს. მაგრამ ჩვენ უნდა მოვახდინოთ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა და ამისათვის კიდევაც უნდა ვიყოთ იდეურად მზად. ჩვენი საზოგადოებრივი მოძრაობა ღარიბია იდეებით და ძალიან ბევრი რამ აღიქმება როგორც თავისთავად ცხადი. რუსული ინტელიგენციისა და მეწინავე რუსული საზოგადოებისათვის დემოკრატიული იდეები და იდეოლოგია აღიქმებოდა როგორც თავისთავად ცხადი ჭეშმარიტება. დემოკრატიის იდეა არც არასდროს განიხილებოდა მთელი თავისი სირთულით, არც არასდროს გაიაზრებოდა კრიტიკულად, ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ბოროტება და სიცრუე ელემენტარულს, მარტივს ხდიდა ჩვენს აზროვნებას და წინააღმდეგობრივი მოვლენები ჩვენი გულისმომკვლელი სინამდვილისა უკვე აღიქმებოდა სიკეთედ და სინათლედ. ყოველი მეტად რთული საზოგადოებრივი აზრი გაუგებარი, უადგილო და საეჭვო ჩანდა. ჩვენთან მხოლოდ მარტივი და სწორხაზოვანი გადაწყვეტილებანი უყვართ. დასავლეთში დემოკრატიის პრობლემა და მისი დამოკიდებულება პიროვნების პრობლემასთან უკვე კარგა ხანს განიხილებოდა მეტად რთულად. ცხოვრებისეულმა ისტორიულმა პროცესმა მიიყვანა დასავლეთი ხსენებულ სირთულესთან და ბევრი რამ პრობლემატური გახადა. იქ მრავალი პოლიტიკური ფორმა გამოსცადეს და პოლიტიკური აზროვნება თითქოსდა დაიშრიტა. ჩვენ კი, რუსებს, გვჯაბნიდა დიდი პოლიტიკური ძალმომრეობა და ძალზე ცოტა ვცადეთ პოლიტიკურ მშენებლობაში. ჩვენი აზროვნების წიაღში გაიარა მეტად უკიდურესმა პოლიტიკურმა და სოციალურმა მოძღვრებებმა და ხანდახან ასე გვეგონა, რომ უკვე ანარქიზმსაც დავაღწიეთ თავი. მაგრამ ეს უკიდურესი პოლიტიკური და სოციალური მოძღვრებები ყოველთვის გამარტივებულად და ელემენტარულად გაიაზრებოდა. სწორედ ასეთი ელემენტარულობა და გამარტივებულობა ჩანდა დემოკრატიის იდეის ჩვენეულ გათავისებაში. ბევრ რუს ადამიანს, რომლებიც შეჩვეულნი არიან ჩაგვრასა და უსამართლობას, დემოკრატია წარმოუდგება რაღაც გარკვეულად და უბრალოდ — მან უნდა მოიტანოს დიდი სიკეთე, უნდა გაანთავისუფლოს პიროვნება. დემოკრატიის რომელიღაც უცილობელ ჭეშმარიტებას უნდა შეეცვალა ჩვენი ოდინდელი სიცრუენი და ამის გულისთვის ჩვენ მზად ვიყავით დაგვევიწყა, რომ რელიგია დემოკრატიისა, როგორც ის გამოაცხადა რუსომ და განახორციელა რობესპიერმა, არა მარტო არ ანთავისუფლებს პიროვნებას და არ განამტკიცებს იმის შეუვალ

უფლებებს, არამედ სრულიად თრგუნავს პიროვნებას და არ უნდა აღიაროს მისი ყოფიერების ავტონომიურობა. სახელმწიფო აბსოლუტიზმი დემოკრატიებში ისევეა შესაძლებელი როგორც ყველაზე უკიდურეს მონარქიებში. სახალხო ხელისუფლებას ისევე შეუძლია წაართვას პიროვნებას მისი შეუვალი უფლებები როგორც ერთმმართველობას. ასეთია ბურჟუაზიული დემოკრატია სახალხო ხელისუფლების ფორმალური აბსოლუტიზმითურთ. მაგრამ მარქსისეული სოციალური დემოკრატიაც ასევე მცირედ ანთავისუფლებს პიროვნებას და ასევე არ ითვალისწინებს მისი ყოფიერების ავტონომიურობას. სოციალ-დემოკრატების ერთ ყრილობაზე ასეთი აზრი გამოთქვეს, პროლეტარიატს შეუძლია, თითქოსდა, წაჰგვაროს მას შეუვალი უფლებები, ასე მაგალითად, თავისუფალი აზროვნების უფლება, თუკი ეს იქნება არსებითი პროლეტარიატის ინტერესებისათვის. ამ შემთხვევაში პროლეტარიატი განიხილება როგორც რაღაც აბსოლუტი, რომელმაც ყველაფერი უნდა იმსხვერპლოს. ყველგან ვხვდებით ჩვენ აბსოლუტიზმის მემკვიდრეობას, საზოგადოებრივსა და სახელმწიფოებრივში, ის არა მარტო მაშინაა ცოცხალი, როდესაც ერთია მეუფე, არამედ მაშინაც, როდესაც უმრავლესობის მეუფებას ვხედავთ. აბსოლუტიზმის ინსტინქტები და ჩვევები დემოკრატიზაციაშიაც გადავიდა, ისინი ბატონობდნენ ყველაზე უფრო დემოკრატიულ რევოლუციებში. დასავლეთში უკვე კარგა ხანია აწუხებთ უმცირესობის უფლებათა და პიროვნების უფლებათა საკითხი დემოკრატიის აბსოლუტურ მოთხოვნათა მიმართებისდა კვალად, როდესაც დემოკრატია არ ზღუდავს თავს პიროვნული სულის აბსოლუტური ფასეულობებით. ჩვენ არ შეგვიძლია გავიზიაროთ დემოკრატიულობის იდეის ფორმალური აბსოლუტიზმი, ის სხვა იდეებით უნდა შეიზღუდოს: რაოდენობრივ მასას არ შეუძლია განუყოფელი ბატონობა თავისთავად ინდივიდუალობათა, პიროვნებათა და ეროვნებათა ბედზე. ხალხის ნება უნდა აღიჭურვოს განსაკუთრებული პატივისცემით თავისთავადი ინდივიდუალობის ადამიანის სულის სასრულისუქონელი ბუნების მიმართ. ხალხის ნება არ შეიძლება გავიზიაროთ ფორმალურ-უშინაარსოდ როგორც ხალხის ნების აბსოლუტური უფლების მტკიცება, უმრავლესობის ნებას, მასობრივი რაოდენობის ნებას არ უნდა ჰქონდეს უფლება იბატონოს ყველანაირ მიმართულებაზე, ჰქნას ის, რაც ნებავს, რაც უნდა ის გასცეს და წაართვას. დემოკრატიაში არის თავისუფალი ადამიანური სტიქიონის საკუთარი ჭეშმარიტების, თავად ადამიანისა და კაცობრიობის იმანენტური ხელისუფლების მტკიცება. მაგრამ დემოკრატია უნდა იყოს სულიერებით შთაბერილი, დაკავშირებული სულიერ ფასეულობასა და მიზნებთან.

II

დემოკრატიის იდეა გაცნობიერებული და ჩამოყალიბებული იყო ისეთ ისტორიულ ეპოქაში, როდესაც ევროპული კაცობრიობის მეწინავე ფენის რელიგიოზური და ფილოსოფიური ცნობიერება ზედაპირზე იქნა ამოგდებული და მოწყვეტილი სიღრმეს, ადამიანის სულიერ საწყისებს და ადამიანის საზოგადოებრივ გარემოცვაზე გახდა დამოკიდებული. საზოგადოებრიობა კი მოწყდა ადამიანურ სულს, პიროვნების სულიერ ცხოვრებასა და მსოფლიო სულს, კოსმიურ ცხოვრებას. ადამიანი აღიარეს გარეგნულ საზოგადოებრივ არსებად, სრულიად განპირობებული საზოგადოებრივი გარემოთი. მაგრამ რადგანაც ადამიანის საზოგადოებრიობა იზოლირებული იყო მსოფლიო მთლიანობისაგან, კოსმიური სიცოცხლისაგან, და რადგანაც მეტისმეტად გაზვიადებული იყო საზოგადოებრიობის დამოუკიდებლობის მნიშვნელობა, ამიტომ შეიქმნა რაციონალისტური უტოპიზმი და მისი რწმენა სრულყოფილი,

საბოლოოდ რაციონალისტურად მოწყობილი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომელიც იქნებოდა დამოუკიდებელი ადამიანისა და მსოფლიო სულიერი საძირკვლებისაგან. სულიერ-რელიგიური ნიადაგი ჰქონდა არა დემოკრატიას, არამედ ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციას, რაც რეფორმაციის თემებში იშვა რელიგიური სინდისის თავისუფლების მტკიცების საფუძველზე. მაგრამ პრაქტიკულად ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია დემოკრატიულ რევოლუციებში, მასობრივ მოძრაობათა წიაღში ცოტათი თუ განხორციელებულა და იდევნებოდა უტილიტარულ-საზოგადოებრივი ინტერესებით. რუსეთში დემოკრატიის იდეის რეცეპცია მოხდა პოზიტივისტური და მატერიალისტური მიმართულებისა და შეგნების საფუძველზე და განცალკევებული იყო ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა იდეალისტური იდეისაგან. ჩვენთან სოციალური თანასწორობის პათოსი ყოველთვის თრგუნავდა პიროვნების თავისუფლების პათოსს. პიროვნების უფლებათა დამკვიდრება სულიერად და მორალურად არ უკავშირდებოდა პიროვნების მოვალეობებსა და პიროვნების პასუხისმგებლობას. სოციალური გარემოს უპასუხისმგებლო თეორია ზეიმობდა, რაც მხოლოდ პრეტენზიებს შობდა. პიროვნება იყო აღიარებული საზოგადოებრივი ცხოვრების პასუხისმგებელ შემოქმედად. ახალი ცხოვრების მოლოდინი ემყარებოდა მხოლოდ და მხოლოდ სოციალურ გარემოს, საზოგადოების გარეგნული სახის შეცვლას, და არა პიროვნებაში შემოქმედებრივ ცვლილებებს, არა ადამიანის სულიერი ცხოვრების, მისი ნების, მისი ცნობიერების, გარდასახვას. ხალხისა და პიროვნების ხასიათი სულაც არაა გათვალისწინებული ჩვენს დემოკრატიულ-სოციალურ მოძღვრებებში.

დემოკრატიულობის ამ იდეამ, რომელმაც ჩვენში მიიღო სწორხაზოვანი და მარტივი ფორმა, შვა მთელი რიგი ზნეობრივი შედეგები. განყენებულ-დემოკრატიულმა იდეოლოგიამ პასუხისმგებლობა მოხსნა პიროვნებას, ადამიანის სულს და ამიტომაც წაჰგვარა პიროვნებას ავტონომია და შეუვალი უფლებები. მხოლოდ პასუხისმგებლობით აღჭურვილი პიროვნებაა თავისუფალი და მხოლოდ თავისუფალი პიროვნებაა პასუხისმგებლობით აღჭურვილი. ჩვენს დემოკრატიულ-სოციალურ იდეოლოგიებში კი მთელი პასუხისმგებლობა და მთელი თავისუფლება გადაცემული აქვს მასების რაოდენობრივ მექანიკას. სწორხაზოვანი დემოკრატიული მეტაფიზიკა თითქოსდა არც მოითხოვს პიროვნულისა და ეროვნულის ხელახალ აღზრდას, ხასიათის გამომუშავებას, პიროვნული და საზოგადოებრივი ნების, შინაგანი სულიერი მუშაობის დისციპლინას. სწორედ ამის ნიადაგზე შეიქმნა მომთხოვნელობის მორალი, მიმართული საზოგადოებრივი გარემოსკენ, იმის მოლოდინის მორალი, რომ ცხოვრების ყოველნაირი სიმდიდრე გარედან მოვა. მთელი ცხოვრება გარეგნულად აღმოჩნდება ორიენტირებული და არა შინაგანად. ასეთი სახის დემოკრატიული მეტაფიზიკა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მასების აღბორგებას, აგიტაციებს, გარეგნულ გამოსვლებს და სულაც არაა გათვალისწინებული საზოგადოების ადამიანური მატერიის შინაგანი, არსებითი ცვლილებები. მოჩვენებითი და სრულიად გარეგნული საზოგადოებრივი ცვლილებები ასე იქმნება, ეს არის გამოყენებითი თვალსაზრისი და ყოველი არსებითი მიუწვდომელი რჩება, ხოდა, მნიშვნელოვანი ხდება მუშებისა და გლეხების ადამიანური განვითარება კი არა, არცა იმათი ადამიანური ღირსებებისა და ხარისხოვნების ამაღლება, არცა იმათი ძლიერების ზრდა, რომელიც ყოველთვის სულიერი ძლიერებაა, არამედ იმათთვის ისეთი პირობების შექმნა, როდესაც უთუოდ შესაძლებელი იქნება ესა თუ ის გამოსვლები, უტილიტარულად საჭირონი. სწორედ ეს არის დემოკრატიის მორალური გადაგვარების გზა. და მან უკვე მოგვცა კიდევაც თავისი სევდის მომგვ-

რელი ნაყოფი. მე ყოველთვის ვგულისხმობ არა დემოკრატიულ პროგრამულ მოთხოვნებსა და ამოცანებს, რომლებიც შეიცავენ რაღაც ჭეშმარიტებასა და სამართლიანობას, არამედ დემოკრატიის იმ განყენებულ სულს, იმ გარკვეულ საზოგადოებრივ მეტაფიზიკასა და მორალს, რომელშიც გარეგნული სჭარბობს შინაგანს, აგიტაცია — აღზრდას, მომთხოვნელობა — პასუხისმგებლობას, რაოდენობები — ხარისხოვნებას, მასების გამათანასწორებელი მექანიკა თავისუფალი სულის შემოქმედებას.

III

განყენებული, შეუზღუდავი დემოკრატია სულ ადვილად ხდება კაცობრიობის სულის მტერი. ამ განყენებულ-ფორმალური დემოკრატიის სულს, ყოველთვის გარეგნულისკენ რომ არის მიმართული, მტკიცედ უნდა დავუპირისპიროთ სხვაგვარი სული, ჭეშმარიტი სული ადამიანისა და კაცობრიობის, სული პიროვნებისა და ხალხისა. ეს სული, რომელიც არ უპირისპირდება დემოკრატიული პროგრამების ჭეშმარიტებას, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს ხელახალ პიროვნულ და საზოგადოებრივ აღზრდას, ნებისა და ცნობიერების შინაგან შრომას, ის საზოგადოებრიობის ბედს უქვემდებარებს ადამიანის პიროვნების, კაცობრიობის, კოსმოსის შინაგან ცხოვრებას. ეს სული მიელტვის ადამიანების ჭეშმარიტ კავშირს, და არა მათს მხოლოდ მექანიკურ შერწყმას. სოციალური შემოქმედება ითვალისწინებს შემოქმედებითს სულს, შეუძლებელია მისი არსებობა შემოქმედებითი სუბიექტის გარეშე. უკიდურესი დემოკრატიული მეტაფიზიკა იძულებულია უარყოს შემოქმედებითი სული, იგი ყველაფერს მექანიკური რაოდენობისაგან, გარეგნული ხარისხობრივი გადანაწილებისაგან მოელის, მასში არაა აღიარებული ინდივიდუალური ხარისხობრიობა. ამ გზაზე უარყოფილია პიროვნებათა სულიერი შერჩევის, პიროვნებათა ხარისხიანობისა და მოწოდებების, პიროვნული ვარგისიანობის უდიდესი მნიშვნელობა, პიროვნებას არ ეკისრება სრული უდიდესი პასუხისმგებლობა საზოგადოებრიობის ბედზე. პირიქით, გაგარემოს მთლიანად ეკისრება პასუხისმგებლობა პიროვნების ბედზე, მის ვარგისიანობასა და უვარგისობაზე. მაგრამ ჭეშმარიტად სახალხო თვითმართველობა, როგორც ადამიანური ენერგიის ორგანიზებული გამოხატულება, როგორც გამომჟღავნება ხალხის ხასიათისა, განაპირობებს პიროვნებისა და ხალხის თვითდისციპლინასა და თვითაღზრდას, ნებისყოფის წრთობას. ჭეშმარიტად სახალხო თვითმართველობამ საზოგადოებრიობის ბედზე პასუხისმგებლობა უნდა დააკისროს ადამიანსა და მის ძლიერებას, ხალხს. მაგრამ ხალხი არ არის მექანიკური უფორმო მასა, ხალხი არის რაღაც ორგანიზმი, რომელსაც აქვს ხასიათი, ცნობიერების დისციპლინა და ნებისყოფის დისციპლინა და იცის რაც უნდა. დემოკრატია, როგორც ფასეულობა, ეს არის ჩამოყალიბებული სახალხო ხასიათი, გარკვეული პიროვნება, ვისაც ძალუძს თავის გამჟღავნება ეროვნულ ცხოვრებაში. დემოკრატია ეს ორგანიზებული და ცხადლივ წარმოჩენილი ხალხის ადამიანური ბუნების პოტენციაა, თვითმართველობისა და ძალაუფლების მოპოვებული უნარია. ძალაუფლება შეუძლია მხოლოდ იმას ეპყრას, ვისაც თავის ფლობაც შეუძლია. პიროვნული და ეროვნული თავის ფლობის დაკარგვა, ქაოსის ზეობა არა მარტო შეარყევს დემოკრატიას, არამედ შეუძლებელსაც ხდის მას — ამას ყოველთვის დესპოტიზმთან მივყავართ. დემოკრატიის შექმნის ამოცანა ეროვნული ხასიათის შექმნის ამოცანაა, საზოგადოებრივი ცნობიერება, საზოგადოებრივი ნება მიმართულ უნდა იყოს პიროვნული წრთობის განმტკიცებისაკენ. სწორედ ეს მიმართულება არა გვაქვს ჩვენ. დემოკრატია ხშირად უკულმა ესმით — არ უკავშირებენ ხალხისა და პიროვნების ხასიათს. და ეს რეალურ საფრთხეს უქმნის

ჩვენს მომავალს. **რუსი ხალხი ჭეშმარიტ** თვითმმართველობაზე უნდა გადავიდეს, მაგრამ ეს გადასვლა დამოკიდებული უნდა იყოს ადამიანური მასალის ხარისხზე, ყველა ჩვენგანის თვითმმართველობის უნარზე. ეს კი მოითხოვს განსაკუთრებულ პატივისცემას ადამიანისადმი, პიროვნებისადმი, მისი უფლებებისადმი, მისი სულით აღბეჭდილი თვითმმართველი ბუნებისადმი. ხელოვნური დაძაბულობის **შექმნით შეუძლებელია თვითმმართველობის** უნარის ჩამოყალიბება. ანგარებიან და ბოროტი ინსტიქტებით მოცულ ბრბოს არ ძალუძს არც თავის, არც სხვების მართვა. ბრბო, მასა არ არის დემოკრატია. დემოკრატია ეს არის ქაოტური რაოდენობის გარდასახვა გარკვეულ თვითდისციპლინირებულ ხარისხად. ადამიანი ისევე როგორც ხალხი, უნდა გახდეს საკუთარი თავის ბატონ-პატრონი. რუსული დემოკრატიის ნაკლოვანებანი ჩვენივე მონობას გადმოჰყვა მემკვიდრეობით და ისინი უნდა გამოსწორდეს თვითმმართველობის პრაქტიკაში.

პიროვნულის, ხარისხიანობის, სულიერ-შემოქმედი საწყისების როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მესაძირკვლის **წინ წამოწევა ყველაზე ნაკლებადაა** ინდივიდუალიზმი. პიროვნებისა და ერის შინაგანი გარჯის მეშვეობით, ხასიათის ხარისხის გამომუშავების მეშვეობით მტკიცდება სულიერი სოციალურობა. სულ ყოველთვის ლაპარაკია არა მარტო ადამიანის, პიროვნების სულზე, არამედ საზოგადოების სულზეც, ერის სულზეც, რასაც დემოკრატიული მექანიკა ასე ცოტა ანგარიშს უწევს. განყენებული დემოკრატიზმი სულ მუდამაა ფორმალიზმი, მას არ უნდა იცოდეს ხალხის ნების, ხალხის გულის, ხალხის აზრის შინაარსი, მისთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ ფორმალური სახალხო ხელისუფლება, მაგრამ ხალხის ნების შინაარსი უკვე შინაგანი, უკვე სულიერი შინაარსია, გარკვეული მიმართულება სულისა. დემოკრატიულ ფორმალიზმსაც უთუოდ უნდა დავუპირისპიროთ ხალხის ნებისა და ხალხის ცნობიერების გარკვეული შინაარსი, მათი გარკვეული სიცხოველე. და მხოლოდ მაშინ დემოკრატიის სიმართლე, ადამიანური მმართველობის სიმართლე შეერწყმება სულის სიმართლეს, პიროვნებისა და ხალხის სულიერ ფასეულობებს. მთელი ძალით უნდა ვემზადებოდეთ იმისათვის, რათა არ გავიმეოროთ ძველი შეცდომები, არ მოვემწყვდეთ გამოუვალ მაგიურ წრეში, სულ მუდამ რეაქციას რომ წარმოშობს. დემოკრატია არ შეიძლება პრინციპში, იდეაში შეზღუდული იყოს წოდებრივი და კლასობრივი პრივილეგიებით, გარეგნულად საზოგადოებრივი არისტოკრატიებით, მაგრამ ის უნდა შეიზღუდოს ადამიანის პიროვნებისა და ერის სასრულისუქონელი სულიერი ბუნების უფლებებით, შეზღუდული იყოს ხარისხთა ჭეშმარიტი შერჩევით. სული ერისა დემოკრატიაზე უფრო ღრმაა და უნდა წარმართოს იგი.

ხელისუფლება არ შეიძლება ეკუთვნოდეს ყველას, არ შეიძლება იყოს მექანიკურად თანასწორი. ხელისუფლება უნდა ეკუთვნოდეს საუკეთესო, არჩეულ პირებს, რომლებსაც მოეთხოვებათ დიდი პასუხისმგებლობა და რომლებიც თავიანთ თავს აკისრებენ დიდ მოვალეობებს, მაგრამ ეს საუკეთესოთა ხელისუფლება უნდა იშვას ხალხის ცნობიერების შუაგული წიაღიდან, იმანენტური უნდა იყოს ხალხისათვის, მისი საკუთარი პოტენციალისათვის და არა რაღაც გარედან იმისთვის თავსმოხვეული, იმის ზემოთ მდგარი. დემოკრატიის ძალა არ შეიძლება იყოს აბსოლუტური, შეუზღუდავი ხელისუფლება, იგი შემოიზღვრება თავად იმის მიერ შექმნილი ხარისხოვნებით. დემოკრატიის იდეას უნდა დავუპირისპიროთ თვითმართველი ერის იდეა.

2. სიტყვა და რეალობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში

I

სიტყვას აქვს დიდი მეუფება ჩვენს ცხოვრებაში, სასწაულებრივი მეუფება. ჩვენ სიტყვებით ვართ მოჯადოებულნი და მნიშვნელოვანწილად იმათ სამეფოში ვცხოვრობთ. სიტყვები მოქმედებენ ვითარცა დამოუკიდებელი ძალის მქონენი, შინაარსისგან განთავისუფლებულნი. ჩვენ შეჩვეული ვართ სიტყვების წარმოთქმას და სიტყვების მოსმენას, თუმცა არ გვაქვს გათავისებული მათი რეალური შინაარსი და მათი სულიერი წონა. ჩვენ რწმენით ვღებულობთ სიტყვებს და უსაზღვროდ ვენდობით. მე ახლა უნდა გამცნოთ სიტყვების როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საზოგადოებრივ ცხოვრებაში კი პიროობითი, მაგრამ შემოჩვეული ფრაზეოლოგია* ზოგჯერ თითქმის აბსოლუტურ ძალაუფლებას იძენს. სიტყვა იარლიყები დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ძალაა. სიტყვები თავისთავად შთამბეჭდავი ხდება და მომაკვდინებელი! მგონი, თეკერეის აქვს ნათქვამი:

„მამაკაცებს საქმეები ჰკლავს, ქალებს კი — სიტყვები“. მაგრამ მამაკაცებიც ძალიან ჰგვანან ქალებს — მათაც ჰკლავთ სიტყვები. სიტყვები მასებს წინ მიუძღვება. ყოველ აგიტაციას, მნიშვნელოვანწილად, ესაჭირკვლება სიტყვების ძალმოსილობა, სიტყვების ჰიპნოზი. შემოჩვეული ფრაზეოლოგია მასების ინსტინქტებთანაა შედუღაბებული. ერთი მასისთვის უნდა ვიხმაროთ „მემარცხენე“ ფრაზეოლოგია, მეორისთვის — „მემარჯვენე“ ფრაზეოლოგია. დემაგოგებმა კარგად იციან, რომელი სიტყვები უნდა მოიშველიონ. სიტყვების ერთფეროვნება ამძიმებს საზოგადოებრივ ცხოვრებას. საზოგადოებისთვის ჭრაველისმთქმელია და დიდად ზემოქმედებს სიტყვები „მემარცხენე“, „მემარჯვენე“, „რადიკალური“, „რეაქციონერი“ და სხვა და სხვა. ჩვენ ამ სიტყვების ჰიპნოზით ვართ მოცულნი და უამიარლიყებოდ თითქმის ველარც კი ვაზროვნებთ. ამ სიტყვების რეალური წონა კი მცირეა და მათი რეალური შინაარსი სულ უფრო და უფრო მიაქვს ქარს. საზოგადოებრივ სიტყვათა ხმარებაში ნომინალიზმი მეფობს და არა რეალიზმი. მე მესმის, როგორ ამბობენ: ეს კაცი ძალიან „რადიკალურია“, ხმა მას მიეცით. ეს რადიკალური კაცი კი ადვოკატია, წელიწადში 20 000 მანეთის გამომუშავება აქვს, არც არაფრის სჯერა და არც არაფერს აფასებს, მისი რადიკალური ფრაზეოლოგიის მიღმა იმალება სრული საზოგადოებრივი გულგრილობა და უპასუხისმგებლობა. საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ადამიანის პიროვნული შესაბამისობა მეორე პლანზე გადადის პიროობითი, ერთფეროვნული ფრაზეოლოგიის წინაშე. ჩვენთან საერთოდ მცირეოდენ აფასებენ პიროვნულ თვისებებს და მათი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამით არც განისაზღვრება. სწორედ ამიტომ ძალიან ბევრია ყალბი რეპუტაციის მქონე, ბევრი სახელი სიტყვების ძალმოსილებამ შექმნა და არა რეალობამ. სიტყვათა ინერცია და პიროობითობა ხელს გვიშლის მივაკვლიოთ ნამდვილ ხასიათებს. საზოგადოებრივ ცხოვრებაში თითქმის სრულიად არ ხდება პიროვნული ხასიათების ბუნებრივი შერჩევა. ხოლო სახელმწიფო ცხოვრებაში ცხადლივ ირჩევენ გამოუსადეგარ და უხარისხო ხასიათებს. პიროობითი ფრაზეოლოგიის მეშვეობით ჩვენთან სულ ადვილ-

---

*** აქ: არაფრისმთქმელი, უფრო სწორად, მოჩვენებითი, ცრუ, ხშირად „დიდებული“ სიტყვები; პოლიტიკაში ხშირად დემაგოგიური, ხშირად დამანგრეველი, პიროვნული ან ვიწროპარტიული ინტერესების დასამკვიდრებლად მოყვანილი სიტყვები. როგორც წესი, ასეთ სიტყვათა შედეგი, ანუ რეალური საქმე, მდგომარეობა სრულიად არაადეკვატურია ან სულაც საპირისპირო და ა. შ. (მთარგმნელის შენიშვნა).**

ად ღრმა იდეურ, ზნეობრივად გამოწრთობილ ადამიანებს ლამის გარეწრებად გადააქცევენ, ცამდე აჰყავთ კი ის ადამიანები, რომლებსაც არც იდეა აქვთ და მოკლებულნი არიან ყოველგვარ ზნეობრივ წრთობას. ყველაზე უფრო მეტად ვერ იტანენ დამოუკიდებელი ორიგინალური აზროვნების ადამიანებს, რომლებიც შემოჩვეული ერთფეროვნული კატეგორიების მიღმა რჩებიან. ჩვენთან ხშირად ჰკლავენ ადამიანებს „რეაქციონერის“, „კონსერვატორის“, „ოპორტუნისტის“ და ა. შ. იარლიყების მიწებებით, თუმცა კი, იქნებ, ამის იქით იმალება უფრო რთული და ორიგინალური მოვლენები, რომლებიც ჩვეულებრივი კატეგორიებით ვერ განისაზღვრება. სხვა ბანაკში კი ჰკლავენ საპირისპირო სიტყვების დახმარებით. და ყველას ეშინია სიტყვებისა და იარლიყების.

მრავლის უმრავლესი ადამიანი ცხოვრობს არა რეალობითა და არა არსთა გათავისებით, არამედ საგნებს აღიქვამს გარესამოსლით, მხოლოდ სამოსელს ხედავს, სამოსელისღა მიხედვით მიეგებება ყოველს. რუსული ინტელიგენციის საზოგადოების უმეტესობა სიტყვათა ფიქციებითა და შესამოსელთა ილუზიებით ცხოვრობს. მართლაცდა, შემზარავია ინერციის მეუფება. თუკი ინერციათა და ჩვეულებათა, დასწავლილ კატეგორიათა ძალაუფლება დიდია ობივატელურ წრეებში, გასაგებიცაა და მისატევებელიც. მაგრამ ინტელიგენცია ხომ თავის თავს ფიქრის, აზროვნების მოწინავედ თვლის და არ ეპატიება ეს სიზარმაცე, მოდუნებული აზროვნება, ჩვევების მონამორჩილება, გარეცხოვრებით მიმძლავრება. ძნელია რეალობის გათავისება. ამისათვის საჭიროა სულის თავისუფალი ქმედება, თავისთავადი გამოცდილების გათავისება. ფიქციათა, სიტყვათა და საგანთა გარესამოსლით ცხოვრება ადვილია. ადამიანების დიდ მასას სჯერა სხვების შექმნილი სიტყვებისა და კატეგორიების, წურბელასამებრ დასწაფებიან სხვის გამოცდილებას: საკუთარ გამოცდილებას არც უკავშირებენ სიტყვებს, რომლებიც მაინც ცხოვრების ყველანაირი შეფასების განმსაზღვრელია. სიტყვები რეალურად შინაარსიანი იყო იმათთვის, ვისაც ჰქონდა საკუთარი გამოცდილება, საკუთარი ფიქრი, საკუთარი სულიერი ცხოვრება. მაგრამ იგივე სიტყვები შეიქნენ ნომინალური და უშინაარსონი იმათთვის, ვინც ინერციით, ჩვევებითა და მიმბაძველობით ცხოვრობს. ასეა რელიგიურ ცხოვრებაშიც, სადაც ბევრი იზიარებს სხვათა გამოცდილებას და ცხოვრობს წმინდა სიტყვიერი დოგმატიკით, ასეა საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც, სადაც დასწავლილი აქვთ პარტიული ლოზუნგები, ფორმულები და სიტყვების გამეორება ხდება თავისთავადი ნებისა და აზროვნების გარეშე. ამ ნიადაგზე იქმნება პოლიტიკური ფორმალიზმი და გაუთვალისწინებელია ადამიანთა ცხოვრების რეალური შინაარსი. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხომ ყველაფერია — ძალამოსილობა, სულიერი ენერგია, ადამიანთა და საზოგადოებათა ხასიათები, მათი ნებისყოფა, მათი შემოქმედებითი აზრები და არა განყენებული პრინციპები, ფორმულები და სიტყვები, რომელთა ფასი გროშია. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და არსებითია ადამიანები, ცოცხალი სულები, საზოგადოებრივი ცხოვრების უჯრედები და არა გარეგანი ფორმები, რომელშიც შეიძლება ჩაჭდეული იყოს ნებისმიერი შინაარსი. დემოკრატიული რესპუბლიკა*, სადაც ყველაფერი ლამაზ

***ცხადია, ეს ტერმინი, „დემოკრატიული რესპუბლიკა“, სხვა მნიშვნელობით არის მოყვანილი. დღეს ამ მხრივ უფრო ნათელი მდგომარეობაა. ამ საუკუნის დასაწყისში ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი იყო ადამიანის უფლებები და დიდი ყურადღება ექცეოდა „წმინდა გარეგან ფორმებს“, რომელთა მრავალგვარი ინტერპრეტირება ანარქიული პროცესების გამომწვევი ხდებოდა და კიდევაც გამოიხატებოდა „სასოების წამრთმევი მონობითა და ძალადობით“. ადამიანის უფლებების გაუ-**

ფორმულებსა და სიტყვებზეა აგებული, შეიძლება იყოს მთლად სასოების წამრთმევი მონობა და ძალადობა. ეს უკვე კარგა ხანია ცნობილია ევროპელთა მწარე ცხოვრებისეული გამოცდილებით და სწორედ ამას უნდა ესწავლებინა ჩვენთვის უნდობლობა წმინდა გარეგანი ფორმებისადმი და ძმობის, ერთობისა და თავისუფლების დიდებული ფრაზეოლოგიისადმი. ასეთივე ფორმალური და ასეთივე ნომინალური შეიძლება აღმოჩნდეს ყოველგვარი სოციალისტური წყობილება. აი, რატომ უნდა მივმართოთ მთელი ჩვენი ნება ჭეშმარიტი თავისუფლებისადმი, საზოგადოების უჯრედების გარდაქმნისადმი, შინაგანი ცხოვრების უმაღლესი ფასეულობების განხორციელებისადმი. ამ შინაგან პროცესს აუცილებლად მივყავართ საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საზოგადოებრივი სისტემის შეცვლისაკენ, მაგრამ ხსენებული პროცესი სულ მუდამ იქნება სახალხო ნების რეალური შინაარსისა და მიმართულების შესაბამისი.

II

ბევრი ფიქრობს, რუსეთის ჭირი ის არის, რომ რუსული საზოგადოება არ არ არის საკმაოდ ლიბერალური ან რადიკალური და ჩვენი საზოგადოების მარცხნივ, ტრადიციული გაგებით, გადახრისაგან ბევრს მოელიან. ჩვენი საზოგადოების ნაწილი ლიბერალური და მემარცხენეა, მაგრამ ხსენებული ლიბერალიზმი და მემარცხენეობა უძლურია და ძირითადად გამოხატავს ოპოზიციისეულ განწყობასა და აღშფოთებას. რუსეთის მთავარი ჭირი მემარცხენეობის ნაკლებობა კი არ არის, მემარცხენეობა შეიძლება ისე გაფართოვდეს, რომ რუსეთის საზოგადოებაში არავითარი ცვლილება არ გამოიწვიოს, არამედ ცუდი საზოგადოებრივი უჯრედებია, ნაკლებობაა ნამდვილი ადამიანებისა, რომლებსაც ისტორია მოუხმობდა რუსეთის რეალური, ჭეშმარიტად რადიკალური გარდაქმნების განსახორციელებლად, რუსული ნების სისუსტეა საზოგადოებრივი თვითაღზრდისა და თვითდისციპლინის ნაკლებობაა. რუსულ საზოგადოებას არ ჰყოფნის ხასიათი, უნარი შიგნიდან განსაზღვრებისა. რუს ადამიანს ძალიან ადვილად ინელებს „გარემო“ და გარემოებათა გამო ძლიერ განცდებს მიეცემა ხოლმე. „რადიკალები“ და „მემარცხენეები“ შეიძლება სრულიად უვარგისნი იყვნენ ახალი, განახლებული რუსეთისთვის. სიტყვათა წყობის ილუზიებს ნუ მივეცემით. მთავარი და არსებითია, როგორია თავად ადამიანი და ხალხი და არა ის, თუ როგორია სიტყვიერი ლოზუნგები და განყენებული პოლიტიკური ცნებანი.

ასე, მაგალითად, ჩვენი „მემარჯვენეები“ ვერ შექმნიდნენ ნამდვილ კონსერვატიზმს. ისინი უფრო დამანგრეველნი იყვნენ, ვიდრე რაღაც ფასეულობათა დამცველები. მემარჯვენეთა პატრიოტული, ნაციონალური და სახელმწიფო ფრაზეოლოგია — სიტყვები, სიტყვები და მხოლოდ სიტყვებია. ჩვენი მემარჯვენე წრეები მოკლებულნი არიან ნამდვილ სახელმწიფო და ნაციონალურ ცნობიერებას. ასეთი ცნობიერება შეიძლება ვნახოთ ცალკეულ პირებთან და არა საზოგადოებრივ ფენებსა და ჯგუფებში, ნამდვილი კონსერვატიზმის სრული უქონლობა რუსეთის ფატალური თვისებაა. „მემარჯვენე“ რუსეთი უკვე იხრწნება, ხოლო „მემარცხენე“ რუსეთი ჯერ კიდევ არ არის

თავისებლობა იწვევდა ასეთი „დემოკრატიული რესპუბლიკის“ მმართველთა უპასუხისმგებლობას. ნამდვილი დემოკრატია და თავისუფლება, ნ. ბერდიაევის აზრით, საყოველთაო პასუხისმგებლობის პირობებშია შესაძლებელი. აქ იგულისხმება რორგორც სახელმწიფოებრივი, ისე პიროვნული პასუხისმგებლობა. დღევანდელ საქართველოში ბევრს ლაპარაკობენ ნამდვილად დემოკრატიული სულიერების უკმარისობის შესახებ და ამისი მიზეზი ყველა დონეზე სწორედ პასუხისმგებლობის დეფიციტია (მთარგმნელის შენიშვნა).

საკმაოდ მომწიფებული. ჩვენთან ყველაფერი გვიან მოდის. და ჩვენ დიდხანს ვართ გარდამავალ მდგომარეობაში, რაღაც უმეფობის ხანაში.

რუსეთს, უპირველეს ყოვლისა, სჭირდება რადიკალური მორალური რეფორმები, თავად ცხოვრების თავწყაროს რევოლუციური განახლება. მაგრამ ვაი რომ განახლებაც შეიძლება იყოს ნომინალური და ფორმალური. დიდია სიტყვის ძალა რელიგიურ ცხოვრებაში. იარლიყებმა — „მართლმადიდებელი", „სექტანტი", „ახალი ცნობიერების ქრისტიანი" და სხვ. რეალური წონისათვის შეუფერებელი მნიშვნელობა შეიძინეს. „მართლმადიდებლური" ნომინალიზმი უკვე კარგა ხანია წამლავს ცხოვრებას რუსეთში. მემარჯვენე წრეების რელიგიური ფრაზეოლოგია უკვე დიდი ხანია საზიზღრად თვალთმაქცური და ფარისევლური გახდა. მაგრამ ჩვენ ვერ გვიშველის დამკვიდრება რაღაც „მემარცხენე" რელიგიური ცნობიერებისა, რომელიც საზოგადოებისათვის გარედან და ფორმალურად არის მისადაგებული. სახალხო ცხოვრების უჯრედთა სიღრმეში უნდა მოხდეს შიგნიდან ამომავალი რაღაც გადახალისება და მე მჯერა, ასეც ხდება, რუსი ხალხი სულიერად ცოცხალია და მას დიდი მომავალი ელის, გაივლის არეული ეპოქა. გარესამოსლის განძარცვისა და საგანთა ჭეშმარიტი არსის, ჭეშმარიტი რეალობების აღმოჩენის დროა. ჩვენი უდიდესი მორალის ამოცანაა — გადავიდეთ ფიქციებიდან რეალობაში, ვძლიოთ სიტყვათა ჰიპნოზს. სიტყვების წინაშე უშიშოდ ყოფნა დიდი სიქველეა. ამ გაბედულების დადებითი მხარე ყოველთვის სიმართლის სიყვარულია. სიმართლისმოყვარეობის პათოსი ხალხის უდიდესი პათოსია. ხოლო ჩვენი სიტყვების, ფორმულებისა და ცნებების მარჯვნივ, და შუაში მყოფთა გარშემო დაგროვდა მრავალი პირობითი სიცრუე და სიდამპლე. მართლაცდა, ჩვენ უნდა მოვახდინოთ დიდი რევოლუცია, ცრუ და ყალბი, ცარიელი და ქარწყლებული სიტყვების ფორმულებისა და ცნებების დამამხობელი რევოლუცია. აღარ უნდა გვეშინოდეს იარლიყებისა, რომელთა მიწებებაც ასე უყვართ, რათა ადამიანები სიტყვიერად აღამაღლონ ან დაამდაბლონ. სიტყვების მიღმა რეალობათა მიკვლევა არის საჭირო. ნამდვილი მიკვლევა კი აგრეთვე მრავალი არარაობისა და არარსებითის სიძულვილია.

ასე უნდა დასრულდეს საზოგადოებრივი ხასიათის დამოუკიდებლობის, დამოუკიდებელი საზოგადოებრივი აზრის მომწიფება.

III

ომის ტრაგედია საქმეებს სიტყვებზე მეტად ანიჭებს უპირატესობას — რეალობათა გამომზეურებელსა და ფიქციათა დამანგრეველს. ასე, მაგ., მემარჯვენე ბიუროკრატია თავისი ნაციონალური სახელმწიფოებრივი ფრაზეოლოგიით აშკარად ცხოვრობდა ფიქციებითა და ცარიელი სიტყვებით. ეს უკვე ცხადია. სიცრუე დამხობილია. ახლა უკვე კარგად ჩანს, ვინ არის ნამდვილი პატრიოტი, ვის უყვარს თავისი სამშობლო და მზადაა ემსახუროს მას. ნაციონალისტების*

*** დღეს შეიძლება ამ ტერმინის ნაცვლად ფაშიზმი ან ბოლშევიზმი, ან შოვინიზმი გვეხმარა (ჯერ კიდევ ვაჟა-ფშაველა 1910 წ. წერდა — „ნაციონალიზმი" მუდამ იქნება ჯანსაღი და არასდროს იგი შოვინიზმად, ფანატიზმად არ გადაიქცევა"), რადგან ცნება ნაციონალისტი სულ უფრო და უფრო ეროვნულის სინონიმად წარმოგვიდგება. მართლაცდა, ეროვნული ინტერესების გათვალისწინება სახელმწიფო მშენებლობის ქვაკუთხედია. მსოფლიოს თანამედროვე ცივილიზებული სახელმწიფოების (აშშ-ის, საფრანგეთის, ინგლისის, ისრაელის — ცხადია, ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება) სიძლიერის საფუძველი სწორედ ეროვნული ინტერესების დაცვაა, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ადეკვატური საშინაო**

სიტყვები ისტორიის სასწორზეა შეგდებული. გასულ ზამთარს იმძლავრა ცრუპატრიოტულმა განწყობილებამ, თვითკრიტიკას არ სწყალობენ, ხსენებული განწყობილება უპასუხისმგებლობა და გაუთავებელი თავის ქებაა. ზოგიერთთან ეს გამოიხატა რელიგიურ-სლავიანოფილური ფრაზეოლოგიის რესტავრაციით, უფრო ამაღლებული რომ არის; სხვებთან კი სახელმწიფოებრივ-ნაციონალისტური, უფრო ნაკლებად ამაღლებული ფრაზეოლოგიით. მაგრამ ყველა ეს განწყობილება აღგავა მოვლენებმა. ამ ზაფხულს დაიწყო აღმავლობა ნამდვილმა, ჯანსაღმა პატრიოტიზმმა, ამაღლდა საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელიც ყოველთვის თვითკრიტიკის შემცველია. სიტყვებსა და ფიქციებს რეალობა დაუპირისპირდა. არაჯანსაღი პატრიოტიზმი, რომელსაც სიმართლისა ეშინია და მიელტვის იმის სიტყვიერ იდეალიზაციას, რაც არის, იცვლება ჯანსაღი პატრიოტიზმით, რომელიც სიმართლეს უშიშრად უსწორებს თვალს და კიდევაც იცის მისი საქმნელ-გასაკეთებელი. სუნთქვაც ადვილი შეიქნა, თუმცა მოვლენები ავისმაუწყებელი და სევდისმომგვრელია. სიმართლე უნდა ვილაპარაკოთ და უნდა ვიბრძოლოთ სიმართლისათვის. ერთ დროს დამყარებულ სულისშემხუთველ ატმოსფეროში მხოლოდ ცრუ სიტყვები გაისმოდა, ხარობს მხოლოდ ფიქტიური იდეოლოგიები.

სიტყვების ფიქტიური ძალაუფლების დასამხობად საჭირო იყო სიტყვის თავისუფლება. არათავისუფლების ატმოსფეროში ზეობენ ცარიელი სიტყვები და ისინი შეუმუსრავია. სიტყვა თავისთავად ღვთაებრივია და სიტყვის ღვთაებრივი აზრი შეიძლება მხოლოდ თავისუფლების ატმოსფეროში გამოვლინდეს, სიტყვათა რეალიზმი ბრძოლაში სიტყვათა ნომინალიზმს ამარცხებს. არათავისუფლება კვებავს ცარიელ „მემარცხენე“ ფრაზეოლოგიას და ცარიელ „მემარჯვენე“ ფრაზეოლოგიასაც. შეუძლებელი ხდება რეალობათა სიტყვებით წარმოჩენა. სიტყვის სრული თავისუფლება არის ერთადერთი რეალური ბრძოლა სიტყვათა ბოროტად გამოყენებასთან, სიტყვათა გადაგვარებასთან. მხოლოდ თავისუფლების წიაღში შემუსრავს სიტყვათა სიმართლე სიტყვათა სიცრუეს, რეალიზმი დაამარცხებს ნომინალიზმს. სიტყვის თავისუფლებას მივყავართ სიტყვათა ბუნებრივ არჩევანთან, ცხოვრებისეული და ნამდვილი სიტყვების გადარჩენასთან. ცრუ და ცარიელ სიტყვებს, თუმცა კი აგრძელებენ ხმაურს, აღარ ექნებათ ის შარავანდედი, რომელიც თანა სდევს ჩაგვრისა და მძლავრობის ატმოსფეროს.

მიანიჭეთ სიტყვებს უფრო მეტი ძალაუფლება და შეიმუსრება სიტყვათა ძალაუფლება საზოგადოებრივ ცხოვრებაზე: რეალობის სიტყვები დაამარცხებს ფიქციათა სიტყვებს. თავისუფლებას პასუხისმგებლობისაკენ მივყავართ. არათავისუფლების პირობებში ყველაფერი უპასუხისმგებლობის ბეჭდითაა აღბეჭდილი. სიტყვების აზრის აღდგენა, სიტყვათა მართალი, რეალური და სრულფასოვანი გამოყენება იმ შეგნებამდე მიგვიყვანს, რომ ჩვენს საზოგადოებას სამოსლის შეცვლა კი არ უნდა სულ მთლად რადიკალური შესამოსელით, არც ამ შესამოსლის გარეგნული სახეა შესაცვლელი, არამედ ჭეშმარიტად უნდა გარდაისახოს, შეცვალოს თავისი ქსოვილი. სიტყვის ძალმოსილობა იყო გარეგნული ძალმოსილობა, ჩვენ კი შინაგანს უნდა მივმართოთ. მთელი ცხოვრება შიგნიდან უნდა განისაზღვროს და არა გარედან, ნებელობის სიღრმიდან და არა ზედაპირული გარემოდან.

და საგარეო პოლიტიკის განხორციელება საწინდარია ამ ქვეყნებში ადამიანის უფლებების განუხრელი დამკვიდრებისა და ეკონომიკური აღმავლობისა (მთარგმნელის შენიშვნა).

რეალური დემოკრატია — მაღალი სულიერება — პასუხისმგებლობა

მწარედ არის ნათქვამი, ადამიანის გამოცდილება აბსურდამდეა დაყვანილიო. მართლაცდა, ის ოდინდელი ცდომილებანი, ადამიანის საზოგადოებრივ ცხოვრებას თან რომ სდევდა, ისევ და ისევ მეორდება, თითქოსდა წარსულში მსგავსი რამ არც კი მომხდარიყო. მეორდებოდა ახალი სახელებით გამართული თუ ახსნილი და ამიტომ გარკვეულწილად ხალხის მასებისათვის შენიღბული. შენიღბული კი, მოგეხსენებათ, ყოველთვის უფრო საშიშია, ვიდრე ცხადლივ ხილული. ასე, მაგალითად, როდესაც იმპერიას იმპერია ჰქვია, შედარებით ნათელი ორიენტაციების მონიშვნა უფრო ადვილია, ვიდრე მაშინ, როდესაც იმპერიული სახელმწიფოს მესვეურები სასტიკად, კატეგორიულად (რეპრესიებითა და ტერორით) უარყოფენ ამ ტერმინის საჭიროებას თუ მართებულობას და ასე, ჩვეულებისამებრ, ადრე თუ გვიან ასეთი სახელმწიფოს არსი თავად გაამჟღავნებს თავს.

ამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე საქართველოში დატრიალებული ტრაგიკული ამბები გავიხსენოთ.

კაცობრიობის უახლეს ისტორიაში ძალზე პოპულარული გახდა ცნება „დემოკრატია", რომელსაც დღეს სულ უფრო და უფრო ადამიანის უფლებების დაცვას უკავშირებენ. სწორედ ჭეშმარიტი და არა იარლიყად მოშველიებული დემოკრატიის პირობებში შესაძლებელია ამ უფლებათა განხორციელება. ამ უკანასკნელი ორი, ორნახევარი საუკუნის მანძილზე მომხდარი რევოლუციები, გადატრიალებები, პოლიტიკური გამოსვლები, შეთქმულებები ამ მომჯადოები სიტყვის ბრწყინვალეებით იყო განათებული (ოღონდ თავისი არსით მიულწეველი და გაუკულმართებულიც); „დემოკრატიული რესპუბლიკა"; „დემოკრატიული რევოლუცია"; „დემოკრატიული ცენტრალიზმი"; „სოციალისტური დემოკრატია"; „ბურჟუაზიული დემოკრატია"...

იქმნება შთაბეჭდილება, რომ დემოკრატია შეიძლება მრავალნაირი იყოს, მაგრამ უფრო სწორი იქნებ ეს არის, — ამ ცნების მოშველიება ამა თუ იმ სახელმწიფოს არსებობის გამართლებაა და მეტი არაფერი, ხოლო ჭეშმარიტი დემოკრატიის გაგება ცხრაკლიტულში დაგმანული რჩება.

გამოჩენილი რუსი ფილოსოფოსის ნ. ბერდიაევის ამ პატარა, მაგრამ დიდი აზრითა და შინაარსით აღსავსე წერილების წაკითხვის შემდეგ ასეთი ფიქრი გვეუფლება, ჭეშმარიტი დემოკრატიის მოპოვება რთულზე რთულია, რადგან იგი თვით ადამიანის სულის (სულიერების) ძირისძირთანაა წილნაყარი და გამორიცხავს სახელმწიფოს ცხოვრების პრიმიტიულ პრინციპზე აგებას.

თუ რას ვგულისხმობთ ამ პრიმიტიულ პრინციპში, ამას ქვემოთ ვიტყვით.

კაცობრიობის ახალი ისტორია გვაცნობს: ტოტალიტარიზმი შესაძლებელი იყო ბურჟუაზიულ გერმანიაში და, ასევე, სოციალისტურ (ბოლშევიკურ) რუსეთში. აქედან გამომდინარე სერიოზულ ეჭვს იწვევს ასეთი ცნებების მართებულობა; „ბურჟუაზიული დემოკრატია" და „სოციალისტური დემოკრატია", ანუ ეკონომიკური წყობა აქ მეორეული ჩანს, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ესა თუ ის ეკონომიკური წყობა შეიძლება მეტად ან ნაკლებად დემოკრატიული იყოს. ეს ცალკე და ვრცელი თემის საგანია და ამიტომ აქ ესღა უნდა აღვნიშნოთ, ჭეშმარიტად დემოკრატიულ ქვეყნებში თავისუფალი, სამართლიანი არჩევნების შედეგად იმარჯვებს ესა თუ ის პარტია (ან პარტიების ჯგუფი), რომელსაც თავისი ეკონომიკური პროგრამა აქვს, ანუ, ამ პარტიის მეშვეობით თავად

ხალხი ირჩევს მისთვის სასურველ და ქმედითუნარიან ეკონომიკურ წყობას.

ჩვენთვის აქ მთავარი ისაა, რომ ჭეშმარიტი დემოკრატია შეუძლებელია რაღაც განსაზღვრებათა (ისევ ის „ბურჟუაზიული“ და „სოციალისტური“ გავიხსენოთ) პროკრუსტეს სარეცელზე მოთავსდეს, ჭეშმარიტი დემოკრატია ამ განსაზღვრებათა არტახებს მიღმაა საძიებელი. ნ. ბერდიაევი მიგვანიშნებს ასეთი განსაზღვრების ზერელობას, სიმარტივეს და წერს: „დემოკრატიის იდეა არც არასდროს განიხილებოდა მთელი თავისი სირთულით, არც არასდროს გაიაზრებოდა კრიტიკულად“.

აქ პასაჟში უმნიშვნელოვანესია სიტყვები: „თავისი სირთულით“, ანუ ნ. ბერდიაევს მშვენივრად ესმის, ჭეშმარიტი დემოკრატია იოლი დასამკვიდრებელი რომ ყოფილიყო, მთელი კაცობრიობა დღეს ბედნიერი იქნებოდა და არც იმდენი ცოდვა ექნებოდა წამოკიდებული, რომლის ზიდვა სიზიფეს ლოდზე უმძიმესია და წყევლაკრულვით თანა სდევს მის ისტორიას.

ადამიანის გონების გზა ჭეშმარიტი დემოკრატიისაკენ ზღვა სისხლითაა მონთხეული, რადგან ამ დროს ყოველთვის წინა პლანზე გამოდიოდა ერთობ გულუბრყვილო პირობა ასეთი მსჯელობის, ფიქრისა და ოცნების კვალობაზე — „მეფეს ჩამოვაგდებთ და მხოლოდ მაშინ დამყარდება სამართლიანობა და დემოკრატია“, ან „მოისპობა თუ არა კერძო საკუთრება, მხოლოდ მაშინ დამყარდება სამართლიანობა და დემოკრატია, ან მოხდება რევოლუცია და დემოკრატია თავისთავად მოვა“, ან „მოვაწყობთ გადატრიალებას და მერე იქნება სიკეთე და დემოკრატიის მეუფება“. მაგრამ, როგორც წესი, ასეთ გადატრიალებათა რეალური შედეგი იყო უდანაშაულოთა სიცოცხლის ხელყოფა და დევნა; ამ დროს თითო-ოროლათა პიროვნული ამბიციების, კორუმპირებულობის საკურთხეველზე იწირება ქვეყნის მომავალი, მისი ღირსეული წინსვლა და განვითარება, ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება, ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერების მოპოვება, დამოუკიდებლობის განმტკიცება, მოქალაქეთა ყოველდღიური ცხოვრებისთვის ღირსეული პირობების შექმნა. მთლიანობისა და დემოკრატიის მაძიებელნი რაღაც ოდინდელი საბედისწერო, გაუთავისებელი, შეუცნობელი ინერციით ისეთ ტერორს მიმართავდნენ, რომ ადამიანს დღესაც თავი საშინელ სიზმარში ჰგონია, მაგრამ ეს მწარე რეალობა იყო და არის, მეფისკვლას ათეული ათასობით მსხვერპლი მოჰყვებოდა და კერძო საკუთრებასთან ბრძოლას კიდევ უფრო მეტი, მილიონობით, დღეს ეს ფაქტი სადავო აღარაა.

გამოცდილების მოპოვება კაცობრიობას დიდ ფასად უჯდებოდა.

დღეს უკვე ცხადია, იდეალმა, რწმენამ ამ იდეალის ერთადერთობის, შეუვალობის, საბოლოო ჭეშმარიტების შესახებ („правда“) შეიძლება ისე დააბრმავოს ადამიანი, რომ სრულიად ბუნებრივი გამოჩნდება მოყვასთამოკვდინება, წამება და გვემა, რადგან ამ ჯურის იდეალი ადამისჟამინდელი ფასეულობებისადმი კი არა, მომავლისკენ, შორეული მომავლისკენაა პროექტირებული და ახლა ერთობ უმნიშვნელო ჩანს პიროვნებათა ბედი და უფლებები, იმდენად უმნიშვნელო, რომ გარკვეული პოლიტიკური პროცესი და ადამიანთა ბედ-იღბალი სულ ადვილად შეიძლება ტყის ჭრასა და ნაფოტების ცვენას შევუდაროთ. ხშირად ნაფოტების როლის თამაში უხდებოდათ ცნობილ მეცნიერებს, მწერლებს, ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებს (ასეთი ბარბაროსობის კლასიკური ნიმუში ქვემოთ მოყვანილი სიტყვებია: „მომავალში მთელი მასა გახდეს ინტელიგენცია და ეს იქნება სიკვდილი ახლანდელი ინტელიგენციისა, მაგრამ სიკვდილი ფრიად სასიხარულო, რადგან ეს იქნება აღმნიშვნელი პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვებისა... და მაშინ ინტელიგენციაც დაიკავებს ასეთივე ადგილს“ — ა. ვ. ლუნაჩარსკი).

ზემოთ ნახსენები იდეალი საბოლოო ჭე-

შმარიტების სახით მოევლინება ადამიანს. განსაკუთრებით ეს თვალსაჩინოა პირველ ხანებში. მაგრამ სულ მალე ეს იდეალი დესპოტური სახელმწიფოს პოლიტიკურ მოღვაწეთა თვითდამკვიდრების და, თუ გნებავთ, სიცოცხლის შესანარჩუნებელი საშუალება ხდება.

საბოლოო ინსტანციის ჭეშმარიტების პრეტენზია მხოლოდ ტოტალიტარიზმს შობს და ამ დროს პოლიტიკური სტრუქტურები მხოლოდ და მხოლოდ ძალადობაზე შეიძლება იყოს დამკვიდრებული, ანუ მყარდება სახელმწიფო ცხოვრების პრიმიტიული, დესპოტური პრინციპი.

ასეთი მმართველობა თუმცა გარკვეულწილად სახიფათოა მმართველებისათვის, მართვა ერთობ ადვილია, პრიმიტიულია და ამიტომაც განსახორციელებლად მეტად იოლიც — პოტენციური მოწინააღმდეგეების მოცილება მასობრივი ტერორით ხდება და ბატკანივით მორჩილი ხალხი ტოტალიტარიზმის ბრმა იარაღად გადაიქცევა.

თავისი წერილის დასაწყისში ნ. ბერდიაევი ანარქიზმსაც იხსენებს და, რაღა თქმა უნდა, ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს, რადგან ანარქიზმმაც შეიძლება ასეთივე უბედურება მოუტანოს ხალხს, როგორც ტოტალიტარიზმმა (როგორც ვიცით, ანარქიზმი „უარყოფს ყოველგვარ ხელისუფლებასა და სახელმწიფოს"). ამ მხრივ ანარქიზმი და ტოტალიტარიზმი ერთი მედლის ორი მხარეა და თუ ტოტალიტარიზმის დროს ყოვლის უფლება ხელთ უპყრია დესპოტს ან დესპოტთა ჯგუფს, ანარქიზმისას მასობრივი განუკითხაობა ბოგინობს (ანუ, ნ. ბერდიაევის სიტყვით რომ ვთქვათ, „არაფრით არ შეზღუდული დემოკრატია სულ ადვილად ხდება მტრული კაცობრიობის სულთან." ან „ქაოსის ზეობა არა მარტო შეარყევს დემოკრატიას, არამედ შეუძლებელს ხდის მას"), და ისიც, ცხადია, დიდი უბედურების საფუძველი ხდება, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ, როგორც წესი, ტოტალიტარიზმი და ანარქიზმი ერთმანეთს ენაცვლება, რადგან, როგორც ჩანს, ერთიც ადვილი დასამკვიდრებელია და მეორეც (მეორე სულაც თავისთავად მოდის), ორივეს ერთნაირად ახასიათებს სიმარტივე, რომელიც ძალზე იოლს ხდის მმართველობას, იოლს ხდის იმიტომ, რომ ამ დროს თავს არ იწუხებენ ადამიანის უფლებების, ადამიანის ყოფიერების ავტონომიურობის დაცვისათვის.

ხსენებული ურთიერთმონაცვლეობის მაგალითად შეიძლება საფრანგეთის XVIII ს-ის რევოლუცია გავიხსენოთ, მეფის ჩამოგდება და სიკვდილით დასჯა. და ამის შემდეგ გარკვეული ანარქიული პროცესები თავისი გილიოტინებითურთ, დაბოლოს ისევ აბსოლუტიზმი — ნაპოლეონის დიქტატურა.

დემოკრატია შეიძლება ამ ორივე მმართველობის წიაღში აღმოცენდეს, მაგრამ იგი ამათთან შედარებით ძალზე განსხვავებულია და თვისებრივად საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების უმაღლეს საფუძველზეა ასული, როგორც აღმოჩნდება, დემოკრატიული წყობა გაცილებით რთულია, არაპრიმიტიული, ძნელად განსახორციელებელი, ადამიანის სულიერების სინათლით გაცისკროვნებული, პირველ ხანებში ერთობ სუსტი, რადგან თავის მხრივ არამყარი და ბუნდოვანია თავად საზოგადოებრივი აზრი. ხალხს, ძირითადად, სრულად არა აქვს გათავისებული არც ტოტალიტარიზმის, არც ანარქიზმის და არც დემოკრატიის არსი. მხოლოდ გარკვეული დროის გასვლის შემდგომ, როდესაც ხდება შესაძლებელი ზემოთ ხსენებული პოლიტიკური მმართველობის სისტემის შედარება და ამ მხრივ სრული გამოცდილების დაგროვება, ხალხის აზროვნება მტკიცედ და მასობრივად განიმსჭვალება დემოკრატიული სულისკვეთებით.

დემოკრატიული მმართველობა რთული ადამიანური პროცესია და ნ. ბერდიაევი იძულებულია სახელმწიფოს მმართველობის ამ ფორმის ახსნისას ისეთი ცნებები და კატეგორიები მოიშველიოს, როგორიცაა „ადამიანური სტიქიონი;" „ადამიანის სულიერი საწყისები"; „მსო-

ფლიო სულიერი საძირკვლები"; პასუხისმგებლობა — „მხოლოდ პასუხისმგებლობით აღჭურვილი პიროვნებაა თავისუფალი და მხოლოდ თავისუფალი პიროვნებაა პასუხისმგებლობით აღჭურვილი;" ძალაუფლება შეუძლია მხოლოდ იმას ეპყრას, ვისაც თავის ფლობაც შეუძლია; „პიროვნული და საზოგადოებრივი ნება"; „შინაგანი სულიერი მუშაობის დისციპლინა"; „პიროვნების მოვალეობა"; დემოკრატიის დროს მთავარია არა აგიტაცია, არამედ აღზრდა, მომთხოვნელობა კი არა, პასუხისმგებლობა, რაოდენობა კი არა, ხარისხოვნება, მასების გამაწონასწორებელი მექანიკა კი არა, თავისუფალი სულის შემოქმედება; „ადამიანების ჭეშმარიტი კავშირი და არა მათი მექანიკური შერწყმა"; „ჭეშმარიტი სული ადამიანისა და კაცობრიობის, სული პიროვნების და ხალხისა"; „ნებისა და ცნობიერების შინაგანი შრომა"; „ადამიანის, პიროვნების, კაცობრიობის, კოსმოსის შინაგანი ცხოვრება"; „ჭეშმარიტი სახალხო თვითმმართველობა როგორც ადამიანური ენერგიის ორგანიზებული გამოხატულება"; „პიროვნების უდიდესი პასუხისმგებლობა საზოგადოების ბედზე..." და ა. შ.

თითქოსდა ერთი შეხედვით მოყვანილი პასაჟები რაღაც მისტიკურის შთაბეჭდილებას სტოვებენ (მართლაცდა, სწორედ ასე ნათლავდნენ ნ. ბერდიაევის ფილოსოფიას. იოლი გამოსავალია! რისი გაგებაც ჭირს და ძნელია, შეიძლება „მისტიკურის" იარლიყი მივაკრათ და მორჩა. „ფილოსოფიური ლექსიკონის" 1980 წლის მოსკოვის გამოცემაში იგი ასეა მოხსენიებული: „რუსი ბურჟუაზიული ფილოსოფოსი-მისტიკოსი, ეგზისტენციალისტი"). მაგრამ სინამდვილეში ეს „მისტიკა" ადამიანის სულის სიღრმეთა წარმოჩენა და მიახლოებაა. შეიძლება ასეც ვთქვათ, აქ არავითარი მისტიკა არ არის (ამ სიტყვის ტრადიციულ მნიშვნელობას ვგულისხმობთ), ეს არის თავად ადამიანის რეალობა, რომლის არცოდნას ყოველთვის მივყავდით და **მივყავართ** ტოტალიტარიზმამდე და ანარქიამდე, ხოლო მისი ცოდნა გვაზიარებს ჭეშმარიტ დემოკრატიას, ამ უდიდეს მონაპოვარს კაცობრიობის ისტორიაში.

ჭეშმარიტი დემოკრატია მაშინ და იმ დროსაა შესაძლებელი, როდესაც მთელი ერი განიმსჭვალება ამ ცნების არსით და შეისისხლხორცებს მის თანამდევ ნიშნებს, რომლებიც ასე უხვად აქვს ჩამოთვლილი ნ. ბერდიაევს ამ პატარა წერილში.

მმართველობის დემოკრატიული სისტემის დამყარებას გარკვეული, უნიკალური პირობები სჭირდება და ეს პროცესი მოქალაქეთა შინაგანი თავისუფლებით უნდა იყოს განათებული, მყარი დემოკრატია მხოლოდ ამ შემთხვევაში დამკვიდრდება, მაგრამ ხშირად ესა თუ ის ერი ვერ აღწევს ასეთ სულიერ მდგომარეობას, რადგან შეიძლება არც დრო იყოს საამისო და არც პირობები.

* * *

ნ. ბერდიაევის წერილი პირველი მსოფლიო ომის დროსაა დაწერილი, როდესაც ჯერ კიდევ იყო იმედი, რომ დადგებოდა „მომაჯადოებელი ბედნიერების განთიადი" (ა. პუშკინი). იმხანად ნ. ბერდიაევსაც სჯეროდა, ამ განთიადს მოიყვანდა დიდი რევოლუცია და დაამხობდა ცრუ და ყალბ, ცარიელ სიტყვებს, ფორმულებსა და ცნებებს.

დიდი რევოლუცია (ოქტომბრის) მოხდა და თითქოსდა მისმა მამამთავრებმა კარგად გაიგეს სიტყვათა მნიშვნელობა, ოღონდ კი არ დაამხეს სიტყვების სიცრუე და სიყალბე, სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აიყვანეს, ხოლო სიცარიელე რაღა სახსენებელი იყო, ყველაფერი ბოლშევიკური ფრაზეოლოგიის დიქტატურამ მოიცვა. მაგრამ, საბედნიეროდ, სიტყვები არ შეიძლება მხოლოდ ბოლშევიკური ყოფილიყო, ესეც კარგად იცოდა ამ თითქოსდა „გულუბრყვილო" და ლამაზი სიტყვებით თავგაბრუებულმა ხალხმა. ამიტომ, კიდევაც დევნიდნენ განსხვავებულ სიტყვას, შეგნებულად, გეგმაზომიერად, მანამ, სა-

ნამ ამას ახერხებდნენ და, როდესაც დაჰკრა ჟამმა და უკვე შეუძლებელი გახდა განსხვავებული სიტყვის ჩანასახშივე ჩახშობა, სულ მოკლე ხანში ყველაფერი დაინგრა და გაცამტვერდა. რაღა თქმა უნდა, ამას 80-იანი წლების საბჭოთა კავშირის ლიდერების უმეცრებამ (ანუ ჭეშმარიტების ნაკლებობამ) შეუწყო ხელი — „პერესტროიკა", როგორც ახლა ვიცით, ცარიელი, გაუთავებელი ლაყბობა იყო, ცრუ სიტყვების კორიანტელში ვერ გამოინახა გამოსავალი და ნამდვილი, დეკორატიული, სამართლიანი, იმპერიული ამბიციების უარმყოფელი გარდაქმნა შეუძლებელი გახდა, ჭეშმარიტება ცხრაკლიტულში დაიგმანა, „სოიუზ ნერუშიმი რესპუბლიკ სვობოდნიხ" (კარგი კი იყო „პერესტროიკის" წამომწყებთ ამ სიტყვებისთვის — „რესპუბლიკ სვობოდნიხ" — მიექციათ ყურადღება და მსოფლიოში უკვე დაგროვილი გარკვეული გამოცდილებისთვის მოეხმოთ) რეალურად თუნდაც ამავე წლებში ძველებურად ბოლშევიკურ გუბერნიებად იყო აღქმული და ამისდა კვალად, საბოლოოდ, დასანგრევად განწირული შეიქნა.

მკითხველს კარგად ემახსოვრება, სწორედ ამ ყალბი მრავალსიტყვაობის დამაგვირგვინებელი გახდა საბჭოთა კავშირის მაშინდელი უზენაესი საბჭო, რომლის კედლებში წარმოთქმულმა რეალურობის (გნებავთ სულიერი, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა მრავალი) შინაარსისგან დაცლილმა სიტყვებმა გამოიწვია საყოველთაო ნგრევა. საბჭოთა კავშირის ე. წ. მოკავშირე რესპუბლიკებში შიშიანობამ, უიმედობამ იმძლავრა, რადგანაც ცხრა აპრილისა და სხვა ამდაგვარი მოვლენები კი იქნა დაგმობილი, მაგრამ ხსენებული დაგმობა ცარიელი სიტყვებითლა შემოიფარგლა — ამ და სხვა ტრაგედიის ორგანიზატორები შემზარავად დაუსჯელნი დარჩნენ.

ბერდიაევი სრულიად საფუძვლიანად წერს პოლიტიკაში სიტყვის უნიკალურ მნიშვნელობაზე და ჩვენ აქ, რაღა თქმა უნდა, გვაინტერესებს მათი მნიშვნელობა ხსენებულ შემთხვევაში და არა, ვთქვათ, მხატვრულ ლიტერატურაში, სადაც ისინი სისხლად და ხორცად გვევლინებიან და ამ მასალისაგან ახალ სულიერ რეალობას ვღებულობთ. თუმცა კი ეს უკვე ცალკე და ურთულესი თემის საგანია. ხოლო საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში სიტყვებს თუ კრიტიკულად და ცივი გონებით არ მივუდგებით, შეიძლება ამას დამანგრეველი შედეგი ჰქონდეს თუნდაც იმის გამო, რომ, როგორც ნ. ბერდიაევი წერდა, მათ რწმენითა და ნდობით ვეკიდებით. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, აქ უკვე თავად ეს სიტყვები — **რწმენა და ნდობა,** რომლებიც იმთავითვე და სულ მუდამ ჩვენს ყოფიერებაში დადებითი შინაარსით გაჯერებული გვესმის, რეალურად პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეიძლება ერთობ საბედისწერო ცდომილებათა წყარო გახდეს, რადგან გარკვეულ შემთხვევაში სიტყვების რეალური, ადეკვატური მნიშვნელობის უქონლობა თავგზას გვიბნევს, ტიკინებივით გვათამაშებს და გვაიძულებს ისეთი რამ მოვიმოქმედოთ, რაც მერე, შეიძლება სულ მალე ან მოგვიანებით, ან სულაც ძალიან გვიან, შემზარავი სიცხადით გამომზეურდეს, თუ როგორ შევცდით და ეს გარემოება სავალალო მოვლენებით გასრულდება; და ესეც გახდება ცხადი, ამას არ შეიძლება უბრალო შეცდომა დავარქვათ, ჩვენ უკვე ნამდვილი ცოდვის ტრიალის მოწმენი ვართ.

1921 წელს ხელმეორედ დამოუკიდებლობის დაკარგვა საქართველოში არა მარტო სახელმწიფოებრივი ნების დეფიციტით, ადეკვატური ძალისხმევის შემზარავი უკმარისობის გამო მოხდა, არამედ იმითაც, რომ „საბჭოური ლოზუნგების სახით, დაჟინებითა და გამუდმებით უწამლავდნენ გონებას საქართველოს „მშრომელ მასებს" (ზურაბ ავალიშვილი).

ნ. ბერდიაევისთვის უკვე ცხადი იყო, თუ რა ამაზრზენადაა შესაძლებელი ღირსეულ პიროვნებათა და ეროვნებათა ამაღლება. რეალურად ეს შეიძლება იყოს ღირსეულთა ფიზიკური განადგურებაც კი და ეროვნებათა სახელმწიფოს პოლიტიკური ია-

არქიის უმაღლეს საფეხურზე აყვანა. საქართველოში ამ ბედითი XX საუკუნის **დასაწყისშივე** „ბნელმა ძალამ აისრულა თავისი საწადელი. ეს ძალა მუდამ ეძებს მსხვერპლს თავის საკვებად და სასახელოდ; მისი საკვებია უსამართლობისაგან დაჩაგრული სიმართლე, პირადი ინტერესი საზოგადო სარგებლობის ნაცვლად და „დაბნელება წყვდიადით სინათლისა"; ვაჟაფშაველამ ეს სიტყვები წარმოთქვა ილიას მკვლელობის გამო. იმ შემზარავ 1907 წელს კარგად გამომზეურდა ის მექანიზმი, თუ როგორ ხდება „დაბნელება წყვდიადით სინათლისა". ილიას წმინდა პიროვნებისადმი **იარლიყების** მიკერებამ, გაუთავებელმა დევნამ და ცილისწამებამ თავისი შედეგი გამოიღო. დღეს უკვე კარგად არის ცნობილი, რომ „ბნელი ძალა" სწორედ იარლიყების მიკერებით აღწევს მიზანს და მთელი უბედურება ის არის, რომ ეს უპრიმიტიულესი და **სულ ადვილად** მოსამარჯვებელი ხერხი ხშირად დიდად დამანგრეველი ხდება. „ფიქციათა, სიტყვათა და საგანთა გარესამოსლით ცხოვრება" ძნელი არ არის და ამიტომ, ცხადია, უმეტესობა სწორედ ასე ცხოვრობს. იქნებ სწორედ ამიტომ ადამიანის ცხოვრებაში ბოროტებას უფრო ღრმა ფესვები აქვს და მასთან ბრძოლა რთულია და ზოგჯერ შეუძლებელიც. იარლიყების მიკერების დროს აღძრულ მასობრივ ფსიქოზს ესაძირკვლება მასობრივი უმეცრება, მდაბალი სულიერება; აგრეთვე, მასობრივი სირცხვილის გრძნობა, შიშიანობა, ამ დროს ადამიანები ველარ გამოხატავენ თავიანთ უარყოფით დამოკიდებულებას იარლიყების მიმკერებლებისადმი. ამ უკანასკნელთ, თავის მხრივ, არ ესმით, რა ფენომენთან აქვთ საქმე და ამ მაცდუნებელ სიტყვა-იარლიყებს ჭეშმარიტებად, უფრო მეტიც, უდავო ჭეშმარიტებად მიიჩნევენ, და ასე გონებადახშულნი აგრესიულნი, მზვაობარნი, დაუნდობელნი ხდებიან. ამის მერე ძალიან ადვილად შეიძლება ხსენებულმა პირებმა განსხვავებული აზრის მქონენი დაამცირონ, აბუჩად აიგდონ, ხოლო ანარქიის ან დიქტატურის, ბრული განუკითხაობის პირობებში სიცოცხლესაც გამოასალმონ.

სიტყვათა ჰიპნოზი, სიტყვებით გამოწვეული სიბრმავე ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მიწურულს საფრანგეთის რევოლუციის დროს გამომზეურდა. „ძმობის, ერთობის, თავისუფლების" ლოზუნგის მიღმა რეალურად გილიოტინის აჩრდილი იყო აღმართული და ამ სიტყვებმა რეალურადვე მრავალი ადამიანი დააწვინეს რეალურივე პროკრუსტეს სარეცელზე, რომელზეც რეალურადვე არ ეტეოდა მსხვერპლთა თავები.

სწორედ ასეთი მომაკვდინებელი შეიძლება იყოს სიტყვების ძალამოსილება, მაგრამ ეს ბოროტეული ძალამოსილება სასიკეთო ძალამოსილებით შეიცვლება, თუ სიტყვების დამაბრმავებელ ჰიპნოზს თავს დავაღწევთ და მათი მეშვეობით წარმოვაჩენთ ადამიანის ურთულეს რეალობას, ასე თუ ისე შევძლებთ ამ რეალობის ჭეშმარიტების გათავისებას. სიტყვების წინაშე უშიშრად დადგომა სწორედ ამ დროს იქნება შესაძლებელი, რაც, ნ. ბერდიაევის აზრით, დიდი სიქველეა.

როგორც ვხედავთ, მრავალ სიქველეთაგან ჩვენთვის აუცილებელია ეს სიქველეც, რომლის უქონლობაც საქართველოში ამ უმძიმეს ათ წელიწადში ცხადლივ ჩანს.

დღეს, XX ს. ბოლოს კაცობრიობას უკვე აქვს შეძენილი საკმარისი გამოცდილება. მაგრამ, სხვათა შორის, სწორედ გამოცდილება გვამცნობს, რომ ადამიანი მაინც როგორღაც ახერხებს აბსურდის გზით სიარულს, ანუ ზოგადკაცობრიული გამოცდილების ვერგათვალისწინებას, და მთელი ეს ჩვენი XX ს. ამ შემზარავი ბეჭდით არის აღბეჭდილი; „ცრუ და ცარიელი სიტყვები" დღესაც აგრძელებს ხმაურს, და თუ ადამიანიშვილი ახალ XXI ს. კვლავ არ გაუცრუებს იმედს მის შემქმნელ არსთა გამრიგეს თუ ზესთასოფლის მეუფეს და გამარჯვებას მოიპოვებს, მაშინ ამ გამარჯვების ერთ-ერთი უძირითადესი საწინდარი სიტყვების ფიქციების დამარცხება უნდა შეიქნას.

№ 15 1961